ISSN 0206-2828 7-8 2016

ECONOMICS

ეკონომიკა

1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

№ 7-8, 2016

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А,. Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

თბილისი - 2016

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

სოფიო მაჭარაშვილი - მისწრაფება უმაღლესი განათლების მიღებისკენ ყოველთვის არ მთავრდება ცოდნის მიღებით ----------6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

გულიკო ქათამაძე - ინფლაცია და მისი გამომწვევი მიზეზები საქართველოში ---------- 13

ლაშარი ქურდაშვილი - ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში ---------- 25

რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია, ნათია შენგელია - კრეატიული ადამიანი როგორც თვითმზარდი ღირებულება------ 41

გიორგი მიქელაძე - ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელის ემპირიული რეალიზაცია საქართველოს მაგალითზე ---- 50

ხათუნა შალამბერიძე - ფინანსურ ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე პრობლემები ---------- 57

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

მირზა ხიდაშელი - თანამედროვე მონეტარული სისტემის კრიტიკული ასპექტები ---------- 67

ხათუნა შალამბერიძე - საბანკო ინოვაციების ძირითადი ასპექტები ---------- 82

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

დავით ნაჭყებია - მთლიანი შიდა პროდუქტი და ანგარებითი დანაშაული---------- 92

რეგიონული ეკონომიკა

იოსებ ხელაშვილი - ტურიზმი – საქართველოს დეპრესირებული რეგიონების აღორძინების გზა---------- 103

დარგობრივი ეკონომიკა

ნანა კირვალიძე - საქართველოში სარკინიგზო მანქანათმშენებელი საწარმოების მარკეტინგული საქმიანობა ---- 115

ნანა სრესელი, მერაბ ჯიქია - ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდები და მათი თავისებურებები ---------- 129

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

Мераб Келенджеридзе, Нурана Маммадова - Женщина-

Предприниматель, Деловая Женщина ---------- 149
მუხრან ქამადაძე - შიდა აუდიტის როლი რისკის შეფასებაში----- 159
ელისაბედ ბალიაშვილი - ტურიზმის კლასტერიზაციის
პერსპექტივები საქართველოში ---------- 170
გიორგი ჭურაძე - კონფლიქტის გადაჭრა
მესამე მხარის ჩარევის შედეგად ---------- 179

მსოფლიო ეკონომიკა

**გიორგი ხიდეშელი, მარი ჯავახიშვილი, გუგა ბერძენიშვილი,
გოჩა ლობჟანიძე, ნინო გოზალიშვილი -** სამხრეთ კავკასიის
ქვეყნების ელექტრო ენერგეტიკის შიდასახელმწიფოებრივი,
რეგიონული და გლობალური გამოწვევები ---------- 188
დავით ქათამაძე - საქართველოს საგარეო სავაჭრო და საინვესტი-
ციო კავშირების განვითარების ტენდენციები და პრობლემები---- 205
**თამთა დარსალია, ქრისტინე ჯინჭველეიშვილი,
ანი კენჭაშვილი, სალომე ლომსაძე -** გლობალიზაცია
ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში ---------- 216
**ნანა ლობჟანიძე, ქრისტინე ჯინჭველეიშვილი, ანი კენჭაშვილი,
თამთა დარსალია -** რუსეთის ენერგეტიკული სტრატეგია
და ევროკავშირის ენერგოდამოკიდებულება მასზე ---------- 227
გიორგი მინაშვილი, სალომე გიუნაშვილი, ანი ალადაშვილი -
რეგიონული თანამშრომლობა სამხრეთ-კავკასიაში:
ბაქო-თბილისი-ყარსი---------- 243
გიორგი კვინიკაძე, კონსტანტინე შუბითიძე -
ირან-რუსეთის ურთიერთობები /გეოეკონომიკური კონტექსტი/ - 254

გამოხმაურება

ვახუშტი ფარცვანია - ოპტიმისტი ადამიანის
დაუოკებელი სწრაფვა თვითმყოფობისკენ ---------- 278
რევაზ შენგელია - გამოხმაურება გიორგი მალაშხიას
ლექსების კრებულზე“ სულის ამბოხი.ფიქრები ლექსებად.
ცხოვრების ფილოსოფია“ ---------- 284

რეცენზია

ზურაბ დავითაშვილი, თეიმურაზ ბერიძე - გეოგრაფიის
დოქტორის გიორგი კვინიკაძის მონოგრაფია - „გეოეკონომიკური
ნარკვევები: ფრიდრიხ ლისტიდან ედვარდ ლუტვაკამდე“---------- 285

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი --- 287

CONTENTS

ECONOMIC REFORMS:
ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Sophio Macharashvili - Aspiration to Receive Education does not always Bring the Desired Results ---------- 6

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Guliko Katamadze - Inflation and its Causes in Georgia ---------- 13
Lashari Kurdashvili - Modern Reproduction of Human Capital in Georgia ---------- 25
Revaz Shengelia, Jujuna Tsiklauri-Shengelia, Natia Shengelia - A Creative Person as Self-increasing his Value --------- 41
Giorgi Mikeladze - Empirical Realization of Investment Neoclassical Model Case of Georgia ---------- 50
Khatuna Shalamberidze - The Modern Problems of Development of Financial Relations ---------- 57

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Mirza Khidasheli - Critical Aspects of the Modern Monetary System---- 67
Khatuna Shalamberidze - Basic Aspects of the Banking Innovations --- 82

LEGAL PROVISION OF MARKET ECONOMY

David Nachkebia - Gross Domestic Product and Self-interest Crime----- 92

REGIONAL ECONOMY

Ioseb Khelashvili-Tourism – The Way of Development of Georgian Distressed Mountain Regions ---------- 103

SECTORAL ECONOMY

Nana Kirvalidze - Marketing Business of Railway Mechanical Engineering Enterprises In Georgia ---------- 115
Nana Sreseli, Merab Jikia - Methods of Cash Flow Analysis and Their Characteristics ---------- 129

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Мераб Келенджеридзе, Нурана Маммадова - Женщина-Предприниматель, Деловая Женщина (Businesswoman) ---------- 149

Mukhran Kamadadze - The Role of Internal Audit in Risk Assessment ----159
Elisabed Baliashvili - The Prospects of Tourism Clustering in Georgia - 170
Giorgi Tchuradze - Resolution of the
Conflict by Third Party Intervention ---------- 179

WORLD ECONOMY

Giorgi Khidesheli, Mari Javakhishvili, Guga Berdzenishvili, Gocha Lobjanidze, Nino Gozalishvili - The Inner-state, Regional
and Global challenges of the south Caucasian States' Electric Energy---- 188
David Katamadze - The Development Tendencies and Problems
of Georgian Foreign Trade And Investment Ties ---------- 205
Tamta Darsalia, Qristine Jinchveleishvili, Ani Kenchashvili, Salome Nemsadze - Globalization in Economic and Political framework --------- 216
Nana Lobzhanidze, Kristine Jinchveleishvili, Ani Kenchashvili, Tamta Darsalia - Russia's Energy Strategy
and EU's Energy Dependence on Russia ---------- 227
Giorgi Minashvili, Salome Giunashvili, Ani Aladashvili -
Regional cooperation in South Caucasus: Baku-Tbilisi-Kars ---------- 243
GIorgi Kvinikadze, Konstantine Shubitidze -
Iran-Russian Relations/ Geo-economic Context/ ---------- 254

READER RESPONSE

Vakhushti Parcvania - An indomitable Aspiring
for Independence of an Optimistic Person---------- 278
Revaz Shengelia -Response to Giorgi Malashkhia's Collection of
Poems "Outbreak of Spirit. Thoughts as Poems. The Philosophy of life" --- 284

REVIEWS

Zurab Davitashvili, Teimuraz Beridze -The Monography
of Giorgi Kvinikadze, Doctor of Geography-„Geoeconomic Essays:
From Friedrich List to Edward Luttwak"---------- 285

PUBLICATION REQUIREMENTS ---------- 287

მისწრაფება უმაღლესი განათლების მიღებისკენ ყოველთვის არ მთავრდება ცოდნის მიღებით

სოფიო მაჭარაშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოს მთავრობის სტრატეგია განათლების სფეროში, რომელიც გამოხატულია სამთავრობო დოკუმენტში „საქართველო 2020“. კრიტიკულად შეფასებულია ის ფაქტი, რომ მასში არაფერია ნათქვამი უმაღლესი განათლების პერსპექტივაზე და მხოლოდ პროფესიულ სწავლებაზე არის აქცენტი გაკეთებული. ნათქვამია ისიც, რომ საქართველოში უმაღლესში მოწყობის მისწრაფება აჭარბებ უმაღლესი ცოდნის მიღების მისწრაფებას, რის შედეგია ის, რომ ჩარიცხულ სტუდენტთა 10-15% ვერ ამთავრებს უმაღლეს სასწავლებლებს.

სტატიაში დაყენებულია სტუდენტების ტესტური გამოცდების ზეპირი გამოცდებით შეცვლის საკითხი.

საკვანძო სიტყვები: განათლება, ტესტური გამოცდები, ზეპირი გამოცდები.

ძირითადი ტექსტი

ეპოქები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა იმით თუ ადამიანები რით იკვებებოდნენ, რას იცვამდნენ ან როგორ ერთობოდნენ, არამედ იმით, თუ მათ როგორი მატერიალური და სულიერი კულტურა დატოვეს. ამიტომ ყველა ქვეყნის და მ. შ. საქართველოს ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის პრიორიტეტი უნდა იყოს მოსახლეობის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება, რაც მიიღწევა განათლების სისტე-

მის სრულყოფით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტიმულირებით, ახალგაზრდობის შემოქმედებითი უნარის გამოვლენით, გონებრივი შრომის მუშაკთა ხვედრითი წილის ზრდით და ამ ყველაფრის საფუძველზე მოსახლეობაში საერთო და სპეციფიკური ცოდნის გაფართოებით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის 2013-2014 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველო რომ საგანმანათლებლო სისტემის ხარისხის მიხედვით 105-ე ადგილზეა [1, გვ. 49], ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ამ მხრივ, ჩვენთან ყველაფერი რიგზე არ არის.

საქართველო საკმაოდ ფართო საგანმანათლებლო ქსელს ფლობს. 2014-2015 სასწავლო წელს საქართველოში იყო 2085 საჯარო სკოლა, 246 კერძო სკოლა, 35 პროფესიული სახელმწიფო დაწესებულება, 105 კერძო პროფესიული დაწესებულება, 20 სახელმწიფო უმაღლესი დაწესებულება, 53 კერძო უმაღლესი დაწესებულება და 28 დოქტორანტურის მქონე დაწესებულება. 2010 წელთან შედარებით სკოლების რიცხვიც და მათში მოსწავლეთა რაოდენობაც შემცირებულია, უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა და მათი მოსწავლე სტუდენტების რაოდენობა კი – გაზრდილი. 2010-2011 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 75 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება [2, გვ. 65], 2014-2015 სასწავლო წელს კი – 101. ასეთივე ტენდენციაა სტუდენტთა რაოდენობაშიც. 2010-2011 სასწავლო წელს სწავლობდა 99,4 ათასი სტუდენტი, 2014-2015 სასწავლო წელს კი 124.2 ათასი [2, გვ. 71].

საქართველოში უმაღლესი სასწავლებელი 2014 წელს დაამთავრა 21865 სტუდენტმა, ანუ 9611 კაცით მეტმა, ვიდრე 2009 წელს.

გაიზარდა დოქტორანტურაში მიღებაც. 2011 წელს დოქტორანტურაში მიღებული იყო 1045 სტუდენტი, 2014 წელს კი 1203 [2, გვ. 73].

ამას ვერ ვიტყვით პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებლებზე. ამ ტიპის როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სასწავლებლებში 2013-2014 წელს სწავლობდა 21100 სტუდენტი, 2014-2015 სასწავლო წელს კი – 15800 სტუდენტი, ანუ 25.1%-ით ნაკლები. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველ ახალგაზრდობას მეტი აქვთ მის-

წრაფება უმაღლესი განათლების მიღებისკენ და ის მიაჩნიათ კარიერული წინსვლის აუცილებელ ელემენტად და საერთოდ საზოგადოებაში პრესტიჟად.

ხშირად ვამბობთ, რომ ქართველებში ეს ტრადიციულად არის ფეხგადგმული, მაგრამ არასოდეს არ ვფიქრობთ, რომ ეს ტრადიცია ქართულმა გენეტიკამ შექმნა, ქართველი კაცის უნარმა და მიდრეკილებამ არა ფიზიკური შრომისკენ, არამედ გონებრივი შრომისკენ. სულ რაღაც 20-25 წლის წინ ანუ საბჭოთა წყობილების პირობებში, ქ. თბილისის მოსახლეობა ბუნებრივად სტრატებად იყო დაყოფილი: სომხები – ხელოსნობდნენ, ებრაელები – ვაჭრობდნენ, ქურთები – ქალქს ასუფთავებდნენ, რუსები – ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობდნენ, ქართველების დიდი ნაწილი გონებრივი შრომის მუშაკი იყო, ნაწილი სხვადასხვა დაწესებულებებში მუშაობდა. რა თქმა უნდა, იყო გამონაკლისებიც.

საქართველოს გადასვლამ საბაზრო ეკონომიკაზე და შრომის ბაზრის წარმოშობამ რეალური ეკონომიკის და მისი სუბიექტების – ფაბრიკა-ქარხნების დაშლამ, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სრულმა განადგურებამ და საქართველოში საზღვარგარეთიდან ნაკარნახევი „სამეზობლო პოლიტიკით“ ცხოვრებამ, წინა პლანზე წამოწია კვალიფიციური მუშების საჭიროება და მათი მომმზადებული პროფესიული სასწავლებლების შექმნა. მაშასადამე, უმაღლესი განათლების მუშაკები – ინჟინრები, ტექნოლოგები, ექიმები და სხვანი ცოტაა საჭირო, კვალიფიციური პროფესიონალი მუშები – დურგლები, ზეინკლები, მჩარხავები, მზარეულები, მიმტანები, მტვირთავები, მზიდავები, კლერკები, მძღოლები და ა. შ. კი – მეტი. კი, დაიწყო ამ მიმართულებით სვლა, გაიხსნა ბევრი პროფესიული, კერძო და სახელმწიფო სასწავლებლები (კოლეჯები), და გარკვეულად დაკომპლექტდნენ კიდეც ისინი, მაგრამ იმათი სულის ტკივილი, ვინც ამ კოლეჯებში სწავლობენ, მაინც ის არის, რომ არ სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში და ამით ვიღაცაზე რანგით დაბლა დგანან. დაგვეთანხმებით, რომ ეს ქართველი კაცის სულის მოთხოვნილებაა. ჩემი სტატიის წამკითხველთაგან რომელ თქვენგანს არ უნანია, რომ ვერ (თუ არ) დაამთავრა უმაღლესი (თუ ასეთი ადამიანი აღ-

მოჩნდება ამ სტატიის წამკითხველთა შორის), ან რომელ თქვენგანს უნდა, რომ მისმა Aშვილმა არ ისწავლოს უმაღლეს სასწავლებელში და ისწავლოს კოლეჯში? იუმორული გამოთქმაც კი არის- ქართველი რაიმეს რიგთან რომ მიდის, კითხულობს „მეორე ვინ არისო“, რადგან პირველად თავის თავს მოიაზრებს.

ქართველთა აზრით, პირველობა, პირველთა შორის პირველობა მხოლოდ უმაღლესდამთავრებულზე მოდის, თუმცა, პირველობა კოლეჯის დამთავრებითაც შეიძლება და საერთოდ არაფრის დამთავრებითაც, ანუ თვითსწავლით, თვითმენეჯმენტით, მაგრამ ჩვენთან მაინც პირველი კაცი მხოლოდ უმაღლესდამთავრებული მოიაზრება. როცა გერმანელებმა თბილისში „პროკრედიტბანკის“ საქართველოს ფილიალი გახსნეს, მის გენერალურ მენეჯერად საშა ტერნესი გამოგზავნეს. საშა ტერნესს არაფერი არ ქონდა დამთავრებული, საშუალო სკოლის გარდა და შემდეგ თბილისში მუშაობის პერიოდში დაამთავრა „აიბი-ევროკავკასიური უნივერსიტეტი“ და მიიღო ბაკალავრის ხარისხი. ჩვენ ხომ ვერც წარმოგვიდგენია, რომ მხოლოდ სკოლადამთავრებული კაცი იყოს ბანკის გენერალური დირექტორი და თუ წარმოგვიდგენია, არაქართველი წარმოგვიდგენია.

საქართველოს მთავრობამ საგანმანათლებლო სივრცეში აშკარად პრიორიტეტი პროფესიულ განათლებაზე აიღო. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიაში „საქართველო – 2020“ განათლებას 3-3,5 გვერდი აქვს დათმობილი და ისიც შრომის ბაზართან და დასაქმებასთან კონტექსტში. უმუშევართა 32% ყოფილა უმაღლესი განათლების მქონე, 42% საშუალო-ტექნიკური განათლების მქონე, 33% საშუალო განათლების მქონე და 30% პროფესიული განათლების მქონე [1, გვ. 48]. ასე რომ, საქართველოს შრომის ბაზარზე ყველაზე მეტი მოთხოვნა არის პროფესიულ სასწავლებლების კურსდამთავრებულებზე, თუმცა, იქაც არის უმუშევრობა და თანაც, არცთუ ისე მცირე (30%). მოცემულ დოკუმენტში დაფიქსირებულია ასეთი ფრაზა: „პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონე დაბალია და ის ჯერ კიდევ არ განიხილება, როგორც აკადემიური განათლების თანასწორი ან მიმზიდველი საგანმანათლებ-

ლო ალტერნატივა. პროფესიული განათლება ნაკლებად აღიქმება შემოსავლის მომტან თუ კარიერულ განვითარების საშუალებად“ [1, გვ. 50].

პროფესიული განათლება არც საზღვარგარეთ არის აკადემიური განათლების თანასწორი და არც ჩვენთან. არ მოიძებნება მათი გაერთმნიშვნელიანობის პარამეტრები და იმიტომ. პროფესიული განათლება შეიძლება უცხოელისთვის მიმზიდველი იყოს შემოსავლიანობის პარამეტრით, ქართველს კი, მართალია შემოსავალი არანაკლებად აინტერესებს, ვიდრე უცხოელს, მაგრამ არა საზოგადოებაში საკუთარი იმიჯის დაწევის ფასად. არადა, ჯერ-ჯერობით ეს ასეა.

ქართველები ნიჭიერი ხალხიაო, – ამბობენ. ეს მოარული გამოთქმა უსაფუძვლოდ არ შექმნილა. ეს რომ ასეა, ამას ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ნაშრომ-ნამოქმედარი ამტკიცებს. პირველ რიგში ეს გამოჩნდა ინტელექტუალურ შრომაში – მედიცინაში, არქიტექტურაში, საინჟინრო საქმეში, ავიაციაში და ა. შ. ნუ ჩავკლავთ ამ ნიჭს ამ ხალხში და იმიტომ, რომ შრომის ბაზარი ამას მოითხოვს, ნუ ვაქცევთ მათ ყველას მებარგულეებად, მტვირთავებად, მზარეულებად, მიმტანებად, მძღოლებად და ა. შ. მოდით ავამუშავოთ ეკონომიკის რეალური სექტორი – კვების მრეწველობა, საფეიქრო მრეწველობა, საშენ მასალათა მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა და ა. შ., თავისი საცდელ-საკონსტრუქტორო ცენტრებით და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით, მაშინ ხომ გონებრივი შრომის მუშაკებზეც გაჩნდება მოთხოვნა? ახლა კი რა? ვართ რა ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანი – მტირთავები, მებარგულები და ვაგონგამცილებლები გვჭირდება, ვიქეცით რესტორნების და სასტუმროების ქვეყნად მზარეულები, მომტანები და დამლაგებლები გვჭირდება. ქალაქებში დაიწყო მასიური ბინათმშენებლობა და კომერციული ფართობების მშენებლობა – დურგლები, კალატოზები და მძღოლები გვჭირდება და ა. შ. ყველა ამ საქმის წამომწყებნი და დამფინანსებლები ძირითადად უცხოელებია, რომელთაც აქ ადგილზე მხოლოდ კვალიფიციური მუშები სჭირდებათ, დანარჩენი პერსონალი კი, თავისი ქვეყნიდან ჩამოყავთ.

აი, ეს არის ჩვენი დღევანდელი რეალობა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის – „საქართველო 2020“-ის 85 გვერდიან დოკუმენტში ერთი სიტყვა არ არის ნახსენები უმაღლეს განათლების მომავალზე საქართველოში. რა ქნას იმ ახალგაზრდამ, რომელსაც უფალმა დაანათლა მუსიკოსის, ფიზიკოსის, მათემატიკოსის, ქიმიკოსის, პოეტის, მწერლის და ა. შ. ნიჭი, პროფესიული სასწავლებელი დაამთავროს და დურგალი და მზარეული გამოვიდეს?

კი, მართალია, საბაზრო ეკონომიკის დროს ბაზარი, უფრო ზუსტად ბაზარზე წარდგენილი მყიდველთა მოთხოვნა დაკვეთას აძლევს მწარმოებელს თუ რა მიაწოდოს მათ, რომ გაეყიდოს, მაგრამ ეს საქონელს (პროდუქციას, სამუშაოს და მომსახურებას) ეხება. მოცემულ შემთხვევაში კი ადამიანებთან გვაქვს საქმე. როგორ შეუძლია ახალგაზრდას, რომელიც ბავშვობიდან მუსიკოსობაზე, ფიზიკოსობაზე თუ ასტროლოგიაზე ოცნებობს, დაამთავროს კალატოზის თუ მზარეულის პროფესიული სასწავლებელი მხოლოდ იმიტომ, რომ თუ ეს არ დაამთავრა, სამსახურს ვერ იშოვის. თუ ახალგაზრდა ამას ძალდატანებით გააკეთებს, ჩათვალეთ, რომ მისი სული მკვდარია.

გვინდა ჩვენ ასეთი საქართველო?

გვინდა ჩვენ ასეთი ქართველები?

და მაინც, 2014-2015 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში 124200 სტუდენტი სწავლობდა. ფაქტიურად კი საქართველოს უმაღლესი დაწესებულებები დაამთავრა 21685 სტუდენტმა, ანუ 17.4%-მა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი არ აქვეყნებს ინფორმაციას არადამამთავრებელ კურსებზე მოსწავლე სტუდენტების რაოდენობის შესახებ, მაგრამ ორი-სამი უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის გამგეებთან გასაუბრებით გავარკვიეთ, რომ ამ დარჩენილი სტუდენტების საშუალოდ 10-15% რჩება იგივე კურსზე, ანდა ირიცხება უმაღლესი სასწავლებლიდან, გამოდის რომ საქართველოში მისწრაფება უმაღლესი სასწავლებლებისკენ კი არის, მაგრამ უმაღლესი განათლების ანუ ცოდნის მიღებისკენ არ არის. ამას კიდევ ემატება სტუდენტთა მასიური კმაყოფილება საკმარისი შეფასებით (51-60

ქულა), რომელსაც საშუალოდ 75-80% უკავია.

შეუძლებელია ეს სტუდენტების სიზარმაცეს დავაბრალოთ. ბოლოს და ბოლოს არსებობს ინდივიდუალური სიზარმაცე, მაგრამ კოლექტიური სიზარმაცე ხომ არ არსებობს? ჩვენი აზრით, სწავლის და სწავლების მეთოდი და კონტროლია გასაუმჯობესებელი, შესაცვლელი. ამ შემთხვევაში ჩვენი სიმპათია არა ტესტური, არამედ ზეპირი გამოცდებისკენ იხრება. იქნებ ვიფიქროთ ამაზე.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020, თბ., 2013.

2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2015.

REFERENCES:

1. Social and Economic Development Strategy of Georgia – Georgia 2020, Tbilisi, 2013

2. Georgian Statistical Annual Report, Tbilisi, 2015

ASPIRATION TO RECEIVE EDUCATION DOES NOT ALWAYS BRING THE DESIRED RESULTS

Sophio Macharashvili

PhD Student of Georgian Technical University

RESUME

The article discusses the government strategy for education, stated in the government paper *Georgia 2020.* The paper has been criticized as it does not mention the perspective of higher education and only focuses on vocational education. The paper also states that aspiration to receive education does not always bring the desired results as far as 80% of the enrolled students cannot graduate from universities.

The article also suggests replacing the written exams by the oral exams.

Keywords: Education, Testing, Oral Exams.

ინფლაცია და მისი გამომწვევი მიზეზები საქართველოში

გულიკო ქათამაძე,
ედ. ბსუ. ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ინფლაცია საბაზრო ეკონომიკის მახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი ასახავს ფასების ცვლილებას ძირითად სასაქონლო ჯგუფებში შემავალი პროდუქციის ჩამონათვალზე. იმ შემთხვევაში, როცა ეკონომიკაში ადგილი აქვს ფასების უეცარ ზრდას, ჩნდება „ფიგუს ეფექტი", რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობაში მოთხოვნის სწრაფი ვარდნა ხდება იმ იმედით, რომ ფასები შემცირდება. ამის შედეგად, მოთხოვნის შემცირება მწარმოებელს აიძულებს ფასების შემცირებას. ინფლაციის შედეგად ადგილი აქვს მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის ადრე განაწილებული შემოსავლების ხელახლა, კიდევ უფრო უთანასწორო გადანაწილებას, ეკონომიკური ინფორმაციის ხშირ ცვლილებას, სარგებლის რეალური განაკვეთის დაქვეითებას, ინფლაციის შედეგად ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების გასაშუალებულ ფასთა ზრდა საზოგადოებაში უარყოფით ეფექტს იწვევს, რადგანაც ხარჯების ზრდა ძლიერ ეკონომიკურ დარტყმას აყენებს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ფენას, ეცემა ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობა (ეცემა მისი კურსი), ბიზნესში იკლებს რეალური მოგება, მცირდება კაპიტალდაბანდებიდან მისაღები მოგების ოდენობა, ძვირდება კრედიტები ნომინალური საპროცენტო განაკვეთის ზრდის გამო. თუ ინფლაციის დონე ქვეყანაში მაღალია, ვიდრე მის სავაჭრო-პარტნიორ ქვეყნებში, მაშინ მისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ეცემა ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: ინფლაცია, სამომხმარებლო ფასთა ინდექსი, ძირითადი სასაქონლო ჯგუფები, სამომხმარებლო კალათა.

შესავალი

ინფლაცია, როგორც ეკონომიკური კატეგორია, უკვე მრავალი წელია არსებობს, რაც დაკავშირებულია ფულის წარმოშობასთან. იგი ზრდის ბრუნვაში არსებულ ფულის მასას. ტერმინი – „ინფლაცია" პირველად გამოყენებული იქნა ჩრდილოეთ ამერიკაში 1961-1965 (სამოქალაქო ომის) წლებში, რაც გულისხმობდა ფულადი მიმოქცევის პროცესის გაბერვას. XIX საუკუნეში ეს ტერმინი გამოიყენებოდა ასევე ინგლისსა და საფრანგეთში, თუმცა ეკონომიკურ ლიტერატურაში ინფლაციის გაგებამ ფართო გავრცელება ჰპოვა მხოლოდ XX საუკუნეში I მსოფლიო ომის შემდეგ. ფულის გაუფასურება, მისი მსყიდველუნარიანობის დაქვეითება იწვევს დისბალანსს ფულზე არსებულ მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის. ინფლაციის დროს ფულის მიმოქცევის არხები გადატვირთულია მოჭარბებული ქაღალდის ფულით, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი საქონლის მასის ზრდის ნორმით. ფასების საერთო დონის ზრდა იწვევს ფულადი ერთეულის გაუფასურებას. ინფლაცია არის წმინდა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომელიც იქმნება სხვადასხვა სფეროს წარმოების დისპროპორციით. ისტორიულად ინფლაცია თავს იჩენდა სახელმწიფოთა შორის ომის გაჩაღების პერიოდში სამხედრო ხარჯების დასაფარავად. ბოლო 20-30 წლის განმავლობაში ინფლაცია მრავალი ქვეყნის ეკონომიკის „ქრონიკულ დაავადებად" გადაიქცა.

ძირითადი ტექსტი

ინფლაცია არის ეკონომიკაში ფასების საერთო დონის ზრდა საბაზო მსყიდველუნარიანობის დონესთან შედარებით. მასში მოიაზრება ფულის მსყიდველუნარიანობის კლება. იგი მოთხოვნის ვარდნის ან ფულის მიწოდების ზრდის ექვივალენტურია. ამიტომ მას მოიაზრებენ ფასთა ზრდის სინონიმად. ინფლაციის დონის შემცირება (დისინფლაცია) ამცირებს ინფლაციურ ზეწოლას.

ფასების საერთო დონის ვარდნის (დეფლაციის) რევერსისათვის სტიმულის გამოიყენება (რეფლაცია) გამოიყენება წონასწორობის ტრენდის გარეშე მოქმედი სწრაფი (ჰიპერ) ინფლაციისაგან ქვეყნის გადასარჩენად. ინფლაციის დაბალი დონე (0,2%) ხშირად გაიგივებულია „ფასთა სტაბილურობასთან". ნებისმიერი ქვეყნის ცენტრალური ბანკი ოფიციალურად ან არაოფიციალურად მისდევს ინფლაციურ პოლიტიკას, რათა დაცული იქნას სასურველი ზედა და ქვედა ზღვარი.

ფასების ზრდის ტემპების მიხედვით განასხვავებენ მცოცავ (20%-მდე), გალოპირებულ (20-დან 200%-მდე) და ჰიპერინფლაციას (200%-ზე ზევით). ფასების ბალანსირებული ზრდის დონის მიხედვით, განასხვავებენ ბალანსირებულ და არაბალანსირებულ ინფლაციას. მოლოდინის რეჟიმიდან გამომდინარე, გამოყოფენ მოსალოდნელ და მოულოდნელ ინფლაციას, ინფლაციის მოლოდინი იწვევს მოთხოვნის ზრდას, რის გამოც მთავრობა პანიკაში ვარდება. ხელისუფლების უსუსურობა ამყარებს ინფლაციის მოლოდინს, რასაც მოჰყვება ფასების ზრდა. ამიტომ, ერთ-ერთ ყველაზე რთულად გადასაჭრელ პრობლემას წარმოადგენს ინფლაციის რეგულირება. ზოგადად, ინფლაცია არის ფასების დონის მკვეთრი ზრდა იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელმაც მოცემულ ქვეყანაში მოსახლეობის მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილოს. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ ფასების ყოველგვარი მატება არ ნიშნავს ინფლაციას [1].

ცალკეული დასახელების საქონელზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენით ყოველთვის შეიძლება ფასი გაიზარდოს, მაგრამ ამავე დროს სხვა საქონელზე იგი შემცირდეს. ასეთ შემთხვევაში ფასების საერთო დონე შეიძლება უცვლელი დარჩეს ან შემცირდეს კიდეც, შესაბამისად, ფასების ასეთი ცვლილება ინფლაციას არ გამოიწვევს. ინფლაციასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როცა მატულობს ფასების საერთო დონე და უფასურდება ფული, ანუ როცა ფულის ერთი და იმავე ოდენობით სულ უფრო ნაკლები მოცულობის საქონლისა და მომსახურების შეძენაა შესაძლებელი. ე. ი. ინფლაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა მომოქცევაში გამოიყენება ფულის ის მასა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი შესაბამი-

სი რაოდენობის საქონლითა და მომსახურებით. ასეთი სიტუაცია არღვევს თანაფარდობას გადახდისუნარიან მოთხოვნას და მიწოდებას შორის, რადგანაც ერთი და იმავე მოცულობის საქონლისა და მომსახურეობის შესაძენად უფრო მეტი რაოდენობის ფულია საჭირო. ინფლაცია, უშუალოდ იმით ვლინდება, რომ ფული უფასურდება საქონლისა და მომსახურების ღირებულებასთან შედარებით.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინფლაციას ადგილი აქვს იმის გამო, რომ: 1. მოსახლეობა თავის ხარჯებს უფრო მეტად ზრდის ვიდრე მწარმოებლები ახდენენ საქონლის და მომსახურების მიწოდებას; 2. ხდება მომხმარებლის საქონლით და მომსახურებით მომარაგების შემცირება, რაც იწვევს ფასების ზრდას [1]. ინფლაციის მაჩვენებლის მიღების დროს ანგარიშობენ მხოლოდ განსაზღვრული დასახელების საქონლის–,,სამომხმარებლო კალათის" ფასთა ცვლილებას.

განიხილავენ ინფლაციის ორ ტიპს: ინფლაციას, რომელიც გამოწვეულია ერთობლივი მოთხოვნის სიჭარბით და ინფლაციას, რომელიც დანახარჯების ზრდითა და მიწოდების ნაკლებობით არის განპირობებული. პირველი ტიპის ინფლაციისათვის დამახასიათებელია ის, რომ საზოგადოებაში გადახდისუნარიანი მოთხოვნა მეტია, ვიდრე მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ჭარბი მოთხოვნა იწვევს ფასების ზრდას და მიმოქცევაში არსებული ფულის ნიშნების გაუფასურებას. მეორე ტიპის ინფლაციისას პროდუქციის ერთეულზე ხარჯების ზრდა იწვევს სამეწარმეო მოგებისა, და შესაბამისად, წარმოების მოცულობის შემცირებას. ამის გამო მცირდება მიწოდების სიდიდე, რაც წარმოშობს ბაზარზე საქონლისა და მომსახურების დეფიციტს და პროდუქციის ერთეულზე ფასების გადიდებას. ასეთ შემთხვევაში ფასი იზრდება მაშინაც, კი როცა მოთხოვნა უცვლელია. ამ პირობებში ფასების ზრდას იწვევს არა მოთხოვნის სიჭარბე, არამედ მიწოდების შემცირება, რაც საწარმოო დანახარჯების ზრდით არის განპირობებული. პრაქტიკაში ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელ ტიპს მიეკუთვნება ქვეყანაში არსებული ინფლაცია, თუმცა ყველა შემთხვევაში გასაგებია, რომ ინფლაციის დროს დარღვეულია

თანაფარდობა მოთხოვნა–მიწოდებას შორის, რის შედეგადაც იზრდება ფასები და უარესდება მოსახლეობის ცხოვრების დონე.

მაინც რატომ არის ინფლაცია ცუდი ეკონომიკისათვის? ეკონომისტები სამართლიანად მიიჩნევენ, რომ მაღალი ინფლაცია გვევლინება ეკონომიკური პრობლემების გამომწვევ მთავარ ფაქტორად და წარმოადგენს ეკონომიკური კრიზისების საფუძველს. ამასთან დამტკიცებულია, რომ დაბალი ინფლაცია სტაბილური ეკონომიკური განვითარების საწინდარია. იმ ქვეყნებში, სადაც ინფლაციის დონე დაბალიია, გაცილებით მაღალია ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი ეროვნული შემოსავალი, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც მაღალია ინფლაციის დონე.

განვითარებულ ქვეყნებში, რომელთა მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე აღემატება 10 ათას აშშ. დოლარს, ინფლაციის ტემპი 0-4%-ის ფარგლებში მერყეობს. საპირისპირო სურათია იმ ქვეყნების შემთხვევაში, რომელთა მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 5 ათასი აშშ დოლარზე ნაკლებია, მათთვის ინფლაციის დონე 6–30 %ის ფარგლებშია [2}. ინფლაცია მრავალმხრივ ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. იგი არღვევს კვლავწარმოების პროპორციებს, აიძულებს საზოგადოებას შეამციროს დანაზოგები და ფული დახარჯოს პირველადი საგნების შეძენაზე. ინფლაციის პერიოდში მკვეთრად იცვლება მოსახლეობის ფულადი სახსრების ხარჯვის სტრუქტურაც და მათი უდიდესი ნაწილი იხარჯება სასურსათო საქონლის შესაძენად.

ინფლაცია აღრმავებს საზოგადოების სოციალურ და ქონებრივ დიფერენციაციას. იზრდება ღარიბებისა და ღატაკების რიცხვი. მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, რადგან მათი უძრავ–მოძრავი ქონების ფასი ინფლაციის დროს კიდევ უფრო მატულობს, ხოლო ღარიბები კი უფრო მეტად ღარიბდებიან. ეს პროცესი ამწვავებს საზოგადოების სოციალურ კატაკლიზმებს და ქმნის დაძაბულობას ქვეყანაში. ინფლაცია ამუხრუჭებს წარმოების პროცესს, ამიტომ სწრაფად იზრდება უმუშევართა რიცხვი, მცირდება წარმოებული პროდუქციის მოცულობა და ყველაფერი დეფიციტური ხდება, რაც აჩქარებს ფასების ზრდას, იწვევს მოსახლეობის

(განსაკუთრებით ღარიბი ფენის) ცხოვრების პირობების გაუარესებას.

ინფლაციის დროს მნიშვნელოვნად ზარალდება მიკრო- და მცირე ბიზნესი, რადგან ბრუნვის მოცულობა ინფლაციის პარალელურად იზრდება, მაგრამ ამასთან უცვლელი რჩება ბიზნესის დაბეგვრის ზღვარი, რაც ქმნის იმის პირობას, რომ მოხდეს მათი გადასვლა შემდგომ კატეგორიაში, და მათზე შესაბამისად დიდი საგადასახადო ტვირთი გავრცელდება. სწორედ ამ მიზეზთა გამო ფასების სტაბილურობის შენარჩუნება უნდა წარმოადგენდეს ხელისუფლების მონეტარული პოლიტიკის წარმართვის მთავარ ამოცანას, რადგან იგი გვევლინება სტაბილერი ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვან პირობად.

ზოგადად ინფლაციას ადგილი აქვს დინამიკაში როგორც მთელი მსოფლიო მასშტაბით, ისე საქართველოშიც და ეს ბუნებრივი პროცესია, წინაღმდეგ შემთხვევაში, მკაცრი ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის გატარება ადგილობრივ ნაწარმზე ფასებს დატოვებდა უცვლელს (ლარებში), წარმოების ფაქტორთა მსოფლიო ბაზარზე გაძვირებისა და საწარმოო ხარჯების ზრდის პირობებში ეს გამოიწვევდა მოგების შემცირებას, ადგილობრივი წარმოების დისკრედიტაციას, და შესაბამისად, ნაკლებადმიმზიდველს გახდიდა საქართველოს უცხოელი ინვესტორებისათვის. ამიტომ სამომხმარებლო ფასთა ინდექსი ისე უნდა იცვლებოდეს საქართველოში, რა მიმართულებითაც იცვლება საერთაშორისო ფასების ტრენდი, მაგრამ პრობლემა თავისთავად ზომიერ ინფლაციაში არ არის, მთავარია ის ზღვარგადასულ („ჭენებად”) ინფლაციაში არ გადაიზარდოს.

ამდენად, ღია ეკონომიკის პირობებში ზღვარგადასული ინფლაციის წარმოქმნის საშიშროების გამო, „იაფი ფულის” პოლიტიკის გატარება და წარმოების ფინანსური სტიმულირების შესაძლებლობა საქართველოსათვის ერთობ შეზღუდულია. ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანების („კოპენ-ჰაგენის”) 10 კრიტერიუმიდან ერთ-ერთი მოთხოვნა არის სწორედ ის, რომ ინფლაციის საშუალოწლიური ზრდის ტემპი არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს. ამ კრიტერიუმის მიხედვით საქართველო აკ-

მაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნას, რადგან ინფლაციის საშუალო წლიური ზრდის ტემპი უდრის 4,69%-ს (ეს რიცხვი მიღებულია ცხრ. №1-ში 2007-2015 წლების ინფლაციის მონაცემთა საშუალო არითმეტიკულის გამოთვლით).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში და შესაბამისი რეკომენდაციების საფუძველზე 1992 წლიდან ახორციელებს სამომხმარებლო ფასთა ინდექსის (ინფლაციის) გაანგარიშებას. იგი ერთადერთი მაჩვენებელია, რომელიც ზომავს ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ცვლილებას. ამ ინდექსის მეშვეობით ხდება ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ცვლილების გაზომვა. სამომხმარებლო ფასთა რეგისტრაცია ხორციელდება ყოველი თვის 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით ექვს ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი და ზუგდიდი) საცალო ვაჭრობის და მომსახურების ობიექტებზე, რომელთა მთლიანი ოდენობა 1700-ს აღემატება. სამომხმარებლო ფასთა ინდექსი მოიცავს 12 სასაქონლო ჯგუფს. კერძოდ, ესენია: 1. სურსათი და უალკოჰოლო სასმელები; 2 ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო; 3. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; 4. საცხოვრებელი სახლი; 5. წყალი ელექტროენერგია და აირი; 6. ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება; 7. ჯანმრთელობის დაცვა; 8. ტრანსპორტი; 9. კავშირგაბმულობა; 10. დასვენება, გართობა და კულტურა; 11. განათლება; 12. სასტუმროები, კაფეები და რესტორნები [3].

ფასების ინდივიდუალური ინდექსების ბაზაზე გაიანგარიშება ფასების აგრეგირებული ინდექსებით თითოეული სასაქონლო ჯგუფისათვის, როგორც თითოეული ქალაქისათვის, ასევე მთლიანი ქვეყნისათვის. ინდექსის გამოქვეყნების ვადაა ყოველი მომდევნო თვის 3 რიცხვი. ინფორმაცია განთავსდება საქსტატის ვებ-გვერდზე. საქართველოში სამომხმარებლო ფასთა ინდექსი 4 ძირითად ჭრილში ქვეყნდება: 1. წინა თვესთან; 2. წინა წლის შესაბამის თვესთან; 3. თორმეტი თვის საშუალო წინა წლის თორმეტი თვის საშუალოსთან; 4. გრძელვადიან საბაზო პერიოდთან შედარებით. საქსტატმა დაიწყო საბაზო ინფლაციის მაჩვენებ-

ლის გამოქვეყნება. მისი დანიშნულებაა ინფლაციის ძირითადი დინამიკის (ტენდენციის) ასახვა. ამიტომ იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ანალიტიკურ ინსტრუმენტს ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციური პროცესების შეფასებისათვის [2].

სამომხმარებლო კალათა არის საფუძველი სამომხმარებლო ფასთა ინდექსის გაანგარიშებისათვის. იგი წარმოადგენს ქვეყანაში ყველაზე ხშირად მოხმარებადი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალს და ასახავს ქვეყნის საშუალო მომხმარებლის ხარჯების სტრუქტურას. სამომხმარებლო კალათა იდენტურია ექვსივე ქალაქისათვის. 2016 წლის განახლებული სამომხმარებლო კალათა ეფუძნება ეროვნულ ანგარიშთა სისტემით განსაზღვრულ მოხმარების სტრუქტურას და ასახავს დანახარჯების უახლეს მონაცემებს. ეროვნული ანგარიშებიდან მიღებული წონების გამოყენება სამომხმარებლო კალათის ფორმირების პროცესში წარმოადგენს ერთ-ერთ არსებით რეკომენდაციას, რომელსაც ევროკავშირის მთავარი სტატისტიკური სამსახური მის წევრ-ქვეყნებს სთავაზობს. 2016 წლის სამომხმარებლო კალათა შედგება 295 სამომხმარებლო საქონლისაგან, რომელთაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი ხვედრითი წონა მთლიანი მოხმარების პროპორციულად. 2012 წლიდან სამომხმარებლო კალათა ახლდება ყოველწლიურად.

ცხრილი №1. სამომხმარებლო ფასთა ინდექსი (ინფლაცია)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საშუალოწლიური წინა წლის საშუალოწლიურთან შედარებით	109.2	110.0	101.7	107.1	108.5	99.1	99.5	103.1	104.0

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (www.geostat.ge), ფასები, ინფლაცია.

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, საქართველოში ბოლო ცხრა წლის განმავლობაში ინფლაციის ყველაზე მაღალი მაჩვენე-

ბელი (10%) დაფიქსირდა 2008 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი კი (-0,9%) 2012 წელს. მართალია ინფლაცია დამახასიათებელია ყველა ქვეყნისთვის, მაგრამ იგი უფრო მძიმე შედეგებით აისახება განვითარებად ქვეყნებში. მაგ., საქართველოს სამომხმარებლო კალათაში სურსათს დიდი ხვედრითი წილი (50%) უჭირავს, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონელზე 10 %-ზე ნაკლები მოდის.

ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭიროა საქართველოს მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის კოორდინირებული მუშაობა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო იმპორტიორი ქვეყანაა, ჩვენთან არსებული ფასები ძირითადად დამოკიდებულია მსოფლიო ფასებზე. ინფლაციის 90% გამოწვეულია გარე ფაქტორებით. მსოფლიო ბაზარზე მართლაც შეიქმნა კვების პროდუქტების დეფიციტი, როგორც ამას ვარაუდობდნენ გაეროს ექსპერტები. საქართველოში ინფლაციის 80%-იანი წილი სწორედ სურსათის მსოფლიო ფასების ზრდით არის გამოწვეული. ამ ტენდენციას უსვამს ხაზს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც [5].

დასკვნა

ამრიგად, ინფლაცია მაკროეკონომიკური მოვლენაა. ამიტომ მისი გამომწვევი მიზეზები უნდა დადგინდეს მხოლოდ მაკროეკონომიკურ პროცესთა ანალიზის მეშვეობით. 2007-2015 წლებში საქართველოში ინფლაციის გამომწვევი მიზეზებია:

I. გარე, ფაქტორები:

1. დოლარის კურსის ზრდა 2014-2015 წლებში, და შესაბამისად, იმპორტის გაძვირება, რამაც ლარის კურსის ვარდნაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა;

2. უცხოური ინვესტიციების ნაკლებობა, რაც ხშირად ხდება ქართულ აქტივებზე უცხოურ ვალუტაში ფასთა ვარდნის და ლარის კურსის ვარდნის მიზეზი;

3. იმპორტის ზრდა (მისი ეფექტი იზრდება ეკონომიკის ღიაობის ზრდასთან ერთად). ამ მიზეზით გამოწვეულ ინფლაციას განიცდიან ის ქვეყნები, რომლებიც ზედმეტად არიან დამოკიდებული იმპორტზე. საქართველოში ინფლაცია სწორედ იმპორტზე მისი

დამოკიდებულების მაღალი დონით არის განპირობებული.

II. შიდა ფაქტორები:

1. თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის არარსებობა. ჩვენი ქვეყნის შიდა ბაზარი გარკვეულწილად ოლიგოპოლიზირებულია. ოლიგოპოლისტები ისწრაფვიან რა შეინარჩუნონ მაღალი ფასი, დაინტერესებულნი არიან წარმოების შეკვეცით, სასაქონლო დეფიციტის შექმნით და მისი ძვირად გაყიდვით. შეზღუდული რაოდენობის, რამდენიმე მიმწოდებლის მიერ პირადი სარგებლის გაზრდის მიზნით ფასების ხელოვნური მატება ხდება კარტელური გარიგებების ხარჯზე;

2. ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის არაკოორდინირებული მუშაობა. ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის ზრდის მეშვეობით, ლარის კურსის შენარჩუნების პოლიტიკა არასაკმარისი ღონისძიებაა და საჭიროა უფრო ფუნდამენტური ძვრების გატარება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სფეროში.

3. წონასწორობის რღვევა მოხმარებასა და დაგროვებას შორის, გადახდისუნარიან მოთხოვნასა და შესაბამისი მოცულობის საქონლისა და მომსახურების მიწოდებას შორის, ფულზე არსებულ მოთხოვნასა და მის მიწოდებას შორის;

4. ინფლაციური მოლოდინი, რაც იწვევს სპეკულიაციურ ქმედებებს, ინვესტორთა, ბიზნესმენთა და სხვა, ეკონომიკურ სუბიექტთა პანიკურ რეაქციას;

5. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გაღრმავება, რაც შეიძლება გამოიწვიოს, საგადასახადო შეღავათების ზრდისა და გადასახადების შემცირების გამო, საბიუჯეტო შემოსავლების კლებამ, და აგრეთვე, სახელმწიფო შესყიდვების ან სახელმწიფო სუბსიდიების გაფართოების გამო, საბიუჯეტო ხარჯების ზრდამ;

6. საწარმო (ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, მუშახელის და სხვა) **ფაქტორთა გაძვირება,** რაც ერთ სექტორში ფასების ზრდის შედეგად იწვევს მასთან კავშირში მყოფ, სხვა სექტორებშიც ფასების შესაბამის ზრდას.

7. ფასების ზრდა სურსათისა, უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე (კერძოდ, ბოსტნეულზე, ბაღჩეულზე, რძის, ყველისა და

კვერცხის ქვეჯგუფზე) **და ტრანსპორტის ჯგუფზე (კერძოდ,** სატრანსპორტო საშუალებების შეძენის ქვეჯგუფზე);

8. კორუფცია. კორუფციამ ბოლო წლებში ელიტარული დონიდან ჩამოინაცვლა ქვედა ინსტანციებზე,. რაც უფრო მაღალია კორუფციის დონე, მით უფრო იზრდება ინფლაციაც, რადგან პრივატიზაცია მიმდინარეობს პირდაპირი მიყიდვის წესით. არაოფიციალურად გადახდილი თანხა კი უკონტროლოდ შემოედინება ფულის ბაზარზე, რაც ფასების უკონტროლოდ ზრდას (ინფლაციას) იწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მენქიუ ნ. გ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი 2008 წ;
2. ლეიაშვილი პ. ეკონომიქსი. თბილისი. 2003;
3. http://www.lari.ge/menu/37-ekonomika-da-biznesi/149-ekonomika-da-biznesi.html ბიბილური ა. ინფლაცია, მისი არსი და ეტაპები. საქართველო და მსოფლიო. ეკონომიკა და ბიზნესი;
4. www.geostat. ge, ფასები, ინფლაცია;
5. www. nbg.gov.ge-National Bank Of Georgia.

REFERENCES:

1. N. Mankiw. G. Principles of Economics. Tbilisi 2008;
2. Leiashvili P. Economics. Tbilisi. 2003;
3. http://www.lari.ge/menu/37-ekonomika-da-biznesi/149-ekonomika-da-biznesi.html. A Bibiluri. Inflation, the essence and stages of its. Georgia and World. Economics and Business;
4. www.geostat. ge, Prices and Inflation;
5. www. nbg.gov.ge-National Bank Of Georgia.

INFLATION AND ITS CAUSES IN GEORGIA

Guliko Katamadze,
PhD, Associate Professor of BSU

RESUME

Inflation is characteristic of the market economy , one of the important components. It reflects the change in prices of major commodities to products. In the case when there is a sudden rise in prices, there is a `Figo effect", which means that the population is going to demand a rapid decline in the hope that prices will drop. As a result, demand is forcing the producers to reduce prices. Inflation results in the individual groups of the previously distributed income again, even more in unequal distribution of economic information, frequent changes, in lending a real rate of decline. Moreover, the rate of inflation is as a result average price increase of the country's output of goods and services with the negative effect, because the increase in the costs of below the poverty line, falling the purchasing power of the national currency (the falling rate), the declining of the real business profits, the reduced investment, low profit margins, nominal interest rate increase is due to more expensive credits. If the inflation rate in the country is higher than in its trading-partner countries, the competitiveness of its products on the world market is falling, thereby undermining the country's economic growth.

Keywords: Inflation, Consumer Price Index, The Main Commodity Groups, Consumer Basket.

ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში

ლაშარი ქურდაშვილი
თსუ ბიზნეს ადმინისტრირების
დოქტორანტი

რეზიუმე

დღევანდელ პირობებში ადამიანური კაპიტალის განაწილების პრობლემას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც წესი, ევროპელი და ამერიკელი ეკონომისტების ყურადღების ცენტრში ეგრეთ წოდებული ფუნქციური გადანაწილება იმყოფება, ანუ შემოსავლების გადანაწილება წარმოების ფაქტორთა (მიწა, შრომა, კაპიტალი) მიხედვით. „ადამიანური კაპიტალის კონცეფციაში“ კი ფიგურირებს მეოთხე - თვით ადამიანური კაპიტალი. ამ კონცეფციაში ძირითადი აქცენტი იმ შემოსავლების პირად განაწილებაზე კეთდება, რომელიც ადამიანური კაპიტალის განკარგულებაში იმყოფება.

ადამიანური კაპიტალის ღირებულების გაანგარიშებები ძირითადად ფოკუსირებულია ფუნქციონირებადი სამუშაო ძალის ეკონომიკურ შეფასებაზე, ანუ მომავალი ადამიანური კაპიტალი ამ გაანგარიშების მეთოდიკაში საერთოდ არ არის ნაგულისხმევი. არადა კვლავწარმოების პროცესის უფრო ეფექტიანი მართვისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მომავალი ადამიანური კაპიტალის ერთეულის საპროგნოზო კალკულაცია ყველა ელემენტისა და დანახარჯთა მუხლების მიხედვით. ამ მიზნისათვის აუცილებელია ადამიანური კაპიტალის ღირებულების ღრმა და სრული სტრუქტურირება, ანუ დანახარჯების რაიმე ნიშნით დაჯგუფება. ჩვენი აზრით, ეს ნიშნები ყველაზე უფრო სრულად ზემოქმედებს ადამიანური კაპიტალის მომავალ ღირებულებაზე

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, კვლავწარმოება, ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური ეფექტი, ფინანსური აქტივები.

შესავალი

ჩვენი აზრით, განათლება შემოსავლების ერთადერთი დეტერმინანტი არ არის. მოტივაცია, სოციალური წარმოშობა, ტალანტის დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა - ყოველივე ეს, ასე თუ ისე, აისახება ხელფასის მოცულობაზე. ამიტომ კატეგორიულად დაუშვებელია სხვადასხვა ჯგუფების შემოსავლებს შორის სხვაობის ახსნა მხოლოდ მათი განათლების დონეთა შორის სხვაობით, ვინაიდან ეს დაუმსახურებლად ზრდის განათლების ეკონომიკური ეფექტის მნიშვნელობას.

პირველი ფაქტორი - სოციალური წარმომავლობა - ხსნის, თუ ვინ ღებულობს უმაღლეს განათლებას, მაგრამ არ ხსნის, თუ რატომ არაა ამ ადამიანების შემოსავლები უფრო მაღალი. მეორე ფაქტორი - ინდივიდების ჯანმრთელობის მდგომარეობებს შორის სხვაობაა, მაგრამ იგი ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ: ერთი - თანდაყოლილი, ანუ გენეტიკური და მეორე - შეძენილი. მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმდინარეობს ამ კაპიტალის ამორტიზაცია, რომელიც სულ უფრო და უფრო მატულობს ასაკის მატებასთან ერთად. ჯანდაცვაში განხორციელებული ინვესტიციები ანელებს ამ პროცესის ტემპებს. ამდენად, მომსახურების ნაკადი, რომელსაც ქმნის ჯანმრთელობის ფონდი, მიმართულია ავადმყოფობისაგან თავისუფალი დროის გაზრდაზე. ითვლება, რომ პირები, რომელთაც გააჩნიათ უფრო მაღალი განათლების დონე, უფრო ეფექტიანად მართავენ საკუთარ „ჯანმრთელობის კაპიტალს“, ანუ ეწევიან უფრო ჯანსაღი ცხოვრების წესს, ირჩევენ (საშუალოდ) გაცილებით დაბალი მავნებლობის ჩვევებს და ნაკლებად სახიფათო პროფესიებს, სხვაზე უფრო რაციონალურდ სარგებლობენ სამედიცინო მომსახურებით და სხვა. ამასთანავე, კარგი განათლება და ჯანმრთელობა შესაძლოა იყოს განპირობებული მათთვის რაიმე საერთო მიზეზით. მაგალითად, რაც უფრო მაღალია ადამიანში კეთილდღეობის უპირატესობის განცდა მომავალთან მიმართებით , მით უფრო ზრუნავს იგი დღეს საკუთარ ხვალინდელ დღეზე. პრაქტიკაში ეს, როგორც წესი, გამოხატულია მეტი მიდრეკილებით დაზოგვისკენ, ნაკლები მიდრეკილებით კრედი-

ტის აღებისაკენ და მეტი მზაობით ადამიანურ კაპიტალში ინ-ვესტირებისათვის (განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ.). ასეთი შორს გამიზნული ინვესტიციებისადმი მზაობა კარდინალურად განასხვავებს ინდივიდებს.

ჩვენ შევქმენით ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების რამდენიმე მოდელი, რომლებიც წარმოადგენს ამ პროცესისა და მისი შემადგენელი ელემენტების ერთობლიობას სამ სხვა-დასხვა დონეზე. ესაა ადამიანური კაპიტალის კვლავწარმო-ების ინდივიდუალური და კორპორატიული მოდელები, ანუ მიკროდონე და კვლავწარმოების ეროვნული მოდელი, ანუ მა-კროდონე .

ძირითადი ნაწილი

შვედი ეკონომისტი ა. ლინდბერგი წერს: „წარმოების ორი კლასიკური ფაქტორი - კაპიტალი და შრომა, - შესაძლოა გადა-ვანაწილოთ შემდეგნაირად: კაპიტალი - ბუნებრივ რესურსებ-ზე, აღდგენად მატერიალურ (ნივთობრივ) და ფინანსურ აქტი-ვებზე, ხოლო შრომა - წმინდა (ანუ ერთგვაროვან) შრომაზე, ადამიანურ კაპიტალზე და ბუნებრივ მონაცემებზე (ნიჭზე)."

გავაგრძელებთ ლინდბერგის ლოგიკურ ჯაჭვს:

კაპიტალი ტრადიციული გაგებით, ანუ ***ფიზიკური კაპიტალი*** გულისხმობს:

• ბუნებრივ რესურსებს, რომლიდანაც მიიღება ფაქტიური შემოსავალი ტრადიციული რენტის სახით;

• აღდგენადი მატერიალური აქტივები, რომლიდანაც მიიღე-ბა კაპიტალზე მოგება;

• ფინანსური აქტივები, რომლიდანაც მიიღება პროცენტი.

ადამიანური კაპიტალი კი გულისხმობს:

• აღდგენად ადამიანურ კაპიტალს, რომლიდანაც მიიღება ადამიანურ კაპიტალზე შემოსავალი;

• ბუნებრივი მონაცემები, რომლიდანაც მიიღება ადამიანურ მონაცემებზე (ნიჭი, ტალანტი) რენტა;

• წმინდა შრომა ვიწრო გაგებით, რომლიდანაც მიიღება წმი-ნდა ხელფასი.

საბოლოო ჯამში, საინტერესოა შემდეგი: თუკი მუშაკის ყველა თვისებრივი მახასიათებელი განპირობებულია „ბუნებრივი მონაცემებით", ანდა სწავლებისა და აღზრდის პროცესში შეძენილი უნარებით, მაშინ რა თვისებები მოდის ვიწრო გაგებით შრომის ხვედრით წილზე? აქ პრობლემის ანალიზი მაკროდონიდან, სადაც ხდება ეროვნული შემოსავლის განაწილება საზოგადოებრივ ჯგუფებსა და ფენებს შორის, გადადის მიკროდონეზე, სადაც ხდება შემოსავლების პირადი განაწილება. საჭიროა, გამოვლინდეს კავშირი შრომის ხარისხსა და მის ანაზღაურებას შორის და დადგინდეს, თუ როგორ უცვლიან მას სახეს სხვადასხვა გარე ფაქტორები. კვლავწარმოების ინდივიდუალური პოტენციალი კი დამოკიდებულია მის ფინანსურ, სოციალურ, ოჯახურ (ანუ მშობლების მიერ გადაცემულ მატერიალურ და არამატერიალურ) და კულტურულ კაპიტალზე. თუ განვიხილავთ ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების ასევე მიკროდონის, მაგრამ უკვე კორპორატიულ მოდელს, მაშინ დავინახავთ, რომ კორპორაცია ახდენს ადამიანური კაპიტალის საკუთარი ფუნქციონირების მიზნებზე მისადაგებას, ანუ ახდენს საკუთარი ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და სრულყოფას. კორპორაციის მიზანია, აამაღლოს საკუთარი თანამშრომლების კონკურენტუნარიანობა სხვა კორპორაციების თანამშრომლებთან შედარებით, მათი იმიჯისა და პრესტიჟულობის ამაღლებით მიაღწიოს საკუთარი რენომეს მატებას, მათი ცოდნისა და კვალიფიკაციის სრულყოფით მიაღწიოს საწარმოს რენტაბელობის მატებასა და მოგების მაქსიმიზაციას. ადამიანური კაპიტალის სრულყოფისათვის კორპორაციის მენეჯმენტი მიმართავს ისეთ გზებს, როგორიცაა ადამიანური კაპიტალის საჭიროების დინამიკური დაგეგმვა, შემდეგ საჭირო ადამიანური კაპიტალის მოზიდვა (ანუ, შეძენა), ამის შემდეგ კი ახორციელებს ზომებს მისი შენარჩუნებისათვის და საკუთარ კორპორაციაში მისი დაფიქსირებისათვის, ანუ განავითარებს და სრულყოფს ადამიანურ კაპიტალს, ამაღლებს რა მის კვალიფიკაციას და ცოდნას. გარდა ამისა, კორპორაციები მიმართავენ ადამიანური კაპიტალის გარკვეული სოციალური პაკეტით

უზრუნველყოფასაც. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კორპორაციებს აქვთ ადამიანური კაპიტალის სრულყოფისა და დახვეწის ისეთი მძლავრი ბერკეტი, როგორიცაა კორპორაციული კულტურა, რომელიც აჩვევს თანამშრომლებს დისციპლინას, სუბორდინაციას, აზიარებს მათ კორპორაციაში აღიარებულ ღირებულებებს, უვითარებს მათ საკუთარი კორპორაციით სიამაყისა და მისადმი ერთგულების გრძნობას.

ახლა განვიხილოთ მესამე, ეროვნული მოდელი, რომელიც შეესაბამება მაკროდონეს: როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს მიერ ადამიანური კაპიტალის ფორმირებისათვის განხორციელებული ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებებით ხორციელდება: ეს არის დემოგრაფიული და ჯანმრთელობის პოლიტიკა, განათლებისა და სოციალური დაცვის სისტემები, მეცნიერებისა და მაღალი ტექნოლოგიების განვითარების დაფინანსება, მორალური და კულტურული ნორმების ფორმირება. საბოლოო ჯამში, სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ეს ღონისძიებები ემსახურება ეფექტიანი ეროვნული ეკონომიკური კულტურის ფორმირებას, რომელსაც ახორციელებენ კომპეტენტური კადრები; სახელმწიფო ქმნის და ავითარებს დასაქმების ეფექტიან პოლიტიკას და ამავდროულად ახდენს ინოვაციების სტიმულირებას. ყველა ამ მიმართულებით წარმატების მიღწევის შემთხვევაში სახელმწიფო ამაღლებს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას და აღწევს ეროვნული კეთილდღეობის საყოველთაო ზრდას.

მაგრამ საყურადღებოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოებას ერთდროულად გააჩნია, როგორც **პოზიტიური,** ისე **ნეგატიური** ტენდენციები.

ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების დადებითი და უარყოფითი მხარეები. შრომის ძალის პოტენციური ინვესტორების მოთხოვნებისადმი შესაბამისობა წარმოადენს ამა, თუ იმ ქვეყნის, რეგიონის ან საწარმოს ინვესტიციური ატრაქტიულობის ფაქტორს. ინვესტორთა მოთხოვნებისა და მუშაკთა პროფესიული მომზადების დონის ამ მოთხოვნებთან არსებული შეუსაბამობა შესაძლოა გახდეს კაპიტალდაბანდებათა შე-

მცირებისა და სრული შეწყვეტის სერიოზული მიზეზი. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ მომზადების დონის მოთხოვნებთან შეუსაბამობა გამოსწორებადი იქნებოდა, კადრების მომზადებისა და გადამზადების განვითარებული სისტემის არსებობის შემთხვევაში; ხოლო მისი განუვითარებლობის, ანდა ჩამორჩენილობის შემთხვევაში, ეს სისტემა თვითონ შეიძლება იქცეს მუხრუჭად ისეთი დარგების განვითარებისათვის, რომლებიც ეფუძნებიან ახალი ტექნოლოგიებს გამოყენებას. ეს კი, თავის მხრივ, შეაფერხებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

დასავლეთის ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავენ ურთიერთკავშირის გარკვეულ ტენდენციებს, რომლებიც არსებობს ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე ზემოქმედ ეკონომიკურ, საზოგადოებრივ და ისტორიულ პროცესებს შორის. ესენია:

• ტექნოლოგიური პროცესი და ადამიანური კაპიტალი;

• დემოგრაფიული სიტუაცია;

• სტრუქტურული ძვრები ადამიანურ კაპიტალზე მოთხოვნაში;

• ინფორმაციული ტექნოლოგიები და შრომის ორგანიზაციის დისტანციური ფორმები.

ადამიანური კაპიტალის ფორმირების საფრთხეებს თანამედროვე ეტაპზე მივაკუთნებდით:

• ადამიანური კაპიტალის დეგრადაციის ზონის გაფართოებას (დეპოპულაცია, მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება, ინვალიდიზაციის სწრაფი ზრდა, შრომითი მორალისა და ეთიკის დეგრადირება, ადამიანური კაპიტალის „მორალური ცვეთა", განათლების მიღებისადმი ინტერესის დაქვეითების ტენდენცია და სხვა);

• ქართველი მშრომელების არასახარბიელო მდგომარეობა საერთაშორისო მიგრაციაში (ქვეყნიდან კვალიფიციური კადრების გასვლა, არაკვალიფიციური სამუშაო ძალის ხვედრითი წილის ზრდა, ანუ - ადამიანური კაპიტალის ხარისხის დაცემა);

• ეკონომიკური აზროვნების ინერტულობა (ადამიანის

შრომისადმი ზერელე, გულგრილი დამოკიდებულება);

• პროფესიული განათლების არაეფექტურობა;

• შრომის ძალის შეუსაბამობა პოტენციური ინვესტორების მოთხოვნებისადმი, ანუ ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო მომზიდველობის დონის დაქვეითება.

ის, თუ ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების როგორი ტენდენციები განვითარდება ჩვენს ქვეყანაში - პოზიტიური, თუ ნეგატიური - დამოკიდებულია პროცესის ყველა მონაწილეზე, ესენია სახელმწიფო, საწარმოები, ორგანიზაციები, მოსახლეობა. თუ მათი ქმედებები იქნება ეკონომიკურად და სოციალურად ეფექტიანი, მაშინ ზემოთ ჩამოთვლილი ნეგატიური ტენდენციების ბლოკირება სავსებით შესაძლებელია. ამის გათვალისწინებით, საჭიროა ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის პროგნოზირებაში დღევანდელობისათვის დამახასიათებელი ტენდენციების ალტერნატივის გამონახვა. როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს კერძო პრობლემები, პირველ რიგში ყურადღება უნდა გამახვილდეს სისტემურ გარდაქმაზე, რომელზედაც არა ცალკეული ელემენტების, არამედ მთელი სოციალური სფეროს განვითარებაა დამოკიდებული.

ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლის განსაზღვრა. ქართული ეკონომიკა დაბეჯითებით მოითხოვს ადამიანური კაპიტალის ხარისხისა და სტრუქტურის ცვლილებას. მაგრამ ამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები, რომლებიც არც მოსახლეობას და არც საწარმოებს არ გააჩნია. იქმნება ჩაკეტილი წრე - ერთის მხრივ, საწარმოები ვერ აღწევენ მოგების მაქსიმიზაციას და შემდეგ მისი ნაწილის საკუთარი კადრების გაუმჯობესებისკენ მიმართვას მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების არსებული დეფიციტის პირობებში, მეორეს მხრივ კი დაბალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების განათლებაზე და კვალიფიკაციის სრულყოფაზე არავინ ხარჯავს სახსრებს, ხოლო თვითონ ამის საშუალება მათ არ გააჩნიათ. ჩვენი აზრით ამ მანკიერი გორდიას კვანძის გადაჭრის პრეროგატივა

სახელმწიფოს ეკუთვნის, მისი ჩარევის გარეშე ასეთი პრობლემის მოგვარებაზე საუბარი არარეალურია. საერთო სახით სახელმწიფოს ფუნქციები ამ სფეროში შემდეგნაირად გვესახება:

• ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების პოლიტიკის შემუშავება სახელმწიფო დონეზე;

• შესაბამისი ადმინისტრაციული და სამართლებრივი რეგულაციების შემოღება და განხორციელება;

• ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების სფეროში არასახელმწიფო ორგანიზაციებისა და საწარმოების ჩართვა, მათთვის ხელშეწყობის რეჟიმის შექმნა;

• მოსახლეობის, სახელმწიფო და არასახელმწიფო საწამოებისა და მათი ინტერესების წარმომადგენლი ასოციაციებისა და კავშირების საქმიანობის კოორდინირება სოციალური პარტნიორობის ჩარჩოებში.

უკანასკნელ პუნქტს, ანუ ***სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტების გამოყენებას ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოებაში*** საგანგებოდ გვინდა შევეხოთ. შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსი და ამ მიზეზით განპირობებული დანაკარგები გარდაუვალია ნებისმიერ დინამიურად განვითარებად ეკონომიკაში, თუნდაც ეს დინამიკა იყოს ნელი. მაგრამ ამ დანაკარგების მასშტაბები პირდაპირ არის დამოკიდებული ისეთი ინსტიტუტების არსებობაზე, რომლებიც უზრუნველყოფს შრომის ძალაზე მოთხოვნის პროფესიული სტრუქტურის ცვლილებაზე ეკონომიკისა და საზოგადოების დროულ და ადეკვატურ რეაგირებას. საქართველოში ასეთი ინსტიტუტები არასაკმარისად არის განვითარებული, რაც ქართული შრომის ბაზრის სტრუქტურული დისბალანსის პრობლემას უფრო ამწვავებს. ამ პრობლემის გადაწყვეტა პირველ რიგში ინსტიტუციების მშენებლობისა და განვითარების სფეროში გვესახება, გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ ყველა სოციალური პარტნიორის აქტივიზაციას.

საქართველო მძაფრად განიცდის მდგრადი და სიცოცხლისუნარიანი სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტების ნაკლებობას. განვითარებულ ეკონომიკაში სწორედ ისინი

უზრუნველყოფენ მჭიდრო და ნაყოფიერ კავშირებს დამსაქმებელთა, საგანმანათლებლო დაწესებულებათა და მოსახლეობას შორის. ამ კავშირების წყალობით ხდება შრომითი სფეროს სწრაფი ადაპტაცია ეკონომიკის ცვლილებებთან.

ქართული პროფესიული და საკვალიფიკაციო სტანდარტების დაბალი დონე განპირობებულია, კერძოდ, იმით, რომ მათ ფორმირებაში არასაკმარის მონაწილეობას ღებულობს უშუალო დამსაქმებელი. საგანმანათლებლო, პროფესიულ და საკვალიფიკაციო სტანდარტებს შორის არსებული სხვაობები შესაძლებელია აიხსნას პროფესიული სწავლებისა და დამსაქმებლების სფეროთა შორის არარსებული კავშირით. ამავე დროს ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფესიული და საკვალიფიკაციო სტანდარტების დადგენა, რომლებიც პასუხობენ დამსაქმებელთა მოთხოვნებს, მიგვაჩნია ერთერთ უმთავრეს სისტემურ ღონისძიებად ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების სფეროში. მათ სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნიათ, როგორც კადრების მომზადებისა და გადამზადების თანამედროვე სისტემის თანმიმდევრულ შექმნაში, ისე პერსონალის ვაკანსიებზე დანიშვნისა, ან მოსახლეობისათვის სამუშაო ადგილების ძიებაში დახმარების სფეროებში. მაღალი ხარისხის და ადეკვატური სტანდარტები ატარებენ იმ კომუნიკატორის ფუნქციას, რომელიც უადვილებს ურთიერთობას ყველას, ვინც ასე, თუ ისე დაკავშირებულია პროფესიების სამყაროსთან: აბითურიენტებს, მათ მშობლებს, საგანმანათლებლო დაწესებულებას და მათ ხელმძღვანელებს, საწარმოთა საკადრო სამსახურებს, შრომის ბაზრის შუამავლებს და სხვ. მხოლოდ ამ სტანდარტების მეშვეობით გახდება შესაძლებელი ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება, რომლებიც ეხმარებიან სამუშაო და სასწავლო ვაკანსიების მაძიებლებს.

ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების ერთერთ უმთავრეს პირობად მიგვაჩნია დასაქმების სახელმწიფო სამსახურის შექმნა. საკვანძო საკითხი, ცხადია, მისი დაფინანსების ვარიანტები იქნება. ჩვენი აზრით, დასაქმების ეროვნული სამსახუ-

რის ფუნქციონირებისა და უმუშევრებისათვის ფიქსირებული დახმარების გადახდის დროს შეიძლება იქნას გამოყენებული ორი პრინციპი - სადაზღვევო, ან საბიუჯეტო. სადაზღვევო პრინციპის არჩევის შემთხვევაში, უმუშევრობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სადაზღვევო შემთხვევა და შესაბამისად ამ საჭიროებისათვის აუცილებელია სადაზღვევო ფონდების წინასწარი შექმნა. გარდა ამისა, წინასწარ უნდა გაიწეროს ამ ფონდების ფორმირებაში სახელმწიფოს, დამსაქმებლისა და მოსახლეობის მონაწილეობის დეტალები. მეორე, ანუ საბიუჯეტო პრონციპის არჩევის შემთხვევაში კი უმუშევართა დახმარებებისა და ეროვნული დასაქმების სამსახურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები მთლიანად ბიუჯეტიდან იფარება.

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ ეკონომიკური განვითარების გეგმაში **„საქართველო 2020"**, ჩამოყალიბებულია ეროვნული ეკონომიკის ინოვაციური და ადამიანური კაპიტალის განვითარების გეგმები. მაგრამ მიგვაჩნია, რომ არც დაფინანსების მოცულობა და არც ქვეყნის სასტარტო პოზიციები ამ მიზნებისათვის საკმარისი არ არის. ადამიანური კაპიტალის განვითარების სტრატეგიები ამ გეგმაში წარმოჩენილია, როგორც კონკურენტული უპირატესობა. სინამდვილეში კი, ჩვენი აზრით, არასაკმარისი დაფინანსების შედეგად დეგრადირებული ადამიანური კაპიტალი დღეს კონკურენტულ ნაკლოვანებას წარმოადგენს. ბოლო წლების განმავლობაში კულტურაში, განათლებაში და მეცნიერებაში განხორციელებული ინვესტიციების მხრივ საქართველო ძალზე შორსაა ისეთი ლიდერებისგან, როგორც აშშ (მშპ-ს 5,5%), შვედეთი და ნორვეგია (მშპ-ს 6,7%), სლოვენია (მშპ-ს 5,6%), კანადა (მშპ-ს 4,9%) და მრავალი სხვა.

საქართველოს ჯანდაცვის რეფორმაზე ბევრი რამ იწერება. ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ განათლებასა და ჯანდაცვაზე სახელმწიფოს მიერ გაწეული დანახარჯები და გავაანალიზეთ მათი მნიშვნელობა ადამიანური კაპიტალის განვითარებაში. მოკლედ დავსძენთ, რომ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბი-

ჯების ეფექტიანობა კიდევ უფრო გაიზრდება, თუკი მთავრობა თანმიმდევრულად მოახდენს ჯანდაცვის სფეროს დაფინანსებისა და საყოველთაო დაზღვევის პროგრამის სტაბილურ ზრდას.

ცალკე გვინდა შევეხოთ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში განხორციელებულ ინვესტიციებს. საქსტატის მონაცემებით ეს მაჩვენებელი საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის 1-1,2%-ია. შედარებისთვის, გერმანიაში, დანიაში, ავსტრიაში ეს მაჩვენებელი შეადგენს საშუალოდ 2,5%-ს, აშშ - 2,6%, ისრაელში - 4,6%, სამხრეთ კორეასა და სინგაპურში - 2,3%, იაპონიასა და ფინეთში - 3,4%, შვედეთში კი - 3,7% (წყარო: http://gtmarket.ru/ratings/legatum-prosperity-index/info). გარდა ამისა, მეცნიერებაში ინვესტირებისგან მიღებული უკუგება ძალზე დაბალია და ეს არც შეიძლება, სხვანაირად იყოს, რადგანაც ქართული მეცნიერების პროდუქტზე მოთხოვნა ქვეყანაში ძალზე დაბალია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს კონკურენტული ბაზრები, რომლებიც ახდენენ ინოვაციების სტიმულირებას. რაც შეეხება ინოვაციური წარმოებების რაოდენობას ქართულ ეკონომიკაში, საქსტატის მონაცემებით ეს არის 18,5%, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. შედარებისათვის, ანალოგიური მაჩვენებელი ესტონეთში 47%-ს შეადგენს, გერმანიაში - 73%-ს, საბერძნეთში - 35%-ს, ბელგიაში, დანიასა და ავსტრიაში - 60%-ს (წყარო: http://unctad.org/en/PublicationsLibrary/wir2014_overview_ru.pdf).

მსოფლიო კონსალტინგური ფირმის ***McKinsey*** (წყარო: http://www.mckinsey.com/) მონაცემებით, სწრაფად მზარდი ეკონომიკისათვის მშპ-ს ზრდის თითოეულ პროცენტზე დაზოგვის ნორმა უნდა გაიზარდოს 2,5%-ით. მართალია, ქართული ეკონომიკისათვის ამ ფირმას გათვლები არ უწარმოებია, მაგრამ ამ მონაცემიდან ჩანს, რომ ადამიანურ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები საქართველოში,როგორც მინიმუმ უნდა გასამმაგდეს, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ ეკონომიკური ზრდის ბოლო დროს შენელებულ ტემპს.

ქართული ადამინური კაპიტალის ხარისხის გასაუმჯობე-

სებლად საჭიროა მისდამი სისტემური ინვესტიციური მიდგომა, ანუ აუცილებელია მის ყველა კომპონენტში ინვესტიციების განხორციელება წინმსწრები ტემპებით. ასე განახორციელეს თავის დროზე „ინოვაციური ნახტომი" ფინეთმა, სინგაპურმა, სამხრეთმა კორეამ და სხვა. ***სტრატეგიებში და პროცესებში არ უნდა გაიმიჯნოს ინვესტიციები კულტურაში, განათლებაში, ჯანდაცვასა და ინფრასტრუქტურაში, ვინაიდან ყოველივე ეს წარმოადგენს ადამიანურ კაპიტალში და მისი ცხოვრების ხარისხში ინვესტირებას.***

მომავალი ადამინაური კაპიტალის კვლავწარმოების ღირებულების საპროგნოზო შეფასება. ვახასიათებთ რა ადამიანური კაპიტალის შეფასების მეთოდოლოგიების განვითარების დონეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ-ერთი, არსებობს მეთოდი, რომელიც ეფუძნება ფუნქციონირებადი სამუშაო ძალის შეფასებას და მეორე, არ არსებობს მკაფიო კავშირი ასეთ გათვლებსა და ინდივიდის მიერ შრომით საქმიანობაში დახარჯულ საკუთარ შესაძლებლობებს (ცოდნა, უნარები, პროფესიული კვალიფიკაცია და სხვ.) შორის. თუ მხედველობაში არ მივიღებთ არსებულ განსხვავებებს, ადამიანური კაპიტალის აბსტრაქტული შეფასება დაბალ შედეგებს მოგვცემს, ანუ, ვერ მოხერხდება მისი სკრუპულოზური შეფასება. მიზანშეწონილად მივიჩნევდით ადამიანური კაპიტალის საერთო (ინტეგრალური) ღირებულების დიფერენცირებას და პარალელურად შემდეგი ლოკალური გაანგარიშებების შესრულებას:

- ინდივიდის ადამიანური კაპიტალის ღირებულება (იმ ნაწილში, რომელიც ფორმირებულია ინდივიდის პირადი დაბანდებებით საკუთარ თავში);
- ადამიანური კაპიტალის ღირებულება სოციუმში (ადამიანური კაპიტალის საერთო ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მასში განახორციელა საზოგადოებამ);
- ადამიანური კაპიტალის ღირებულება ოჯახში აღზრდისას (ანუ, ადამიანური კაპიტალის საერთო ღირებულების ნაწილი, რომელიც მასზე დახარჯეს მშობლებმა).

ასეთი დიფერენცირება საჭიროდ მიგვაჩნია იმისთვის, რომ

ჯერ ერთი, განისაზღვროს ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების პროცესის ყველა მონაწილის რეალური წილი მომავალი ადამიანური კაპიტალის ღირებულებაში, **მეორეც**, რათა გახდეს შესაძლებელი უფრო რაციონალური პროპორციების შემდგომი კონსტრუირება.

ყურადღებას ვამახვილებთ ადამიანური კაპიტალის ღირებულების დაანგარიშების არსებული მეთოდების სტატიკურობაზეც. როგორც წესი, იგი იანგარშება არსებული მომენტისათვის, ანდა რეტროსპექტიულად - მაგალითად, იმ ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, რომლებიც უკვე იქნა გაწეული მის რეპროდუქციაზე. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მეთოდები ან მყისიერია (მომენტალური), ანდა წარსულის მონაცემებს ეყრდნობა. ვფიქრობთ, რომ დაანგარიშების დინამიკური მეთოდი გაცილებით უპრიანია, ვინაიდან მას დაგროვებითი თვისება ექნება.

დინამიკური მეთოდის ერთ-ერთი მაგალითია შრომის ძალის ღირებულების ინდექსი, რომელსაც პერმანენტულად აქვეყნებს აშშ-ს შრომის სამინისტრო. იგი მოიცავს ხელფასებსა და უმუშევრების დახმარებებს. ამ მხრივ იგი ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში არსებული ინფლაციური პროცესების ინდიკატორის როლსაც. ამ მაჩვენებელს ყურადღებით სწავლობს ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემა საკუთარი ფულადი პოლიტიკის წარმართვისათვის.

ანალოგიური ინდიკატორის გამოყენება შესაძლებელია, აგრეთვე, რეპროდუქციული დანახარჯების კონტროლისთვისაც. საქმე იმაშია, რომ ხვედრითი რეპროდუქციული დანახარჯების საერთო დინამიკა (მისი ძირითადი სახეებისა და კვლავწარმოების პროცესის მონაწილეთა მიხედვით დიფერენცირებული ჩაშლით) საშუალებას იძლევა, ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების პირობების მონიტორინგის ორგანიზებისათვის. თუ ხდება სრული კვლავწარმოების, ანდა მისი მდგენელების ღირებულების ზრდა, ეს ხდება ოპერატიული ჩარევის საფუძველი სიტუაციის გამოსწორების მიზნით. ანუ, სტატიკური გაანგარიშების მეთოდები გამორიცხავს ადამია-

ნური კაპიტალის კვლავწარმოების ეფექტიანი მართვის შესაძ-ლებლობას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ორი რამ: 1) დღემდე არ არსებობს ადამიანური კაპიტალის მომავალი ღირებულების გაანგარიშე-ბის მეთოდები, 2) არ არსებობს მეთოდი, რომლის მეშვეობი-თაც შესაძლებელია ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების ღირებულების გაძვირების ზემოქმედების პროგნოზირება კვლავწარმოების პროცესის ხასიათზე.მაგალითისათვის გა-ნვიხილოთ მეუღლეების მიერ გადაწყვეტილების მიღება შვი-ლის გაჩენის შესახებ. ხშირ შემთხვევაში მომავალი ხარჯების საკუთარ პერსპექტივებთან და შესაძლებლობებთან შედარება ინტუიციურ დონეზე ხდება. ხოლო ინტუიციური გადაწყვე-ტილება კი ხშირად ვერ ხდება ოპტიმალური. ანუ, მომავალი ადამიანური კაპიტალისა დანახარჯების გაანგარიშების მეთო-დოლოგიის არარსებობა არ იძლევა საშუალებას, მიღებულ და განხორციელებულ იქნას დემოგრაფიული ხასიათის გადაწყვე-ტილებები არა თუ სახელმწიფოს, არამედ ოჯახის დონეზეც კი.

ადამიანური კაპიტალის ღირებულების გაანგარიშებები ძირითადად ფოკუსირებულია ფუნქციონირებადი სამუშაო ძალის ეკონომიკურ შეფასებაზე, ანუ მომავალი ადამიანური კაპიტალი ამ გაანგარიშების მეთოდიკაში საერთოდ არ არის ნაგულისხმევი. არადა კვლავწარმოების პროცესის უფრო ეფექტიანი მართვისათვის საჭიროდ მიგვაჩნია მომავალი ადა-მიანური კაპიტალის ერთეულის საპროგნოზო კალკულაცია ყველა ელემენტისა და დანახარჯთა მუხლების მიხედვით. ამ მიზნისათვის აუცილებელია ადამიანური კაპიტალის ღირებუ-ლების ღრმა და სრული სტრუქტურირება, ანუ დანახარჯების რაიმე ნიშნით დაჯგუფება. ჩვენი აზრით, ეს ნიშნები ყველაზე უფრო სრულად ზემოქმედებს ადამიანური კაპიტალის მომა-ვალ ღირებულებაზე და შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნა-ირად:

- დანახარჯების ორგანიზაციულ-მმართველობითი ჯგუფი;
- დანახარჯების ფინანსურ-ეკონომიკური ჯგუფი;
- დანახარჯების ინსტიტუციურ-სამართლებრივი ჯგუფი;

• დანახარჯების სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფი.

დასკვნა

ამდენად, საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება მომავალში მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული საზოგადოების დამოკიდებულებაზე ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების პროცესთან. პრობლემები სოციალურ და შრომით სფეროში, რა თქმა უნდა, ვერ იქნება გადაჭრილი დამსაქმებლების, მშრომელების, მათი დაჯგუფებებისა და ასოციაციების, მთელი საზოგადოების გარეშე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ საკითხში სახელმწიფოს განყენებული და ინერტული პოზიცია, ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოებას პრობლემებისგან გამიჯნვა მეტად სახიფათოა. მოვლენების ოპტიმისტური სცენარით განვითარება ითვალისწინებს ადამიანური კვლავწარმოების სფეროში მიმდინარე პროცესების მართვას მთელი საზოგადოების მიერ.

ადამიანური კაპიტალის თეორია განვითარების საწყის სტადიაში იმყოფება. ამიტომაც პრაქტიკაში ადამიანური კაპიტალის გაანგარიშებისა და შეფასების არსებული მეთოდების გამოყენების დროს, აუცილებელია ყველაზე უფრო მისაღების შერჩევა. საჭიროა ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოება, არა მისი ცალკეული მდგენელების, მიხედვით, არამედ კომპლექსურად. ეს კი სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრეროგატივაა, რომელიც აქტიურად ზემოქმედებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე და სრულყოფაზე მისი ინოვაციური განვითარების სტადიაზე გადასვლის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Buchanan, D. and Huczynski, A. Organizational Behaviour, 5th edn. -Harlow: Financial Times, Prentice Hall, 2004.

2. Harvard Bussiness Review on culture and change Harvard Bussiness Review paperback. 2007.

3. Chen, M. Asian Management Systems, 2nd edition.- London: Thomson. 2004.

4. Gladwin T.N, TerpstraKIntrodution // Cultural environment of international business. 2005. № 2.

5. Report of Chinese Enterprise Culture 2007-2008. — China Economic Publishing House. 2008.

MODERN REPRODUCTION OF HUMAN CAPITAL IN GEORGIA

Lashari Kurdashvili
PhD Student of TSU

RESUME

Distribution of human capital has a great importance nowadays. As a rule, the center of the attention for European and American economist is so called the functional distribution, or the distribution of revenue between factors of production (land, labour, capital). The "Concept of Human Capital" includes the fourth - human capital itself. The main focus of this concept is on the distribution of revenues that are at the disposal of human capital.

The calculation of human capital value is focused on the evaluation of functional labour force, or future human capital is not implied in this calculation method. However, we consider that the forecasted calculation of future human capital by every element and cost units is necessary for the effective management of reproduction process. This process requires a deep and full structure, or grouping the expenses by any characteristics. In our opinion, these characteristics completely affect the future value of human capital.

Key words: Human capital, Reproduction, Natural resources, Economic effect, Financial assets.

კრეატიული ადამიანი როგორც თვითმზარდი ღირებულება

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი
ჟუჟუნა წიკლაური-შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი
ნათია შენგელია
ედ, სტუ ას. პროფესორი

რეზიუმე

კრეატიული ადამიანის როგორც თვითმზარდი ღირებულების (კაპიტალის) გასადიდებლად საჭიროა მისი შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსების (ამ პოტენციალიდან ადამიანი ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ მის 10-15 პროცენტს თუ იყენებს) მაქსიმალური გამოყენება;

ყოველი ორგანიზაცია სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში, მუდმივად უნდა ეძებდეს საკუთარი საქმიანობის სრულყოფის გზებს. ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პერსონალს, ადამიანს, თავისი უნარ-ჩვევებით, ცოდნით, კვალიფიკაციით, იდეებით.

მკაცრი კონკურენციის პირობებში აუცილებელია ნებისმიერ ორგანიზაციაში შეიქმნას შესაბამისი გარემო, ინოვაციური ატმოსფერო უწყვეტი განათლების სისტემის, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების უმთავრესი პირობის, დასანერგად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ცოდნის გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება.

საკვანძო სიტყვები: კრეატიული ეკონომიკა. კონკურენტუნარიანი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა. პირდაპირი და არაპირდაპირი ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში. კონკურენტუნარიანი პიროვნება. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოება და მისი განახლების ფორმები.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში, სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში მიმდინარეობს ბრძოლა გადარჩენისათვის. ასეთ პირობებში ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერ სფეროში შეუძლებელია წარმატების მიღწევა ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსების ამოქმედების გარეშე, რომელიც ხელს შეუწყობდა ადამიანის კრეატიულობის, ცოდნის, გამოცდილების, კვალიფიკაციის დონის ამაღლებას.მაგრამ იმისათვის რომ სასურველ შედეგებს მივაღწიოთ, როგორც პროფესორი გურამ ჯოლია სავსებით სამართლიანად აღნიშნავს,საჭიროა, ჯერ ჩვენ შევიცვალოთ, მუდამ ვისწრაფვოდეთ ახლისკენ, ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ შემოქმედებითად, ანუ კრეატიულად. თანამედროვე პროგრესული ადამიანი არ უნდა იყოს მხოლოდ სხვისი შექმნილის მომხმარებელი. იმავდროულად, უნდა ვცდილობდეთ, ვიყოთ კრეატიულებიც, რადგან ვინც არ ქმნის რაიმე ახალს, ის მხოლოდ სხვის მიერ შექმნილს იმეორებს და/ან მოიხმარს[1.გვ.9.]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ შემოქმედ, არატრადიციულ, არასტანდარტულ, ახლებური აზროვნების, უფრო სწორად **კრეატიული კონკურენტუნარიანი** ცოდნის მატარებელ მუშაკს შეუძლია უშუალოდ შექმნას ახალი, სხვისგან განსხვავებული პროდუქტი [3.გვ.18.].

შემთხვევითი არ არის რომ ბოლო დროს შეინიშნება პროგრესი, ახლებური, არატრადიციული, ინოვაციური მიდგომა
კომპანიებში პერსონალისადმი დამოკიდებულების საკითხში: დაქირავებული მუშახელიდან იგი იქცა ახალ ფასეულ კატეგორიად - „ადამიანისეულ კაპიტალად“. საერთოდ, კაპიტალის თავისებურება კი ისაა, რომ იგი თვითმზარდი ღირებულებისაა. ამ თვისების გარეშე კაპიტალის არსი წარმოუდგენელია. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის (ადამიანისეული კაპიტალის), როგორც ინტელექტუალური კაპიტალის ერთ-ერთი ფორმის შესახებ. სწორედ ადამიანი უზრუნველჰყოფს საერთო კაპიტალის ნამატს და გააჩნია სრულიად უნიკალური თვისებები, რომლებსაც ხშირად კომპანიის ხელმძღვანელები ივიწყებდნენ და ახლაც ივიწყებენ (ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: იმისათვის, რომ

ორგანიზაციამ თანამედროვე სწრაფადცვალებად სამყაროში კონკურენტუნარიანი გახდეს, მან თავისი საქმიანობის პრაქტიკაში მრავალი ტრადიციული მიდგომა არსებითად უნდა შეცვალოს. იგი არსებული მდგომარეობიდან, როცა ცდილობს ცნობილი და აღიარებული ინდივიდების მიზიდვას, ახალ მდგომარეობაში უნდა გადავიდეს, ანუ მნიშვნელოვან ინტელექტუალურ პოტენციალს თვითონ დაეუფლოს და, დროის მოთხოვნების კვალობაზე, მისი სისტემატური სრულყოფა შეძლოს. აღნიშნულ ასპექტზე ყურადღება იმიტომ მახვილდება, რომ ადამიანისეულ კაპიტალს კომპანია სრულყოფილად ვერ ფლობს. გარკვეული ხარისხით, ამ მეტად მნიშვნელოვანი კაპიტალის მფლობელები თვით ის ადამიანებია, რომელთა მიმართ დაინტერესების ძლიერი მექანიზმების გამოყენებით, კონკურენტ-კომპანიებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გადაბირების პრაქტიკა თანამედროვე მსოფლიოში რეალურად არსებობს (გ.ჯოლია, ცოდნის ეკონომიკა, თბ.,2015,გვ.116)., ე. ი.ვერ აფასებენ მისი პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობას. ესაა კრეატიულობა.თუ ადამიანი აგნებს საკუთარ საქმეს, „თავის ადგილზეა“, იგი წარმოადგენს თვითმზარდ ღირებულებას და არანაირი ინფლაცია და კრიზისი არ მოქმედებს ამ ღირებულებაზე. პირიქით, კრიზისულ სიტუაციაში კრეატიული, „შემოქმედებითი ადამიანის“ პოტენციალი იზრდება. სულერთია, მენეჯერია იგი, თუ რიგითი სპეციალისტი, მთავარია, რომ აკეთებს თავის საქმეს. ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ მას აქვს სურვილი თვითრეალიზაციისა, პიროვნული სრულყოფისა (2.გვ.129). ამიტომ, ადამიანის ღირებულებას (კაპიტალის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით), ახასიათებს უსაზღვროდ ზრდა, იმაზე მეტად, ვიდრე ეს მასში ჩადებულ კაპიტალს შეუძლია. კომპანიები, რომლებიც ცდილობენ, გადაურჩნენ სასტიკ კონკურენციას, მუდმივად უნდა ისწრაფვოდნენ სრულყოფისაკენ. ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს კომპანიის განკარგულებაში არსებულ ისეთი უმთავრესი სიმდიდრისა და რესურსის რაციონალურ გამოყენებას, როგორიც კოლექტივია თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით, კვალიფიკაციით, იდეებით. აქიდან გამომდინარე,

აუცილებელია მისი სწორი მართვა, კოლექტივისათვის მსოფლიო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შრომის პირობების, ინოვაციური ატმოსფეროს (ისეთი გარემო, რომელშიც ადამიანი თავს თავისუფლად გრძნობს, სრულად მოტივირებულია, შემოქმედებითი საქმიანობისადმი მზადყოფნაშია და ხელმძღვანელობის მხრიდან აქვს სრული მხარდაჭერა ინოვაციურ საქმიანობაში) შექმნა და ამ მიმართულებით შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა. სწორედ ესაა სადღეისოდ კომპანიის კონკურენტუნარიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის გრძელვადიანი ფაქტორი. კოლექტივის თითოეული პერსონალი არის უმთავრესი ფაქტორი, რომელიც ქმნის სისტემას „კომპანია". სწორედ პერსონალს უნდა უმადლოდეს ნებისმიერი ორგანიზაცია თავის არსებობას. სწორედ პერსონალია კონკურენტულ ბრძოლაში მთავარი, გადამწყვეტი ფაქტორი, სხვა შემადგენლები სხვა არაფერია, თუ არა ადამიანთა ცოდნისა და გამოცდილების ინტელექტუალური და მატერიალური ფორმით განსახიერება. თანამდეროვე მოწინავე ორგანიზაციების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გადარჩენისა და სისტემის წარმატებით ფუნქციონირებისათვის საჭიროა სწორედ სისტემის შემქმნელ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება. თუ ბაზარი ხელიდან გვეცლება, ბიუჯეტი ირღვევა, ორგანიზაცია ამოვარდა მაღალრეიტინგული და პრესტიჟული დაწესებულებების სიიდან, შეიძლება შემცირდეს დანახარჯები, რეორგანიზდეს სისტემა და შემცირდეს პერსონალი, ჩავიძიროთ რეკლამაში და, საერთოდ, ჯვარი დავასვათ მენეჯერის საკუთარ კარიერას. ან სხვაგვარად მოვიქცეთ: გავიხსენოთ, რომ ყველა ამ პრობლემის უკან ადამიანები დგანან -კომპანიის თანამშრომლები, სწორედ მათ უნდა „უმადლოდეს" კომპანია თავის სირთულეებს, მაგრამ თავის ხსნასა და გადარჩენასაც მათშივე იპოვის! ბევრმა კორპორაციამ ამ შეგნებით დააღწია თავი კრიზისს და გადარჩა, აღორძინდა იმ გუნდისა და ადამიანების წყალობით, რომელთაც კრიტიკულ წუთებში სასწაულების მოხდენა შეუძლიათ(2.გვ.,128-129). აი, რას წერს თავის წიგნში „მენეჯერის კარიერა" კორპორაცია „კრაისლერის" ხელმძღვანელი ლი იაკოკა: „ადრე არასოდეს მცოდნია, როგორ მოიქცევიან ადამიანები ურთულეს ჟამს. ახლა

კი ვიცი, რომ მათი უმრავლესობა საშველად გამოეშურება. ...ასე-ვე ვისწავლე, რომ კრიზისულ სიტუაციაში ადამიანებს ძალუძთ შეინარჩუნონ ღირსება და იმოქმედონ აბსოლუტურად მშვიდად. ...მე აღმოვაჩინე, რომ ადამიანები გაიღებენ უდიდეს მსხვერპლს, როცა ირგვლივ ყველა იზიარებს მათს ხვედრს. როცა უმძიმესი განსაცდელები ყველას თანაბრად, ერთნაირად ეხება, შეძლებ, მთები გადააბრუნო".

კრეატიული ეკონომიკის პირობებში, როცა უწყვეტი გა-ნათლების სისტემის დანეგვა მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების უმთავრესი პირობა ხდება, ადა-მიანის შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსე-ბის ამოქმედების, კრეატიულობის გარეშე წარმოუდგენელია სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.ასეთ პირობებში მეც-ნიერულ-ტექნიკური ცოდნაც თვითგანახლებად სისტემას წარ-მოადგენს, რომელშიც პარალელურად მიმდინარეობს ახალი ცოდნის შექმნისა და არსებული ზოგიერთი ცოდნის მორალური მოძველების პროცესები. განსაკუთრებით უფრო სწრაფი ტემპით, მყისიერად მიმდინარეობს ეს პროცესები გამოყენებით მეცნიერე-ბებში, ვიდრე საზოგადოებრივ, თეორიულ მეცნიერებებში. ამი-ტომ ცოდნის, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის წლიდან-წლამდე უცვლელი ოდენობით დატოვება, განმეორება იგივე იქნებოდა რაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ინო-ვაციების, სიახლეების დანერგვის უგულვებელყოფა. არადა 21-ე საუკუნე ხომ ისეთი საუკუნეა, როცა ცოდნა განიხილება, რო-გორც ეკონომიკაში გადამწყვეტი, მისი კონკურენტუნარიანობის წინასწარი პირობა [4.გვ.11.]. ამიტომ საზოგადოება იძულებულია სისტემატურად განაახლოს ანუ აკვლავწარმოოს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა. არატრადიციული აზროვნების, ჯანსაღი კონკურენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თანამედროვე, განსაკუთრებით, კრეატიული ეკონომიკის პირობებში შეძლება ადგილი ჰქონდეს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების სამ ფორმას.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოე-ბის (სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილი თეორიულ-

პრაქტიკული მიღწევების, ცოდნის, გამოცდილების დაუფლების) პირველი-არასრული, ნაკლული შეკვეცილი ფორმის დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას მთლიანად ვერ ფლობს (ცხოვრების განმავლობაში შეძენილმა ცოდნამ უკვე ამოწურა თავისი ზღვრული სარგებლიანობა და „მორალური მოძველების" პროცესს განიცდის), რის გამოც იგი **კონურენტუნარიანი** ვერ იქნება. ეს კი, როგორც **კონკრეტული ადამიანისთვის**, ასევე **ქვეყნისთვისაც** პრობლემას ქმნის იმ თვალსაზრისით, რომ, ერთი მხრივ, ეს მუშაკი ვერ გამოიყენებს ტექნიკური პროგრესით მიღწეულ შედეგებს და, მაშასადამე, ვერ იქნება უზრუნველყოფილი სამუშაო ადგილით და, მეორე მხრივ, ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს საკუთარი ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური და ა.შ. მაჩვენებლებით.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების მეორე-მარტივი ფორმის დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას (ეს ცოდნა ხანგრძლივი პერიოდების მანძილზე უცვლელია) თითქმის მთლიანად ფლობს, ინარჩუნებს საქმიან კონტაქტებს, დადებით იმიჯს და სამუშაო ადგილს, რის გამოც იგი **კონურენტუნარიანია** მანამ, სანამ მის მიერ ცხოვრების განმავლობაში შეძენილი ცოდნა ამოწურავს თავის ზღვრულ სარგებლიანობას და „მორალური მოძველების" პროცესს დაექვემდებარება და ზიანს არ მიაყენებს არც თავის თავს და არც ქვეყანას.

მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების მესამე-გაფართოებული ფორმის დროს ამა თუ იმ დარგის, სფეროს მუშაკი თავის სპეციალობაში კაცობრიობის მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას არამარტო სრულყოფილად ფლობს, არამედ დამატებითაც **აქტიურად** დამოუკიდებლად მონაწილეობს მის შემოქმედებითად (კრეატიულად) განვითარებასა და დანერგვაში (თვით უახლესი მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნაც კი სწრაფად ძველდება და ის, რაც ჯერ კიდევ გუშინ ურყევ ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა, შეიძლება ახალ პირობებს აღარ შეესაბამებოდეს. ამიტომ სპეციალისტს სჭირდება არა პასიური, არა-

მედ დამოუკიდებელ კრიტიკულ აზროვნებაზე დამყარებული **აქტიური** და **განვითარებადი** ცოდნა), აქვს გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატური შინაგანი განახლების, ადაპტირების უნარი, ასევე ფლობს თანამედროვე მსოფლიო ენას, მისაღებ პიროვნულ თვისებებს, საქმიან კონტაქტებს და დადებით იმიჯს. ასეთი პირადი კონკურენტუპირატესობების მატარებელი ადამიანი კი არ ეძებს სამუშაოს, არამედ თავად **სამუშაო ეძებს მას**. ასეთი თვისებების მქონე მუშაკი კონკურენტუნარიანი იქნება არა მხოლოდ თავის ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში [3.გვ.18.]. ე.ი. მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის განახლება-კვლავწარმოების მესამე ფორმის დროს ადგილი აქვს ცოდნის განახლება-კვლავწარმოებას გადიდებული, სულ უფრო მზარდი ოდენობით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ტემპების კვალდაკვალ.შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მხოლოდ ეს ფორმა არის უშუალოდ დაკავშირებული **შემოქმედებითობასთან,** არატრადიციულ, არასტანდარტულ, ახლებურ აზროვნებასთან, უფრო სწორად **კრეატიულ ადამიანისეულ კაპიტალთან როგორც თვითმზარდ ღირებულებასთან.**

ამრიგად, კრეატიული ადამიანის როგორც თვითმზარდი ღირებულების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, განვითარება და წინსვლა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია **დავასკვნათ:**

1.კრეატიული ადამიანის როგორც თვითმზარდი ღირებულების (კაპიტალის) გასადიდებლად საჭიროა მისი შემოქმედებითი პოტენციალის შეუზღუდავი რესურსების (ამ პოტენციალს ადამიანი ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ 10-15 პროცენტს თუ იყენებს) მაქსიმალური გამოყენება ;

2.ყოველი ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს გადარჩეს თანამედროვე მკაცრი სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში, მუდმივად უნდა ეძებდეს საკუთარი საქმიანობის სრულყოფის გზებს. ასეთ პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კომპანიის განკარგულებაში არსებული რესურსებიდან უმთავრეს რესურსს და სიმდიდრეს, წარმატებული საქმიანობის საწინდარს-პერსონალს, ადამიანს, თავისი უნარ-ჩვევებით,

ცოდნით, კვალიფიკაციით, იდეებით.

3. მკაცრი კონკურენციის პირობებში აუცილებელია ნებისმიერ ორგანიზაციაში შეიქმნას შესაბამისი გარემო, ინოვაციური ატმოსფერო უწყვეტი განათლების სისტემის, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის კვლავწარმოების უმთავრესი პირობის, დასანერგად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ცოდნის გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ჯოლია. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ.,2015.
2. ჟურნალი "ეკონომიკა", №3-4, 2016წ.
3. ჟურნალი "ეკონომიკა", №5-6, 2014.
4. უ.სამადაშვილი, რ.შენგელია. თანამედროვე ეკონომიკა. თბ.; 2013.

REFERENCES

1. G. Jolia. Creative Economy and Development. Tb., 2015.(in Georgian Language).
2. Journal "Economics", #3-4, 2014y. (in Georgian Language).
3. Journal "Economics", #5-6, 2016 y. (in Georgian Language).
4. U. Samadashvili, R.Shengelia. Modern Economy. Tb. 2013, p.11. (in Georgian Language).

A CREATIVE PERSON AS SELF-INCREASING HIS VALUE

Revaz Shengelia, GTU, Professor,
Jujuna Tsiklauri-Shengelia, GTU, Professor,
Natia Shengelia, GTU As. Professor

RESUME

1. To increase the value (capital) of the creative person is necessary to enlarge the use of the unlimited resources (The Person may probably use only 10-15 % from his/her potential throughout the live.) of the creative person.

2. Every Organization should constantly seek the ways to improve their activities in the rapidly changing competitive world. Under these conditions, the special attention should be paid to the staff, the people with their skills, knowledge, qualifications, ideas.

3. During the tough competition it is essential for any organization to create an appropriate environment, innovative atmosphere of continuous education system, as for implementation of the main precondition for the reproduction of scientific-technical knowledge , which should ensure a constant update of knowledge, raise the general level of education in the country.

Keywords: Creative Economy. Competitive Scientific and Technical Knowledge. The Direct and Indirect Investments in Human Capital. The Competitive Person. Reproduction of the Scientific -technological Knowledge and its Updated Forms.

ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელის ემპირიული რეალიზაცია საქართველოს მაგალითზე

გიორგი მიქელაძე
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მთლიანი ინვესტიციების მნიშვნელობა, მისი გამოთვლის მეთოდი და აღნიშნული მეთოდის პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე. კვლევებში გამოყენებულია 2003-2014 წლების კვარტალური ემპირიული მონაცემები [5].

სტატიაში ემპირიულად შემოწმებულია ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი საქართველოს ეკონომიკის მაგალითზე. ემპირიული კვლევებით დგინდება მოდელის სტატისტიკური არასაიმედოობა და შემოთავაზებულია მოდელის ალტერნატიული ვარიანტები.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელი, მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ინვესტიციები.

შესავალი

ინვესტიციები ერთობლივი დანახარჯების მნიშვნელოვანი ელემენტია. ინვესტიციების შესწავლის მნიშვნელოვნებას 2 მიზეზი განაპირობებს: პირველი, მას მნიშვნელოვანი წილი უჭირავს ერთობლივ დანახარჯებში და გვევლინება ეკონომიკური ზრდისთვის საჭირო კაპიტალის შექმნის წყაროდ. მეორე, იგი არის ერთობლივი დანახარჯების ყველაზე არამდგრადი ნაწილი.

ინვესტიციების კვლევის აქტუალობიდან გამომდინარე შექმნილია ინვესტიციების მრავალი მოდელი. ინვესტიციების მოდელებიდან შესაძლებელია გამოვყოთ 5 ყველაზე ცნობილი და ხშირად გამოყენებადი მოდელი: ინვესტიციების აქსელერატორის, ავტორეგრესიული, ტობინის ქ, ფულადი ნაკადების და ნეოკლასიკური.

ხუთი ცნობილი ინვესტიციების მოდელიდან განვიხილავთ ინვესტიციების ნეოკლასიკურ მოდელს. აღნიშნული მოდელის მიხედვით კომპანია ირჩევს საწარმო ფაქტორთა იმ რაოდენობას, სადაც მოგება იქნება მაქსიმალური. მოდელი ეყრდნობა ჯერგენსონის 2 დაშვებას: პირველი, ჯერგონსონი უშვებს ძირითადი კაპიტალის სრულყოფილი მეორადი ბაზარის არსებობას, სადაც კომპანიებს შეუძლიათ ადვილად გაყიდონ ზედმეტი კაპიტალი იმ ფასად, რასაც ფირმა მიიღებდა მისი გამოყენებით. ასევე აღნიშნულ ბაზარზე შესაძლებელს წარმოადგენს კაპიტალის გაქირავება, რომელშიც კომპანიები იხდიან ქირის საფასურს. მეორე, ჯერგენსონი უშვებს, რომ არ არსებობს შეფერხებები კაპიტალის მიმდინარე მნიშვ^ ლობიდან კაპიტალის სასურველი მოცულობის მიღწევამდე (k_t – დან k^*-მდე) [4].

ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელით რ. კოპკემ, ემპირიულად შეაფასა აშშ-ს ინვესტიციების მოცულობა. ემპირიულ მოდელს შემდეგო სახე გააჩნია:

$$I_t = a_0 + \sum_{j=0}^{m-1} b_j \left(\frac{P}{C}\right)_{t-j} Y_{t-j} - \sum_{j=0}^{m-1} c_j \left(\frac{P}{C}\right)_{t-j} Y_{t-j-1} + \delta K_{t-1} + u_t \qquad (1)$$

რ. კოპკეს კვლევის ძირითად დაშვებას წარმოადგენდა კობ-დაგლასის ფუნქციის მასშტაბის მუდმივი უკუგება [4].

ძირითადი ტექსტი

ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელის რეალიზაციას მოვახდენთ (1) მოდელზე დაყრდნობით. რ. კოპკემ აღნიშნული მოდელის რეალიზაციისთვის კოეფიციენტები შეაფასა „ალმონის“ ოპერატორის გამოყენებით [4]. აღსანიშნავია ფაქტორული ცვლადების ლაგების სიგრძის (m) გასაზომად არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული რაიმე წესი, შესაბამისად იგი ირჩევა კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე. ინვესტიციების ამ მოდელის აგების პროცესში განიხილავთ შემთხვევას, როდესაც m=2, რადგან ლაგური წევრების რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზრდება მულტიკოლინიარობის და კოეფიციენტების შეფასების პრობლემა.

რ. კოპკესგან განსხვავებით კოეფიციენტების შესაფასებლად

არ გამოვიყენებთ ალმონის ოპერატორს, არამედ უმცირესს კვადრატთა მეთოდს, რადგან მოდელში არ არის დიდი რაოდენობის ლაგური წევრები.

მნიშვნელოვანია ფაქტი, კოეფიციენტებად განხილული იქნება $b_j(\frac{P}{C})_{t-j}$ და $c_j(\frac{P}{C})_{t-j}$ განსხვავებით b_j-ს და c_j-სა.

$$I_t = a_0 + \sum_{j=0}^{m} b_j(\frac{P}{C})_{t-j} y_{t-j} - \sum_{j=0}^{m} c_j(\frac{P}{C})_{t-j} y_t \quad (1)$$

შესაფასებელ მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$I_t = a_0 + b_0(\frac{P}{C})_t y_t + (b_1(\frac{P}{C})_{t-1} - c_1(\frac{P}{C})_t) y_{t-1} - \quad (2)$$

ინვესტიციები (I_t) წარმოადგენს I(1) -ს, ხოლო კაპიტალი (t-1) პერიოდში ტრენდ-სტაციონალური მწკრივია 5%-იანი მნიშვნელოვნების დონით. მთლიანი შიდა პროდუქტი რეალურ მოცულობაში წარმოადგენს I(1) პროცესს [2]. ამასთან იგი შეიცავს სეზონურ მულტიპლიკატიურ კომპონენტს.

(2) მოდელის შეფასებისას სტაციონალურ მწკრივებზე გადასვლისას შედეგობრივ ცვლადის როლში იქნება ინვესტიციების პირველი რიგის სხვაობა, ამხსნელ ფაქტორებად გამოშვების და მისი ლაგირებული მნიშვნელობების პირველი რიგის სხვაობები და ლაგირებული კაპიტალის დეტრენდირებული მნიშვნელობა. კერძოდ, მიიღება:

$$\Delta I_t = a_0 + b_0(\frac{P}{C})_t \Delta y_t + (b_1(\frac{P}{C})_{t-1} - c_1(\frac{P}{C})_t)\Delta y_{t-1} - c_0(\frac{P}{C})_t \Delta y_t - \delta K_{t-1} + u_t \quad (3)$$

კაპიტალის მნიშვნელობებში გათვალისწინებული იქნება აქსელერატორის მოდელზე დაყრდნობით მიღებული კაპიტალის რეალური მნიშვნელობები [3].

ცხრილი 1: უმცირეს კვადრატთა მეთოდით შეფასებული ინვესტიციების ნეოკლასიკური (m=2) მოდელი

Dependent Variable: DI
Method: Least Squares
Date: 06/18/15 Time: 18:44
Sample (adjusted): 2003Q4 2014Q4
Included observations: 45 after adjustments

Variable	Coefficient	Std. Error	t-Statistic	Prob.
DY	1.147219	0.254294	4.511395	0.0001
DY_1	-0.250231	0.256004	-0.977451	0.3342
DY_2	0.714125	0.260568	2.740651	0.0091
K_SA_1TR	-0.043750	0.051965	-0.841919	0.4048
C	-53.31793	26.82434	-1.987670	0.0537

R-squared	0.436377	Mean dependent var	13.57115
Adjusted R-squared	0.380015	S.D. dependent var	146.8725
S.E. of regression	115.6461	Akaike info criterion	12.44339
Sum squared resid	534960.8	Schwarz criterion	12.64413
Log likelihood	-274.9762	Hannan-Quinn criter.	12.51822
F-statistic	7.742369	Durbin-Watson stat	2.504492
Prob(F-statistic)	0.000102		

ნეოკლასიკური მოდელის პრაქტიკული რეალიზაციით მივიღეთ დეტერმინაციის და კორექტირებული დეტერმინაციის დაბალი მნიშვნელობების კოეფიციენტების მოდელი, რაც მის ვარგისიანობას ეჭვქვეშ აყენებს. მოდელში სტატისტიკურად არამნიშვნელოვნებს წარმოადგენენ გამოშვების ლაგირებული t-1 პერიოდის და კაპიტალის დეტრენდირებული მნიშვნელობის კოეფიციენტები.

რ. კომპკეს შედეგების მსგავსად მშპ-ს ცვლადების კოეფიციენტები ქმნიან ხერხის მაგვარ ტენდენციას (ზრდა-კლების).

დარბინ-უიტსონის ტესტის მიხედვით მოდელში ნარჩენობით წევრებში ავტოკორელაციის არსებობის შესახებ ვერაფერს ვი-

ტყვით რადგან მოდელის DW სტატისტიკის მნიშვნელობა 2.5 5%-იანი მნიშვნელოვნების დონით ვარდება განუზღვრელობის არეში 2.334<2.5<2.617 (dl=1.383 du=1.666), ხოლო ბროიშ-გოდფრის ტესტის მიხედვით ავტოკორელაციის უარყოფის მნიშვნელობა იმყოფება ზღვარზე [1], რაც უარყოფით შედეგს წარმოადგენს.

ცხრილი 2: კოეფიციენტების კორელაციის მატრიცა

	DI	DY	DY_1	DY_2	K_SA_1TR
DI	1.000000	0.551050	-0.209129	0.340129	0.073814
DY	0.551050	1.000000	-0.083100	0.035198	0.195456
DY_1	-0.209129	-0.083100	1.000000	-0.076791	0.163126
DY_2	0.340129	0.035198	-0.076791	1.000000	0.275835
K_SA_1TR	0.073814	0.195456	0.163126	0.275835	1.000000

მულტიკოლინიარობა მოდელში არ წარმოადგენს პრობლემას, ვინაიდან მოდულით მაქსიმალური მნიშვნელობა არ აღემატება 0,6-ს, არათუ 0,8-ს.

მოდელში არ შეინიშნება ნარჩენობით წევრებში ჰეტეროსკეტასტურობის პრობლემა. 1%-იანი მნიშვნელოვნების დონით მიიღება ჰიპოთეზა ჰომოსკეტასტურობის შესახებ. გარდა ამისა მოდელში ნარჩენობითი წევრებიც ნორმალურად არიან განაწილებულნი. მოდელში არ ხდება შედეგების გაუმჯობესება ფაქტორული ცვლადების ლაგების ჩამატებით. მოდელის დაბალი კორექტირებული დეტერმინაციის კოეფიციენტიდან, ამხსნელი ფაქტორების კოეფიციენტების არამნიშვნელოვნებიდან და ნარჩენობითი წევრებში ავტოკორელაციის მკაცრად უარყოფის შეუძლებლობიდან გამომდინარე იგი არ წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის დახასიათების ოპტიმალურ მოდელს.

დასკვნა

რ. კომპკეს შედეგების მსგავსად მშპ-ს ცვლადების კოეფიციენტები ქმნიან ხერხის მაგვარ ტენდენციას (ზრდა-კლების), თუმცა ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელის ემპირიული რეალიზაციისას მოდელის წარმოადგენს სტატისტიკურად არასაიმედოს. მისი მეშვეობით საქართველოს ეკონომიკის დახასიათება არ წარ-

მოადგენს ობიექტურს.

ინვესტიციების ნეოკლასიკური მოდელში ფაქტორული ცვლადების ლაგური წევრების ჩართვა არ აუმჯობესებს მოდელს. აღნიშნული გარემოებაც მიუთითებს მოდელის სტატისტიკურ არამნიშვნელოვნებას.

საქართველოს ეკონომიკის დახასიათება უნდა განხორციელდელს ინვესტიციების ნეოკლასიკურისგან განსხვავებული მოდელით ან შეიქმნას სპეციალურად საქართველოს ეკონომიკაზე მორგებული მოდელი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანიაშვილი, ი. *დროითი მწკრივების ანალიზი.* სალექციო კურსი. თბილისი, თსუ, 2014.

2. ანანიაშვილი, ი. *მაკრომოდელირება 1.* სალექციო კურსი. თბილისი, თსუ, 2014.

3. მიქელაძე, გ *საქართველოს ძირითადი კაპიტალი და მისი გამოთვლის ალტერნატიული მეთოდები.* "ეკონომიკა" №5-6, თბილისი, 2016.

4. Берндт Эрнст Р. *практика зконометрики классика и современность*. Москва, Юнити-Дана, 2005.

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, www.geostat.ge

REFERENCES:

1. Ananiashvili, I. *Timeline series analysis*. Lection course. Tbilisi, TSU,2014

2. Ananiashvili, I. *Macroeconomic modeling 1*. Lection course. Tbilisi, TSU,2014

3. Mikeladze, G. *Total Capital of Georgia and alternative methods of calculation, "*Economics*"* №5-6, Tbilisi, 2016.

4. Bernd Ernst R. *Applied Econometrics. Classical and Modern*. Moscow,2005, Iuniti-dana, p.847.

5. National Statistic Office of Georgia, www.geostat.ge.

EMPIRICAL REALIZATION OF INVESTMENT NEOCLASSICAL MODEL CASE OF GEORGIA

Giorgi Mikeladze
Doctoral Student,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

RESUME

This paper discusses the importance of investment, it's calculating method opportunity of the practical realization according to Georgian economy. There is used 2003-2014 quarterly empirical data in the survey.

Moreover, there is empirically tested the investment neoclassical model case of Georgia. The empirical survey has determined the non-significance of model and there are offered the alternative versions of investment model.

Key words: Neoclassical Model of Investment, GDP, Total Investment.

ფინანსურ ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე პრობლემები

ხათუნა შალამბერიძე
ეად., ქუთაისის აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოც. პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში წარმოდგენილია თუ რა არის გლობალიზაცია და რა როლი აქვს მას თანამედროვე მსოფლიო განვითარების მასშტაბით. კერძოდ, ის არის ურთერთობათა სისტემა, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოს წამყვან მოთამაშეთა ჯგუფს შეუძლიათ ისეთი პრინციპების ინიცირება და მათზე ამა თუ იმ სახის გავლენის მოხდენა, რომლებიც საბოლოო ჯამში განაპირობებენ საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებს მსოფლიო მასშტაბით. თანამედროვე მსოფლიოში ფინანსების გლობალიზაცია მჭიდრო კავშირშია პროდუქტებისა და მომსახურების გლობალიზაციასთან.

ასევე, განხილულია თანამედროვე მსოფლიო ფინანსური ფორმულირება, რომელიც მოიცავს ინსტიტუტებს, ბაზრებს და მეთოდებს, რომელთა მეშვეობით სახელმწიფოთა მთავრობები, იურიდიული და ფიზიკური პირები ახორციელებენ თავიანთ ეკონომიკურ და ფინანსურ საქმიანობას. ჩამოთვლილია ფინანსურ ურთიერთობათა პრობლემებიდან მნიშვნელოვანი-საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებაში სავალუტო კურსის მერყეობის პრობლემა.

საინტერესოდ არის ჩამოყალიბებული აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ეკონომიკისა და ფინანსების გლობალიზაციამ კაცობრიობასაც მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა, რომელთაგან ყველაზე მეტად ხელშესახებია ქვეყნების დიდ ნაწილში ეკონომიკური ზრდა, მაღალი შრომის ნაყოფიერება და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა. ამასთან გლობალიზაციამ ხელი შეუწყო მსოფლიოში კონფლიქტების მასშტაბების შე-

მცირებას და საერთაშორისო კორდინაციის გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე მსოფლიო ფინანსური ფორმულირება; ეკონომიკისა და ფინანსების გლობალიზაცია; ფინანსურ გლობალიზაციის გეოპოლიტიკური არსი; ფინანსური კრიზისის საერთაშორისო მასშტაბები; მსოფლიო ფინანსური ინსტიტუტების არსი და მოქმედების არეალი.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო ფინანსური ფორმულირება მოიცავს ინსტიტუტებს, ბაზრებს და მეთოდებს, რომელთა მეშვეობით სახელმწიფოთა მთავრობები, იურიდიული და ფიზიკური პირები ახორციელებენ თავიანთ ეკონომიკურ და ფინანსურ საქმიანობას. იგი არის ეკონომიკური ურთიერთობების ერთგვარი ერთობლიობა, რომლის საფუძველზე განისაზღვრება, როგორც მსოფლიო ფინანსური სისტემის მოწყობის პრინციპები, ასევე თვით ეროვნული და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ამოცანები და ფუნქციები. გასული საუკუნის მიწურულს დაწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც XXI საუკუნის ზღურბლსაც გადმოაბიჯა, დღის წესრიგში დააყენა ახალი ფინანსური სისტემის ფორმირების აუცილებლობა. ფინანსების გლობალიზაციის მოქმედ იურიდიულ პირებს წარმოადგენდნენ ბირჟები, ბანკები, მთავრობები, ცენტრალური ბანკები, ზედამხედველობები, მსესხებელი და კაპიტალის მიმღებები, ინვესტორები, საინფორმაციო ტექნიკის მწარმოებლები და საინფორმაციო უზრუნველყოფა, შერეული საწარმოები ლოჯისტიკასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში და სხვა.

ძირითადი ტექსტი

მე–20 საუკუნის მიწურულს ფინანსური გლობალიზაციის განვითარებაზე განსაკუთრებული როლი ითამაშა საერთაშორისო ფინანსურმა კრიზისმა, რომლის ეპიცენტრი სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში დაფიქსირდა და შემდგომი განვითარება ბრაზილიასა და რუსეთში ჰპოვა. თავის მხრივ, ეს კრიზისი განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა: 1. კაპიტალის

მოძრაობის ლიბერლიზაციის მანკიერმა პრაქტიკამ, რომელმაც ეროვნული ეკონომიკის მთელი რიგი დარგები ჩაკეტა უცხოური ინვესტიციებისათვის. 2. განუვითარებელი ინფრასტრუქტურის პირობებში საფონდო ბაზრის მეტისმეტმა გახსნილობამ გამოიწვია ეკონომიკის კრიმინალიზაცია. 3. ეკონომიკაში სახელმწიფოს დესტრუქციულმა როლმა.

სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკის განვითარების მოდელი, დანარჩენი ქვეყნებისაგან განსხვავებით ხელისუფლების ბიზნესთან შერწყმის თავისებურებებით ხასიათდებოდა. მათი განვითარების სტრატეგია ითვალისწინებდა სამრეწველო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრაში სახელმწიფოს ლიდერობას, კერძო ბიზნესისადმი ფინანსური სახსრებით ხელშეწყობას, ადგილობრივი ოლიგარქიული ჯგუფების ინტერესების დაცვას და პროტექციონიზმს. ჩამოთვლილი ფაქტორები იმაზე მიუთითებს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ფინანსური კრიზისის ძირითადი საფუძველია შინაგანი მიზეზები, გარე ფაქტორებმა კატალიზატორის როლი შეასრულა.

ფინანსურმა კრიზისმა საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა ეროვნული ფინანსური ბაზრების, უპირატესად რეგიონული ბაზრების ურთიერთდამოკი- დებულებების საფუძველზე. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ფინანსური არამდგრადობის რეგიონულმა მასშტაბებმა არსებითი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო სასაქონლო და ფინანსური ბაზრების კონიუქტურაზე. ბევრმა რეგიონმა ფინანსური კრიზისს ნაკლები დანაკარგებით დააღწია თავი, მაგრამ რუსეთის ფინანსური ბაზარი დაინგრა, რამაც, თავის მხრივ, ახალი სეისმური ტალღები წარმოშვა, რომელსაც არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა პოსტსოციალისტური ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

თანამედროვე მსოფლიო ფინანსური ფორმულირება მოიცავს ინსტიტუტებს, ბაზრებს და მეთოდებს, რომელთა მეშვეობით სახელმწიფოთა მთავრობები, იურიდიული და ფიზიკური პირები ახორციელებენ თავიანთ ეკონომიკურ და ფინანსურ საქმიანობას. იგი არის ეკონომიკური ურთიერთობების ერთგ-

ვარი ერთობლიობა, რომლის საფუძველზე განისაზღვრება, როგორც მსოფლიო ფინანსური სისტემის მოწყობის პრინციპები, ასევე თვით ეროვნული და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ამოცანები და ფუნქციები. გასული საუკუნის მიწურულს დაწყებულმა ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც XXI საუკუნის ზღურბლსაც გადმოაბიჯა, დღის წესრიგში დააყენა ახალი ფინანსური სისტემის ფორმირების აუცილებლობა. ფინანსების გლობალიზაციის მოქმედ იურიდიულ პირებს წარმოადგენდნენ ბირჟები, ბანკები, მთავრობები, ცენტრალური ბანკები, ზედამხედველობები, მსესხებელი და კაპიტალის მიმღებები, ინვესტორები, საინფორმაციო ტექნიკის მწარმოებლები და საინფორმაციო უზრუნველყოფა, შერეული საწარმოები, ლოჯისტიკასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებში და სხვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა უპირატესად ფინანსური ბაზრის მეშვეობით წარმოებს. ფინანსური ბაზარი ფულად ურთიერთობათა სისტემაა, რომელიც ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების გადანაწილების პროცესში ყალიბდება. ფინანსური სფეროში გლობალიზაციის პროცესმა გამოიწვია არა მარტო ფულადი რესურსების უდიდესი მასის განთავსება გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე, არამედ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკაში ფულის ფუნქციები. ფული გადაიქცა საქონლად, ხოლო ვალუტის კურსის დაწესებაში სპეკულაციამ მიიღო შედარებით მომგებიანი საბაზო ოპერაციის ფორმა. ამასთან საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გლობალიზაციამ მოიცვა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში მატერიალური, ფინანსური, ადამიანური და სხვა რესურსების სამეურნეო მიზანმიმართულების მიხედვით განთავსება. ე.ი. ამ რესურსების კონცენტრაცია უნდა მოხდეს იმ რეგიონებში, სადაც შეიძლება მათი ეფექტიანი მოპოვება.

გასულ საუკუნეში დაწყებულმა გლობალიზაციის პროცესმა, უპირველეს ყოვლისა, მთლიანად მოიცვა მსოფლიოს ფინანსური ბაზრები, რომელმაც ამ უკანასკნელთა მექანიზმებისა

და სტრუქტურების ტრანსფორმაცია მოითხოვა. მეორე მხრივ, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და კავშირგაბმულობის სისტემის განვითარებით გამოწვეულმა რევოლუციურმა გარდაქმნებმა ფინანსურ ბაზრებზე გაამწვავა კონკურენციული ბრძოლა. ეს უკანასკნელი აიძულებს ტრადიციულ ინსტიტუტებს (ბირჟებს, კომერციულ ბანკებს, სადაზღვეო კომპანიებს და ა.შ.) თავიანთ საქმიანობაში შეიტანონ სერიოზული კორექტივები, განსაკუთრებით ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა: 1. ტექნიკური შესაძლებლობების და სავალუტო რეგულირების ლიბერალიზაციის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც ბირჟებსა და ბანკებს აიძულებს გადალახონ ეროვნული საზღვრები და საგარეო ბაზარზე გადაიტანონ თავიანთი მომსახურეობა; 2. ბირჟების, ბანკების, სადაზღვეო კომპანიების მიერ კლიენტების მომსახურების უნივერსალიაზაცია; 3. ელექტრონული ვაჭრობის სისტემის გამოყენების ტექნოლოგი- ზაცია; 4. კომერციალიზაცია როგორც კომპიუტერული ტექნოლოგიის დანერგვის შედეგი.

მე-20 საუკუნის ბოლო ოც წელიწადში მსოფლიო ფინანსურმა სისტემამ უდიდესი ცვლილებები განიცადა. სწრაფი ტემპებით წარიმართა საფინანსო შუამავლობიდან ფინანსების ეკონომიკური ცხოვრების წარმართველ ძალად გადაქცევა. უმსხვილესი ფინანსური ინსტიტუტები სწრაფად იპყრობენ საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეებს, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას და იქ გადამწყვეტ პოზიციებს იკავებენ. თანამედროვე გლობალური ეკონომიკა ფაქტობრივად ფინანსური ეკონომიკა, რაც ეყრდნობა იმ ღრმა ცვლილებებს, რომელსაც ადგილი აქვს მსოფლიო მეურნეობის წიაღში ტრანსფორ- მაცია ეროვნულ მეურნეობებში, ადამიანთა შორის ურთიერთობებსა და მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში. რა იყო ის პრობლემები რომლებიც ხელს უშლიდნენ საქართველოს ეროვნული ეკონომიკის აღმასვლას? ეკონომიკური კავშირების მოშლა, რუსეთის ხელისუფლების იმპერიული ზრახვებისაკენ კვლავინდებური ლტოლვა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და ადმინისტრაციულ მბრძანებლური

სისტემის გადმონაშთების არსებობა. აი პრობლემათა წრე, რომლებიც ართულებდა საქართველოში საბაზრო ეკონომიკის წარმატებით განხორციელებას.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის საწყის ეტაპზე ეკონომიკური ცვლილებების მოშლამ, ჰიპერინფლაციამ, კორუფციის ფართო მასშტაბებმა, სუსტმა საგადასახადო ადმინისტრირებამ გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაუგონარ დონემდე შემცირება. ამასთან ქვეყანას 1995 წლამდე დამტკიცებული ბიუჯეტი არ გააჩნდა. გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ფინანსური სისტემა აგებული იყო კვლავწარმოებითი პროცესების ექვივალენტურ გაცვლაზე, ამის შემდეგ დაიწყო მსოფლიო ფინანსების ტრანსფორმაცია. თავისი განვითარების მე-3 ათასწლეულში კაცობრიობა შევიდა კოლოსალური ცვლილებებისა და უდიდესი სოციალური ექსპერიმენტების განხორციელების ეპოქაში.

ქვეყნის ფინანსური სისტემის ტრანსფორმაციისა და გარდაქმნის გზები და საშუალებები, რამდენამდე სასიკეთოდ შეიცვალა. უკანასკნელ წლებში ქვეყანაში შემუშავებულ იქნა სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში წინა პერიოდში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევისა და საზოგადოების წევრთა ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფის პროგრამა, რომელმაც ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკის ფორმირება – განვითარებას, ურომლისოდაც შეუძლებელია ეკონომიკური ზრდისა და განვითარების საბაზრო წინა პირობები.

ფინანსურ ურთიერთობათა პრობლემებიდან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ვაჭრობასთან მიმართებაში სავალუტო კურსის მერყეობის პრობლემა. ადგილი ჰქონდა ერთ პოლუსზე ვალუტის მკაცრად ფიქსირებულ კურსს, ხოლო მეორეზე მოქნილ ან მცურავ კურსს, თუმცა 1978 წლის 1 აპრილიდან ძალაში შევიდა იამაიაკის სავალუტო სისტემა, რომელმაც ოქრო გამოდევნა საერთაშორისო ანგარიშსწორებიდან და მსოფლიო ფულად ერთეულად კონვერტირებადი ეროვნული ვალუტა შემოიღო. მეორე მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების მიერ სავა-

ლუტო კურსის რეჟიმის შერჩევა და მცურავი სავალუტო კურსის დაკანონება. ეკონომიკისა და განსაკუთრებით ფინანსების გლობალიზაციის ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობა ევროკავშირის ქვეყნების მიერ ვალუტათა კურსის მერყეობით შექმნილი პრობლემებიდან თავის დაღწევის მიზნით ერთიანი ვალუტის – ევროს შემოღება.

მსოფლიო ფინანსურ სისტემაში გლობალიზაციის პროცესის ზემოქმედებამ ყველაზე მეტად შესამჩნევი გახადა საბანკო – საკრედიტო სფეროს საქმიანობაში. კომერციულ ბანკებს შორის ახლო წარსულში დამახასიათებელი სტაბილურობის კარჩაკეტილობისა და სიმშვიდის ნაცვლად მწვავე კონკურენციული ბრძოლა, გაჩაღებული არა მარტო კაპიტალის განთავსებისა და ფინანსური ზეგავლენის მისაღწევად, არამედ უტყუარი საინფორმაციო მონაცემების ხელში ჩასაგდებად. გლობალიზაციის პირდაპირ შედეგად უნდა მივიჩნიოთ ისეთი პროცესების აღზე- ვება, როგორიცაა გამოუყენებელ დანაზოგთა შემცირება, მეანაბრეთა ქცევაში კომერციალიზაციისა და აქედან გამომდინარე, რისკისადმი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, დანახარჯების ზრდა, საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში რევოლუციური ძვრები საფონდო ბაზრების განვითარება ,კაპიტალზე დიდი მოთხოვნილება, მწვავე კონკურენცია და ა. შ. საბანკო სისტემაში მომხდარი ცვლილებები და ახალი ფორმების შექმნა დროის მოთხოვნა გახდა.

დასკვნა

საბანკო საქმემ რევოლუციური გარდაქმნები მოითხოვა, თუმცა ეს უკანასკნელი შეზღუდულია ხვალინდელი დღის სტრატეგიული რისკით. თუ ცვლილებებს ექნება არასწორხაზოვანი წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი, მოსალოდნელია ახალი პრობლემები, ბანკები ბრძოლაში წარმატებებს მაშინ აღწევენ, როცა სამოქმედოდ გზას გაუხსნიან, როგორც ახალს ისე უკვე ძველ, დავიწყებულ წესებსაც, რომ აიცდინონ დანახარჯების ზრდა და დაბალ რენტაბელურობა. ფინანსურ

ურთიერთობებში არ არსებობს წარმატებებისაკენ მიმავალი ერთნაირი გზა და ერთიანი პროგრესული სტრატეგია. სხვადასხვა ქვეყნების ნაციონალური ფინანსური სისტემები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მომავალშიც მიუხედავად გლობალიზაციისა განსხვავებული იქნებიან. იმისათვის, რომ განვითარებად ქვეყნებში გლობალიზაციის მეთოდები ეფექტიანად ფუნქციონირებდეს, აუცილებელია დაცული იქნეს საერთაშორისო ქცევის განსაზღვრული ნორმები.

21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე მსოფლიო ფინანსურმა ბაზარმა ღრმა ტექნიკური ცვლილებებლი განიცადა ფინანსური ინსტრუმენტების, წარმოებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების მეშვეობით. იმისათვის, რომ ეკონომიკის გლობალიზაციისაგან მივიღოთ მაღალი ეფექტიანობა, განვითარებად ქვეყნებში აუცილებელია დაცული იქნეს საერთაშორისო ქცევის განსაზღვრული ნორმები. ჯერ ერთი, მიღწეული უნდა იქნეს ინფორმაციის გახსნილობა და გამჭვირვალობა და მეორე, ლიკვიდირებულ უნდა იქნას უკანონო ვაჭრობა და მფარველობა ფარული კავშირების მეშვობით, აღმოსაფხვრელია სხვა დანარჩენი ფორმის კორუფცია. ამასთან აღსანიშნავია რომ ეკონომიკისა და ფინანსების გლობალიზაციამ კაცობრიობასაც მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა, რომელთაგან ყველაზე მეტად ხელშესახებია ქვეყნების დიდ ნაწილში ეკონომიკური ზრდა, მაღალი შრომის ნაყოფიერება და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა. ამასთან გლობალიზაციამ ხელი შეუწყო მსოფლიოში კონფლიქტების მასშტაბების შემცირებას და საერთაშორისო კორდინაციის გაძლიერებას.

ამრიგად, გლობალიზაციის პროცესი არ ნიშნავს თამაშს ნულოვანი შედეგით: მას შეუძლია ნებისმიერ ქვეყანას სარგებლობა მოუტანოს, თუმცა ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები იმის და მიხედვით, ისინი თუ როგორი ეფექტიანობით გამოიყენებენ გლობალიზაციის საგნობრივ რეალურ შესაძლებლობებს. ამასთან, გლობალიზაციას შინაგანად გააჩნია რისკის მრავალმხრივი შესაძლებლობა, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკის არასტაბილურობასა და უთანაბრო განვითარებასთან.

ეკონომიკის და მისი ღერძის - ფინანსურ ურთიერთობათა მზარდი გლობალიზაცია მსოფლიოს თანამედროვე ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე ახალ ამოცანებს წარმოუშობს კაცობრიობას და თითოეულ სახელმწიფოს. ასეთ სიტუაციაში თუ ქვეყანას არ ექნება მწყობრი სტრატეგია და პერსპექტივების ხედვის უნარი, მოსალოდნელია მრავალნაირი გამოუსწორებელი შედეგები. ერთადერთი ვისაც შეუძლია ნათლად განჭვრიტოს ხვალინდელი დღე, ჩამოაყალიბოს მიზნების იერარქია და მათი განხორციელების თანმიმდევრობა, არის სახელმწიფო ხელისუფლება.

THE MODERN PROBLEMS OF DEVELOPMENT OF FINANCIAL RELATIONS

Khatuna Shalamberidze
Academic Doctor of Economics,
ATSU, Kutaisi University, Associated Professor

RESUME

The world economy today is indivisible from globalization. Globalization could be defined as a process that breaks the national boarders, renews national economics, culture, technology, enterprise. To define simply globalization means the changes going on in one country to other countries.

Globalization of finances is the world economics and financial relations integrated market, which has no borders. In the modern world finances, globalization is tightly linked with the material wealth and service globalization. The problem of investment relationship in a country is tightly connected with finances. Finance is a special sphere. Today the real governance of the world is accumulated not in money, but in financial sphere.

Furthermore, the process of globalization in a financial sphere has

caused not only setting up the great resources of money on global financial market, but also changing the functions of money in a world economy. In any country the precondition of the assimilation of the country's economical potential is the full development of the financial market, otherwise it is impossible to accumulate the financial resources in a country and use them purposefully.

So, the increasing globalization of economics and financial relationship, the level of modern economical and social development sets new tasks to the mankind and each country. Despite the great interest of the economical problems in a process of globalization, these process with their results in many respects and peculiarity are not studied properly.

Key words: Modern World Financial formulation; Globalization of Economy and Finances; Geopolitical Essence of Financial globalization; The International Scale of Financial Crisis; The essence of the World Financial Institutions and its acting Area.

თანამედროვე მონეტარული სისტემის კრიტიკული ასპექტები

მირზა ხიდაშელი
ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

რეზიუმე

მეცნიერული თვალსაზრისით მეტად საინტერესო ეპოქაში გვიწევს ცხოვრება. ვნახეთ კრიზისი, რომლის მსგავსიც გასული საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ არ უნახავს მსოფლიოს. ვხედავთ ფინანსური პოლიტიკის ექსპერიმენტებს, რომლის საბოლოო შედეგების მომსწრენიც გავხდებით, თუმცა ჯერ ზუსტად არ ვიცით როდის. საფინანსო გარემო, რომელშიც გვიწევს ცხოვრება სავსეა პროგნოზებითა და შეფასებებით, რომელთა რეალურ მიზანს საზოგადოების აღქმისა და მოლოდინის ფორმირება უფრო წარმოადგენს, ვიდრე რეალური სურათის ასახვა. გავრცელებული და პოპ ულარული მეცნიერული თეორიებით საფინანსო სფეროში არსებული მდგომარეობის ახსნა ისეთივე რთულია, როგორც შავი კატის დაჭერა ბნელ ოთახში, თანაც მაშინ როცა კატა ოთახში სულაც არ არის. მოცემულ სტატიაში წარმოდგენილია ის წინააღმდეგობები, რომლითაც ხასიათდება განვითარებული მსოფლიოს ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკის მიზნები და შედეგები, რაც გვაიძულებს კრიტიკული თვალით შევხედოთ თანამედროვე მონეტარული პოლიტიკის თეორიულ საფუძვლებს. სწორედ ამ მიზნით კიდევ ერთხელ განვიხილეთ ფულის ევოლუციის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საკითხები, გავრცელებული სტერეოტიპები და მათი საწინააღმდეგო ფაქტები, რათა გვეჩვენებინა მონეტარული სისტემის ისტორიული ევო-

ლუციის გზაზე დაშვებული ფუნდამენტური შეცდომები.

საკვანძო სიტყვები: ფული, მონეტარული სისტემა, ოქროს სტანდარტი, გიბსონის პარადოქსი.

შესავალი

მაკროეკონომიკის სახელმძღვანელო სტუდენტებს ასწავლის, რომ რეალური საპროცენტო განაკვეთის შემცირება იწვევს ინვესტიციების ზრდას, იზრდება რა ინვესტიციიდან მისაღები ამონაგების ახლანდელი ღირებულება და შესაბამისად საინვესტიციო მოტივაცია. სწორედ აღნიშული უდევს თეორიულ საფუძვლად იმ მონეტარულ ინტერვენციებს, რომელსაც განვითარებული ქვეყნების ცენტრალური ბანკების ახორციელებენ ეკონომიკის ანტიციკლური რეგულირების ფარგლებში.

2008 წლის ფინანსური კრიზისიდან 7 წლის შემდეგ პირველად ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ 25 საბაზისო პუნქტით გაზარდა სარგებლის განაკვეთი. ფაქტიურად დაიწყო მონეტარული შერბილების უპრეცენდენტო ექსპერიმენტის დასასრული, თუმცა პროცესის მიმართ არსებული გამოხმაურება წინააღმდეგობაში მოდის ფედერალური სარეზერვო სისტემის პროგნოზებთან.

ბოსტონის ფედერალური ბანკის პრეზიდენტის ერიკ როზენბერგის შეფასებით, ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ სარგებლის განაკვეთის ზრდა არის რისკი, რომელიც გამოიწვევს სხვა (აშშ-ის გარდა) ეკონომიკების შესუსტებას და მხოლოდ შეზღუდული სტატისტიკური მონაცემები ამყარებენ ფედერალური სარეზერვო სისტემის პროგნოზს, რომ 2018 წლისათვის ჩვენ მივაღწევთ ინფლაციის მიზნობრივი დონეს 2%. **[2]**

ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ სარგებლის განაკვეთის ზრდას წინ უძღოდა რაოდენობრივი შერბილების 4 უმსხვილესი პროგრამა, რომლის მსგავსიც საფინანსო სისტემების ისტორიას არ ახსოვს. ფულად-საკრედიტო ინტერვენციების შედეგების მოკლევადიან პერიოდში სრულად შეფასება მხოლოდ პროგნოზების დონეზეა შესაძლებელი, თუმცა შედე-

გების გარკვეული ნაწილის გაანალიზება უკვე მოხერხდა.

2008 წლის ფინანსური კრიზისის შედეგების სალიკვიდაციოდ ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ რაოდენობრივი შერბილების 4 პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 4,5 ტრილიონი დოლარის ფასიანი ქაღალდების შეძენა განახორციელა. პროგრამის მასშტაბებისათვის ხაზგასმის მიზნით შეიძლება აღინიშნოს, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის ბალანსი 2008 წლის ჩათვლით 1 ტრილიონ დოლარზე ნაკლებს შეადგენდა. ფასიან ქაღალდებზე ხელოვნურად შექმნილმა სტაბილურმა მოთხოვნამ ხელი შეუწყო ვოლ–სტრიტისათვის „ხელსაყრელი" ფასების ფორმირებას საფონდო ბირჟაზე.**[7]**

ფედერალური სარეზერვო სისტემა პასუხისმგებელია დასაქმებასა და ფასების სტაბილურობაზე, თუმცა 4,5 ტრილიონის ღირებულების მონეტარული ინტერვენცია აშშ დასაქმებულთა ხელფასებში აისახა მხოლოდ 0,2%–იანი ზრდით. **[4]** სამშენებლო, სამრეწველო და ენერგეტიკის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2000 წელთან შედარებით 21%–ით არის შემცირებული. არაფინანსური სექტორში დაფიქსირებული ზრდის ტემპი კი შეადგენს 1.1% ,რაც 1953–2000 წწ არსებული ანალოგიური მაჩვენებლის ზუსტად ნახევარია. **[9]**

მონეტარულმა პოლიტიკამ შეუთავსებლობა ჩამოაყალიბა რეალურ და ფინანსურ აქტივებს შორის. რაოდენობრივი შერბილების პროგრამებმა მოახდინეს კაპიტალის გადამისამართება რეალური ეკონომიკიდან ფინანსურ აქტივებში. ასეთ პირობებში რთულია გააკრიტიკო კომპანიები რომლებიც რეალურ ეკონომიკაში ინვესტირების ნაცვლად ირჩევენ ფინანსური აქტივებს.**[5]**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ცხადია, რომ მონეტარული ინტერვენციების შედეგების შეფასებისას მის მიზნებსა და შედეგებს შორის აშკარა შეუთავსებლობა შეინიშნება, რაც მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს თანამედროვე მონეტარული პოლიტიკის ისტორიული და თეორიული საფუძვლებისადმი. სწორედ მათი კრიტიკული ანალიზი წარმოადგენს მოცემული კვლევის მიზანს.

ძირითადი ტექსტი

ფულის ევოლუციის ისტორია - სტერეოტიპები და ფაქტები. ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების უპირველესი ბაზისს წარმოადგენს გაცვლა, რომლის გარეშეც ჩვენ არ გვექნებოდა არც ეკონომიკა და პრაქტიკულად არც საზოგადოება. მცირედი წარმოსახვაც საკმარისია თვითკმარი საოჯახო მეურნეობის (მით უმეტეს ადამიანის) ევოლუციის შესაძლებლობების შესაფასებლად. ადამიანი, როგორც მოცემულობა თავის თავში ატარებს კონკრეტულ ნიჭს (შესაძლებლობებს) და იგი არ წარმოადგენს უნივერსალურ ან თვითკმარ არსებას. ამ თვალსაზრისით კაცობრიობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთი სხეული, სადაც თითოეული როგორც ადამიანის ცალკეული ორგანო ასრულებს ადამიანის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ფუნქციებს.

თუმცა გაცვლა ყოველთვის არ იყო ისეთი მარტივი პროცესი როგორიც დღეს. გაცვლის პირველ სახეს წარმოადგენდა ბარტერი, რომელიც წინააღმდეგობრივი ბუნებით ხასიათდება. დიდი ხნის განმავლობაში კაცობრიობის წარმოდგენაში გაცვლა თავის თავში გარკვეულ ღირებულებით თანასწორობას (ტოლობას) გულისხმობდა. რეალურად კი გაცვლის მთავარი მოტივი მისი მონაწილე მხარეების მიერ გაცვლაში ჩართული პროდუქციის (მომსახურების) განსხვავებულად შეფასებაში მდგომარეობს.**[6]** თუ პროდუქციის მოხმარების ღირებულება უფრო მაღალია, ვიდრე გაცვლისა (გაცვლის შედეგად მისაღები პროდუქტის მოხმარების ღირებულება), მაშინ გაცვლის მოტივაცია არ არსებობს.

ბარტერის უპირველეს პრობლემას სასურველი პროდუქციის მაძიებელთა ინტერესების თანხვედრა წარმოადგენდა. რთულად ხერხდებოდა ერთმანეთის პროდუქციის შეძენით დაინტერესებული ორი სავაჭრო პარტნიორის მიერ ერთმანეთის პოვნა ბარტერულ ბაზარზე. ამ გარემოებების ლოგიკური შედეგი იყო არაპირდაპირი გაცვლის ფენომენის ჩამოყალიბება, როცა გაცვლის შედეგად ვიღებთ არა უშუალოდ ჩვენთვის სასურველ პროდუქტს, არამედ პროდუქტს, რომელიც სასუ-

რველია ჩვენთვის სასურველი პროდუქტის მფლობელისთვის. შესაბამისად, გაცვლის პროცესში დაინტერესება გაღვივდა არა მხოლოდ პირდაპირი საჭიროების პროდუქტების მიმართ, არამედ იმ პროდუქტების მიმართ, რომელზე არაპირდაპირი გაცვლის გამო სტაბილურად მაღალი მოთხოვნა არსებობდა.

არაპირდაპირი გაცვლის ფენომენმა ადამიანს გაუჩინა სურვილი მის ხელთ არსებული ჭარბი პროდუქცია გადაეცვალა ისეთ პროდუქტში, რომელზეც კონკრეტულ ბაზარზე, ლოკალური გარემოებებიდან გამომდინარე არსებობდა შედარებით მაღალი და სტაბილური მოთხოვნა. როგორც კარლ მენგერი განმარტავს, ამ ოპერაციით იგი აღწევს არა საბოლოო მიზანს, არამედ ის იღებს პერსპექტივას მიაღწიოს საბოლოო მიზანს (შეიძინოს სასურველი პროდუქცია) ნაკლები რისკითა და ეკონომიურობით, ვიდრე ამას მოახერხებდა პირდაპირი გაცვლის გზით. **[1]**

ცხადია ყოველ საზოგადოებაში ყველაზე მეტად მოთხოვნადი პროდუქტი იქნა არჩეული როგორც გაცვლის საშუალება, შედეგად მაღალმა მოთხოვნამ განაპირობა ამ პროდუქტების როგორც გაცვლის საშუალების ფართო გამოყენება, რომელთაც შემდეგ ეწოდათ ფული. ისტორიულად რიგი სხვადასხვა პროდუქტებისა ასრულებდნენ გაცვლის საშუალების ფუნქციას: საბერძნეთში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, შოტლანდიაში ლურსმანი, ეგვიპტეში სპილენძი და სხვა. საუკუნეების განმავლობაში გაცვლის საშულებად გამოყენებადი პროდუქტების ნუსხა იხვეწებოდა და საბოლოოდ ოქრო და ვერცხლი იქცა გაცვლის აღიარებულ საშულებად თავისუფალ (კონკურენტულ) ბაზარზე. ხატოვნად, რომ ვთქვათ თავისუფალმა ბაზარმა თავად აირჩია ეს ლითონები როგორც გაცვლის ძირითადი საშუალება.

გაცვლის საშუალების კუმულატიური ტიპის ევოლუცია არის განვითარების ერთადერთი გზა, რომლითაც შეიძლებოდა ფულის წარმოშობა მომხდარიყო. ფული ვერ შეიქმნებოდა ვინმეს კერძო გადაწყვეტილებით უსარგებლო სუბსტანცია გამოეცხადებინა ფულად, ვერც სახელწმიფოს მხრიდან ქაღა-

ლდის მცირე ნაწილისათვის ფულად მოხსენიებით გაჩნდებოდა ფული. აქედან კი შეგვიძლია გამოვიტანოთ ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა: ფული არის საქონელი. **[6]**

ოქროს სტანდარტის დადებითი მხარეები ცხადია, ამ საკითხზე მისი კრიტიკოსებიც თანხმდებიან: იგი ზღუდავს მთავრობასა და საბანკო სისტემას შექმნან ჭარბი ფული, რაც წარმოადგენს ინფლაციის წყაროს, ასევე იგი ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებას. თუმცა კრიტიკოსთა მოსაზრებით ოქროს სტანდარტი ვერ უზრუნველყოფს საკმარის ელასტიურობას ფულის მიწოდების თვალსაზრისით. მათი აზრით ოქროს მოპოვების ტემპები ჩამორჩებოდა მსოფლიო ეკონომიკის მზარდ საჭიროებებს. მათი შეფასებით ოქროს სტანდარტი ასევე ართულებს ცალკეული სახელწმიფოს იზოლირების პროცესს დანარჩენ მსოფლიოში განვითარებული დეპრესიისა და ინფლაციისაგან.

ეს უკანასკნელი არგუმენტი მეტად სუსტია, მითუმეტეს თანამედროვე გლობალიზაციის დონისა და ტენდენციების გათვალისწინებით. მის ნათელ მაგალითს 2008 წლის ფინანსური კრიზისი წარმოადგენს, როცა ერთი სახელმწიფოს გეოგრაფიულ საზღვრებში განვითარებულმა ფინანსურმა პრობლემებმა გავრცელება ჰპოვა მთელს მსოფლიოში.

პოპულარულ მოსაზრებას, რომ ქაღალდის ფულის გარეშე გვექნებოდა ფულის მიწოდების მნიშნელოვანი უკმარისობა (რადგან ოქროს მოპოვების მასშტაბებსა და ეკონომიკის ზრდას შორის იყო მნიშნელოვანი დისპროპორციული ჩამორჩენა) საფუძვლად უდევს რიგი შეცდომებისა, რომელიც მიუხედავად მრავალგზის კრიტიკისა დღესაც არსებობს. საქმე იმაშია, რომ ოქროს მიწოდებასა და ბიზნესის საჭიროებებს შორის არსებითი კავშირი არ არსებობს.

ფულის მიწოდება არ საჭიროებს რეგულირებას. თავისუფალ ბაზარზე ინდივიდები თავად განსაზღვრავენ ფულზე მოთხოვნასა და ფულის მიწოდებას. პერსონას რომელსაც სურს, რომ შეინახოს გარკვეული მსყიდველობითი უნარის რეზერვი, გარკვეული მოცულობის სიმდიდრე ფულად ფორმაში,

მისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ეს სიმდიდრე რამდენიმე დიდი ზომის ერთეულებად არის წარმოდგენილი თუ იგივე ღირებულების მქონე მცირე ზომის ერთეულებად. იგი არ არის დაინტერესებული ერთეულების რაოდენობის გაზრდით, თუ შედეგად მისი დანაზოგის ღირებულება არ იცვლება. ადამიანები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას „ფულის უკმარისობის“ ან „მეტი ფულის საჭიროების შესახებ“. რათქმაუნდა, ისინი ამ დროს გულისხმობენ არა უბრალოდ უფრო მეტ ფულად ერთეულებს უფრო ნაკლები მსყიდველობითი უნარით, არამედ მეტ მსყიდველობით უნარს. სწორედ ამ მცდარმა შეხედულებამ განაპირობა მრავალი დამახინჯებული წარმოდგენის გავრცელება, რომ მონეტარული ექსპანსია დამატებითი სიმდიდრის ტოლფასი (იდენტური) ქმედებაა. სწორედ ამ მცდარმა შეხედულებამ ჩამოაყალიბა საზოგადოებრივი მხარდაჭერა ინფლაციური პოლიტიკის მიმართ. **[3]**

განვიხილოთ ტიპიური მაგალითი: სასურსათო მაღაზიის მეპატრონე ამბობს, რომ ბიზნესში საქმე ცუდად მისდის, რადგან მის მომხმარებლებს არ აქვთ საკმარისი ფული სასურსათო მოთხოვნების გასაფართოებლად. მოცემული მსჯელობა ჯერჯერობით სწორია, თუმცა როცა იგი ამატებს, რომ მისი ბიზნესის განვითრებისათვის საჭიროა ფულის რაოდენობის ზრდა მიმოქცევაში, იგი ცდება. რეალურად ამ დროს იგი გულისხმობს, რომ გაიზარდოს ფულის მოცულობა მისი მომხმარებლების ჯიბეებში, ხოლო სხვა ადამიანებისათვის დარჩეს უცვლელი. იგი ითხოვს სპეციფიკური ტიპის ინფლაციას, როცა დამატებით გამოშვებული ფული პირველად მოხვდება მისი მომხმარებლების განკარგულებაში, რაც მას მისცემს მიიღოს სარგებელი ზემოაღნიშნული ინფლაციის შედეგად. **[8]**

დამატებითი ფულის (რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ) პირველი მომხმარებლები არიან კომერციული ბანკები და სახელწმიფო. როცა სახელწმიფო ბიუჯეტის დასაფარად იღებს სახაზინო ვალდებულებას, მიმოქცევაში არსებული ფულის მასა ჯერ კიდევ უცვლელია, შესაბამისად ფასებიც. მხოლოდ პოსტ ფაქტუმ, სახელწმიფოს მიერ ზემოაღნიშნული სახაზი-

ნო ვალდებულებების ფარგლებში აღებული სესხის ხარჯზე მიღებული თანხების გახარჯვის შემდეგ იწყებს ფასები რეაგირებას დამატებითი ფულით არსებული ფულადი მასის გაზავების გამო. ანალოგიური მდგომარეობაა კომერციული ბანკების შემთხვევაში. დამატებითი ფულის ეს პრივილეგირებული მხარჯველები იღებენ ორი ტიპის სარგებელს:

• ისინი დამატებითი ფულით, რომელიც ქმნის ინფლაციას, ხარჯავენ ინფლაციამდე არსებული შედარებით დაბალი ფასები პირობებში;

• აღებული სესხის დაბრუნება უწევს ინფლაციის შედეგად გაუფასურებული ფულის საშუალებით;

ფაქტიურად ჩვენ საქმე გვაქვს ირიბ გადასახადებთან და რესურსების არასაბაზრო პრინციპებით გადანაწილებასთან, რომლის არაეფექტიანობაც ცხადია. ოქროს სტანდარტის პირობებში საზოგადოება დაზღვეულია ყველა იმ პრობლემისაგან რომელსაც მონეტარული ექსპანსია იწვევს. ამაში ოქროს მისი საქონლური ბუნება ეხმარება, იგი ერთის მხრივ გაცვლის საშულებაა, ხოლო მეორეს მხრივ ძვირფასი ლითონი. თუ ოქროს მოპოვების მოცულობები იქნება მეტი, ვიდრე სჭირდება ვაჭრობის პროცესის ხელშეწყობას ,იგი გადაინაცვლებს ორნამენტებისა და ძვირფასი ლითონების ნაკეთობათა ბაზარზე, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ფულის საქონლური ბუნების აუცილებლობას.

ასევე, მცდარია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მეტი ფული მეტ ადამიანს ასაქმებს. დამატებით სამუშაო ადგილებს ქმნის არა დამატებითი ნომინალური კაპიტალი, არამედ რეალური კაპიტალი. თუმცა დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესში სახელფასო განაკვეთები მცირდებიან, რადგან მცირდება დასაქმებულთა ზღვრული პროდუქტიულობა, მონეტარული ექსპანსია კი ნომინალური ხელფასის ზრდის საშულებით ნიღბავს რეალური ხელფასის შემცირების პროცესს.

კეინსის მიხედვით ინსტიტუციური პრობლემების გამო შესაძლოა ხელფასის ბუნებრივი შემცირების პროცესი შეფერხდეს, რაც ხელს შეუშლის თავისუფალ ბაზარს დაარეგულიროს

მდგომარეობა და შედეგად მივიღებთ ქრონიკულ უმუშევრობას. მაგალითად, პროფკავშირებმა შესაძლოა მოითხოვონ იმაზე მაღალი ხელფასი, ვიდრე ბაზარზე არსებული რეალობიდან გამომდინარეობს. ასევე პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ მინიმალური ხელფასის შესახებ შესაძლოა შეაფერხოს ბაზრის თავისუფალი ფუნქციონირება და გამოიწვიოს მასიური უმუშევრობა. აქედან გამომდინარე ის იძლევა მონეტარული ექსპანსიის რეკომენდაციას, რათა ხელისუფლებამ და პროფკავშირებმა შეინარჩუნონ საზოგადოების ნდობა და „რეპუტაცია“. თუმცა ყურადღების მიღმა რჩება მისი უარყოფითი ეფექტები ეკონომიკაზე. იგი იწვევს ეკონომიკურ ბუმსა და მის შემდგომ რეცესიას. ამის მაგალითი ისტორიაში მრავლად მოგვეპოვება. მათ რიგს შეემატა და „ამშვენებს“ 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი და მისი შემდგომი რეცესია. მონეტარული ექსპანსია არ ქმნის დამატებით სიმდიდრეს, იგი ახდენს შემოსავლებისა და სიმდიდრის გადანაწილებას საზოგადოებაში მათ სასარგებლოდ ,ვინც იღებს ექსკლუზიურ უფლებას პირველმა დახარჯოს დამატებით ემისირებული ფული, მანამ სანამ ბაზარი დაიწყებს ფულის მასისი ზრდის გაცნობიერებას და საბაზრო პრინციპებიდან გამომდინარე მოხდება თითოეული ფულადი ერთეულის მსყიდველობითი უნარის შემცირება, რადგან მოხდება არსებული ფულადი მასის გაზავება დამატებითი ფულადი მასის შერევით.

რაც შეეხება ხელფასს, იგი წარმოადგენს საბაზრო ფენომენს, რომელიც გამოხატავს გარკვეული ხარისხისა და შინაარსის შრომითი რესურსის ფასს. თუ ადამიანს არ შეუძლია გაყიდოს თავისი შრომითი რესურსები მისთვის სასურველ ფასში , მან უნდა შეამციროს აღნიშნული ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩება უმუშევარი. თუ სახელწმიფო ან პროფესიული კავშირი სახელფასო განაკვეთს აფიქსირებს იმაზე მაღლა, ვიდრე თავისუფალი ბაზარი, სამუშაოს მაძიებელთა ნაწილი დარჩება უმუშევარი. **[8]**

ინფლაციური პოლიტიკითა, მინიმალური სახელფასო განაკვეთით და ა.შ. ჩვენ ვამახინჯებთ საბაზრო ძალებსა და კანო-

ნებს. არავინ დაობს, რომ თავისუფალი ბაზარი კაცობრიობის პროგრესისა და კეთილდღეობის მთავარი წყაროა, უბრალოდ ადამიანთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ მან „უკეთ იცის“ და მას „უკეთ შეუძლია“. სწორედ ეს ორი პოსტულატი წარმადგენს ყოველი დიქტატურის საწყისსა და საფუძველს.

გიბსონის პარადოქსი

გარდა ზემოაღნიშნული მსჯელობისა მონეტარული ექსპანსიის მხარდამჭერებისათვის დაუძლეველ ბარიერს წარმოადგენს „გიბსონის პარადოქსის“ სახელით ცნობილი ემპირიული კვლევა, რომელიც ბრიტანელმა ეკონომისტმა ალფრედ გიბსონმა ჩაატარა 1923 წელს. პარადოქსი მას კეინსიანელებმა უწოდეს, რადგან მიუხედავად მოცემული ემპირიული მაჩვენებლებისა ,არ ისურვეს მათ მიერ შემუშავებული „სურაგაციული“ თეორიის გაუმართაობის აღიარება. აღნიშნულ პრობლემასთან განმკლავებას ამაოდ ეცადნენ ირვინგ ფიშერი და მილტონ ფრიდმანიც. ეს ის შემთხვევაა, როცა მეცნიერი ხელმძღვანელობს ლოგიკით: „თუ ფაქტები ჩემი თეორიის საპირისპიროს მეტყველებენ, მით უარესი ფაქტებისთვის.“

მონეტარული ექსპანსიის მხარდამჭერი ზემოაღნიშნული მეცნიერების მიხედვით სარგებლის განაკვეთსა და ფასების ინფლაციას შორის არსებობს დადებითი კორელაცია. სწორედ ამ იდეაზეა აგებული ძირითადი მაკროეკონომიკური სახელმძღვანელოების უმრავლესობა და იგი წარმოადგენს ცენტრალური ბანკების ინფლაციური პოლიტიკის მთავარ თეორიულ საყრდენს. თუმცა გიბსონის მიერ მოპოვებული ემპირიული მონაცემები საპირისპიროს ამტკიცებენ. იხ. დიაგრამა 1. სურათზე ჩანს, რომ ფასების დონესა და სარგებლის განაკვეთს შორის არსებობს დადებითი კორელაცია. ამასთან, დიაგრამა 2 გვიჩვენებს, რომ წლიური ინფლაციასა და სარგებლის განაკვეთს შორის კორელაცია არ არსებობს.

„პარადოქსი“ როგორც მას კეინსიანელებმა უწოდეს, სულაც არ წარმოადგენს აუხსნელ მოვლენას. თავისუფალ ბაზარზე, სარგებლის განაკვეთი განისაზღვრება საინვესტიციო

ბიზნესის მოთხოვნების (შესაძლებლობების) მიხედვით. საინვესტიციო ბიზნეს პროექტების უნარი მოემსახურონ სესხს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იზრდება ან მცირდება მათი პროდუქციის ფასი, რადგან ნორმალურ მდგომარეობაში გაყიდვები წარმოადგენს სესხის მომსახურების ძირითად წყაროს. შესაბამისად კორელაცია რომელიც დიაგრამა 1-ზეა ნაჩვენები,სრულიად ბუნებრივია.



დიაგრამა 1. გიბსონის პარადოქსი 1750-1930 წწ

წყარო : ONS, Chronicle of Britain



დიაგრამა 2. გიბსონის პარადოქსი 1750-1930წწ

წყარო: ONS, Chronicle of Britain

დიაგრამა 2 გვიჩვენებს, რომ ცენტრალური ბანკების მონეტარული პოლიტიკა, სარგებლის განაკვეთის საშუალებით აკონტროლოს ფასები, არ ემყარება გამართულ თეორიულ საფუძვლებს, მის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს ფულის რაოდენობრივი თეორიისადმი ბრმად ნდობა. ცენტრალური ბანკის მთავარ შეცდომას წარმოადგენს რწმენა, რომ ფულის ფასი დამოკიდებულია მის მიერ დაწესებულ სარგებლის განაკვეთზე და არა იმ პროდუქტზე, რომელზეც იცვლება ეს ფული.

აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ხვალინდელი ფასები და შესაბამისად ფულის მსყიდველობითი უნარი - სუბიექტურ კატეგორიას განეკუთვნება. სხვაგვარად, რომ ვთქვათ შეუძლებელია მისი წინასწარ განსაზღვრა. წინაამდეგ შემთხვევაში ჩვენ შეგვეძლო რაიმე გვეყიდა ან გაგვეყიდა დღეს მომავალი მოგების ზუსტად განსაზღვრის პირობით, რაც სრულიად არარეალურია. შესაბამისად ფულისა და საქონლის რაოდენობა არ არის ფასებს შორის ურთიერთკავშირის დადგენის საშუალება. უფრო მნიშნელოვანია მომხმარებელთა მხრიდან რას ენიჭება უპირატესობა დროის კონკრეტულ მონაკვეთში ფულს თუ მის ნაცვლად მისაღებ საქონელს.

გიბსონის პარადოქსის ჭეშმარიტება ცხადი იყო მთელი 240 წლის მანძილზე (იხ. დიაგრამა 3), მანამ სანამ ინგლისის ცენ-



ტრალურმა ბანკმა 1974 წელს არ განახორციელა ხელოვნური და ფასების დონიდან გამომდინარე არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთის დაწესება 17.1%. სწორედ ამის შემდეგ ხდება გიბსონის პარადოქსის „ჩახშობა“, რის გამოც ჩვენ დავკარგეთ რეალობის უფრო მკაფიოდ აღქმის საშუალება.

უხსოვარი დროიდან ინფლაცია, რეკომენდირებული იყო როგორც ღარიბი დებიტორებიდან მდიდარ კრედიტორებზე სესხის ტვირთის გადანაწილების საშუალება. კაპიტალიზმის პირობებში ტიპიური დებიტორები არიან არა ღარიბი, არამედ საკმაოდ მდიდარი მესაკუთრეები უძრავი ქონების, კომპანიების, აქციების, ხოლო ტიპიური კრედიტორებს წარმოადგენენ სადაზღვევო პოლისების, საშემნახველო ანაბრებისა და ობლიგაციების მფლობელი, საშუალო შემოსავლების მქონე პირები. **[8]** იდეა იმის შესახებ, რომ რაოდენობრივი შერბილების პოლიტიკის მსხვერპლნი არიან მილიარდერები მცდარი და უსუსურია. ბოლო 7 წლის განმავლობაში ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ განხორციელებული მონეტარულ ექსპერიმენტის ცალსახა და ცხად შედეგს ფასიან ქაღალდებზე ხელოვნურად შექმნილი სტაბილური მოთხოვნა და საფონდო ბირჟაზე ვოლ–სტრიტისათვის „ხელსაყრელი“ ფასების ფორმირება წარმოადგენს. ხოლო, რას მოიტანს აღნიშული პოლიტიკა გრძელვადიან პერიოდში უბრალო მოკვდავებისთვის ამას დრო გვაჩვენებს, თუმცა პოზიტიური პროგნოზებისათვის საჭირო არგუმენტები ჯერ საკმარისზე მცირეა.

დასკვნები

თავისუფალი ბაზარი წარმოადგენს ეკონომიკის ორგანიზების საუკეთესო საშუალებას. მიუხედავათ იმისა, რომ ეკონომისტთა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ მონოპოლია წარმოადგენს არაეფექტიანობის საფუძველს, მათი ნაწილისათვის რატომღაც შეუმჩნეველი რჩება მონეტარული სისტემის მონოპოლიური სახე. ამ შემთხვევაში მთავარ პრობლემას, ალბათ ფულის საქონლური ბუნების უარყოფა წარმოადგენდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში რთულად ასახსნელი

იქნება თუ რატომ ითვლება ერთი ტიპის საქონლის ბაზრისათვის მონოპოლია არაეფექტიანობის წყაროდ, ხოლო მეორე შემთხვევაში მისი ორგანიზების საუკეთესო საშუალებად. ფულის საქონლური ბუნების უარყოფისას ყურადღების მიღმა რჩება მისი ევოლუციის პროცესი და შემოქმედი - თავისუფალი ბაზარი. ქაღალდის ფული არ წარმოადგენს თავისუფალი ბაზრის ქმნილებას, შესაბამისად იგი უფრო სურაგაციული პროდუქტია ვიდრე ბუნებრივი, მისთვის დამახასიათებელი შესაბამისი ნაკლოვანებებით. მონეტარული სისტემის არსებული მოდელით ჩვენ ბაზარს წავართვით მის მამოძრავებელი მუხტი და გავხადეთ მონეტარულ ინტერვენციებზე დამოკიდებული ერთადერთი დიქტატორული მოტივით „უკეთ ვიცი“ და „უკეთ შემიძლია“. აქ კი საზოგადოებამ დაუშვა მთავარი შეცდომა რამეთუ, ოქროს სტანდარტი წარმოადგენს საბაზრო ფენომენს, არსებით სოციალურ ინსტიტუტს, რომლის გაუქმება ან ჩანაცვლება დაუშვებელია. ეპოქისა და ტექნოლოგიური პროგრესის შესაბამისად, ოქროს სტანდარტს სასურველი იყო შეეცვალა ფორმა და არა შინაარსი.

გამოყენებული ლიტერატურა
REFERENCES:

1. Carl Menger – On The Origins Of Money

2. Greg Rob - „Fed's forecast of 4 rate hikes in 2016 has risks: Rosengren" Marketwatch.com Jan 13, 2016

3. Hans F. Sennholz – „N0 Shortage Of Gold", Greenwood Press, London, England

4. Jeff Cox - „Fed's trillions haven't helped worker paychecks", CNBC 31.06.2015

5. Michael Spence, Kevin Warsh - „The Fed Has Hurt Business Investment" The Wall Street Journal Oct. 26, 2015

6. Murray N. Rothbard - „What Has Government Done to Our Money" . Ludwig von Mises Institute, fifth edition

7. Neil Irwin – „Quantitative Easing Is Ending. Here's What It Did, in Charts" – The New York Times 29/10/2014

8. Ludvig Von Mises – „The Theory of Money and Credit" (Chapter 1 - The Principle of Sound Money);

9. Frank Shostack – „How Easy Money Drives the stock market „ MISES Institute 9.04.2015

CRITICAL ASPECTS OF THE MODERN MONETARY SYSTEM

Mirza Khidasheli
Doctor of Business Administration
Associate Professor of Kutaisi University

RESUME

We live in very interesting decade, from the scientific point of view. We have seen the financial crisis - one we had not seen since 1930th. Full consequences of the financial experiments (QE) we will see in the long run, but we have experienced already some economic effects. The financial field is filled by outlooks and forecasts. They are aimed at targeting notions and expectations, but fail to explain the empirical environment. The popular scientific theories and approaches cannot explain the failure of the monetary interventions, the consequences of which are not consistent with the objectives.

This research highlights the divergence among targets and results of the modern central banks' monetary policy. These facts make us to look critically to the fundamental theories of modern monetary policy. For these reasons we have explored the critical aspects of monetary systems evolution, common stereotypes and their anti-facts.

Key Words: Money, Monetary System, Gold Standard, Gibson's Paradox.

საბანკო ინოვაციების ძირითადი ასპექტები

ხათუნა შალამბერიძე
ეად., ქუთაისის აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოც. პროფესორი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია თუ რა მოთხოვნებს უყენებს თანამედროვე საზოგადოება ბანკებს მათ საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბანკების მუშაობის მაღალეფექტიანობას. ამასთან დაკავშირებით აქტუალურია ბანკის საფინანსო საქმიანობის შეფასება. საბანკო ინოვაცია, ანუ ახალი საბანკო პროდუქტისა და მომსახურების ერთობლიობა - ეს არის ბანკის საქმიანობის სინთეზური გაგება, რომელიც მიმართულია დამატებითი შემოსავლების მიღებისაკენ. მსოფლიო პრაქტიკაში ჩვეულებრივ გამოყოფენ საბანკო ინოვაციების შემდეგ სახეებს: საბანკო პროდუქტები ახალ სეგმენტზე.

საბანკო ინოვაციების განხორციელებაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, მათ შორის რეგულირების სისტემა. პრაქტიკაში ჩვეულებრივ გამოიყოფა საბანკო ინოვაციების შემდეგი სახეები: ინოვაციური საქმიანობა, რომელიც შეესაბამება საბანკო საქმის რეგულირების მსოფლიო ტრადიციებს; სატრასტო ოპერაციები; სავალუტო ფასეულობებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება; ოპერაციები საბანკო ბარათებით; კონსულტაციური და საინფორმაციო მომსახურების გაწევა; ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სპეციალური სეიფების არენდით გაცემა ან დოკუმენტებისა და ფასეულობების შენახვა.

ბანკები დაინტერესებულნი არიან თავიანთი მომსახურების მეთოდიკის მოდერნიზებით, რათა მიაღწიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფასების ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს მათ კონკურენტულ პოზიციას. ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება - ეს არის ბანკის საქმიანობის

სტრატეგიის ცვლილების პროცესი. საბანკო ინოვაცია ახალ პროდუქტებად გამოვლინდება მხოლოდ ფინანსურ ბაზარზე ან ბანკის შიგნით მისი რეალიზაციის პროცესში.

საბანკო ინოვაციების ძირითადი ამოცანების გადაჭრა საფუძველს უქმნის დროის აუცილებელი პერიოდის, მატერიალური, ფინანსური, შრომით და საინფორმაციო რესურსების განსაზღვრას. დროისა და რესურსების ერთ პროცესში გაერთიანება განსაზღვრავს საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფციის მნიშვნელობას ბანკების საქმიანობისთვის.

საკვანძო სიტყვები: საბანკო ინოვაცია; საბანკო ინოვაციების სახეები; ახალი საბანკო პროდუქტი; საბანკო ინოვაციების განხორციელებაზე მოქმედი ფაქტორები; საბანკო ინოვაციის დაგეგმვა; საბანკო ინოვაციის პროდუცენტი; საბანკო ინოვაციის ციკლები.

შესავალი

საქართველოს კომერციული ბანკები დაარსების დღიდანვე ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ ვითარდებიან და მიიწევენ წინ. დღევანდელ ეპოქაში კომერციული ბანკები უამრავ ფუნქციას ასრულებენ და სთავაზობენ პროდუქციას საქართველოში არსებულ მომხმარებელს. დღეს საქართველოში არსებული კომერციული ბანკები ქმნიან და სთავაზობენ მომხმარებელს სხვადასხვა სახის პროდუქციასა და მომსახურებას, რომლის რეალიზაცია საბანკო საქმიანობის შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, ამიტომაც ბანკების მხრიდან მათი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ახალი საბანკო პროდუქტების შექმნა.

ბანკების ხელმძღვანელობა ეძებს გზებს იმისა, თუ როგორ მიიტანოს პროდუქცია მომხმარებლამდე, როგორ დააინტერესოს ისინი, ცდილობენ რომ შექმნან ისეთი პროდუქტი,რომელიც იქნება მიმზიდველი, მარტივად გასაგები და კლიენტისათვის დიდი სარგებლის მომტანი, ამ უკანასკნელთა მიერ კი საბანკო პროდუქტის შეძენა, ბანკის შემოსავლების ზრდისა და წარმატების გარანტია.

ძირითადი ტექსტი

მოსახლეობის მოთხოვნილება საბანკო პროდუქტების მიმართ დღითიდღე იზრდება, ისინი მოითხოვენ ბანკებისაგან ისეთ პროდუქტებს რომელიც მაქსიმალურ სარგებელს მოუტანს მათ ბიზნესს და ასევე მისი გამოყენებით დაიკმაყოფილებენ გარკვეულ მოთხოვნილებებს. აქედან გამომდინარე დღევანდელ დღეს მკაცრი კონკურენციის პირობებში ბანკები იძულებულნი არიან მუდმივად ისწრაფოდნენ თავისი კლიენტებისა და მათი რესურსებისათვის, გააკეთონ ისეთი ახალი პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზება, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარ და მისი კლიენტებისათვის აუცილებელ მოგებას, საიმედოობას და სტაბილურობას, აგრეთვე უნარს - სწრაფად მოახდინოს რეაგირება საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებაზე.

საბანკო ინოვაციები შეიძლება იყოს სპეციალიზებული და კომბინირებული. ახალი საბანკო მომსახურება - ეს არის კლიენტისთვის მოგების მისაღებად გაწეული საქმიანობა, რომელსაც მოაქვს დამატებითი საკომისიო შემოსავალი. საბანკო პროდუქტებისაგან განსხვავებით, მომსახურებას შეიძლება ჰქონდეს დაუსრულებელი ხასიათი.

ახალი საბანკო პროდუქტი - ეს არის კომბინირებული ან არატრადიციული საბანკო მომსახურების ფორმა, რომელიც იქმნება საბანკო მოთხოვნილებების მარკეტინგული გამოკვლევის საფუძველზე. ახალი საბანკო პროდუქტი შეიძლება იყოს საკრედიტო-საფინანსო ინსტრუმენტი.

თანამედროვე საბანკო ინოვაციები წარმოდგენილია მრავალნაირი საგადასახადო საშუალებებისა და ინსტრუმენტების სახით: ფასიანი ქაღალდები, ფულადი ვალდებულებები, საბანკო ბარათები, სადეპოზიტო სერტიფიკატები. ეკონიმიკური გაგებით, საბანკო სფეროს სიახლეები შეიძლება დაიყოს 2 ტიპად: ტექნოლოგიური და სასაქონლო. ტექნოლოგიურ ინოვაციებს მიეკუთვნება ფულადი საშუალებების ელექტრონული გზავნილები, საბანკო ბარათები.

საბანკო ინოვაცია, ანუ ახალი საბანკო პროდუქტისა და მომსახურების ერთობლიობა - ეს არის ბანკის საქმიანობის

სინთეზური გაგება, რომელიც მიმართულია დამატებითი შემოსავლების მიღებისაკენ. მსოფლიო პრაქტიკაში ჩვეულებრივ გამოყოფენ საბანკო ინოვაციების შემდეგ სახეებს: საბანკო პროდუქტები ახალ სეგმენტზე. ინვესტიციები უძრავ ქონებაში, სადაზღვევო ბიზნესი, ფინანსური ლიზინგი, სატრასტო ოპერაციები და სხვა; ინოვაციები ფულად-საფინანსო ბაზრის ახალ სფეროებში, ისეთები, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების, ფინანსური ფიუჩერსების, ოფციონების, არაკოტირებული ფასიანი ქაღალდების ბაზრები; ნაღდი ფულის მართვა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; ფინანსური შუამავლების მომსახურება, რომელიც მიმართულია ოპერაციული ხარჯების შემცირებაზე, და აქტივებისა და ვალდებულებების ეფექტიან მართვაზე, მაგალითად, დეპოზიტური სერტიფიკატები, საფინანსო ბაზრის დეპოზიტური ანგარიშები და სხვა; ახალი პროდუქტები სასესხო კაპიტალის ბაზრის ტრადიციულ სეგმენტებზე, მაგალითად, ინსტრუმენტები მცურავი საპროცენტო განაკვეთებით, სვოპი, ობლიგაციები დისკონტით და სხვა.

საბანკო ინოვაციების განხორციელებაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი, მათ შორის რეგულირების სისტემა. პრაქტიკაში ჩვეულებრივ გამოიყოფა საბანკო ინოვაციების შემდეგი სახეები: ინოვაციური საქმიანობა, რომელიც შეესაბამება საბანკო საქმის რეგულირების მსოფლიო ტრადიციებს; სატრასტო ოპერაციები; სავალუტო ფასეულობებთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოება; ოპერაციები საბანკო ბარათებით; კონსულტაციური და საიფორმაციო მომსახურების გაწევა; ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის სპეციალური სეიფების არენდით გაცემა ან დოკუმენტებისა და ფასეულობების შენახვა.

საბანკო ინოვაცია დროის ფუნქციაა. ის მხოლოდ დროის იმ ფარგლებში მოქმედებს, რომლებსაც მოცემული ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის საწყისი და ბოლო წერტილები განსაზღვრავენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბანკო ინოვაციად არ შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი საბანკო პროდუქტი და ოპერაცია,

რომლებიც მხოლოდ მოცემული ბანკისთვისაა ახალი, სხვა ბანკებში კი ისინი კარგა ხნის რეალიზებულია.

საბანკო ინოვაციებისთვის არც იმ უმნიშვნელო ცვლილებების მიკუთვნება შეიძლება, რომლებიც კერძო წესს ატარებენ და არ ცვლიან საბანკო პროდუქტის ან ოპერაციის არსს და შინაარსს. ესაა, მაგალითად, საბანკო ანგარიშებზე ან დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების შეცვლა, დეპოზიტური ანაბრების ვადების შეცვლა და სხვა.

ბაზარზე რეალიზებული ახალი საბანკო პროდუქტები და ტექნოლოგიები წარმოადგენს ინოვაციას. საბანკო ინოვაცია მოიცავს: ა) ახალ საბანკო პროდუქტს, რომელიც საერთოდ პირველად გამოჩნდა საფინანსო ბაზარზე; ბ) მოცემული ქვეყნისათვის ახალ საზღვარგარეთულ საბანკო პროდუქტს; გ) ახალ ფინანსურ ოპერაციებს.

საბანკო ინოვაცია შედგება: ტექნოლოგიური ინოვაციებისაგან (ელექტრონული საგადასახადო ინსტრუმენტები, ინტერნეტ ბანკინგი, მობაილ-ბანკინგი, ტელეფონ–ბანკი...) და პროდუქტიული ინოვაციებისაგან (სატრასტო მომსახურება, ლიზინგური გარიგებები, ფაქტორინგი).

საბანკო ინოვაცია დროს მოითხოვს და მთელ რიგ სტადიებს გადის, რომელთა ერთობლიობა მისი სიცოცხლის ციკლს შეადგენს.

საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლი დროის ის გარკვეული პერიოდია, რომლის განმავლობაშიც საბანკო პროდუქტს ან ოპერაციას აქტიური სასიცოცხლო ძალა აქვს და გარკვეული მოგება ან სხვა რეალური სარგებელი მოაქვს ბანკისთვის, როგორც ინოვაციის პროდუცენტისა (მწარმოებლისა) და გამყიდველისათვის.

საბანკო ინოვაციის პროდუცენტი (ლათ. Producens - მწარმოებელი) მოცემული საბანკო ინოვაციის მწარმოებელია, ე.ი. ესაა თვითონ ბანკი ან ბანკების ასოციაცია.

საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფციას დიდი მნიშვნელობა აქვს ინოვაციების წარმოების დაგეგმვისა და საბანკო სისტემაში ინოვაციური პროცესის ორგანიზაციი-

სათვის. ეს შემდეგში ვლინდება:

1) საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია აიძულებს ბანკის ხელმძღვანელს და მის მარკეტინგულ სამსახურს, სამეურნეო საქმიანობა გაანალიზონ როგორც ახლანდელი დროის პოზიციიდან, ისე ამ საქმიანობის განვითარების პერსპექტივების თვალსაზრისითაც, ე.ი. მომავალი დროის პოზიციიდანაც.

2) საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია ასაბუთებს იმას, რომ აუცილებელია ინოვაციების გამოშვების დაგეგმვის (იდეის ძიება, ინოვაციური პროცესის ორგანიზაცია, საბანკო ინოვაციის შექმნა, მისი გატანა ბაზარზე) და ინოვაციების შეძენის (მოთხოვნის შესწავლა, საბანკო მარკეტინგი, ბენგმარკეტინგი) სამუშაოთა სისტემატიურად წარმართვა.

3) საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია ინოვაციის ანალიზისა და დაგეგმვის მექანიზმის საფუძველია. საბანკო ინოვაციის ანალიზის დროს შეგვძლია დავადგინოთ, თუ სასიცოცხლო ციკლის რომელ სტადიაზე იმყოფება ინოვაცია, როგორია მისი უახლოესი პერსპექტივა, როდის დაიწყება მკვეთრად დაქვეითება და როდის დაასრულებს ინოვაცია თავის არსებობას.

საბანკო ინოვაციის დაგეგმვა ინოვაციის მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე შეიძლება განხორციელდეს. მისი სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია საშუალებას გვაძლევს საბანკო ინოვაციის დაგეგმვის კუთხით წარმოებული მთელი საქმიანობა შემდეგ ელემენტებად დავყოთ: საფინანსო ბაზრის კვლევა; საბანკო ინოვაციის ბაზრის კვლევა ბაზრის მოცემული აქტივის მიხედვით; საბანკო ინოვაციის სიცოცხლის ხანგრძლივობის კვლევა; საბანკო ინოვაციის დამუშავება (ე.ი. საბანკო პროდუქტის ან ახალი ოპერაციის წარმოება); ფასების პოლიტიკა; რეკლამა; საბანკო ინოვაციის გაყიდვის (რეალიზაციის) ორგანიზაცია; საბანკო ინოვაციის დიფუზია.

ბანკს როგორც საბანკო ინოვაციის პროდუცენტს გამუდმებით უხდება შემდეგი ოთხი ამოცანის გადაჭრა:

1. რა უნდა გაკეთდეს არსებული ფინანსური ბაზრების გასა-

ფართოებლად და ახალი ბაზრების ასათვისებად? 2. რა უნდა გაკეთდეს საბაზრო ინოვაციის დასამუშავებლად? 3. რა უნდა გაკეთდეს საბაზრო ინოვაციის დასანერგად ბაზარზე? 4. როგორ უნდა ვმართოთ ეფექტიანად საბანკო ინოვაცია?

ამ ამოცანების გადაჭრა საფუძველს უქმნის დროის აუცილებელი პერიოდის, მატერიალური, ფინანსური, შრომით და საინფორმაციო რესურსების განსაზღვრას. დროისა და რესურსების ერთ პროცესში გაერთიანება განსაზღვრავს საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფციის მნიშვნელობას ბანკების საქმიანობისთვის. საბანკო ინოვაციის ციკლებს განასხვავებენ საფინანსო ინოვაციების სახეობების მიხედვით.

ახალი საბანკო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლი შვიდ სტადიას მოიცავს: 1. ახალი საბანკო პროდუქტის დამუშავება; 2. ბაზარზე გამოსვლა; 3. ბაზრის განვითარება; 4. ბაზრის სტაბილიზება; 5. ბაზრის კლება; 6. ბაზრის აღმავლობა; 7. ბაზრის დაქვეითება.

საქართველოში არსებული კომერციული ბანკები მოსახლეობას სთავაზობს სხვადასხვა სახის პროდუქტს. ბანკის პროდუქტს წარმოადგენს მის მიერ მომხმარებლისათვის მიწოდებული ნებისმიერი სახის მომსახურება, რომელთა ძირითად ტიპებს წარმოადგენს საკრედიტო მომსახურება, სადეპოზიტო მომსახურება, ანგარიშსწორებაში შუამავლობა. ასევე სხვადასხვა დანიშნულების პლასტიკური ბარათები, სადეპოზიტო სერთიფიკატები, ინტერნეტ ბანკინგი, ტელეფონ ბანკინგი, ბანკი-კლიენტი, SMS ბანკინგი და სხვა.

ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი პლასტიკური ბარათების გამოყენებაზეა დაფუძნებული და მოიცავს ბანკომატების მეშვეობით განხორციელებულ ოპერაციებს, სავაჭრო ორგანიზაციებში მოსახლეობის ანგარიშსწორების ელექტრონული სისტემებს, კლიენტების საბანკო მომსახურების სისტემებს ბინაზე და სამუშაო ადგილზე.

პლასტიკური ბარათი განმაზოგადებელი ტერმინია და მოიცავს სხვადასხვა სახეობის ბარათებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც დანიშნულებითა და მათი

მეშვეობით გაწეული მომსახურების კომპლექსით, ისე ტექნიკური შესაძლებლობებითა და გამოშვებული ორგანიზაციებით.

ბანკომატი მრავალფუნქციური ავტომატია, ე.წ. ავტობანკი, რომელსაც მართავს მაგნიტური პლასტიკური ბარათების ახალი თაობა.

ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ინოვაციური პროდუქტია დისტანციური საბანკო მომსახურება, რომელიც კლიენტებს აძლევს საშუალებას, განახორციელონ საბანკო ოპერაციები ბანკში მიუსვლელად, ტელეკომუნიკაციების სხვადასხვა არხის გამოყენებით.

ინტერნეტის გამოგონებით საფუძველი დაედო მრავალი ახალი საბანკო პროდუქტის, მათ შორის ინტერნეტ-ბანკინგის შექმნას, რომელიც ახალ სიტყვას წარმოადგენს საბანკო ტექნოლოგიების სფეროში.

მობაილ ბანკი არის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც იტვირთება კლიენტის მობილურ ტელეფონში და ინსტალირდება ცალკე მენიუს სახით. მობაილ ბანკის საშუალებით შესაძლებელია მომხმარებელმა აკონტროლოს, მართოს და განკარგოს საკუთარი საბანკო ანგარიშები მობილური ტელეფონის საშუალებით 24 საათის განმავლობაში.

ტელეფონ ბანკი - სატელეფონო მომსახურება გულისახმობს კლიენტის მიერ ბანკში გამოუცხადებლად სატელეფონო კავშირის გამოყენებით ბანკის მიერ განსაზღვრული: საბანკო ინფორმაციის მიღებას; სხვადასხვა სერვისით სარგებლობისათვის რეგისტრაციას და ცვლილებების შეტანას რეგისტრირებულ მონაცემებში; ლიმიტების ფარგლებში სხვადასხვა საბანკო ოპერაციის განხორციელებას.

ბანკის საკრედიტო და საოპერაციო პროდუქტების მომსახურების შესახებ პირველადი ინფორმაციის მიღება (პირობები, ტარიფები, საჭირო საბუთები); ვალუტების კურსების შესახებ ინფორმაციის მიღება; სესხის განაცხადის გაკეთება შეუძლიათ ნებისმიერ პირს, ხოლო ტელეფონ ბანკის სხვა მომსახურების მისაღებად კლიენტს უნდა გააჩნდეს სატელეფონო კოდი ან კოდური სიტყვა.

SMS სერვისი არის თანამედროვე ტექნოლოგიური ტიპის მომსახურება. კლიენტისთვის ნებისმიერ დროსა და ადგილას შესაძლებელია მიიღოს ინფორმაცია საკუთარ საბანკო ანგარიშებზე მომხდარი ოპერაციების შესახებ და მოითხოვოს საჭირო საბანკო ინფორმაცია ან შეასრულოს გარკვეული ტიპის ოპერაციები SMS-ის საშუალებით.

დასკვნა

ამრიგად, ბანკები ცდილობენ ააგონ კლიენტების მომსახურეობის ინდივიდუალური სისტემა, რომ მათი სახე განსხვავდებოდეს სხვა ბანკებისაგან, რათა მომხმარებელმა შეძლოს ამ ბანკის გამორჩევა სხვა ბანკებისაგან.

საბანკო ინოვაციების ძირითადი ამოცანების გადაჭრა საფუძველს უქმნის დროის აუცილებელი პერიოდის, მატერიალური, ფინანსური, შრომით და საინფორმაციო რესურსების განსაზღვრას. დროისა და რესურსების ერთ პროცესში გაერთიანება განსაზღვრავს საბანკო ინოვაციის სასიცოცხლო ციკლის კონცეფციის მნიშვნელობას ბანკების საქმიანობისთვის.

საბანკო ინოვაციის დაგეგმვა ინოვაციის მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე შეიძლება განხორციელდეს. მისი სასიცოცხლო ციკლის კონცეფცია საშუალებას გვაძლევს საბანკო ინოვაციის დაგეგმვის კუთხით წარმოებული მთელი საქმიანობა სხვადასხვა მნიშვნელოვან ელემენტებად დაიყოს.

ინოვაციების დანერგვის დროს წარმატების ფაქტორების სახით გამოყოფილია მექანიზმები, რომლებიც შემდეგი სახისაა: ბანკის მიკუთვნება ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიციონირების მქონე ჯგუფზე, აუცილებელი ფინანსური რესურსების არსებობა, პროდუქტებისა და მომსახურების საკმარისი ასორტიმენტი უფასო უპირატესობა, მოგებიანობა, ტექნოლოგიური დონე და ინოვაციური პოტენციალი, თანამშრომელთა პროფესიონალიზმი და კლიენტთა მომსახურების მაღალი დონე, რაც ერთის მხრივ, საშუალებას აძლევს საბანკო სექტორს მიიღოს გარანტირებული მოგება და, მეორეს მხრივ, კმაყოფილი მომხმარებელის თანაარსებობას.

BASIC ASPECTS OF THE BANKING INNOVATIONS

Khatuna Shalamberidze
Academic Doctor of Economics,
ATSU, Kutaisi University, Associated Professor

RESUME

Banking innovation planning throughout the lifecycle can be carried out. In bank activity the exact organization of bank products sale and service is very important thing for preserving the customers database and its further development. In order to achieve the efficient sale of bank products and to increase incomes from the sale, the board of bank and managers shall do their best in order to offer products that will be acceptable and good for customers.

Otherwise, the attempt of issue of any product, if it don't have a buyer on the market, it will lose the importance and the bank will stay without income. There are the important rules for the efficient sale of bank products which shall be considered by bank manager in order to achieve the maximization of bank products salability.

Key words: Banking Innovation; Types of banking innovations; the new banking product; Factors affecting the implementation of the banking innovations; Banking Innovation Planning; Banking Innovation producers; Banking innovation cycles.

მთლიანი შიდა პროდუქტი და ანგარებითი დანაშაული

დავით ნაჭყებია
სსიპ მარტვილის მუნიციპალიტეტის
დიდი ჭყონის N1 საჯარო სკოლის დირექტორი

რეზიუმე

სტატიაში მოცემულია ახალი შეხედულება, კერძოდ, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის კვალობაზე, როდესაც მიღწეულ იქნება კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა, აღმოიფხვრება ანგარებითი დანაშაულობების ორივე მიზეზი-ფიზიოლოგიური საჭიროება და პატივმოყვარეობა. შესაბამისად, არ მოხდება ანგარებითი დანაშაულიც.

საკვანძო სიტყვები: „ანგარებითი დანაშაული“, „მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე“, „ფიზიოლოგიური საჭიროება“, „პატივმოყვარეობა“, „სიღარიბე“, „კეთილდღეობა“, „სოციალური თანასწორობა“.

შესავალი

საზოგადოების მომავალი განვითარების ობიექტური კანონების შეცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს იმაში მდგომარეობს, რომ შეცდომა არ დავუშვათ და ამ სწორ, კანონზომიერ გზას არ ავცდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კაცობრიობამ შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგები მიიღოს.

ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის(მშპ) ზრდა, როგორც ცნობილია, გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროზე, ესენია:განათლება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, სპორტი და სხვა. რა შე-

იძლება ითქვას დანაშაულთან მიმართებაში, ანუ რა გავლენას ახდენს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდა დანაშაულზე, კერძოდ, ანგარებით დანაშაულზე?

ძირითადი ტექსტი

დანაშაულობათა კლასიფიკაცია. წინამდებარე ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე დანაშაულობებს დავყოფ ორ დიდ ჯგუფად-ანგარებით და არაანგარებით დანაშაულობებად.

ანგარებითი დანაშაულობების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი მას სჩადის უშუალოდ ფულის ან სხვა მატერიალურ ფასეულობათა მოპოვების მიზნით. ასეთია:ა)დანაშაული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ; ბ) დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ; გ) სამეურნეო და დ)თანამდებობრივი დანაშაულობანი.

არაანგარებითი დანაშაულობების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ასეთი სახის დანაშაულობებს სჩადის არა მხოლოდ ფულის, არამედ სხვა მიზეზებითაც. მაგალითად, პატივმოყვარეობის, იდეოლოგიური, მრწამსის, სიძულვილის, ხულიგნური ქვენაგრძნობის და სხვა მიზეზებით. ესენია:დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ, პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ, მოქალაქეთა შრომითი და პოლიტიკური უფლებების წინააღმდეგ, მმართ-ველობის წესის, მართლმსაჯულების, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, აგრეთვე სამხედრო დანაშაული. ჩემი მიზანია იმის დადგენა თუ რა გავლენას ახდენს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდა სწორედ ანგარებით დანაშაულობებზე.

ანგარებით დანაშაულობათა ფაქტორები.

როგორც ცნობილია, მასლოუ ხუთი სახის ადამიანურ საჭიროებებს განასხვავებდა. ესენია:ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური, პატივისცემის მოპოვების და თვითრეალიზაციის. საჭიროა დაისვას კითხვა:აღნიშნულთაგან რომელი მოტივებით სჩადის ადამიანი ანგარებით დანაშაულობებს, ანუ რომელი მოტივი(საჭიროება) ამოძრავებს ადამიანს, როდესაც

ის არამართლზომიერი გზით მოიპოვებს ფულს ან სხვა მატერიალურ ფასეულობებს?ესენია ფ ი ზ ი ო ლ ო გ ი უ რ ი (კვების, წყლის მიღების, თავშესაფრის, შესამოსის, გადაადგილების, დასვენების, სითბოს) და პ ა ტ ი ვ მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ი ს (უპირატესობისა და პირველობის მოპოვება, საზოგადოებრივი სტატუსი, პოპულარობისა და აღიარების მოპოვება და სხვა) მოტივები. ფული ადამიანმა შეიძლება მოიპაროს საკვების მოპოვების, საცხოვრებლის ან სხვა მსგავსი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. ასევე, ძვირადღირებული საქონლის (მაგ;ავტომობილის), ან მომსახურების შესაძენად, იმისათვის, რომ მოიპოვოს საზოგადოებრივი სტატუსი, პრიორიტეტული საზოგადოებრივი მდგომარეობა, გარშემომყოფთა მხრიდან აღიარება.

რომელია უფრო ძლიერი, უფრო მაიძულებელი საჭიროება?ცხადია, უფრო მაიძულებელია ფიზიოლოგიური ფაქტორი, ვიდრე პატივმოყვარეობა. პირველის შეკავება უფრო ძნელია ვიდრე მეორის.

რატომ სჩადიან ღარიბი და საშუალო შემოსავლების მქონე ადამიანები ანგარებით დანაშაულობებს?

რატომ სჩადის ღარიბი ადამიანი ანგარებით დანაშაულს? სიღარიბის ზღვარს განმარტავენ, როგორც ადექვატური (სრულფასოვანი) კვებისთვის საჭირო ხარჯებზე დახლოებით სამჯერ მეტს (გ. მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. გამ. „დიოგენე“. თბ. 2008. გვ. 414). სრულფასოვანი კვებისთვის თვეში საჭიროა დაახლოებით 250 ლარი. შესაბამისად, სიღარიბის რეალური ზღვარი შეადგენს 750 ლარს. ღარიბი ადამიანი, ანუ რომელსაც თვის შემოსავალი აქვს დაახლოებით 400 ლარი, თუ ანგარებით დანაშაულს სჩადის, იოლი სავარაუდოა, რომ ეს განპირობებულია ფიზიოლოგიური საჭიროებებით-საკვების, თავშესაფრის, ტანსაცმლის, გადაადგილების, ჯანმრთელობის და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ხოლო რატომ სჩადის საშუალო შემოსავლების მქონე ადამიანი ანგარებით დანაშაულს? ჩვენ ვიცით, რომ მისი შემოსავალი თვეში 750 ლარზე მეტია, მას არა აქვს საკვების, შესამოსის, ტრანსპორტირების და სხვა საჭიროებათა პრობლემები.

შესაბამისად, როდესაც ის სჩადის ანგარებით დანაშაულს-კორუფციას, ქურდობას თუ სხვა ამ ჯგუფის დანაშაულს, მისი მამოძრავებელი მოტივი არ არის ფიზიოლოგიური საჭიროება. სინამდვილე იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ადამიანი ანგარებით დანაშაულს სჩადის სხვისი უპირატესობის განცდის გამო. როდესაც სხვა ადამიანები, კერძოდ, მდიდრები ფლობენ ძვირადღირებულ სახლს, ავტომობილებს, ავეჯს თუ სხვა მატერიალურ ფასეულობებს, მაგალითად, 2 მილიონ დოლარად ღირებულ სახლს, 200 ათას დოლარად ღირებულ „ფერარის“ და სხვა, მათ უჩნდებათ სხვისი უპირატესობის განცდა, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს „მე სუსტი ვარ, მე არ ვარ ძლიერი“ აზრის გაბატონებას ქვეცნობიერში, რაც არასრულფასოვნების განცდას იწვევს. ადამიანი კი თავისი ბუნებით პირიქით-ისწრაფვის საკუთარი სრულფასოვნების განცდისკენ, რაც ვლინდება იმაში, რომ ამჯერად თვითონაც ცდილობს ზემოთაღნიშნული მატერიალური ფასეულობების მოპოვებას. ხოლო როდესაც თავისი საშუალო შემოსავლები ამის შესაძლებლობას არ იძლევა, მან შეიძლება ჩაიდინოს სწორედ ანგარებითი დანაშაული.

როგორც ვხედავთ, თუ ღარიბი ადამიანი ანგარებით დანაშაულს სჩადის ფიზიოლოგიური საჭიროებების(მასლოუს პირამიდის პირველი საფეხური)გამო, საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანი ამას აკეთებს პატივმოყვარეობის (მასლოუს პირამიდის მეოთხე საფეხური) გამო.

სიღარიბისა და კეთილდღეობის საზოგადოებები. ამჯერად ერთმანეთს შევადაროთ ორი საზოგადოება-სადაც გარკვეული დოზით არის სიღარიბე, ანუ ერთ სულ მოსახლეზე მშპ ნაკლებია ქვეყნის სიღარიბის ზღვარზე-$ 10. 060-ზე და მეორე მხრივ, საზოგადოება, რომელმაც გადალახა სიღარიბის აღნიშნული ზღვარი. (ასეთ ქვეყანაში სიღარიბე მინიმალურია და დაახლოებით 10%-ს შეადგენს, მაგრამ მათ სახელმწიფო უზრუნველყოფს მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტით). ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს შევადაროთ ერთი ასპექტით-რა ფაქტორებით, საჭიროებებით ხდება ამ ქვეყნებში ანგარებითი დანაშაულობანი?

ღარიბ ქვეყანაში, სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს $10. 060-ზე ნაკლებს, წარმოდგენილია ყველა ფენა-ღარიბი, საშუალო და მდიდარი. ვინც ღარიბთაგან სჩადის ანგარებით დანაშაულს, ეს გამოწვეულია ფიზიოლოგიური საჭიროებებით. ამასთან, რისკი ანგარებითი დანაშაულის ჩადენისა, მაღალია. ხოლო ვინც საშუალო ფენიდან ჩადის ანგარებით დანაშაულს, ეს განპირობებულია პატივმოყვარეობის საჭიროებით. რისკი მათი მხრიდან ანგარებითი დანაშაულის ჩადენისა, პირველ შემთხვევასთან შედარებით, ანუ სიღარიბის შემთხვევასთან შედარებით, ნაკლებია. ე. ი. ღარიბ ქვეყანაში ორივე მოტივით ხდება ანგარებითი დანაშაული, როგორც ფიზიოლოგიურის, ისე ამპარტავნების გამო. მდიდრები კი თითქმის არ სჩადიან ასეთ დანაშაულს. ამის რისკი მინიმალურია.

რაც შეეხება კეთილდღეობის ქვეყანას, რომელმაც გადალახა სიღარიბის ზღვარი, ასეთ საზოგადოებაში არ არის სიღარიბე და ის ძირითადად წარმოდგენილია საშუალო ფენით და მდიდრებით. ანგარებით დანაშაულობათა რეგრესის თვალსაზრისით ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ქვეყანაში ანგარებით დანაშაულს სჩადის საშუალო ფენა, რაც განპირობებულია პატივმოყვარეობის მოტივით და რაც ნაკლები რისკია ანგარებითი დანაშაულის ჩადენის.

როგორც ვხედავთ, სიღარიბის საზოგადოებიდან კეთილდღეობის საზოგადოებაში გადასვლა ნიშნავს, რომ ანგარებით დანაშაულობათა ერთი ფაქტორი-ფიზიოლოგიური მოტივი აღმოიფხვრება:თუ სიღარიბის საზოგადოებაში ანგარებით დანაშაულობათა ჩადენა ხდება როგორც ფიზიოლოგიური, ისე პატივმოყვარეობის საჭიროებებით, კეთილდღეობის საზოგადოებაში ანგარებითი დანაშაული ხდება მხოლოდ პატივმოყვარეობის გამო. ამასთან, პატივმოყვარეობა ანგარებითი დანაშაულის ჩადენის ნაკლებად მაიძულებელი ფაქტორია.

ეს ყოველივე ნიშნავს, რომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ზრდის კვალობაზე მცირდება ანგარებით დანაშაულობათა პროცენტული რაოდენობა.

სოციალური თანასწორობის ეტაპი. სიღარიბისა და კეთილ-

დღეობის შემდეგ საზოგადოების განვითარების მომდევნო ეტაპი იქნება სოციალური თანასწორობის ეტაპი, მისი მაღალი ხარისხი. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევს შემდეგი სამი არგუმენტი:

• რაც უფრო მაღალია ამა თუ იმ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, მით უფრო მაღალია ამ ქვეყნის სოციალური თანასწორობის ხარისხი(ანუ, დაბალია ჯინის ინდექსი). ამის საილუსტრაციოდ შევქმნათ ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს, რომ მაღალი სოციალური თანასწორობის ქვეყნებში მაღალია მშპ ერთ სულზე.

მაღალი სოციალური თანასწორობის ქვეყნები	ჯინის კოეფიციენტი 33-ზე ნაკლები	მშპ ერთ სულზე ($ წელიწადში)
1.დანია	24,7	63.003
2.იაპონია	24,9	45.774
3.შვედეთი	25,0	61.098
4.ნორვეგია	25,8	96.591
5.ფინეთი	26,9	50.090

საშუალო დონის სოციალური თანასწორობის ქვეყნები	ჯინის კოეფიციენტი 33-დან 41-მდე	მშპ ერთ სულზე
1.ირლანდია	34,3	48.517
2.პოლონეთი	34,9	13.967
3.დიდი ბრიტანეთი	36,0	39.604

დაბალი სოციალური თანასწორობის ქვეყნები	ჯინის კოეფიციენტი 41-ზე მეტი	მშპ ერთ სულზე
1.თურქეთი	43,5	10.576
2.არგენტინა	50,0	10.640
3.ბრაზილია	55,0	12.917
4.კოლუმბია	58,5	6.980
5.ბოტსვანა	61,0	8.844
6.ნამიბია	74,0	6.087

დანარჩენი ორი არგუმენტი იმისა, რომ სიღარიბისა და კეთილდღეობის შემდეგი ეტაპი საზოგადოების განვითარებაში იქნება სოციალური თანასწორობის მაღალი ხარისხი, შემდეგში მდგომარეობს:

• საზოგადოების ეკონომიკური ზრდის კვალობაზე სულ უფრო შეიქმნება ყველა ადამიანისათვის განვითარებისა და თვითრეალიზაციის თანაბარი პირობები, რაც კიდევ უფრო მისცემს ადამიანებს სოციალური დაახლოების შესაძლებლობებს.

• ადამიანი თავისი ბუნებით ისწრაფვის სხვისი უპირატესობის აღმოფხვრისა და თანასწორობის მიღწევისკენ, მათ შორის სოციალური ასპექტითაც. ხოლო საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება ადამიანის ბუნების შესაბამისად მოეწყოს.

რა მნიშვნელობა ექნება სოციალური თანასწორობის მაღალი ხარისხის მიღწევას ანგარებით დანაშაულობათა შემცირების თვალსაზრისით?

სოციალური თანასწორობა და ანგარებითი დანაშაული. ჩვენ ბოლოს შევჩერდით კეთილდღეობის საზოგადოებაზე, რომელიც წარმოდგენილია ძირითადად საშუალო ფენითა და მდიდრებით, სადაც საშუალო ფენა ანგარებით დანაშაულს სჩადის მდიდრების სოციალური, მატერიალური უპირატესობის გამო.

მაგრამ სოციალური თანასწორობის სტადია სწორედ იმას გულისხმობს, რომ ეს უპირატესობა უკვე არ არსებობს, ყველას თანაბარი სოციალური მდგომარეობა უკავია. შესაბამისად, ერთი ადამიანი არ განიცდის მეორის მატერიალურ უპირატესობას, რაც ანგარებითი დანაშაულის ჩადენის მიზეზი ხდება. ეს ნიშნავს, რომ ამჯერად პატივმოყვარეობაც, როგორც ანგარებითი დანაშაულის ფაქტორი, გაუვნებელყოფილი იქნება.

ამრიგად, თუ კეთილდღეობის ეტაპზე ანგარებითი დანაშაულის ერთი ფაქტორი-პატივმოყვარეობა იყო დარჩენილი, სოციალური თანასწორობის ეტაპზე ეს ფაქტორიც აღმოიფხვრება. ეს იმას ნიშნავს, რომ ანგარებითი დანაშაული საერთოდ არ მოხდება.

საინტერესოა, რომ აქ შევამჩნევთ ფილოსოფიური, კერძოდ ონტოლოგიური კანონის მოქმედებას, რომლის მიხედვითაც, რაოდენობრივი ცვლელება გადადის თვისებრივ ცვლილებაში. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდის კვალობაზე ანგარებითი დანაშაულობების ჩადენა მცირდება, ხოლო სოციალური თანასწორობის მიღწევის დროისათვის ის საბოლოოდ აღმოიფხვრება.

ზემოთაღნიშნული, კერძოდ, სოციალური თანასწორობის გამო ანგარებით დანაშაულობათა აღმოფხვრის შესაძლებლო-

ბა შეიძლება ვივარაუდოთ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობითაც:სოციალური თანასწორობის მაღალი ხარისხის ქვეყნებში ყველაზე დაბალია ანგარებითი დანაშაულის ისეთი

ნაირსახეობა, როგორიცაა კორუფცია. ქვეყნები-დანია, შვედეთი, ნორვეგია და ფინეთი, რომლებიც სოციალური თანასწორობის ასპექტით ლიდერი ქვეყნებია, სწორედ რომ ლიდერობენ კორუფციის აღქმის ინდექსის ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით.

რა შეიძლება ითქვას საქართველოს შესახებ? 2015 წლის საქსტატის მონაცემებით საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით არის $3700. ეს ნიშნავს, რომ საქართველო ჯერაც ღარიბი ქვეყანაა და ანგარებითი დანაშაული ორივე მიზეზით ხდება.

რა დროში გადალახავს საქართველო სიღარიბის ზღვარს-$ 10060-ს და შესაბამისად, როდის აღმოიფხვრება პირველი ფაქტორი?

თუ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი იქნება 6-7%(რაც საკმაოდ მაღალია და დამახასიათებელი იყო სამხრეთ კორეისათვის სამი ათწლეულის განმავლობაში), სიღარიბის ზღვარის გადალახვისათვის ჩვენ გვჭირდება დაახლოებით 18 წელი. გამოვიყენოთ რთული პროცენტის ფორმულა:

$a(1+0,01xP)^n=3700(1+0,06)^{18}=10.561$

ამ დროისათვის გაუვნებელყოფილი იქნება პირველი და ამავე დროს საკმაოდ ქმედითი ფაქტორი ფიზიოლოგიური მოტივი. ანგარებითი დანაშაული 18 წლის შემდეგ მოხდება პატივმოყვარეობის გამო, რაც როგორც ვიცით, მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ვითარებას.

სოციალური თანასწორობის მაღალი ხარისხი გაცილებით შორეული პერსპექტივაა:

$3700(1+0,06)^{50}=68.154$

ეს ნიშნავს, რომ ამ დონეს საქართველო მიაღწევს დაახლოებით 50 წელიწადში, როცა ანგარებითი დანაშაული უნდა აღმოიფხვრას.

ძირითადი რეკომენდაციები

1. ტექნოლოგიების განვითარება და დანერგვა, რაც უზრუნველყოფს დანაშაულობათა გამოვლენას, ადამიანებს უბიძგებს თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისგან, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ასეთი სახის დანაშაულს.

2. მშპ ერთ სულ მოსახლეზე მართალია უმთავრესი დეტერმინანტია ანგარებითი დანაშაულობების აღმოფხვრის, მაგრამ არა ერთადერთი. სხვა ინსტიტუციონალური ფაქტორები და პოლიტიკური გადაწყვეტილებები, როცა წარმატებით იქნება განხორციელებული, მომავალში პროგრესი(დანაშაულობათა შემცირება)უფრო თვალშისაცემი გახდება.

3. საჭიროა საგანმანათლებლო სფეროში აღსაზრდელთა ეთიკური, მორალური აღზრდა. დღეს ჩვენ ვასწავლით მეცნიერებებს, მაგრამ არ ვასწავლით არა ნაკლებ მნიშვნელოვანს-კეთილშობილებას. ამისათვის საჭიროა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეთიკის სწავლების სავალდებულო საგნად შემოღება სულაც დაწყებითი საფეხურიდანვე.

4. უნდა დაჩქარდეს ეკონომიკური ზრდა, სიღარიბის აღმოფხვრა და მათ შორის, მე მომხრე ვარ ზო-

მიერად პროგრესული გადასახადის შემოღებისა, რომელიც მართალია, რამდენადმე ამცირებს ეკონომიკურ სტიმულებს, მაგრამ მეორე მხრივ, უზრუნველყოფს სიღარიბისა და უთანასწორობის მნიშვნელოვნად შემცირებას.

დასკვნა

ანგარებითი დანაშაულის ორი ფუნდამენტური ფაქტორი არსებობს: ფიზიოლოგიური და პატივმოყვარების. მაშინ, როდესაც, საზოგადოება აღწევს სიღარიბის ზღვარის გადალახვას, ანუ ქვეყნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გადააჭარბებს $ 10. 060-ს, გაუვნებელყოფილი იქნება პირველი -ფიზიოლოგიური ფაქტორი ანგარებითი დანაშაულის ჩადენისა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საზოგადოებაში ასეთი სახის დანაშაულის ჩადენას.

ხოლო მეორე ეტაპზე, როდესაც ესა თუ ის ქვეყანა მიაღწევს სოციალური თანასწორობის მაღალ ხარისხს, როდესაც მშპ ერთ სულზე საკმაოდ მაღალია(≈ $100. 000), მოხდება მეორე ფაქტორის-პატივმო-

ყვარეობის გაუვნებელყოფაც, რაც ამჯერად ნიშნავს არა მხოლოდ რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ პროგრესს ანგარებით დანაშაულობათა აღმოფხვრის გზაზე. ამ ეტაპზე უკვე აღარ მოხდება ანგარებითი დანაშაული.

ბიბლიოგრაფია

1. Maslow's hierarchy of needs. http://en. wikipedia. org

2. გრეგორი მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. გამ. „დოგენე". თბ. 2008.

3. www. geostat. ge

4. http://ka. wikipedia. org. ქვეყნების სია ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის(ნომინალი) მიხედვით.

5. 24 saati. ge. გრიგოლ ნიკოლეიშვილი. ჯინის კოეფიციენტი ანუ ეკონომიკური თანასწორობა თუ

ეკონომიკური თავისუფლება.

REFERENCES:

1. Maslow's hierarchy of needs. http://en. wikipedia. org

2. Gregory Mankiw. Principles of Economices. publ. „Diogene".

3. www. geostat. ge

4. http://ka. wikipedia. org. List of countries about Gross Domestic Product(per capita).

5. 24 saati. ge. Grigol Nikoleishvili. Gini coefficient. Economical equality or economical freedom.

GROSS DOMESTIC PRODUCT AND SELF-INTEREST CRIME

David Nachkebia
Lepl Martvili Municipality
Didi Chkoni , Public School N1, Director.

RESUME

This article includes a new opinion. Because of the increase the Gross Domestic Product, the society will achieve the stages of social wellfare and social parity. By reasons of this we will eradicate both causes of self-interest crimes: physiological factor and ambition. That is why in the future we will eradicate the self-interest crimes.

Key words: „Self-interest Crime", GDP per capita, „Physiological Need", Ambition, Poverty, Wellfare, Social Parity.

ტურიზმი – საქართველოს დეპრესირებული რეგიონების აღორძინების გზა

იოსებ ხელაშვილი
გეოგრაფიის დოქტორი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება საქართველოს მთიან და ეკონომიკურად დეპრესირებულ რეგიონებში ტურიზმის განვითარების აქტუალობას და წარმოდგენილია ავტორის მოსაზრება ამ საკითხისადმი მიდგომის თაობაზე. განიხილება საქართველოს ოთხი რეგიონი - რაჭა-ლეჩხუმი, გურია, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი. აღინიშნება ტურიზმის მნიშვნელობა მთიანი რეგიონებისათვის, ადგილობრივი არამატერიალური რესურსების სპეციფიკა და მათი დაკარგვის რისკი მთიანი რეგიონების მიმდინარე დეპოპულაციის ფონზე, რაც დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს დროის ფაქტორს. სტატიაში ავტორი იძლევა იმ ძირითად პილოტ-პროექტების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ამ რეგიონებში საბიუჯეტო დაფინანსებით და, რომლებიც უნდა შეასრულონ - საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო სააგენტომ, რეგიონის ტურიზმის სამეურვეო ცენტრმა, რეგიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდმა.

საკვანძო სიტყვები: დეპრესირებული რეგიონი, ინვესტიცია, ტურიზმი, პილოტ-პროექტები.

შესავალი

გეოგრაფიული მრავალფეროვნება, მათ შორის რესურსები, ეკონომიკის განვითარების პოტენციალს წარმოადგენს, რომლის რეალიზება ითხოვს ინვესტიციებს, მეწარმეობის განვი-

თარებას, საკადრო უზრუნველყოფას და ადეკვატურ სახლე-მწიფო რეგულირებას, მათ შორის დაფინანსების კუთხითაც. საქართველო მდიდარია ტურისტულ-რეკრეაციული რესურსე-ბით, რომლის პოტენციალი არ არის სრულად ათვისებული. ეს განსაკუთრებით ეხება მთიან რეგიონებს, სადაც ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები შეზღუდულია მთელი რიგი გარემოებების გამო, რომელთა შორისაა - რთული რელიეფი, მკაცრი კლიმატი, მყიფი ეკოლოგი გარემო. ასეთ ვითარებაში ტურიზმის ბიზნესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ამ დარგის განვითარების შესაძლო რესურსები დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეს ეხება საქართველოს მთიან რეგიონებსაც, სადაც ბუნებრივ პირობებთან ერთად, რესურსად შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი და მკვეთრად გამოხატული თვითმყოფადობა.

პირველი და ყველაზე აუცილებელი, რაც რესურსების ათ-ვისებას სჭირდება არის ინვესტიციები, რაც ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა. ექსპერტების აზრით, სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად ყოველწლიუ-რად ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციები მთლი-ანი შიდა პროდუქტის 30%-ს უნდა შეადგენდეს [3. გვ. 67]. ასეთ დროს საქართველოში დანაზოგის მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში მხოლოდ 2,5%-ს შეადგენს. ამასთან, დანაზოგების ინვესტირებაში ჩადების ინსტიტუცი-ონალური სტრუქტურებიც ნაკლებად არის განვითარებული ქვეყანაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშ-ვნელობას იძენს სახელმწიფოს როლი ზოგადად მეწარმოების განვითარებაში, კერძოდ კი მთიან რეგიონებში, სადაც საქა-რთველოში არსებობს ტურიზმის განვითარების მრავალფე-როვანი რესურსები. ამ როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეწარმეობის განვითარების საწყის ეტაპებზე, როდე-საც უნდა განისაზღვროს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია და გეგმები.

ძირითადი ტექსტი

ტურიზმის განვითარების აქტუალობა მთიან რეგიონებში. ტურიზმი მსოფლიო სამეურნეო საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი დარგია. „მსოფლიოს მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს“ და „ოქსფორდ ეკონომიკს“ მიერ ერთობლივად ჩატარებული კვლევების თანახმად, 2015 წელს, ტურიზმის ინდუსტრიის წვლილიმა გლობალურ მთლიან შიდა პროდუქტში შეადგინა 9,8%, რითაც იგი უკვე მეხუთე წელია უსწრებს ზოგადად ეკონომიკის განვითარების ტემპებს, მათ შორის ისეთ დარგებს, როგორიცაა, მაგალითად, მრეწველობა და საცალო ვაჭრობა [9, გვ. 1-2]. ამასთანავე, ტურიზმის ინდუსტრია განსაკუთრებულად გამოირჩევა მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით, კერძოდ, იმავე 2015 წელს, ყოველი 11 სამუშაო ადგილი შექმნილი იყო ამ დარგის განვითარების შედეგად. აღნიშნული კვლევები ოპტიმისტურად აფასებენ ამ დარგის მომავალსაც და ვარაუდობენ რომ მისი წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში 2026 წლისათვის გაიზრდება 10,8%-მდე, ხოლო დასაქმება დღევანდელი 9,5%-დან - 11%-მდე [9, გვ. 1-4].

ტურიზმის ინდუსტრია საქართველოში დამსახურებულად არის აღიარებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტელულ მიმართულებად. ამის საშუალებას იძლევა აქ არსებული მრავალფეროვანი და კომფორტული ბუნებრივი პირობები, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა. ამ დარგს უკვე უკავია მნიშვნელოვანი როლი საქართველოს ეკონომიკაში. 2016 წლის პირველ კვარტალში 1134436 საერთაშორისო მოგზაური მიიღო, რაც 14,7%-ით აღემატება 2015 წლის პირველი კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოელების დაინტერესება საქართველოში მოგზაურობით და დასვენებით დღითი-დღე იზრდება. მართლაც, თუ 2010 წელს საქართველო მოინახულა მხოლოდ 2031757 ტურისტმა, 2015 წელს მათი რიცხვი 5901094 გახდა, ე. ი. გაიზარდა 2,9-ჯერ [6, გვ. 3].

საქართველოთი საერთაშორისო ტურისტების დაინტერესება არა მხოლოდ ტურისტული კომპანიების, არამედ, ტუ-

რისტული მომსახურების ჯაჭვში ჩაბმულ მრავალ სხვა ტიპის საწარმოთა - სატრანსპორტო, განთავსების, კვების, დასვენება-გართობის, სპორტულ, საყოფაცხოვრებო მომსახურების, საექსკურსიო–სამოგზაურო, სამუზეუმო, გამოყენებითი ხელოვნების, სოფლის მეურნეობის და სხვათა – ინტენსიურ ამუშავებას, მათში მოსახლეობის დასაქმებას და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას გამოიწვევს.

საქართველო საბაზრო ეკონომიკის განვითარების სტადიაში იმყოფება, რაც გარკვეული პრობლემების გადალახვასთან არის დაკავშირებული. ასეთი პრობლემების მაგალითებია, ახალგაზრდა მოსახლეობაში უმუშევრობის მაღალი დონე, რომელიც, „საქსტატის“ მონაცემებით, 2015 წელს, 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში შეადგენდა 26,2%, ხოლო 20-24 ასაკის კატეგორიაში - 32%; მიუხედავად უმუშევრობის შედარებით ზომიერი მაჩვენებლისა - 12%, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს თვითდასაქმებულთა კატეგორია, რომელიც შეადგენს დასაქმებულთა 60%; სიღარიბის დონე, კერძოდ, სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, გასულ წელს, შეადგენდა 10,1% [4].

ყველაზე მწვავედ ეს პრობლემები დგას ეკონომიკურად ნაკლებად ხელსაყრელ და ნაკლებად განვითარებულ მთიან ადგილებში, ე.წ. „დეპრესირებულ რეგიონებში“ [7, გვ 43-46] - სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში, გურიაში და რაჭა-ლეჩხუმში. ამ საზღვრისპირა რეგიონებს ახასიათებთ სამინათმოქმედო ფართობების სიმცირე, ტერიტორიის დიდი დახრილობა, მცირე მოსავლიანობა, ნაკლებად განვითარებული ინფრასტუქტურა და ა.შ.

სწორედ ამ მიზეზით საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების დონე შედარებით დაბალია. მაგალითად, ისეთ პირობებში, როცა საქართველოში საშუალო თვიური ხელფასი 800 ლარია, გურიის რეგიონში დასაქმებულია მხოლოდ 4959 კაცი და ერთი დასაქმებულის საშუალო თვიური ხელფასი 397ლარია, რაჭა-ლეჩხუმში დასაქმებულია 1771 კაცი და ერთი დასაქმებულის საშუალო თვიური ხელფასი

391,6 ლარია და ა. შ. [5, გვ. 108, 119]. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თითოეული ეს დასაქმებული უზრუნველყოფს ოჯახს, სულ მცირე 3-4 წევრით, შესაბამისად ეს დაბალი შემოსავალი რამოდენიმე ადამიანზე ნაწილდება.

აღნიშნული პრობლემები დამახასიათებელია ზოგადად მთიანი რეგიონებისათვის. ამიტომ, მათი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარება, როგორც წესი, ხდება სახელმწიფოს აქტიური დაფინანსებით [2,გვ. 119, 126]. ეს მიდგომა გააქტიურდა საქართველოშიც. ყველაზე წონადი აქტი ამ მიმართულებით იყო 2015 წელს მიღებული „საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, რომელშიც დაფიქსირდა მთელი რიგი შეღავათები და სტიმულები საქართველოს მაღალმთიან ზონაში მცხოვრებთათვის. ის ტრადიციული დარგები (ძირითადად მესაქონლეობა), რომელიც მეტ-ნაკლებად მთაში იყო და არის განვითარებული დაბალშემოსავლიანია. ამის ფონზე, საქართველოს მთიანეთი, რომლის არეალშიც არიან მოქცეული საქართველოს დეპრესირებული რეგიონები, თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნებით, კარგ საშუალებას იძლევა სამთო-სათხილამურო ტურიზმის, სამთო-ქვეითი ტურიზმის, ალპინიზმის, სათავგადასავლო ტურიზმის, ეკოტურიზმის, კულტურული ტურიზმის, აგროტურიზმის და სხვათა განსავითარებლად.

აღნიშნული რესურსების ათვისება, ბუნებრივია, ინვესტიციებს მოითხოვს, მაგრამ კერძო ინვესტიციები, როგორც წესი, არ იდება ინფრასტრუქტურის განვითარებაში, ბიზნესში დაუსაქმებელი მოსახლეობის განათლებაში და კვალიფიკაციის ამაღლებაში, რაიონების განვითარების დაგეგმვაში. ამდენად, კერძო ინვესტორების მოსაზიდად ტურიზმის გასანვითარებლად მთიან რეგიონებში, საჭიროა ჯერ სახელმწიფო დაფინანსების მოზიდვა, რათა შემცირდეს ან მოიხსნას ის ბარიერები, რომლებიც საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში ტურიზმის განვითარებას უშლიან ხელს. ესეთი ბარიერების მაგალითებია: ნაკლებად განვითარებული საგზაო ქსელი, მოუწესრიგებელი შიდა ტრანსპორტი, განთავსების საშუალებათა

სიმცირე, კვების ობიექტებში მომსახურების დაბალი ხარისხი, პროფესიონალი გიდების ნაკლებობა, სამაშველო სამსახურების სიმცირე, დაბინძურებული გარემო, ერთფეროვანი ტურისტული პროდუქტი, და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მსოფლიო ბანკთან ერთად შემუშავებულ ტურიზმის განვითარების სტრატეგიულ ამოცანებში ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული ტურიზმის სფეროში სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების გაზრდის აუცილებლობა [8, გვ.23]

საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში ტურიზმის განვითარების პრიორიტეტული პროექტები .

მთიანი და დეპრესირებული რეგიონების განვითარება-გამოთანაბრების დიდი პრაქტიკა გააჩნია - ესპანეთს, შვეიცარიას, კანადას და სხვებს. მათი გამოცდილების გაცნობით, ჩვენ შევიმუშავეთ საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში ტურიზმის განვითარების პილოტ-პროექტების ჩამონათვალი **(იხ. ცხრილი 1**), რომლის განხორციელება, ჩვენი აზრით, უნდა მოხდეს უშუალოდ ამ რეგიონებში სახელმწიფოს მიერ შექმნილი ტურიზმის სამეურვეო ცენტრის, საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო სააგენტოს, რეგიონების ადგილობრივი ხელისუფლებისა და შესაბამისი სპეციალობის მქონე მეცნიერების მიერ.

პილოტ-პროექტების აღნიშნული ჩამონათვალი არ არის სტატიკური დოკუმენტი. საჭირო დროს და საჭირო ადგილას იგი უნდა მოერგოს იქ შექმნილ სიტუაციას. ამრიგად, აღნიშნული პროექტები მათი ზოგადი ხასიათის მიუხედავად, სიტუაციური მიდგომით უნდა განხორციელდეს.

ამ პროექტების შესრულება, ჩვენი აზრით, წარმოადგენს სახელმწიფო დაფინანსების კლასიკურ ობიექტს. მისი განხორციელება გზას გაუხსნის საქართველოს დეპრესირებულ რეგიონებში კერძო ინვესტიციების მოზიდვას, საერთაშორისო ტურისტების ფართო ნაკადების შემოდინებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და მათი შემოსავლების ზრდას.

ცხრილი 1

#	პროექტის დასახელება	შესრულების პერიოდი	შემსრულებელი	დაფინანსების წყარო
1.	რეგიონში ტურიზმის სამეურვეო-საკოორდინაციო ცენტრის დაფუძნების დასაბუთება	საწყის წლებში	ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდი	საბიუჯეტო სახსრები
2.	რეგიონის ტურისტული ბიზნეს-ლანდშაფტის გეოგრაფიული განფენილობის შესწავლა	საწყის წლებში	რეგიონის ტურიზმის სამეურვეო ცენტი; რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლება; სოფლების (თემების) უხუცესები	საბიუჯეტო სახსრები
3.	რეგიონში ტურიზმის პრიორიტეტულ სახეობათა გამოკვეთა, დაგეგმვა და დაპროექტება	საწყის წლებში	რეგიონის ტურიზმის სამეურვეო ცენტი; ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდი	საბიუჯეტო სახსრები
4.	რეგიონის ტურისტული ფირმებისა და მათი ინფრასტრუქტურის ჰორიზონტალური განფენილობის დადგენა	სისტემატურად	რეგიონის ტურიზმის სამეურვეო ცენტი	საბიუჯეტო სახსრები
5.	რეგიონის ტურისტული ობიექტების გამტარუნარიანობის გამოკვლევა	სისტემატურად	ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდი	საბიუჯეტო სახსრები
6.	რეგიონში ტურიზმის მომსახურე ტრანსპორტის მდგომარეობის შესწავლა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავება	სისტემატურად	რეგიონის ტურიზმის სამეურვეო ცენტი; რეგიონის სატრანსპორტო ფირმები	საბიუჯეტო სახსრები
7.	რეგიონში ტურისტთა განთავსების საშუალებებისა და საწოლ-ადგილების საკმარისობის დადგენა	სისტემატურად	რეგიონში არსებული განთავსების ობიექტები (სასტუმრო-ქსელი და სხვა); რეგიონის ტურიზმის სამეურვეო ცენტი;	საბიუჯეტო სახსრები
8.	განთავსების ობიექტებში ტურისტთა მომსახურების ხარისხის შეფასება	სისტემატურად	რეგიონში არსებული განთავსების ობიექტები (სასტუმრო-ქსელი და სხვა); რეგიონის ტურიზმის სამეურვეო ცენტი; ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდი	საბიუჯეტო სახსრები

9.	კვების ობიექტების აღწერა და მათი მომსახურების შეფასება	მუდმივად	რეგიონში არსებული კვების ობიექტები; ტურიზმის სამეურვეო ცენტი; ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდი	საბიუჯეტო სახსრები
10.	რეგიონში ტურიზმის სპეციალისტთა კომპეტენციების შეფასება	საწყის წლებში	საქართველოს ტურიზმის სახელმწიფო სააგენტო; ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდი	საბიუჯეტო სახსრები
11.	რეგიონის ტურისტულ ფირმებში დასაქმებით მოსახლეობის მომცველობის დადგენა	საწყის წლებში	რეგიონის ტურისტული და ინფრასტრუქტურული ფირმები; ტურიზმის სამეურვეო ცენტი	საბიუჯეტო სახსრები
12.	რეგიონში ახალი ტურისტული მარშრუტების შედგენა საველე გამოკვლევების ჩატარებით	სისტემატურად	ტურიზმის სამეურვეო ცენტი; ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდი; ტურიზმის სპეციალობის სტუდენტები (პრაქტიკის ფორმატში)	საბიუჯეტო სახსრები
13.	რეგიონში ტურისტული პოტენციალის მქონე ახალი ობიექტების მოძიება	სისტემატურად	ტურიზმის სამეურვეო ცენტი; ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდი; ტურიზმის სპეციალობის სტუდენტები (პრაქტიკის ფორმატში)	საბიუჯეტო სახსრები
14.	რეგიონისთვის განახლებული ტურისტული მარშრუტების რუქების შედგენა	პერიოდულად	ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდი; ადგილობრივი მოსახლეობა	საბიუჯეტო სახსრები
15.	რეგიონში ტურისტებად ჩასულ ვიზიტორთა კმაყოფილების გამოკვლევა	პერიოდულად	ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდი; რეგიონის ტურისტული ფირმები; რეგიონის ტურიზმის სამეურვეო ცენტრი	საბიუჯეტო სახსრები

16.	რეგიონში ტურისტული კლასტერის გახსნის დაპროექტება და დასაბუთება	საწყის წლებში	რეგიონის ტურიზმის სამეურვეო ცენტრი; საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო; რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლება; ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდი	საბიუჯეტო სახსრები
17.	რეგიონში ტურიზმის განვითარების თითოეულ პროექტზე შესასრულებელ სამუშაოთა დეტალური პროგრამის შედგენა სამიზნე ინდიკატორების მინიშნებით	საწყის წლებში	საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო; რეგიონის ტურიზმის სამეურვეო ცენტრი; ტურიზმის სპეციალისტ-მეცნიერთა გუნდი	საბიუჯეტო სახსრები

დასახული ღონისძიებების ამოქმედებაში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია დროის ფაქტორიც. საქართველოს მთიან რეგიონებში მიმდინარეობს სოფლების მოსახლეობისაგან დაცლის პროცესი. ამ მოვლენასთან დაკავშირებულ ტიპიურ პრობლემებს შორის, ტურიზმთან მიმართებაში, ავღნიშნავთ ადგილიბრივი მოსახლეობის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაკარგვის რისკებს. ადგილობრივი კულტურული მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობა მკაფიოდ არის გამოხატული და შემორჩენილი რაჭაში, ხევსურეთში, სვანეთში, თრიალეთში და სხვაგან. მოსახლეობის თვითმყოფადობა შეიძლება ეფექტურად იქნას გამოყენებული ტურისტების მოსაზიდად, მათ შორის, როგორც ადგილის კონკურენტული უპირატესობა და მარკეტინგის პოლიტიკაში ადგილის ბრენდის დასამკვიდრებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბული კ. საქართველოს მთიანეთში ტურიზმის განვითარების თანამედროვე ასპექტები, წიგნში - საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, თბ., 2010.

2. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ., აბრალავა ა. რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა, 2009.

3. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო – 2020, ტბ., 2013.

4. საქასტატი http://geostat.ge/?lang=geo

5. მეწარმეობა საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2015.

6. ტურიზმის სტატისტიკური ანგარიში, პირველი კვარტალი, 2016 წ., საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, 2016.

7. ღუდუშაური ზ., ბალიაშვილი ე., ხორხელი მ., ჯელია ი. გამოვიყენოთ კლასტერები საქართველოს დეპრესირებული რეგიონების აღსადგენად. ახალი ეკონომისტი: სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი. - თბილისი, 2012. N4(27), გვ.43-46.

8. 2015 წლის ანგარიში. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტრო, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

9. World Travel and Tourism Council. Economic Impacts. 2016,World.

http://www.wttc.org/-/media/files/reports/economic%20impact%20research/regions%202016/world2016.pdf

REFERENCES:

1. Arabuli K. – Current issues of tourism development in Georgian mountain regions. Book: The Issues and Solutions of Social and Economic Development of Georgian Mountain Regions. Tbilisi, 2010;

2. Baratashvili E., Zarandia J., Abralava A.. Regionalism: Theory and Practics. 2009;

3. The Strategy of Social and Economic Development of Georgia – Georgia 2020. Tbilisi, 2013;

4. „Geostat“ http://geostat.ge/?lang=geo;

Entrepreneurship in Georgia, Statistical publication, Tbilisi, 2015;

5. Statistical Report on Tourism, 1-st Quarter, 2016. Georgian Tourism National Administration. 2016;

6. Ghudushauri Z., Baliashvili E., Khorkheli M., Jelia I., Clusters' Application for the recovery of Georgian Distressed Regions. New Economist. Scientific and Practical Journal- Tbilisi, 2012 N4(27), pp 43-46)

7. 2015 Annual Report. Ministry of Economy and Sustainable Development, Georgia National Tourism Administration. Tbilisi 2016

8. World Travel and Tourism Council. Economic Impacts. 2016,World.

http://www.wttc.org/-/media/files/reports/economic%20impact%20research/regions%202016/world2016.pdf

TOURISM – THE WAY OF DEVELOPMENT OF GEORGIAN DISTRESSED MOUNTAIN REGIONS

Ioseb Khelashvili
PhD in Geography

RESUME

The article deals with the role of tourism in the development of economically distressed mountain regions of Georgia and presents a way to approach the issue. It covers four mountain regions of the country – Racha-Lechkhumi, Guria, Samckhe-Javakheti and Mckheta-Tianeti. The author underlines the importance of tourism in the development of mountain regions, paying a special attention to local identities which are in danger of disappearing along with the on-going process of the mountains depopulation, and which makes the timing an important issue. The author gives a list of proposed Pilot-Projects for the regions which are considered to be financed by the government at the initial stage of the development and should involve Georgian National Tourism Administration, regional agencies, local authorities and scientists and experts of tourism area.

Keywords*:* Distressed Regions, Investment, Tourism, Pilot Project.

საქართველოში სარკინიგზო მანქანათმშენებელი საწარმოების მარკეტინგული საქმიანობა

ნანა კირვალიძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საქართველოში სარკინიგზო მანქანათმშენებელი საწარმოების მნიშვნელობა, მათი სამეურნეო საქმიანობის შედეგები. კერძოდ: საწარმოების სააქციო საზოგადოება ელვამალმშენებლის და ვაგონმშენებელი ჰოლდინგური კომპანიის წარმოების დინამიკის, ასორტიმენტის სტრუქტურის, პროდუქციის ექსპორტის, ფასწარმოქმნის, პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურის ტენდენციები. დახასიათებულია მარკეტინგული საქმიანობის მდგომარეობა. აღნიშნულია, რომ სარკინიგზო მანქანთმშენებელი საწარმოები პრაქტიკულად იყენებენ მარკეტინგის კომპლექსის ელემენტებს. ეს ღონისძიებები მიმართულია საწარმო გეგმის ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან დასაკავშირებლად, ასორტიმენტის მუდმივი განახლების, მოქნილი ფასწარმოქმნის, მომხმარებელთა გაფართოების და სარეკლამო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

საქართველოში წარმოებული ელმავლები, სამგზავრო და სატვირთო ვაგონები გამოირჩევა მაღალი კონკურენტუნარიანობით და ხარისხით, რაზეც მიუთითებს პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების და კონკურენტუნარიანობის ექსპერტული შეფასების შედეგები. დასახულია ღონისძიებები, რომელიც ავტორის აზრით საჭიროა გატარდეს სარკინიგზო მანქანათმშენებელ საწარმოებში სამეურნეო საქმინობის სრულყოფისათვის.

შესავალი

საქართველო დიდი ხნით ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა სამრეწველო და სოფლის მეურნეობის საწარმოების აღდგენა და განვითარება. რადგან საქართველო უნდა იყოს ევროპისა და აზიის უფართოესი სარკინიგზო მაგისტრალი, ამიტომ საჭიროა სარკინიგზო მანქანათმშენებელი საწარმოების შენარჩუნება და განვითარება, რომელიც კონკურენტუნარიან პროდუქციას მიაწვდის მომხმარებელს. ის უნდა განვითარდეს ისეთი მასშტაბით და ფარგლებში, რომელთა წინაშე დაიჩრდილება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სარკინიგზო მანქანათმშენებელი საწარმოების პროდუქცია.

საკვანძო სიტყვები: სარკინიგზო მანქანათმშენებლობა, სააქციო საზოგადოება ელმავალმშენებელი, ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანია, წარმოების დინამიკა, პროდუქციის განახლება, ასორტიმენტის სტრუქტურა, ექსპორტი, ფასწარმოქმნა, მარკეტინგული კომპლექსი, ექსპერტული შეფასება.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო მექანზმის დანერგვა განაპირობებს საწარმოების (ფირმების) საქმიანობის სტრატეგიის და ტაქტიკის შეცვლას, ახალი საქონლის და ტექნოლოგიების, ახალი ბაზრების ათვისების, საწარმოო სიმძლავრეების მომხმარებლის მოთხოვნასთან დაქვემდებარების პირველ ადგილზე წამოყენებას, ქმედითი მმართველობითი მექანიზმის არსებობას, რომელიც ორიენტირებული იქნება საბაზრო ეკონომიკის კანონზომიერებებზე: თავისუფალ სამეურნეო არჩევანსა და კონკურენტუნარიან პროდუქციის წარმოებაზე.

ამ კანონზომიერების არარსებობის გამო საქართველოში მრავალი დარგი და საწარმო უვარგისი გახდა და განადგურდა.

მაგრამ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის საწარმოების აღდგენა და განვითარება ისეთ ჩამორჩენილ და ღარიბ ქვეყანაში, როგორც საქართველოა, წარმოადგენს ყველაზე ძნელ საქმეს, ვი-

ნაიდან იგი მოითხოვს გამოცდილი ტექნიკური ძალების ერთგვარ მინიმუმს, იაფ ნედლეულს, ტექნიკურ ბაზას, დიდძალ ფინანსურ ხარჯებს და ხელსაყრელ გარე გარემოს.

საქართველო ყოველთვის იყო ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ცენტრი, მისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო. ამჟამად საქართველოს რკინიგზის მაგისტრალის გავლით ტრანსპორტირდება ტვირთი შუა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ევროპაში და პირიქით. ყველასათვის ხელმისაწვდომი ოფიციალური მონაცემებით საქართველო შეუერთდა ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტს ჩინეთთან, ყაზახეთთან, აზეირბარჯანსა და თურქეთთან ერთად. ჩინეთიდან საქართველოს გავლით პირველი სარკინიგზო გადაზიდვა უკვე განხორციელდა, ხოლო ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტი არის ახალი სატრანსპორტო დერეფანი, რომელიც აერთებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზებს. იგი ითვალისწინებს ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე, ამიტომ საქართველოში რკინიგზასთან დაკავშირებული დარგების და საწარმოების განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ყოველივე ამან გამოიწვია სარკინიგზო მანქანათმშენებელი ფირმების არსებობა და შექმნა.

2008-2015 წლებში საქართველოში მანქანების ელექტრო და სატრანსპორო მოწყობილობების წარმოებაში შექმნილი მთლიანი დამატებითი ღირებულება არასტაბილურობით ხასიათდება და მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0,53%-ს შეადგენს (2015 წლის წინასწარი მონაცემებით. იხ. ცხრ. 1. *საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი და მ.შ. მანქანების, ელექტრო და სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოებაში შექმნილი დამატებითი ღირებულება 2008-2015 წლებში, მლნ. ლარი*[1]).

---

1 **ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე;**

*** 2015 წლის მონაცემები არის წინასწარი.**

ცხრილი 1.

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	19074,9	17986,0	20743,4	24344,0	26167,3	26847,4	29150,5	31691,6
%-ად წინა წელთან შეადრებით	100,0	94,3	115,3	117,4	107,5	102,6	108,6	108,7
მ.შ. მანქანების, ელექტრო, სატრანს-პორტო მოწყობი-ლობებისა და სხვა დამამუშავებელ წა-რმოებაში შექმნილი დამატებითი ღირე-ბულება	122,2	156,9	142,6	175,4	200,8	239,3	189,6	167,1
%-ად წინა წელთან შედარებით	100,0	128,4	90,9	123,0	114,5	126,3	79,2	88,1

2010-2015 წლებში მანქანა-მოწყობილობების წარმოებაში სარკინიგზო მანქანათმშენებლობის ხვედრითი წილი 51,4%-დან 84,5%-მდე იცვლებოდა. გამონაკლისს წარმოადგენს 2015 წელი, როდესაც რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოების ხვედრითი წილი 30%-მდე შემცირდა უაღრესად არახელსაყრელი გარე გარემოს გამო. ამჟამად საქართველოში ამ დარგში ფუნქციონირებს 13 დიდი და მცირე საწარმო. მცირე საწარმოებში რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მცირე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

სარკინიგზო მანქანათმშენებლობაში მოქმედი დიდი საწარმოებია სს „ელმავალმშენებელი“ და ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური გაერთიანება. ე.ი. საქართველოში არსებობს და ვითარდება სარკინიგზო მანქანათმშენებლობა, რომელიც მოიცავს მთელ გამას, დაწყებული დიდი სიზუსტის ყველაზე მცირე ინსტრუმენტებით და დამთავრებული ურთულესი სისტემებით. ვაგონმშენებლობის ჰოლდინგურ კომპანიაში გაერთიანებულია ელექტროვაგონმშენებელი ქარხანა – 2005, ელექტროვაგონ-

შემკეთებელი ქარხანა — 1883, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და კულტურული დაწესებულება არტ-ჰოლი. მეთაური (სათავო) საწარმო, რომელიც აკონტროლებს ჰოლდინგში სხვა საწარმოთა საქმინობას, ვაგონმშენებელი ქარხანა – 2005-ია. ის ახალი საწარმოა საქართველოში. რადგან ელექტროვაგონმშენებლობის და ვაგონშემკეთებელი საწარმოების მიტოვება არ შეიძლება სტიქიური განვითარების ამარა იაფი და ხარისხიანი ნახევარფაბრიკატების მიწოდების გარეშე, ამიტომ ჰოლდინგში გაერთიანებულია რუსთავის მეტალურგიული ქარხანაც.

საქართველოში 1957 წლიდან არსებობდა ელმავალმშენებელი ქარხანა. თბილისის ელმავალმშენებლის პროდუქცია (მაგისტარლური და სამრეწველო ელმავლები) იგზავნებოდა არამარტო საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, არამედ ინდოეთში, თურქეთში, ბულგარეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიში, უნგრეთში, იემენში, ერაყში, იუგოსლავიაში. 1993 წელს ქარხანამ რეორგანიზაცია განიცადა, ჩამოაყალიბა სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელი“.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოება-მოდერნიზაციის დინამიკა საქართველოში (იხ. ცხრ. 2). იგი არასტაბილურობით ხასიათდება, მაგრამ სარკინიგზო მანქანათმშენებელი საწარმოების მიერ მიღწეული წარმატებები ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

2014-2015 წლებში რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოების მკვეთრი შემცირება გამოწვეულია უკრაინის რკინიგზის შეკვეთების შემცირებით. 2014 წელს წარმოებული იყო 25821,3 ათასი ლარის ელმავალი,ელმავლის კვანძები და დეტალები, რაც დარგში წარმოებული საერთო პროდუქციის 26,5% შეადგენს, ხოლო სამგზავრო და სატვირთო ვაგონების წარმოება და მოდერნიზაცია-რემონტი საერთო პროდუქციის 73,5%-ს შეადგენს.

საქართველოში რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოება 2010-2015 წლებში, ათასი. ლარი[1]

ცხრილი 2

	2010	2011	2012	2013	2014	2015**
რკინიგზის მოძ-რავი შემადგენ-ლობის წარმოება*	120530,8	123643,7	106450,2	196081,9	97412,7	49800,0
% წინა წელთან შედარებით	100,0	102,6	86,1	184,2	49,7	51,1

სს „ელვამალმშენებელი“ და ვაგონმშენებლობის ჰოლდინ-გური კომპანია სამეურნეო საქმიანობაში იყენებენ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. ამ მხრივ განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია მარკეტინგს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ფირმებს მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი საბა-ზრო შესაძლებლობები მომხმარებელზე ორიენტაციით. მაგრამ საწარმოო დანიშნულების საქონლის მარკეტიგი ხასიათდება გარკვეული თავისებურებებით, რაც განპირობებულია ბაზრის სპეციფიკური ნიშან-თვისებებით. მათ შორის ძირითადია: მყიდ-ველთა გაცილებით უფრო ნაკლები რაოდენობა სამომხმარებლო საქონლის ბაზართან შედარებით, საქონელზე მოთხოვნის ნაკ-ლები ცვალებადობა, მყიდველთა მაღალი პროფესიონალიზმი და შემოსავლის მაღალი დონე.

სს „ელმავალმშენებელში“ არის მარკეტინგის და გასაღების განყოფილება. მარკეტინგული საქმიანობის ანალიზმა აჩვენა, რომ საწარმო პრაქტიკულად იყენებს მარკეტინგული კომპლექ-

1 ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახ-ურის მონაცემების საფუძველზე.

*** ეს კლასი შეიცავს რკინიგზის და ტრამვაის ლოკომოტივების და მოძ-რავი შემადგენლობის წარმოებას და მოდერნიზაცია-რემონტს (შეკეთებუ-ლი ვაგონების და ელმავლების წარმოების მონაცემები განზოგადებას არ ექვემდებარება);**

*** 2015 წლის მონაცემები არის წინასწარი.**

სის ყველა ელემენტს, რომელიც მიმართულია მოკლევადიანი და საშუალოვადიანი კონკრეტული მიზნების მისაღწევად. არსებობს მარკეტინგის კომპლექსური გეგმა, რომელიც ბაზრის კომპლექსური გამოკვლევის, გასაღების სტიმულირების და რეკლამირების სფეროში ჩატარებული სამუშაოებია მოცემული.

საწარმო გეგმას შეადგენენ ბაზრის კომპლექსური გამოკვლევის საფუძველზე, არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე. ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანია პრაქტიკულად იყენებს მარკეტინგის კომპლექსის მხოლოდ ცალკეულ ელემენტებს. გამოირკვა, რომ ვაგონმშენებლობის ჰოლდინგურ კომპანიაში მარკეტინგის სამსახური ჩამოყალიბების პროცესშია (ანუ, არ არსებობს მარკეტინგის განყოფილება). მხოლოდ ერთი თანამშრომელია, რომელიც ასრულებს პროექტის ხელმძღვანელის მოვალეობას. არ არსებობს მარკეტინგის კომპლექსური გეგმა. ეს აიხსნება რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით: სასაქონლო ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონით, ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არ არსებობით, არასახარბიელო პოლიტიკური გარემოთი, ინფორმაციის შეგროვების და გაცვლის (ინფორმაციული უზრუნველყოფის განვითარების) არასაკმარისი დონით და სხვა.

მიუხედავად ამისა, სარკინიგზო მანქანათმშენებელი ფირმები აწარმოებენ და არემონტებენ (იგულისხმება მოდერნიზაცია) ფართო ასორტიმენტის პროდუქციას. სს „ელმავალმშენებელში“ აწარმოებენ როგორც მაგისტრალურ, ასევე კოქსმქრობ (საქარხნო) ელმავლებს, მაგრამ 2014-2015 წლებში მოთხოვნა მხოლოდ მაგისტრალურ ელმავალზე იყო. აწარმოებენ მაგისტალური ელმავლის მხოლოდ ერთ მოდელს – ВЛ11^{М6}. (კოქსმქრობი ელმავლების ორ მოდელს აწარმოებდნენ). საწარმოში არემონტებენ სხვადასხვა მოდიფიკაციის მაგისტრალურ და კოქსმქრობ ელმავლებს. მოდიფიკაციის შემდეგ უმჯობესდება ელმავლების ტექნიკური მახასიათებლები და საიმედოობა. ელმავლის მოხმარების ვადა 30-33 წელია. მოდერნიზაციის შემდეგ მოხმარების ვადა იზრდება 45 წლამდე. ნახევარფაბრიკატების დამზადება ხდება საკუთარი ძალებით. საწარმოში ამზადებენ 330-ზე მეტი დასახელების

დეტალს და კვანძს. აზერბაიჯანის და უკრაინის საწარმოები (მიმწოდებლები) მხოლოდ დიდი სხმულებით ამაგრებენ ელმავალმშენებელს. სისტემატურად ხდება პროდუქციის განახლება. ამჟამად მიმდინარეობს მაგისტრალური ელმავლის ახალი მოდელის 8E1A ათვისება. ელმავალი აღჭურვილი იქნება ასინქრობული ძრავით და თანამედროვე ტექნიკური კვანძებით. საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს აწარმოებენ საკუთარი ძალებით. საწარმოს შემადგენლობაშია სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო. სისტემატურად ხდება ახალი კვანძების, აგრეგატების და ელმავლის ნაწილების შექმნა. მაგრამ მომხმარებელთა სიმცირის გამო სს „ელმავალმშენებელის" საწარმოო პოტენციალი მხოლოდ 10%-ით არის ათვისებული. მიმდინარე წელს მოსალოდნელია მაგისტრალური ელმავლების მხოლოდ მოდერნიზაცია-რემონტი. ახალი ელმავლის წარმოება კი მაშინ არის მომგებიანი, როდესაც შეკვეთის რაოდენობა 10 ცალია.

ვაგონშემკეთებელ ჰოლდინგურ კომპანიაში აწარმოებენ და არემონტებენ (იგულისხმება მოდერნიზაცია) ელექტროვაგონს – ვმკ 001; სატრანსპორტო დახურულ ვაგონს და ნახევარვაგონს ეს-004, ეს-005, ხორბალმზიდს, ვაგონცისტერნას, კონტეინერმზიდს, კონტრეილერმზიდს და სამგზავრო ვაგონს. იწარმოება მხოლოდ თითო მოდელი. სისტემატურად ხდება პროდუქციის განახლება. ამჟამად უკრაინელი კოლეგებისაგან ლიცენზიით შეიძინეს ვაგონის გვერდითი ჩარჩო და რელსზედა ძელის მოდიფიცირებული კონსტრუქციები, ნახევარფაბრიკატების მასობრივი წარმოება იგეგმება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. რუსთავის მეტალურგიული ქარხანა იაფი და ხარისხიანი ნახევარფაბრიკატებით ამარაგებს ვაგონშემკეთებელს.

სამგზავრო და სატვირთო ვაგონების ვადაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი. მათ შორის ძირითადია: ატმოსფერული გარემოს ზემოქმედება, ტექნიკური პარამეტრები, ექსპლუატაციის პირობები, დატვირთვის ინტენსივობა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და სხვა. მათი კანონზომიერების გავლენა ვაგონმშენებლობის ბაზარზე მოთხოვნის პროგნოზის გამოსათვლელად არასათანადოდ არის შესწავლილი.

პროდუქციის ხარისხი შეესაბამება საერთაშორისო (iso) სტანდარტების მოთხოვნებს. ნაწილობრივ გადაიარაღებულია საწარმოს მატერიალ-ტექნიკური ბაზაც. იყენებენ თანამედროვე დანადგარებს, მოწყობილობებს.

სარკინიგზო მანქანათმშენებელ საწარმოებში ფასების პოლიტიკა მოქნილია. ფასწარმოქმნა ხდება იმ დანახარჯების საფუძველზე, რომელიც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასა და ტრანსპორტირებაზე, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებასა დასხვა დანახარჯებზე, აგრეთვე ითვალისწინებენ კონკურენტების ფასებს. ელმავალ ВЛ11^{М6} მოდელის ფასი 3150 ათასი აშშ დოლარია. ელძრავიანი სამგზავრო ვაგონის ფასი – 273,38 ათასი აშშ დოლარი (2014 წელს) და შემცირების ტენდენცია აქვს (2013 წელს ღირდა 346 ათასი აშშ დოლარი), რაც გამოწვეულია თვითღირებულების შემცირებით. სატვირთო ვაგონის ფასი კი – 15 ათასი აშშ დოლარია.

ელმავლის თვითღირებულების სტრუქტურა მოცემულია სათანადო ნახაზზე (იხ. ნახ.1)



ნახ. 1. ელმავლის თვითღირებულების სტრუქტურა

სს „ელმავალმშენებელის“ მომხმარებელია სს „საქართველოს რკინიგზა“, სომხეთის, აზერბაიჯანის და უკრაინის რკინიგზა, ხოლო ვაგონშემკეთებელი ჰოლდინგური კომპანიის ძირითადი მომხმარებელია სს „საქართველოს რკინიგზა“ და სომხეთის რესპუბლიკის რკინგზა. ასრულებენ აზერბაიჯანის რესპუბლიკის რკინიგზის შეკვეთებსაც. მიმდინარეობს სამუშაოები თურქმენეთის ბაზრის ასათვისებლადაც. პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მიღწეულია მაღალი ხარისხით და შედარებით დაბალი ფასებით. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში (იხ. ცხრილი 3) მოცემულია რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ექსპორტი. რკინიგზის ვაგონები ექსპორტირებული იყო სომხეთში და 2014 წელს ქვეყნის მთლიანი ექსპორტის მოცულობის 0,01% შეადგინა, ელმავლების ექსპორტი კი ხორციელდებოდა უკრაინაში (მიმდინარე წელს შეკვეთები მკვეთრად შემცირდა) და 2014 წელს ქვეყნის მთლინი ექსპორტის 0,2% შეადგინა. წარმოებული ელმავლების 80-85% ექსპორტირდება. რეკლამა ხდება ინტერნეტით, იშვიათად გამოიყენება ბეჭდვითი რეკლამა (ბროშურები, ბუკლეტები და ა.შ.).

რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის წარმოებასა და რემონტში დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა და საშუალო თვიური ანაზღაურება შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 2015 წელს ამ საწარმოებში დასაქმებული იყო 1799 თანამშრომელი, 2013-2014 წლებში შესაბამისად – 2629 და 2080 თანამშრომელი. თანამშრომელთა საშუალო თვიური ანაზღაურება 2015 წელს იყო 584,6 ლარი, ხოლო 2013-2014 წლებში შესაბამისად 825 ლარი და 616 ლარი.

ჩვენს მიერ ჩატარებული ექსპერტული შეფასებისას ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის სპეციალისტთა 60% კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების საკვანძო ფაქტორებიდან პირველ ადგილს მარკეტინგს მიაკუთვნებს. მათი შეფასებით პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ჯამურმა მაჩვენებელმა მიიღო მეტი შეფასება (8,2 ქულა) კონკურენტი საწარმოების პროდუქციასთან შედარებით (7,3 ქულა).

საქართველოში სარკინიგზო მანქანათმშენებლობის საწარმოების პროდუქციის ექსპორტი 2011-2015 წლებში[1]

ცხრილი 3

საქონლის დასახელება	2011 წელი		2012 წელი		2013 წელი		2014 წელი		2015 წელი*	
	ათ. აშშ დოლარი	ცალი	ათ. აშშ დოლარი	ცალი	ათ. აშშ დოლარი	ცალი	ათ. აშშ დოლარი	ცალი	ათ. აშშ დოლარი	ცალი
რკინიგზის ლოკომოტივების (კვებით ელექტროენერ-გიის გარე წყაროდან)	7450,0	3	16948,4	11	28350,0	9	22050,0	7	12600,0	3
ვაგონები სამგზავრო ძრავიანი, სატვირთო ვაგონები, ღია პლატ-ფორმები	862,5	2	–	–	6230,7	18	2733,8	10		
რკინიგზის ან ტრამვაის ვაგონები სამგზავრო არათვითმავალი	15,1	2	–	–	–	–	–	–		
რკინიგზის ან ტრამვაის ვაგონები არათვით-მავალი	204,0	24	45,0	3	300,0	20	–	–		

ექსპერტთა საშუალო შეთანხმების დროს V=0,2. სს „ელმავალმ-შენებლის“ სპეციალისტთა დიდმა ნაწილმა კი – ტექნოლოგიას მიაკუთვნა პირველი ადგილი. ექსპერტული შეფასებით სს „ელ-მავალმშენის“ პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მაჩვენე-ბელმა მიიღო 6,86 ქულა (იხ. ცხრილი 4). სამწუხაროდ ინფორმა-ციის უქონლობის გამო (ეს საინფორმაციო ვაკუუმი გაჩნდა 2008 წლიდან) სპეციალისტებმა ვერ შეაფასეს ძირითადი კონკურენტი საწარმოების (რუსეთი) ელმავლების თვისებები.

1 ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახ-ურის მონაცემების საფუძველზე.

*** 2015 წლის მონაცემები საგზავრო და სატვირთო ვაგონების ექსპორტის შესახებ ვერ მოვიპოვეთ კონფიდენციალობის გამო**

რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის კონკურენტუნარიანობის ექსპერტული შეფასების შედეგები

ცხრილი 4

	ელმავალი სამამულო	სამგზავრო და სატვირთო ვა-გონები	
		სამამულო	იმპორტული
ტექნიკური პარამეტრები	1,75	2,3	2,05
ხანგამძლეობა, საიმ-ედოობა	1,28	2,7	2,7
დიზაინი	1,25	0,9	1,0
მოხერხებულობა ექსპლუატაციაში	1,08	1,22	1,06
ფასი	1,44	1,12	0,5
ჯამური ქულა	6,86 ქულა	8,24 ქულა	7,3 ქულა

ასეთია საქართველოში სარკინიგზო მანქანათმშენებლობის საწარმოების ძირითადი მიღწევები. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ ნაკლოვანებები არ შეიმჩნევა, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია:

– გამოკვლეული იყოს სარკინოგზო მანქანათმშენებლობის საწარმოებში მარკეტინგული საქმიანობის თავისებურებანი (დღეისათვის ასეთი გამოკვლევები არ არსებობს);

– კომპლექსურად გამოიკვლიონ მიზნობრივი რეგიონული ბაზრები, განსაზღვრონ საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, შემუშავებული იყოს კონკრეტული სტრატეგიები, შედეგები დაინერგოს საწარმოებში;

– მოწესრიგდეს საზოგადოებასთან ურთიერთობები. პრესაში, ტელევიზიაში გამოქვეყნდეს სტატიები, მოეწყოს თემატური გადაცემები, სადაც საზოგადოებას გააცნობენ სარკინიგზო მანქანათმშენებლობის საწარმოთა საქმიანობას;

– სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემები გახდეს უფრო დე-

ტალიზებული: სამგზავრო და სატვირთო ვაგონების წარმოება ცალ-ცალკე ჯგუფებად იყოს აღრიცხული.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

შედეგებმა ცხადყვეს, რომ საქართველოში სარკინიგზო მანქანათმშენებლობის დიდმა საწამოებმა სს „ელვამალმშენებელმა“ და ვაგონმშენებლობის ჰოლდინგურმა კომპანიამ შეძლეს საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლა, მათ გადალახეს თავიანთ საქმიანობაში სიძნელეები და მიუხედავად ნაკლოვანებებისა წარმართავენ ბიზნესს.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. შუბლაძე გ. „ფირმის მარკეტინგული საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ“ (შპს „ნიკორას“ მაგალითზე). ჟურნალი „კომერსანტი“, 2009 წ. №1, გვ. 72-76;

2. „მარკეტინგის საფუძვლები“ გ. შუბლაძის რედაქციით, თბ. 2009 წ. გვ. 42-46;

3. კირვალიძე ნ. „საქართველოში ვაგონმშენებლობის ჰოლდინგური კომპანიის შესახებ“ ჟურნალი „ეკონომიკა“ 2015 წ. №5-6, გვ. 100-111;

4. შუბლაძე გ., ნანიტაშვილი მ., დოლიკაშვილი ლ., „სტრატეგიული მენეჯმენტი“, თბ., უნივერსალი, 2010 წ. გვ. 70-146, გვ 301-330;

5. Баумгартен Л.В. `Возможные подходы к выбору показателей и оценке конкурентоспособности (на примере туристических услуг)~ журнал `Маркетинг в России и за рубежом~. М. 2011г. №4, ст. 46-63

MARKETING BUISNESS OF RAILWAY MECHANICAL ENGINEERING ENTERPRISES IN GEORGIA

Nana Kirvalidze
PHD in Economics

RESUME

This article discusses the meaning of railway mechanical engineering production and their results of economic business. Particulary: Production joint-stock society, train and carriage building holding company production dynamic, the structure of assortment export of production, price formation, cost price production structure tendencies. This article discusses the condition of marketing business and also railway mechanical engineering production, which practically use the marketing complex elements. These arrangements direct to connect production plan to market request, constant update of assortment, flexible price formation, formation of marketing strategies, to provide the key stimulation and to pass advertise arrangements. The trains produced in Georgia, passenger and trucking carriages are distinguished with high competitive and quality in production properties and competitive expert estimation results.

At the end of article they discuss about the arrangements, which is useful to pass in railway mechanical engineering production to improve economic business.

Key words : **Railway Mecanical Engineering, Joint-Stock Company, TrainBuilding, Carriage Building Holding Company, Production Dynamic, Production Update, the Structure of Assortment, Export, Price Formation, Marketing Complex, Expert Estimation.**

ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდები და მათი თავისებურებები

ნანა სრესელი
თსუ ასოცირებული პროფესორი
მერაბ ჯიქია
თსუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ფულადი ნაკადების ანალიზი უზრუნველყოფს ფულისა და ფულის ექვივალენტების დეფიციტის ან სიჭარბის მიზეზების გამოვლენას, განსაზღვრავს მათი შემოდინების წყაროებსა და გამოყენების მიმართულებებს, ადგენს ფულადი სახსრების მოძრაობის ტენდენციებსა და იძლევა მათი ზრდის ან შემცირების ტემპების დახასიათებას. ამ მიზნით გამოიყენება ანალიზის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდი. ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდები საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის ფულადი ნაკადების შესახებ დეტალურ წარმოდგენას იძლევა. ტრანზაქციების დაყოფა აღნიშნულ სამ კატეგორიად, უზრუნველყოფს რომ მეტნაკლები საიმედობით შეფასდეს ორგანიზაციის მიმდინარე და პოტენციური, ასევე მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამ ამოცანების გადაჭრაში უპირატესია ანალიზი პირდაპირი მეთოდით, რომელშიც წარმოდგენილია ფულის მასის შემოდინებისა და გადინების კონკრეტული გზები. საოპერაციო საქმიანობიდან სუსტი ფულადი ნაკადები, მნიშვნელოვანი ბიძგია იმისთვის, რომ შემოწმდეს მარაგებისა და დებიტორული დავალიანებების არაჯანსაღი ზრდა. რიგ შემთხვევაში, ძლიერი საოპერაციო ფულადი ნაკადებიც ვერ უზრუნველყოფენ სერიოზული წარმატებების მიღწევას. ამიტომ, ფულადი ნაკადების ანალიზით უნდა დგინდეს თუ რა მიზეზებმა გამოიწვია ფულადი ნაკადების ცვლილებები და რომელი ფაქტორები აფერხებენ ფულის თავისუფალ მოძრაობას. ფულადი ნაკადების ანალიზის პროცესში გამოითვლება თავისუფალი ფულადი ნაკადის მაჩვენებელი, ფულის ბრუნვისა და დამაგრების კოეფიციენტები. ამ კოეფიციენტების დინამიკაში შეს-

წავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ფინანსური მენეჯმენტისთვის.

საკვანძო სიტყვები: ფული და ფულის ექვივალენტები, წმინდა ფულადი ნაკადები, დამაგრების კოეფიციენტი, ბრუნვადობის კოეფიციენტი, თავისუფალი ფულადი ნაკადები, პირდაპირი მეთოდი, არაპირდაპირი მეთოდი.

შესავალი

საწარმოს მიერ მიღებული მოგება და ფულადი სახსრები, როგორც წესი, ერთმანეთს არ ემთხვევა. შესაძლებელია საწარმომ საანგარიშგებო პერიოდი მნიშვნელოვანი მოგებით დაამთავროს, მაგრამ ფულადი საშუალებები ნაკლები ჰქონდეს. ფული სამეურნეო საქმიანობაში სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგან ფულის საშუალებით ხდება რესურსების შეძენა, ხელფასების გაცემა, კრედიტორული დავალიანების დაფარვა, ხარჯების ანაზღაურება და სხვა. საწარმომ მართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ფულად ნაკადებს. ფულადი ნაკადები არის ორგანიზაციაში ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების შემოდინება და გადინება. ფულად სახსრებში იგულისხმება ნაღდი ფული და დეპოზიტები მოთხოვნამდე, ხოლო ფულადი სახსრები ექვივალენტები მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციებია, რომლებიც დაუბრკოლებლად იცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ რაოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

სხვაობა ფულადი საშუალებების შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის, რომელიც გამოითვლება, როგორც საქმიანობის სახეების, ასევე საანგარიშო პერიოდის მიხედვით, არის წმინდა (ნეტო) ფულადი საშუალებები.

იმისათვის, რომ გამოვავლინოთ საწარმოში ფულადი საშუალებების რეალური მოძრაობა, შევაფასოთ მათი მიღებისა და ხარჯვის სინქრონულობა, მიღებული ფინანსური შედეგის სიდიდე დავუკავშიროთ ფულადი ნაკადების მდგომარეობას, საჭიროა გამოვყოთ და გავაანალიზოთ ფულის მიღების (შემოდინების) და გასვლის (გადინების) ყველა მიმართულება.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ტᲔᲥᲡᲢᲘ

ფულადი საშუალებების მოძრაობაზე სრული ანგარიშგების შედგენისას გამოყოფენ სამ ძირითად სეგმენტს: ფულადი საშუალებების მოძრაობის მიმდინარე, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან.

ფულადი საშუალებების შემოდინება მიმდინარე საქმიანობის ფარგლებში, პირველ რიგში, დაკავშირებულია ამონაგების მიღებასთან პროდუქციის, შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურების გაყიდვიდან, ასევე მყიდველებისა და დამკვეთებისაგან ავანსების მიღებასთან; გადინება კი დაკავშირებულია მომწოდებლების და სხვა კონტრაგენტების ანგარიშების ანაზღაურებასთან, მუშაკების ხელფასის ანაზღაურებასთან, ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებთან ანგარიშსწორებასთან. ასევე საწარმოს მიმდინარე საქმიანობასთანაა დაკავშირებული პროცენტი ბანკის კრედიტით სარგებლობისათვის (იხილეთ სქემა №1).



სქემა N1. მიმდინარე საქმიაობიდან მიღებული ფულადი ნაკადები



ასევე შეიძლება ასახული იყოს მიმდინარე საქმიანობაში.
სქემა N2. საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები



ასევე შეიძლება ასახული იყოს მიმდინარე საქმიანობაში.
სქემა N3. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები

ერთ-ერთ პირობას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ფულადი საშუალებებში ესა თუ ის ოპერაცია მიეკუთვნოს მიმდინარე საქმიანობას, წარმოადგენს მისი მიკუთვნების შეუძლებლობა საინვესტიციო ან საფინანსო სფეროსათვის.

ფულადი საშუალებების მოძრაობა საინვესტიციო ჭრილით გამოწვეულია გრძელვადიანი სარგებლობის ქონების შეძენითა (შექმნით) და რეალიზაციით. პირველ რიგში, ეს ეხება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებების მიღებასა და გასვლას (იხილეთ სქემა №2).

ფინანსურ საქმიანობაში იგულისხმება ფულადი საშუალებების მოძრაობა, რაც დაკავშირებულია ცვლილებებთან საწარმოს საკუთარი და ნასესხები კაპიტალის შემადგენლობასა და სიდიდეში. მოცემული განაყოფის საკუთარ კაპიტალში ასახული ცვლილებები წარმოადგენს აქციების ემისიის ან სხვა ფულადი საშუალებებით საწესდებო კაპიტალის ზრდის შედეგს. ასევე, მასში აისახება მიღებული საემისიო შემოსავალი (იხილეთ სქემა №3).

საწარმოს უნარს, განახორციელოს ინვესტიციები მიმდინარე საქმიანობიდან ფულადი ნაკადების საფუძველზე, ე.ი. ჰქონდეს თვითდაფინანსების უნარი, ასევე გააჩნდეს სხვა სახეობის დაფინანსების წყაროებზე შესაძლო მოთხოვნა, ადასტურებს მაჩვენებელი, რომელმაც მიიღო თავისუფალი ფულადი ნაკადების სახელწოდება – FCF (free cash flow).

აღნიშნული მაჩვენებელი ტოლია მიმდინარე (საოპერაციო) და საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული შედეგის (ჯამის) აბსოლუტურ თანხაში. მისი გაანგარიშება წარმოდგენილია ცხრილში №1 (გვ. 134).

ფულადი ნაკადების ანალიზის პრაქტიკაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფულადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგების შედგენის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები.

პირდაპირი მეთოდი გულისხმობს ფულადი საშუალებების შემოსულობებისა და ხარჯვის შესახებ მონაცემების ასახვას ანგარიშგებაში.

არაპირდაპირი მეთოდი ეყრდნობა მიღებული ფინანსური შედეგების გაანგარიშებას – წმინდა ფულადი საშუალებების სიდიდეში გარკვეული კორექტივების შეტანის გზით. მაშასადამე, არაპირდაპირი მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს ფინანსური შედეგების სიდიდიდან (მოგება ან ზარალი) გადავიდეთ წმინდა

საქმიანობათა სახეობების მიხედვით ფულად საშუალებათა საერთო ცვლილება

ცხრილი №1

საქმიანობის სახეობები	**წმინდა ფულადი საშუალებები**	
	გასული პერიოდი	**საანალიზო პერიოდი**
შემოსულობები:		
1. მიმდინარე საქმიანობა	230806	248065
2. საინვესტიციო საქმიანობა	-608261	-51663
3. თავისუფალი ფულადი 4. საშუალებები (სტრ. 1 + სტრ. 2)	-377455	196402
5. ფინანსური საქმიანობა	408685	-200540
6. ფულადი საშუალებების საერთო ცვლილება პერიოდის განმავ-ლობაში (სტრ. 1 + სტრ. 2 + სტრ. 4) ან (სტრ. 3 + სტრ. 4)	31230	-4138

ფულადი საშუალებების მაჩვენებელზე (პერიოდის განმავლობაში ფულადი საშუალებების მთლიანი ცვლილება).

პირდაპირი მეთოდის გამოყენების მნიშვნელობა ისაა, რომ შეფასდეს ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გადასახ-დელების მთლიანი თანხის სიდიდე, გამოვლინდეს ის მუხლები, რომლებიც ყველაზე მეტად ახდენს შემოდინებისა და გადინების ფორმირებას განხილული სამივე საქმიანობის ჭრილით. აქე-დან გამომდინარე, ინფორმაცია, რომელიც ამ მეთოდის საფუძ-ველზე მიიღება, გამოიყენება ფულადი საშუალებების ბიუჯეტის ფორმირებისათვის.

პირდაპირი მეთოდი შესაძლებლობას იძლევა შემოსულობე-ბი და გადასახდელები წარმოვადგინოთ სინქროულად – დროის მიხედვით, რამდენადაც დეტალურად ასახავს ფულადი საშუალე-

ბების მოძრაობას ანგარიშებზე, რაც თავის მხრივ, ოპერატიული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ფულადი საშუალებების საკმარისობის შესახებ მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად, საინვესტიციო საქმიანობისა და სხვა დამატებითი ანაზღაურების გასაწევად. ამასთან, აღნიშნული მეთოდისთვის დამახასიათებელია გარკვეული ნაკლოვანებაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი არ ხსნის ურთიერთკავშირს მიღებულ ფინანსურ შედეგსა და საწარმოს ანგარიშებზე ფულადი საშუალებების ცვლილებებს შორის.

როგორც ცნობილია, წმინდა ფულადი საშუალებების სიდიდე არსებითად განსხვავდება იმ თანხისგან, რომელიც მიღებულია, როგორც ფინანსური შედეგი, რასაც, ცხადია, აქვს რამდენიმე მიზეზი. მათ შორის ძირითადია:

1. მოგება (ზარალი) ან ფინანსური შედეგი, რომელიც ასახულია ანგარიშგებაში მოგებისა და ზარალის შესახებ, ფორმირდება დარიცხვის პრინციპის შესაბამისად, მაშინ როცა ფულადი საშუალებების ცვლილებების შედეგი განისაზღვრება საკასო მეთოდით:

- ბუღალტრულად შემოსავლების აღიარებას შეიძლება თან არ სდევს ფულადი საშუალებების შემოსულობები;
- იმ ხარჯების არსებობა, რომელსაც კავშირი აქვს მომავალ პერიოდთან, იმას იწვევს, რომ რეალური გადასახდელი თანხა განსხვავდება პროდუქციის თვითღირებულებისგან, რომელშიც შეიტანება მხოლოდ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯები;
- გადავადებული გადასახდელების არსებობა (ე.ი. დარიცხულია, მაგრამ ხარჯი საანგარიშგებო პერიოდში გაწეული არ არის) ცხადია, ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას აღნიშნული ხარჯის სიდიდით, მაშინ როცა ფულადი საშუალებების გადინება არ ხორციელდება;
- მიმდინარე ხარჯები პირდაპირ მიეკუთვნება პროდუქციის თვითღირებულებას, კაპიტალური ხარჯები კი ნაზღაურდება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საამორტიზაციო ანარიცხების გზით. თუმცა, ხშირად სწორედ კაპიტალურ ხარჯებთანაა დაკავშირებული ფულადი საშუალებების ყველაზე მეტი გადინება.

2. ფულადი საშუალებების ზრდის წყარო აუცილებელი არ არის იყოს მოგება (ასე მაგალითად, ფულადი საშუალებების შემოდინება შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მისი მოზიდვით სესხების აღების საფუძველზე). ზუსტად ასევე, ფულადი საშუალებების გადინება ხშირად არ არის დაკავშირებული ფინანსური საშუალებების გადინება ხშირად არ არის დაკავშურებული ფინანსური შედეგის შემცირებასთან.

3. გრძელვადიანი აქტივების შეძენა და მასთან დაკავშირებული ფულადი საშუალებების გადინება არ აისახება მოგების სიდიდეზე, ხოლო მისი რეალიზაცია მოცემული ოპერაციის შედეგით ცვლის ერთობლივ ფინანსურ შედეგს. ამასთან, ფულადი საშუალებების ცვლილება განისაზღვრება მიღებული ამონაგების სიდიდით.

4. იმ ფაქტზე, როცა ფინანსური შედეგი და მოგების სიდიდე ერთმანეთს არ ემთხვევა, უშუალო გავლენას ახედენს ცვლილება საკუთარი საბრუნავი კაპიტალის შემადგენლობაში. მიმდინარე აქტივების მუხლების ნაშთების ზრდა იწვევს ფულადი საშუალებების დამატებით გადინებას და მისი შემოდინების შემცირებას. საწარმოს საქმიანობას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგების დაგროვებით თან სდევს ფულადი საშუალებების გადინება; თუმცა, ეს პროცესი გაგრძელდება იმ მომენტამდე, სანამ მარაგები არ იქნება ჩაშვებული წარმოებაში (რეალიზებული), ხოლო მანამადე კი – ფინანსური შედეგის სიდიდე არ შეიცვლება.

5. ფულადი საშუალებების გადინება, რაც დაკავშირებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესყიდვასთან, განისაზღვრება კრედიტორებთან ანგარიშსწორების ხასიათით. კრედიტორული დავალიანების არსებობა საწარმოს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენოს მარაგები, რაც ჯერ კიდევ ანაზღაურებული არ არის. მაშასადამე, რაც უფრო დიდია კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი, მით უფრო მნიშვნელოვანია განსხვავება წარმოებაში ჩაშვებული მატერიალური ფასეულობის მოცულობასა და კრედიტორებისთვის გადასახდელების სიდიდეს შორის.

მიღებულ ფინანსურ შედეგსა და ფულადი საშუალებების სი-

დიდის ცვლილებას შორის ურთიერთკავშირის გამოსავლენად ტარდება ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზი არაპირდაპირი მეთოდით.

პირდაპირი მეთოდისგან განსხვავებით, არაპირდაპირი მეთოდით ფულადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგების შედგენა გულისხმობს არა მარტო ფულადი საშუალებების მუხლების ანალიზს, არამედ ბალანსის აქტივისა და პასივის ყველა მუხლის ანალიზს, რომელთა ცვლილებები გავლენას ახდენს საწარმოს ფულად ნაკადებზე.

არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების დროს ფინანსური შედეგი, რიგი მაკორექტირებელი პროცედურის ჩატარების შედეგად, გარდაიქმნება წმინდა ფულადი საშუალებების სიდიდედ მიმდინარე საქმიანობიდან. ფულადი ნაკადები საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან ჩვეულებრივ აისახება პირდაპირი მეთოდით.

შეიძლება გამოვყოთ მაკორექტირებელი პროცედურების განსაზღვრული თანმიმდევრობა.

პირველ რიგში გამორიცხავენ ფინანსურ შედეგზე ამორტიზაციის დარიცხვის ოპერაციებს (როგორც ხარჯებს, რომელსაც თან არ სდევს ფულადი საშუალებების გადინება) და იმ ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებულია გრძელვადიანი აქტივების გასვლასთან.

რამდენადაც მოგების შემცირებას ამორტიზაციის დარიცხვის შედეგად თან არ სდევს ფულადი საშუალებების შემცირება, ამ უკანასკნელის რეალური სიდიდის გასაანგარიშებლად დარიცხული ამორტიზაციის თანხა უნდა დაემატოს ფინანსური შედეგის სიდიდეს.

ძირითადი საშუალებების ობიექტებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების გასვლა იწვევს ზარალს მისი ნარჩენი ღირებულების სიდიდით, რომელიც ჩამოიწერება და ამცირებს ფინანსურ შედეგს. სავსებით ცხადია, რომ ოპერაციები ქონების ნარჩენი ღირებულების ბალანსიდან ჩამოწერაზე არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს ფულადი საშუალებების სიდიდეზე. მაშასადამე, ზარალის თანხა ნარჩენი ღირებულების სიდიდით უნდა დაემატოს ფინანსური შედეგის სიდიდეს.

თუ გრძელვადიანი აქტივების გასვლის ფინანსურ შედეგს წარმოადგენს მოგება, მაშინ წარმოიქმნება სიტუაცია, რომლის შემთხვევაში მისი სიდიდე ორჯერ იქნება გათვალისწინებული: პირველად – წმინდა მოგების შემადგენლობაში და მეორედ – საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების ანალიზისას, როგორც გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები.

ორმაგი ანგარიში გამოირიცხება შემდეგი მაკორექტირებელი პროცედურის ჩატარებით: მოგების სიდიდე გრძელვადიანი აქტივების გაყიდვით (გასვლით) გამოირიცხება ფინანსური შედეგიდან, ხოლო ზარალის თანხა დაემატება ფინანსურ შედეგს.

მეორე ეტაპზე კორექტივები ასახავს საბრუნავი აქტივებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების მუხლების ცვლილების გავლენას.

როცა მსჯელობაა მიმდინარე აქტივების მუხლების ცვლილებაზე, მხედველობაში აქვთ არაფულადი ხასიათის მუხლები. ფულადი საშუალებების მუხლების ცვლილება წარმოადგენს საშედეგო სიდიდეს. ანგარიშგების მიზანია, ვაჩვენოთ მიმდინარე აქტივების რომელი მუხლის ხარჯზე მოხდა ფულადი საშუალებების სიდიდის ცვლილება.

ანალიზის მსვლელობის პროცესში უნდა განვსაზღვროთ საბრუნავი აქტივების ყოველი მუხლის მიხედვით ცვლილება როგორ აისახა საწარმოს ფულადი საშუალებების მდგომარეობაზე.

მყიდველებისგან ფულადი საშუალებების შემოდინების შესაფასებლად განვიხილოთ ფინანსურ ნაკადზე მიმდინარე აქტივების ისეთი არსებითი მუხლის ცვლილების ზემოქმედების მექანიზმი, როგორიც არის დებიტორული დავალიანება.

არსებობს ურთიერთკავშირის მარტივი ტოლობა დებიტორებისგან თანხის მიღებას, გაგზავნილი პროდუქციის (გაწეული მომსახურების) ღირებულებასა და დებიტორული დავალიანების სიდიდეს შორის:

$$D_{ij}^{0} + R - S_{m} = D_{ij}^{1},$$

სადაც, D_{ij}^{0}, D_{ij}^{1} - შესაბამისად დებიტორული დავალიანების სიდიდეა პერიოდის

დასაწყისში და პერიოდის ბოლოს;

R – რეალიზებული პროდუქციის ღირებულება;

$\mathbf{S_m}$ – მყიდველებისგან შემოსული თანხა.

ფორმულა შეიძლება შემდეგი სახითაც ჩავწეროთ:

$$D_{ij}^{0} + R = D_{ij}^{1} + S_m$$

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ მყიდველებისგან შემოსულობები ყოველთვის ნაკლები იქნება რეალიზებული პროდუქციის ღირებულებაზე (რომელიც თავის ასახვას პოულობს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში), თუ დებიტორული დავალიანება პერიოდის ბოლოსათვის აღემატება მის სიდიდეს პერიოდის დასაწყისისთვის.

მაშასადამე, საანალიზო პერიოდში მყიდველთა დავალიანება თუ გაიზარდა ($D_{ij}^{0} > D_{ij}^{1}$), მაშინ კეთდება დასკვნა, რომ საშუალებების რეალური შემოდინება ნაკლებია მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგებაში დაფიქსირებულზე დებიტორული დავალიანების ცვლილების თანხით და ეს სიდიდე უნდა გამოირიცხოს ფინანსური შედეგიდან.

ცხადია, რომ დებიტორული დავალიანების შემცირება იწვევს ფულადი საშუალებების შემოდინების რეალურ ზრდას და შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სხვაობა დებიტორული დავალიანების სიდიდეებს შორის (პერიოდის დასაწყისსა და პერიოდის ბოლოს შორის) უნდა დაემატოს ფინანსურ შედეგს.

იმ ოპერაციების გავლენა ფინანსურ შედეგზე, რომლებიც დაკავშირებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენასთან, იმით გამოიხატება, რომ მარაგების მატება ზრდის საშუალებების რეალურ გადინებას. მაშასადამე, მარაგების ზრდის თანხა უნდა გამოირიცხოს ფინანსური შედეგიდან და შესაბამისად, შემცირების თანხა უნდა დაემატოს ფინანსურ შედეგს.

ფულადი საშუალებების მოძრაობაზე მიმდინარე პასივების მუხლების ცვლილება მოქმედებს საპირისპიროდ. მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა იმაზე მეტყველებს, რომ საწარმოს აქტივების დიდი ნაწილი და მათ მიერ წარმოებული ხარჯები რჩება აუნაზღაურებელი. იმავდროულად ასეთი ხარჯების არსებობა

გულისხმობს თვითღირებულების ზრდას და შესაბამისად, ფინანსური შედეგის შემცირებას. მოცემულ შემთხვევაში, ფულადი საშუალებების რეალური ხარჯი ნაკლებია თვითღირებულებით გათვალისწინებულზე.

მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ მომწოდებელთა კრედიტორული დავალიანების ნაშთების ცვლილება. ნაშთების ზრდა იმაზე მეტყველებს, რომ მოწოდებული მატერიალური ფასეულობები ან გაწეული მომსახურება რჩება აუნაზღაურებელი, იმ დროს, როცა საწარმო განაგრძობს მათ ხარჯვას და, მაშასადამე, მათი ღირებულების ჩამოწერას პროდუქციის თვითღირებულებაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმდინარე საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების სიდიდის გაანგარიშებისთვის არსებობს საერთო წესი: ფინანსური შედეგის მაჩვენებლიდან უნდა გამოირიცხოს საბრუნავი აქტივების მუხლების ნაშთების ზრდა (ანგარიშგებაში ნაჩვენებია ნიშანი "მინუსით"), ხოლო შემცირება – უნდა დაემატოს (ნაჩვენებია ნიშანი "პლუსით"); მიმდინარე პასივების მუხლების ნაშთების ზრდა უნდა დაემატოს ფინანსურ შედეგს (ნაჩვენებია ნიშანი "პლუსით"), ხოლო შემცირება უნდა გამოირიცხოს (ნაჩვენებია ნიშანი "მინუსით").

ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზისას ვიხილავდით ოპერაციებს, რომლითაც ხდებოდა ფინანსური შედეგის ფორმირება, ხოლო მასში ვგულისხმობდით წმინდა მოგების ან ზარალის თანხას. მაგრამ ფულადი საშუალებების ნაკადი დაკავშირებულია წმინდა მოგების გამოყენებასთანაც, როგორიცაა დივიდენდების გაცემა და სხვა ანალოგიური ანაზღაურებები. თუ ასეთ ანაზღაურებებს ჰქონდა ადგილი, მაშინ ატარებენ დამატებით მაკორექტირებელ პროცედურებს (პირობითად მათ უწოდებენ კორექტირების მესამე ეტაპს), რაც დაკავშირებულია აღნიშნული ხარჯების თანხის გამორიცხვასთან წმინდა მოგებიდან.

აღნიშნული პროცედურების ერთობლივმა გავლენამ, რაც ფინანსური შედეგის სიდიდის კორექტირებას ახდენს, უნდა გამოიწვიოს ანგარიშგებაში ფულადი საშუალებების ან წმინდა ფულადი საშუალებების ცვლილებების შედეგების ასახვა, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში (იხ. ცხრილი №2).

ანგარიშგება ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ (არაპირდაპირი მეთოდი)

ცხრილი №2

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	**თანხა, ლარი**
მიმდინარე საქმიანობა	
წმინდა მოგება	+ 105038
ამორტიზაცია	+ 122303
ზარალი გრძელვადიანი აქტივების გასვლით	+ 54341
მარაგების შემცირება	+ 87073
შეძენილ ფასეულობებზე დღგ-ს გაზრდა	- 11718
დებიტორული დავალიანების გაზრდა	- 186148
მათ შორის:	
მყიდველები და დამკვეთები	- 43791
გაცემული ავანსები	- 51343
სხვა დებიტორები	- 91014
კრედიტორული დავალიანების ცვლილება	+ 79532
მათ შორის:	
მომწოდებლები და მოიჯარეები	+ 88581
შრომის ანაზღაურებაზე	- 12621
სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების წინაშე	+ 18491
ბიუჯეტის წინაშე	- 14692
სხვა კრედიტორები	- 227
მომავალი პერიოდის შემოსავლის შემცირება	- 10590
გადავადებული საგადასახადო აქტივების ზრდა	- 1946
გადავადებული საგადასახდელო ვალდებულებების ზრდა	+ 10180
სულ წმინდა ფულადი საშუალებები მიმდინარე საქმიანობიდან	+ 248065
საინვესტიციო საქმიანობა	
წმინდა ფულადი საშუალებები საინვესტიციო საქმიანობიდან	- 51663
ფინანსური საქმიანობა	
წმინდა ფულადი საშუალებები ფინანსური საქმიანობიდან	- 200540
ფულადი საშუალებების მთლიანი ცვლილება	- 4138
ცნობისთვის:	
ფულადი საშუალებები პერიოდის დასაწყისისთვის	77606
ფულადი საშუალებები პერიოდის ბოლოსთვის	73468

შედგენილი ანგარიშგების მონაცემების საფუძველზე ფულადი საშუალებების მოძრაობის ანალიზს იწყებენ მიმდინარე საქმიანობის განხილვით. ასე იმიტომ კეთდება, რომ სწორედ, მიმდინარე

საქმიანობა წარმოადგენს ფულად საშუალებებზე წარმოქმნილი მოკლევადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნილებების დაფარვის ძირითად სტაბილურ წყაროს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ანგარიშსწორებისთვის ამოსავალ ბაზას წარმოადგენს ფინანსური შედეგის მაჩვენებელი, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დავრწმუნდეთ მის საიმედოობაში. ამასთან, გარკვევას საჭიროებს არსებითი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც, როგორც წესი, ასახულია "სხვა დანარჩენი" მუხლის შემადგენლობაში და გავლენას ახდენს ფინანსურ შედეგზე, მაგრამ ისე, რომ არ ეხება ფულად საშუალებებს. ასეთი მუხლის მაგალითებია: დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ჩამოწერა, ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგად დანაკლისისა და დანაკარგების გამოვლენა და სხვ.

ფინანსურ შედეგსა და წმინდა ფულად საშუალებებს **(წფს)** შორის განსხვავებულობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს გრძელვადიან აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა. შესაბამისად, საამორტიზაციო პოლიტიკა ფულადი ნაკადების მართვის უმთავრესი ფაქტორი. ამორტიზაციის დარიცხვის დაჩქარებული მეთოდები (აქტივების გამოყენებისა და ექსპლუატაციის პირველ წლებში) ხელს უწყობს ფულადი საშუალებების მეტად შემოდინების უზრუნველყოფას.

პროდუქციის (სამუშაოების) მოცულობის პროპორციულად ღირებულების ჩამოწერა შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთს დავუკავშიროთ დასარიცხი ამორტიზაციის თანხა და ძირითადი საშუალებების გამოყენების ინტენსივობა – რაც უფრო ინტენსიურად ხდება ძირითადი საშუალებების გამოყენება, მით უფრო მეტი ფულადი საშუალებების შემოდინების უზრუნველყოფაა აუცილებელი.

ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენება შეიძლება მიზანშეწონილი იყოს იმ პირობით, რომ საწარმო დაინტერესებულია სტაბილური ფულადი ნაკადებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ მიმდინარე აქტივების ცვლილებების გამომწვევ მიზეზებსა და მის გავლენაზე ფულად ნაკადებზე. აუცილებელია, გვახსოვდეს შემდეგი წესი: საბრუნავი აქტივების მუხლების ზრდა (მაგალითად, მარაგების ან

დებიტორული დავალიანებების ზრდა) იწვევს იმას, რომ სხვა თანაბარ პირობებში ფინანსური შედეგის სიდიდე (ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ) ყოველთვის მეტი იქნება წმინდა ფულადი საშუალებების სიდიდეზე მიმდინარე საქმიანობიდან.

დავუშვათ, რომ საანალიზო საწარმოში ადგილი ჰქონდა ცვლილებებს, როგორც ეს წარმოდგენილია ცხრილში (იხ. ცხრილი №3).

100 ათასი ლარის წმინდა მოგების გამომუშავების პირობებში (300-200), წმინდა ფულადი საშუალებების სიდიდე მიმდინარე საქმიანობიდან შეადგენს ნულს. აღნიშნულის მიზეზი გახდა:

1. მარაგების ზრდა – 50 ათასი ლარით;
2. დებიტორული დავალიანების ზრდა – 100 ათასი ლარით;
3. კრედიტორული დავალიანების ზრდა – 50 ათასი ლარით.

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ბალანსში განხორციელებული ცვლილებების ანალიზი (ათასი ლარი)

ცხრილი №3

აქტივები	**პერიოდის დასაწყისში**	**პერიოდის ბოლოს**	**ცვლილება**	**პასივები**	**პერიოდის დასაწყისში**	**პერიოდის ბოლოს**	**ცვლილება**
ძირითადი საშუალებები	300	300	-	საწესდებო კაპიტალი	200	200	-
მარაგები	100	150	50	გაუნაწილებელი მოგება	200	300	100
დებიტორული დავალიანებები	250	350	100	კრედიტორული დავალიანებები	300	350	50
ფულადი საშუალებები	50	50	-				
ბალანსი	700	850	150		700	850	150

წმინდა ფულადი საშუალებების **(წფს)** გაანგარიშება მიმდინარე აქტივებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების ცვლილე-

ბების პირობებში შეიძლება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

(წფს)$_{ბს}$ = მოგება (ზარალი) – მიმდინარე აქტივების ცვლილება (იღებენ ყველა მიმდინარე აქტივს ფულადი საშუალებების გარდა) + მოკლევადიანი ვალდებულებების ცვლილება (კრედიტისა და სესხების გარდა).

ჩვენი მაგალითის მიხედვით **(წფს)$_{ბს}$ = 100 – 50 – 100 + 50 + 0**

განხილური მაგალითი ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ ძირითადი საშუალებების სიდიდე ბალანსში რჩება უცვლელი, რეალურ ცხოვრებაში აუცილებელია ამორტიზაციის დარიცხვა, რაც იწვევს ბალანსში ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია ჩვენს მიერ ადრე განხილული კორექტივების შეტანა ამორტიზაციის თანხით. გავაგრძელოთ მაგალითი და დავუშვათ, რომ ამორტიზაციის თანხამ პერიოდის განმავლობაში შეადგინა 60 ათასი ლარი. ვაჩვენოთ როგორ აისახება ეს ბალანსში და ფულადი ნაკადების გაანგარიშებაში (იხ. ცხრილი №4).

საანგარიშო პერიოდში საწარმოს ბალანსში განხორციელებული ცვლილებების ანალიზი (ათასი ლარი)

ცხრილი №4

აქტივები	**პერიოდის დასაწყისში**	**პერიოდის ბოლოს**	**ცვლილება**	**პასივები**	**პერიოდის დასაწყისში**	**პერიოდის ბოლოს**	**ცვლილება**
ძირითადი საშუალებები	300	240	- 60	საწესდებო კაპიტალი	200	200	-
მარაგები	100	150	50	გაუნაწილებელი მოგება	200	240	40
დებიტორული დავალიანებები	250	350	100	კრედიტორული დავალიანებები	300	350	50
ფულადი საშუალებები	50	50	-				
ბალანსი	700	790	90		700	790	90

40 ათასი ლარი წმინდა მოგების გამომუშავების პირობებში (დარიცხული ამორტიზაციის გათვალისწინებით) **წფს**-ს სიდიდე მიმდინარე საქმიანობიდან შეადგენს:

წმინდა მოგება (40 ათასი ლარი) + ამორტიზაცია (60 ათასი ლარი) – მარაგების ზრდა (50 ათასი ლარი) – დებიტორული დავალიანების ზრდა (100 ათასი ლარი) + კრედიტორული დავალიანების ზრდა (50 ათასი ლარი).

სულ **(წფს)**$_{ᲗᲚ}$ **= 0.**

ანალიზის პროცესში ფულად ნაკადებზე მიმდინარე აქტივების ცალკეული მუხლების ცვლილების გავლენის განსაზღვრისას აუცილებელია დავადგინოთ, რა მიზეზებმა გამოიწვიეს ეს ცვლილებები. ასეთი მიზეზების რიცხვში, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ გაყიდვების მოცულობისა და საშუალებების ბრუნვადობის ცვლილება.

ჩვენ მიერ განხილული №3 და №4 ცხრილების მონაცემების მიხედვით, ადგილი ჰქონდა დებიტორული დავალიანებებისა და მარაგების ზრდას 150 ათასი ლარით (50+100). დავუშვათ, რომ ეს იყო დაკავშირებული გაყიდვების მოცულობის გადიდებასთან. ცხადია, რომ გაყიდვების მოცულობის კიდევ უფრო მეტად გაზრდისა და არსებული ბრუნვადობის შენარჩუნების პირობებში, ასევე დაფიქსირებული იქნება მიმდინარე აქტივების კიდევ უფრო გადიდება, დავუშვათ, მისი ზრდა შეადგენს არა 150 ათას ლარს, არამედ 200 ათას ლარს; წმინდა მოგება გაიზარდოს 120 ათას ლარამდე, ხოლო კრედიტორული დავალიანების სიდიდემ პერიოდის ბოლოს შეადგინოს 370 ათასი ლარი, მაშინ წმინდა **წფს**-ს სიდიდე იქნება (-10) ათასი ლარი (120 – 120 + 70). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საწარმოს გამომუშავებული 120 ათასი წმინდა მოგების პირობებში მიმდინარე საქმიანობიდან ფულადი საშუალებების წმინდა გადინება ექნება 10 ათასი ლარი.

მიმდინარე აქტივების სიდიდის ცვლილების მეორე მიზეზია მისი ბრუნვის სიჩქარის ცვლილება. თუ მიმდინარე აქტივების ზრდა უსწრებს ამონაგების ზრდას, ეს მოწმობს აქტივების ბრუნვადობის შენელებაზე და როგორც შედეგი, შესაძლო პრობლემების წარმოშობაზე ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობაში.

თუ მიმდინარე აქტივების სიდიდე შემცირდა, აუცილებელია გავარკვიოთ ეს გაყიდვების მოცულობის დაცემის შედეგია, თუ საწარმოს ხელმძღვანელობის შეგნებული პოლიტიკის, რომლის მიზანია ბრუნვადობის დაჩქარება და საშუალებების გამონთავისუფლება.

თუ ანალიზის შედეგად დადგინდა მიმდინარე პასივების მუხლების ზრდა, აუცილებელია დავადგინოთ, დაკავშირებულია თუ არა იგი ამონაგების გადიდებასთან (ამონაგების ზრდას, როგორც წესი, თან სდევს მიმდინარე აქტივების ზრდა, რის შედეგადაც მატულობს კრედიტორული დავალიანების სიდიდე), თუ მოკლევადიანი ვალდებულებების გადიდება დაკავშირებულია საწარმოს გადახდისუნარიანობის პრობლემებთან.

ფულადი ნაკადების ანალიზისას საინვესტიციო საქმიანობიდან მთავარია დავადგინოთ საშუალებათა დაბანდების მიმართულებები: რეალურ აქტივებში, არამატერიალურ აქტივებში, გრძელვადიან ფინანსურ დაბანდებებში.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგების ფინანსურმა ანალიზმა უნდა გამოავლინოს დაფინანსების წყაროების მოზიდვის მიმართულებები. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ შევაფასოთ, აქვს თუ არა საწარმოს უნარი მომავალში დაფაროს ვალდებულებები წარმოქმნილი მოზიდული სესხებითა და კრედიტით. ასევე საჭიროა ერთმანეთს შევადაროთ მიმდინარე ფინანსური საქმიანობის შედეგები იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულებათა დაფარვის ძირითად სტაბილურ წყაროს წარმოადგენს საშუალებათა ნაზარდი მიმდინარე საქმიანობიდან.

ფულადი ნაკადების ანალიზის შედეგები შეიცავს ღირებულ მმართველობით ინფორმაციას, რაშიც დაინტერესებულია როგორც საწარმოს ხელმძღვანელები, ასევე მისი აქციონერები (ინვესტორები). მისი დახმარებით ხელმძღვანელობას შეუძლია აკონტროლოს საწარმოს მიმდინარე გადახდისუნარიანობა, მიიღოს ოპერატიული გადაწყვეტილება მისი სტაბილიზაციისთვის,

შეაფასოს დამატებითი ინვესტიციების შესაძლებლობა. საწარმოს კრედიტორებს შეუძლიათ შეადგინონ დასკვნა მევალე – საწარმოს საშუალებების საკმარისობისა და მისი უნარის შესახებ – გამოიმუშაოს ფულადი საშუალებები, დავალიანებათა დასაფარავად. აქციონერები (ინვესტორები), რომლებიც ფლობენ ინფორმაციას საწარმოში ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ, შესაძლებლობა ეძლევათ უფრო დასაბუთებულად მიუდგნენ განაწილებისა და გამოყენების პოლიტიკის შემუშავებას.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. Г.В. Савицкая, Экономический анализ, М, 2014.

2. А. И. Нечитайло, И. А. Нечитайло, Комплексныи экономический анализ. Ростов – на - Дану, 2014.

3. Роберт С. Хиггине. Финансовый анализ: инструменти для приниятия бизнес-решенный, 8-е издание, М. 2008.

4. А. Ф. Ионова, Н. Н. Селезнёва. Финансовый анализ. М. 2008.

5. О. В. Ефимова, М. В. Мельник. Анализ финансовой отчётности. М. 2008.

REFERENCES:

1. G.V Savitskaia, Economic Analysis, M, 2014(In rusian language).

2. A. I. Nechitailo, I.A. Nechitailo, Comprehensive Economics, Rostov, 2014 (In rusian language).

3. Robert S. Higgin, Financial Analysis: Instruments for Making Business Decisions, 8th edition, M. 2008 (In rusian language).

4. A. F. Ionova, N.N. Selezniova, Financial Analysis, M. 2008(In rusian language).

5. O.V Efimova, M .V Melnik, Analysis of Financial Statement, M. 2008 (In rusian language).

METHODS OF CASH FLOW ANALYSIS AND THEIR CHARACTERISTICS

Nana Sreseli
Associated Professor of TSU
Merab Jikia
Associated Professor of TSU

RESUME

Cash flow analysis determines the identification of deficit or surplus of cash and cash equivalents, verifies the directions of flow sources and their usage, sets cash flow trends and gives characteristics of their growth or reduction rates. The direct and indirect analysis methods are applied for these purposes. The Cash flow analysis methods provide a detailed representation on cash flows from operating, investment and financial activities. Division of transactions into these three categories ensure the assessment of organization's current and potential operations, as well as the strengths and weaknesses with more or less reliability. It is preferential to apply the direct analysis methods in similar circumstances, which presents specific ways of cash inflow and outflow. Weak cash flow from operating activities is a significant incentive for checking unhealthy growth of stock and receivables. In some cases, even strong operating cash flow cannot ensure an achievement of major success. Therefore, the causes of changes in cash flow and the factors which impede a free movement of cash should be determined via analyzing the cash flow. During cash flow analysis process, the free cash flow indicator, cash turnover ratio and attach rate are calculated. Studying these ratios in dynamic has a crucial role in financial management.

Key words: cash and cash equivalents, net cash flow, attach rate, turnover ratio, free cash flow, direct methods, indirect methods.

ЖЕНЩИНА-ПРЕДПРИНИМАТЕЛЬ, ДЕЛОВАЯ ЖЕНЩИНА

Мераб Келенджеридзе
Профессор-ГТУ
Нурана Маммадова
Студентка-ГТУ

- ***Численность населения Земли на 2016 год - 7 427 886 256***
- ***Численность мужского населения (50.4%) - 3 746 683 638***
- ***Численность женского населения (49.6%) - 3 681 202 517***

На протяжении многих столетий женщины считались слабым полом. Заниматься домашним хозяйством и воспитывать детей – вот главные занятия для нас. Но так считалось до начала прошлого века, на сегодняшний день ситуация значительно изменилась. Многие современные представительницы прекрасного пола стремятся добиться успеха в бизнесе и политике – отраслях, которые всегда считались исконно мужскими.

Ни для кого не является секретом: для того чтобы добиться успеха в бизнесе одних знаний и способностей недостаточно. Мир бизнеса, где преобладают мужчины – жесток и безжалостен, а порой и беспощаден.

Конечно же, путь бизнес-леди непростой и этому следует долго учиться, важно уметь правильно и грамотно себя вести, правильно разговаривать и профессионально вести свои дела.

Современный мир с его высоким темпом жизни и экономической нестабильностью вынуждают женщину, самой беспокоиться о своём материальном благополучии, чтобы иметь возможность со-

держать себя и свою семью. Иногда, одной из причин, послужившей началом успешной карьеры, является потеря мужа.

Огромное значение для продвижения женщины по карьерной лестнице имеет выбор специальности, то, какое образование она получила.

В роли бизнес леди, помимо многочисленных преимуществ, существует и ряд недостатков.

Недостатки:

Во-первых, у большинства деловых женщин остается очень мало времени на личную жизнь и семью. Многие бизнес вумен не заводят детей до тридцати пяти лет, посвящая себя карьере.

Во-вторых, женщины часто жертвуют своим здоровьем ради бизнеса. Сидячая работа в офисе, сверхурочные часы, командировки, стресс – это все крайне неблагоприятно сказывается на самочувствии.

Преимущества:

У женщин в мире бизнеса есть определенные преимущества перед мужчинами. Известно, что женщины более внимательны и чутки, они тонко ощущают интонации и мимику человека, а это им очень помогает устанавливать с собеседником взаимопонимание. Женщина улавливает перемены в настроении собеседника, и может быстро перенастроиться и изменить свое поведение. Женщинам гораздо проще подстраиваться под собеседника, говорить на его языке. А это уже первый ключ к успеху!

Любая дама — хорошая актриса, а потому она может мгновенно менять образ в зависимости от ситуации. Иначе говоря, в области построения взаимопонимания с оппонентом женщины виртуозно обходят мужчин. Нет им равных и в умении слушать, в практичности и стрессоустойчивости: даже в самых трудных ситуациях женщина находит какой-то выход. Словом, бизнес-леди — это актриса: умение менять образ в зависимости от ситуации помогает ей добиваться нужного результата быстрее, чем мужчине.

Имидж - BUSINESSWOMAN :

- Вот его основные правила:
- Умение правильно подобрать наряд для любого мероприятия;
- Грамотно и четко излагать свои мысли
- Не употреблять нецензурные выражения
- Всегда предупреждать о возможном опоздании деловых партнеров
- Обладать хорошими манерами
- Здороваться за руку
- Не говорить лишнего

Чтобы стать преуспевающей в данном деле, следует познакомиться с судьбой и жизнью самых успешных леди нашей планеты.

Женщина-миллиардер — редкое и необычное явление для всего мира. особенно, если в списке знаменитого рейтинга Forbes, как правило, больше всего мужчин. Безусловно, каждая жена миллиардера может считать себя таковой, однако настоящую зависть и гордость вызывают женщины, которые смогли заработать свое состояние собственным умом и руками.

BISINESSWOMAN КОТОРЫЕ ЗАРАБОТАЛИ СВОЕ СОСТОЯНИЕ СОБСТВЕННЫМИ СИЛАМИ.

- Китайская предпринимательница **Ву Яцзюнь** входит в первую двадцатку самых успешных «предпринимательниц» мира, является самой богатой женщиной Китая, и находится на первой позиции мирового рейтинга женщин, которые сколотили своё состояние собственными руками (5,7 миллиарда долларов на 2012 год).Интересна и сфера деятельности Ву Яцзюнь – она занимается недвижимостью (эту область традиционно возглавляют мужчины).
- **Розалия Мера**. Эта женщина-филантроп является самой богатой в Испании и также входит в список самых состоятельных представительниц слабого пола, сделавших своё богатство на собственном труде. Розалия – одна из учредителей популярной сети магазинов одежды Zara.

• Также, говоря об успешных бизнесвумен, нельзя не вспомнить о **Рут Хэндлер**. Эта женщина создала всемирно известную и любимую многими девочками куклу Барби, и заработала на этом десятки миллионов долларов.

Мы привели всего три примера успешных и богатых женщин, которые сделали свое состояние благодаря своему труду. Но таких примеров можно привести еще очень и очень много – это говорит о том, что женщина может быть предпринимателем, руководителем и изобретателем ничуть не хуже, чем представители мужского пола.

САМЫЕ БОГАТЫЕ ЖЕНЩИНЫ В МИРЕ (НАСЛЕДНИЦЫ)

• **Кристи Уолтон**

Состояние: $41,7 млрд

Возраст: 60

Источник богатства: Wal-Mart

Уолтон стала самой богатой женщиной в мире в пятый раз за последние шесть лет и сохранила первое место, как и в прошлом году, когда она опередила наследницу империи L'Oreal Лилиан Беттанкур. За последний год состояние Уолтон увеличилось на $5 млрд, в прошлом году Forbes оценил в $36,7 млрд.

• **Лилиан Беттанкур**

Состояние: $40,1 млрд

Возраст: 92

Источник богатства: L'Oreal

Гранд-дама и главная наследница империи L'Oreal, самая богатая женщина Европы Лилиан Беттанкур во второй раз занимает второе место рейтинга, хотя ее состояние увеличилось в этом году с $34 млрд. Беттанкур уже не участвует в руководстве компанией, основанной ее отцом.

• **Элис Уолтон**

Состояние: 38,6 млрд. долларов.

Возраст: 65

Источник богатства: Wal-Mart

Дочь основателя Wal-Mart Сэма Уолтона.Имеет собственный капитал в размере около $20 млрд.

ЖЕНЩИНЫ В ПОЛИТИКЕ

Женщина в политике – явление редкое. Общество с трудом расстается с ущемленным представлением о том, что политика – удел сильных, что особо женских интересов в политике не существует, что есть общечеловеческие ценности, которые нужно отстаивать.

Вопрос о том, может ли женщина наравне с мужчиной занимать высокие посты, уметь вертеться в кругах интеллектуалов, работать на одной из самых высоких и трудных должностей в политической деятельности, стал уже извечным. Казалось бы, теперь для этого нет никаких препятствий, но только редкая женщина отважиться пойти в политику или стать директором крупнейшей фирмы. Но все-таки такие женщины есть: сильные, трудолюбивые, стремящиеся к самой вершине, но в тоже время женственные, ласковые, обаятельные и привлекательные.

Сейчас положение изменяется. Женщины завоевывают одну позицию за другой в бизнесе, предпринимательстве, науке. Практически во всех странах мира, где женщины приходят к власти, они доказывают, что у “слабого пола” в настоящий момент есть свои особые социальные интересы, что они подчас более эффективно, чем мужчины, трудятся и более последовательны в достижении поставленных целей.

Известные представительницы “слабого пола”, пришедшие в политику и успешно осуществлявшие ее в интересах своих государств.

- **Алиева, Мехрибан Ариф кызы**

Родилась 26 августа 1964 года в Баку**.**

Азербайджанский общественный и политический деятель, супруга президента Азербайджана Ильхама Алиева, депутат Милли Меджлиса Азербайджана, руководитель рабочей группы по азербайджано-американским межпарламентским связям, президент Фонда Гейдара Алиева и Фонда друзей культуры Азербайджана,

президент Федерации гимнастики Азербайджана, посол доброй воли ЮНЕСКО, ООН, ОИК и ИСЕСКО.

- **Хиллари Родэм Клинтон**

Хиллари Родэм родилась 26 октября 1947 года в Чикаго. В 1969 году в Колледже Уэллсли получила степень бакалавра и поступила на юридический факультет Йельского университета. Жена Билла Клинтона

Американский политик, сенатор от штата Нью-Йорк (2001—2009). Первая леди США (1993—2001). Государственный секретарь США(2009—2013). Член Демократической партии. Одна из основных кандидатов на пост Президента США на выборах 2016 года.

Предвыборная кампания 2016

12 апреля 2015 года объявила о выдвижении своей кандидатуры на Президентских выборах 2016 года от Демократической партии

- **Пак Кын Хе**

Родилась 2 февраля 1952 года в Тэгу

1 1-й президент Республики Корея. Лидер «Партии великой страны»

В 2004—2006 и 2011—2012 годах (партия сменила своё название на «Сэнури» в феврале 2012 года), дочь Пак Чон Хи, президента Южной Кореи в 1963—1979 годах. Избрана президентом Республики Корея на выборах 2012 года вступила в должность 25 февраля 2013 года.

ЗАКЛЮЧЕНИЕ:

Нет практически не одной сферы бизнеса, где удачно не обосновались бы деловые женщины. Это и промышленность, и интернет, и компьютеры, и политика, и красота, и медицина, и искусство. И это ещё далеко не полный список. Многие бизнес леди, даже в кризис, умудряются зарабатывать такие деньги, которым позавидовал бы даже олигарх.

Пока еще бытует мнение, будто бы бизнес мужская стихия, и слабым представительницам прекрасной половины человечества там делать нечего. Но, послушайте, в наши дни выпу-

скается такое количество именно женской продукции: косметики, предметов личной гигиены, одежды, обуви и галантереи, открыто столько направлений в танцах, появилось множество оздоровительных и омолаживающих процедур. Думаете, кто за этим стоит? Мужчина? Да, как же… В 80% случаев за каждым успешным бутиком, салоном красоты, косметологическим кабинетом, шейпинг-клубом, танцевальной студией стоит ее величество Женщина! А все потому, что потребительская аудитория таких сфер бизнеса – почти полностью состоит из милых дам. И, как говорится, никто не поймет женские потребности лучше, чем… она сама!

Мужчины давно научились считаться с женщинами, а женщины умело доказали, что могут всё. Всё чаще и чаще мужчины и женщины становятся партнёрами по бизнесу и очень удачно сотрудничают на протяжении долгих лет.

Женщины готовы воспользоваться новыми возможностями для управления бизнесом и оставить свой след в развитии бизнеса. На самом деле, это уже происходит.

Так кто же она, бизнес-леди? Это сильная и яркая личность, которая не боится идти наперекор общественному мнению. Это женщина, которая комфортно чувствует себя тогда, когда занимается чем-то важным и значимым, которой нравится проявлять себя, свой профессионализм, свой интеллект.

КТО ТАКОЙ БИЗНЕСМЕН?

Бизнесмен – это деловой человек. Бизнесмен — это человек, занимающийся предпринимательской деятельностью и получающий от своей деятельности прибыль. Он может заниматься в сфере производства, продажи или оказания услуг. В каждой сфере есть много разновидностей деятельности, которой можно было бы заняться. Главное выбрать то, что было бы по душе.

Бизнес – это деятельность, направленная на получение прибыли путем создания и реализации продукции или услуг. Соответственно бизнесмен – это владелец капитала, который его вкладывает для

осуществления данной деятельности. Бизнесмен может заниматься бизнесом сам, а может привлечь наемного руководителя, предоставить ресурсы и главное – поставить задачи.

Бизнесмен - это всегда была профессия, связанная с определенным риском. Бизнесмен всегда может ошибиться в расчетах и потерять все свои капиталы. Резкие экономические изменения в стране (экономический кризис), рост конкуренции, возникновение других трудностей при осуществлении продаж и многое другое - факторы, которые также могут повлиять на работу и прибыль бизнесмена. Поэтому профессия бизнесмен требует выдержки и уверенности в себе.

Бизнесмен не имеет определенного графика работ. Его профессия заставляет в любой момент приступить к работе, выехать на деловую встречу как днем, так и ночью. По сути бизнесмен - это не профессия, а образ жизни, основная цель которого - получение стабильного дохода и дальнейшее его увеличение.

Многие бизнесмены становятся миллионера и миллиардерами.

Бизнесмен работает сам на себя, и полностью от него самого зависит уровень его доходов.

САМЫЕ БОГАТЫЕ БИЗНЕСМЕНЫ МИРА НА 2015 ГОД.

- Мексиканский бизнесмен **Карлос Слим Элу**,является самым богатым бизнесменом планеты.И находится на втором месте самых богатых людей планеты который обладает состоянием 77,1 миллиарда долларов. Этот человек сделал свое состояние на телекоммуникациях, мобильной связи и финансовых операциях.
- Бизнесмен-миллиардер **Уоррен Баффет** родом из США. Его состояние составляет 72,7 миллиарда долларов. За прошедший год Баффет стал богаче еще на 14,5 миллиарда долларов. Berkshire Hathaway, финансовая империя Баффета, контролирует множество компаний в разных сферах экономики: энергетической, транспортной, строительной и многих других.Баффет имеет репутацию щедрого мецената и филантропа. Ежегодно он тратит на благотворительные цели миллиарды долларов. Общая сумма его пожертвований составляет 23 миллиарда долларов.

- **Амансио Ортега** миллиардер испанского происхождения, который родился в очень бедной семье, но сумел стать одним из наиболее богатых людей планеты. Амансио Ортега вырос в семье простого железнодорожного рабочего, а сейчас его называют одним из лучших торговцев в мире. Его состояние составляет 64,5 миллиарда долларов. Ортега является основателем торговой марки Zara.

КТО ПРОДУКТИВНЕЕ - БИЗНЕСМЕН ИЛИ БИЗНЕС ЛЕДИ?

Этим вопросом задавались многие психологи со всего мира, кто же все-таки лучше проявляет себя в бизнес-сфере – мужчины или женщины. Этот вопрос волнует миллионы людей. А спор между первыми и вторыми ведется уже много лет.

Стоит заметить, что еще пару десятилетий назад, «женщины и бизнес» было абсолютно немыслимым понятием, за очень редким исключением. Сегодня же, в бизнесе хватает как мужчин, так и женщин.

Если широко смотреть на бизнес, то, естественно, хорошие и плохие руководители есть и среди мужчин, и среди женщин.

Женщины отличаются от коллег мужчин. У каждого свой стиль руководства, организации работы, они по-разному решают серьезные вопросы, у них разные подходы к подбору персонала, разные модели поведения с партнерами, клиентами и т. д.

Преграды и препятствия мужчин и женщин в бизнесе

Мужчинам часто мешают вести бизнес, в первую очередь, такие качества:

1. Импульсивность принятия решений.
2. Нежелание показать свою слабость – как следствие, неоправданная агрессия.
3. Чрезмерная гордость, из-за которой мужчины не спешат советоваться в деловых вопросах с другими; эгоизм.
4. Ярко выраженная рискованность.

Качества, которые мешают женщинам добиться успеха:

1. Недостаточная жесткость.
2. Иногда неуверенность в своих действиях.
3. Отсутствие глобального подхода в бизнес делах.

4. Излишнее внимание к жизненным мелочам, эмоциям, человеческим отношениям.

Кевин О'Лири (Kevin O'Leary)

Инвестор цикла американских реалити-шоу SharkTank, соглашается с тем, что женщины представляют большую ценность, когда дело доходит до успешного руководства бизнесом. В недавней статье, опубликованной на новостном портале Business Insider, он заявил, что из **27** компаний, инвестором которых он является, ни одна фирма под управлением мужчины не превзошла организаций, у руля которых стоят женщины. К слову, женщины занимают **55%** должностей генерального директора в его компаниях.

В заключение можно сделать следующий вывод. Мужской стиль руководства более соответствует общепризнанной модели «правильного» ведения бизнеса, в котором проявляются решительность, настойчивость, суровость. Поэтому мужчины более продуктивны при достижении поставленных задач. Однако, у них нет того важного качества, которое есть у женщин – взвешенность своих решений, анализ альтернатив – что тоже очень важно в управлении бизнесом. Мужчинам и женщинам есть чему поучиться друг у друга, и только объединив все свои положительные качества, мы получим идеального руководителя.

Человечество всегда любило деньги и не имело значения, из чего они были сделаны: из ракушек, металла или бумаги. Деньги – это не только ключ к обеспеченной и комфортной жизни, но и символ благополучия, власти и успеха. В современном мире богачи пользуются большой популярностью, о них снимают фильмы, пишут книги, журналисты не дают им прохода. И чем больше денег у человека, тем больше внимания привлекает его персона. Людей интересует его личная жизнь, семья, привычки и способ, с помощью которого человек свои заработал деньги.

REFERENCES:

http://www.forbes.ru/; http://womanadvice.ru/;
http://top10a.ru/10-samyx-bogatyx-lyudej-v-mire-na-2015
http://biznesvbloge.ru/

შიდა აუდიტის როლი რისკის შეფასებაში

მუხრან ქამადაძე
თსუ ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

მმართველობითი სისტემის უმაღლესი რგოლის ინტერესებში შედის რისკის მართვასთან დაკავშირებული პროცესების გაუმჯობესება, ამის განხორციელებისათვის კი მისი იდეალურ პარტნიორია შიდა აუდიტი. რისკის მართვა წარმოადგენს განმეორებადი სისტემატიზებული პროცესების ერთობლიობას. ის იგეგმება, ხორციელდება, კონტროლდება და მუდმივად იხვეწება იმისათვის, რომ გაიზარდოს ორგანიზაციის წინაშე არსებული ყველა მნიშვნელოვანი შესაძლებლობის, მიზნის მიღწევის სტრატეგიისა და ბიზნეს-გეგმის რეალიზაციის ალბათობა.

იმის გათვალისწინებით, რომ რისკის მართვა თავისთავად არაზუსტი, არაობიექტური საქმიანობის სფეროა, რომელიც უმეტესწილად მოითხოვს შემოქმედებით მიდგომებს, შიდა აუდიტში რისკზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება მრავალი საკითხის კომპლექსურ გააზრებას მოითხოვს. ის თანაბრად ეხება, როგორც შიდა აუდიტის საქმიანობის დაგეგმვას, ასევე რისკის მართვის პროცესებსაც, რაც მთლიანად ორგანიზაციას გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს. რისკზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება წარმოადგენს შიდა აუდიტის შანსს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უკეთ და დროზე გამოავლინოს ორგანიზაციის წინაშე არსებული საფრთხეები.

შიდა აუდიტმა უარი უნდა თქვას მხოლოდ შიდა კონტროლის შემოწმებებზე. აქტიურად უნდა განიხილოს თითოეული პროცესის დონეზე განსაზღვრულ მიზნებსა და რისკებთან კავშირი. განხილულ უნდა იქნას, არამარტო რისკის კონტროლის კონკრეტული ღონისძიებები, არამედ თვით რისკზე საპასუხო ქმედებებიც.

საკვანძო სიტყვები: შიდა აუდიტი, სტრატეგია, რიკს-მენეჯმენტი.

შესავალი

თანამედროვე მზარდი ორგანიზაციის სტაბილურობა და გრძელვადიანი წარმატება წარმოუდგენელია, თუ მისი მმართველობის სისტემაში სათანადო ადგილი არ უკავია რისკის მართვას, თუნდაც არაფორმალიზებული სახით. შიდა აუდიტის პროფესიის ფუნდამენტალურ საზრუნავს წარმოადგენს ორგანიზაციაში რისკის მართვის პრაქტიკის შეფასება. ყველა ორგანიზაცია დგას რისკების წინაშე, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს რეპუტაციული რისკი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები, მომწოდებლისგან მომდინარე რისკი, საბაზრო რისკი, საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკები, ფინანსური რისკები და სხვა. შიდა აუდიტის ფუნქციაა მენეჯმენტისთვის რწმუნების მიცემა ყველა უმთავრესი რისკის ეფექტურად მართვის შესახებ. ამისათვის შიდა აუდიტორი აფასებს რისკის მართვის პროცესების ხარისხს, შიდა კონტროლის სისტემებს და კორპორატიული მართვის პროცესებს.

შიდა აუდიტორი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წევრია — იგი ახორციელებს არსებული პრაქტიკის კრიტიკულ ანალიზსა და პრობლემების გამოვლენას, მხარს უჭერს საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას და კატალიზატორის როლს ასრულებს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შიდა აუდიტი წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას იმისა, რომ დაწესებულების შიგნით არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების მართვა ეფექტურად ხორციელდება

ძირითადი ტექსტი

შიდა აუდიტი აფასებს და აუმჯობესებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სიტემას, რისკების მართვის ეფექტიანობას, რაც შესაბამისად აუმჯობესებს ორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებას. შიდა აუდიტი წარმოადგენს საშუალებას, რომელიც აწვდის დაწესებულების ხელმძღვანელს დამოუკიდებელ რწმუნებას იმისა, რომ დაწესებულების შიგნით არსებული კონტროლის მექანიზმები აღწევენ დასახულ მიზნებს და რისკების

მართვა ეფექტურად ხორციელდება. შიდა აუდიტის საქმიანობა მოიცავს დაწესებულების მთელი რიგი აქტივობებისა და პროცესების შეფასების სხვადასხვა სფეროს, რათა უზრუნველყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შესაბამისობა მიზნებთან, წესებთან და სტანდარტებთან და, ასევე, გონივრულ ფინანსური მართვის პრინციპებთან.

თანამედროვე მზარდი ორგანიზაციის სტაბილურობისა და გრძელვადიანი წარმატება წარმოუდგენელია, თუ მისი მმართველობის სისტემაში სათანადო ადგილი არ უკავია რისკის მართვას, თუნდაც არაფორმალიზებული სახით. რისკის მართვის, როგორც ორგანიზაციის ყველაზე სტრატეგიული ინსტრუმენტის მიმართ ინტერესი, განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო პერიოდის კორპორაციული სკანდალების ფონზე, რომლებიც გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო და დრამატიზმით წარმოაჩინა, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს რისკების არაადეკვატურ მართვას.

შიდა აუდიტი ახორციელებს შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც ეხმარება ორგანიზაციის ხელმძღვანელს მიზნების მიღწევაში. შიდა აუდიტორული საქმიანობა გულისხმობს რისკების გამოვლენას და რისკებისადმი მოწყვლადობის შეფასებას, ხელს უწყობს რისკების ეფექტურ მართვას და კონტროლის სისტემების დახვეწას ეფექტური კონტროლის შესანარჩუნებლად, კონტროლის სისტემების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შესწავლას და მათი უწყვეტი განვითარების ხელშეწყობას.

შიდა აუდიტის მიზნებია:

- სტრატეგიული და წლიური გეგმების მომზადება რისკების შეფასების საფუძველზე, რომელთაც შეუძლიათ საფრთხის ქვეშ დააყენონ ორგანიზაციის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასება და შესწავლა ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით ორგანიზაციის წინაშე არსებული ამოცანების შესასრულებლად;
- ხელმძღვანელობის ინფორმირება მიგნებების და დასკვნების შესახებ და რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

ორგანიზაცის შიგნით არსებული ყველა სისტემა, პროცესი, მოვლენა და საქმიანობა შეიძლება წარმოადგენდეს შიდა აუდიტორული შემოწმების საგანს. შიდა აუდიტი ასევე წარმოადგენს დამოუკიდებელ და ობიექტურ საკონსულტაციო მომსახურებას, რომელიც ხელმძღვანელობას ეხმარება დაწესებულების წინაშე არსებული რისკების მართვაში, შიდა კონტროლის და მმართველობითი პროცედურების გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ინერგება ახალი სისტემები და პროცედურები.

რისკის მართვა წარმოადგენს განმეორებადი სისტემატიზირებული პროცესების ერთობლიობას. ის იგეგმება, ხორციელდება, კონტროლდება და მუდმივად იხვეწება იმისათვის, რომ გაიზარდოს ორგანიზაციის წინაშე არსებული ყველა მნიშვნელოვანი შესაძლებლობის, მიზნის მიღწევის სტრატეგიისა და ბიზნეს-გეგმის რეალიზაციის ალბათობა ან მაქსიმალურად შემცირდეს ამ უკანასკნელთა ხელისშემშლელი ფაქტორებისა და მოვლენების მოხდენის ალბათობა, მათი შესაძლო ნეგატიური ზეგავლენა. მმართველობითი სისტემის უმაღლესი რგოლის ინტერესებში შედის რისკის მართვასთან დაკავშირებული პროცესების გაუმჯობესება, ამის განხორციელბისათვის კი მისი იდეალურ პარტნიორია შიდა აუდიტი, რომელიც როგორც დამოუკიდებელი სერვისფუნქცია, უბრალოდ ვალდებულია თავისი ძალისხმევა და რესურსები მიმართოს მისი მთავარი „დამკვეთის/მომხმარებლის“ და შესაბამისად, ორგანიზაციის წინაშე არსებული მთავარი გამოწვევებისაკენ.

როგორც შიდა აუდიტის სფეროს ცნობილი მკვლევარები აღნიშნავენ: შიდა აუდიტი ჩამოყალიბდა და განვითარდა იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს მენეჯმენტის საჭიროებები. წარმატებული შიდა აუდიტორებისათვის, ორგანიზაციისა და მენეჯმენტის მიზნები წარმოადგენს მათი ოპერაციული საქმიანობისა და მისი დაგეგმვის ორიენტირებს. აუდიტის მიზნები შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი მენეჯმენტის მიზნებთან ისე, რომ აუდიტორებს შეეძლოთ შექმნან მეტი დამატებითი სარგებელი იმ სფეროებში, რომლებსაც მენეჯმენტი განიხილავს როგორც კრიტიკულად მნიშვნელოვანს ორგანიზაციის წარმატებისათ-

ვის. შიდა აუდიტის ფუნქციას მარწმუნებელ მანდატთან ერთად, მიენიჭა საკონსულტაციო მანდატი, ხოლო რისკების მართვის პროცესები (ისევე როგორც შიდა კონტროლი და მმართველობით სისტემა) შიდა აუდიტისთვის გახდა საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, სადაც მისი ძალისხმევა იქნება დამატებითი სარგებლის მომტანი. ამდენად, ახალ დეფინიციაში ფაქტობრივად საყოველთაოდ გაცხადდა, რომ შიდა აუდიტის განვითარების მიმდინარე ეტაპზე, მის საქმიანობაში რისკზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება, წარმოადგენს ყველაზე ოპტიმალურ სტრატეგიას.

იმისათვის რომ კიდევ უფრო თვალნათლად განემარტა, თუ რას გულისხმობს რისკზე ორიენტირებული მიდგომის გამოყენება შიდა აუდიტის საქმიანობის გრძლევადიანი და ოპერაციულ დაგეგმვაში, შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის მიერ, 2009- 2013 წწ. შემუშავებულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკული მითითებებისა (Practice Advisories). გამოვყოთ მხოლოდ ძირითად მათგანს. ესენია:

- აუდიტის გეგმის კავშირი ორგანიზაციის რისკებთან და საფრთხეებთან
- რისკის მართვის გამოყენება შიდა აუდიტის დაგეგმვისას
- რისკის მართვის პროცესების ადეკვატურობის შეფასება
- სტრატეგიული მიზნების გათვალისწინება შიდა აუდიტის მიერ.

კერძოდ, ავტორები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ორგანიზაციის მენეჯმენტისათვის, მიუღებელია შიდა აუდიტი შემოიფარგლოს მხოლოდ ისტორიული ინფორმაციითა და ოპერაციებისა და კონტროლების შემოწმებით.

რაც შეეხება აუდიტის ცალკეული შემოწმებების დაგეგმვას. აუცილებელია შიდა აუდიტმა უარი თქვას მხოლოდ შიდა კონტროლის შემოწმებებზე. აქტიურად განიხილოს თითოეული პროცესის დონეზე განსაზღვრულ მიზნებსა და რისკებთან კავშირში. ამასთან, განხილულ უნდა იქნას, არამარტო რისკის კონტროლის კონკრეტული ღონისძიებები, არამედ თვით რისკზე საპასუხო ქმედებებიც. ეს შიდა აუდიტს საშუალებას მისცემს, შიდა კონტროლის ადეკვატურობა შეაფასოს არა განყენებულად, არ-

ამედ მიიღოს რწმუნება იმაზე, რომ კონტროლის ღონისძიებების გარდა, სწორად არის შერჩეული რისკზე საპასუხო ქმედებებიც (მაგალითად, რისკის დაზღვევა, აცილება, დივერსიფიკაცია). ამდენად, მიღწევადია თუ არა ორგანიზაციისა და პროცესების მიზნები. გარდა ამისა, შიდა აუდიტორებმა შეძლებენ გამოავლინონ, არამარტო დამატებითი კონტროლების საჭიროება, არამედ აღმოაჩინონ ზედმეტი, არაფრისმომცემი კონტროლებიც და ამით, შეამცირონ მათზე გაწეული ხარჯები.

რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტის მიზანია ორგანიზაციის მმართველობითი სისტემის უმაღლესი რგოლისათვის (მაგალითად, საბჭოსათვის) დამოუკიდებელი რწმუნების მიწოდება იმის თაობაზე, რომ:

- უმაღლესის მენეჯმენტის მიერ ყველა დონეზე (მ.შ. ორგანიზაციის, დეპარტამენტების, ფუნქციონალურ-ერთეულებისა და ბიზნეს-პროცესების დონეზე) გამოყენებული რისკის მართვის პროცესები ხორციელდება დადგენილი პოლიტიკის შესაბამისად;
- რისკის მართვის პროცესები სწორადაა ორგანიზებული;
- მენეჯმენტის მიერ გამოყენებულ რისკზე პასუხის ღონისძიებები არის საკმარისი და ეფექტიანი და უზრუნველყოფენ ამ რისკების შემცირებას საბჭოსათვის მისაღებ დონემდე;
- ორგანიზაციას გააჩნია ქმედითი შიდა კონტროლის სისტემა, რომელიც საკმარისად ამცირებს მენეჯმენტის მიერ შერჩეულ რისკებს.

შიდა აუდიტის, როგორც რისკის მართვის საკითხების სანდო ექსპერტის, უმთავრესი მიზანი და ობიექტი რისკის მართვასთან დაკავშირებით არის მარწმუნებელი და საკონსულტაციო მომსახურეობის გაწევა. კერძოდ, ის ირჩევს, გეგმავს, ამოწმებს რისკის მართვასთან დაკავშირებული პროცესებს, როგორც აუდიტის ობიექტს. პირობითად, ურთიერთობის ამ ფორმატს შეიძლება ვუწოდოთ ფუნქციონალური ურთიერთობა.

იმის გათვალისწინებით, რომ რისკის მართვა თავისთავად არაზუსტი, არაობიექტური და საქმიანობის სფეროა, რომელიც უმეტესწილად მოითხოვს შემოქმედებით მიდგომებს, შიდა აუდიტს მართებს ამ სფეროში არსებული სხვადასხვა საუკეთესო

პრაქტიკის ცოდნა. კერძოდ, სხვადასხვა ორგანიზაციაში შეიძლება განსხვავებულ იყოს რისკის მართვასთან დაკავშირებული პროცესები, რისკი მართვის პოლიტიკა და დოკუმენტირების ხარისხი. უმეტეს შემთხვევაში, რისკის მართვის (და არა რისკის მესაკუთრის) ფუნქცია, საბჭოს მიერ დელეგირებულია ორგანიზაციის შიგნით სპეციალურად ამ მიზნით შექმნილ ერთეულზე. ეს ერთეული უზრუნველყოფს:

- მთელი ორგანიზაციის მასშტაბით რისკის მართვისადმი ერთიანი, ორგანიზაციისათვის მისაღები მიდგომების ანუ ე.წ. „კონცეპტუალური ბაზის“ შერჩევას და მეთოდოლოგიის შემუშავებას;
- სხვადასხვა შინაარსისა და ფორმატის სამუშაო შეხვედრების და სწავლებების ორგანიზებას, რისკების გამოვლენის, რისკის კატეგორიზაცია, რისკის კრიტერიუმების დადგენის, რისკების ანალიზის თემებზე;
- ორგანიზაცის მასშტაბით გამოვლენილი ყველა რისკის თაობაზე პროცესების დოკუმენტირებისა და ინფორმაციული ბაზების (მ.შ. რისკის რეეტრის) წარმოებას, არსებითი ბიზნეს-რისკების თაობაზე ანგარიშგების მომზადებას და სათანადო მმართველობითი სისტემის რგოლისათვის მიწოდებას.

ზოგიერთი, უფრო ფართო უფლებებით აღჭურვილი რისკის მართვის ფუნქციებს, შეიძლება ასევე გააჩნდეს ორგანიზაციის შიგნით რისკის რეესტრში ასახული ინფორმაციის განახლება-გადამოწმების და ამ რისკების მართვის თაობაზე მარწმუნებელი საქმიანობის უფლებამოსილებაც.

რატომ ცდილობს შიდა აუდიტი (აუდიტორი), პროაქტიული ქმედებებით, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ ცვლილების კატალიზატორის როლის შესრულებით, საფრთხე შეუქმნას საკუთარ ობიექტურობას და დამოუკიდებლობას. ამის ახსნა შესაძლებელია 2010-ე პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის სპეციფიკით, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, ადგენს რომ თუ ორგანიზაციაში არ არსებობს რისკი მართვის სისტემატიზირებული მიდგომები, შიდა აუდიტის ხელმძღვანელმა ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების შემდეგ, უნდა შეიმუშაოს რისკის შეფასების საკუთარი სისტემატიზირებული და დო-

კუმენტირებული მიდგომები, რათა უზრუნველყოს ორგანიზაციაში მაღალ რისკიანი თემების (მ.შ. საკუთრივ შიდააუდიტორულ საქმიანობის რისკების) გამოვლენა და პრიორიტეტულობის განსაზღვრა. ეს გარემოება მიუთითებს, რომ შიდა აუდიტის მიერ რისკის შეფასების მეთოდოლოგიის საფუძველზე გამოვლენილი რისკების ნუსხა შეიძლება განსხვავდებოდეს ორგანიზაციის მიერ ერთიანი რისკის მართვის მეთოდოლოგიის გამოყენებით მიღებული რისკების ნუსხისაგან. ეს იმით აიხსნება, რომ შიდა აუდიტს, როგორც მარწმუნებელ მომსახურეობის გამწევ ბიზნესფუნქციას, ორგანიზაციის მენეჯმენტისაგან განსხვავებით, აქვს იმის უფლება, რომ საქმიანობის დაგეგმვისას გამოიყენოს არსებითობის პრინციპი. ცხადია, ეს გარემოება არ უკრძალავს შიდა აუდიტს გამოიყენოს რისკის მართვის პრინციპები ან აღიარებული მიდგომები და მეთოდოლოგია. თუ რისკის მართვას ერთიან, განმეორებად და უწყვეტ პროცესების ერთობლიობად წარმოვიდგენთ, შიდა აუდიტის ფუნქცია შეიძლება აღვიქვათ როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი რგოლი, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანი სისტემისა და ცალკეული პროცესების დიაგნოსტიკას და მათი ხარისხის მუდმივ სრულყოფას.

შიდა აუდიტს არასდროს უნდა დაავიწყდეს, ორი შემაკავებელი ფაქტორის არსებობა. ესენია:

1. შიდა აუდიტის განკარგულებაში არსებული რესურსების შეზღუდულობა (ფინანსები, უფლებამოსილება, დრო, კვალიფიკაცია);

2. პროფესიული სკეპტიციზმი;

აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტორმა ბრმად არ/ვერ უნდა ენდოს რისკის მართვის ფუნქციის მიერ მომზადებულ ინფორმაციას, რადგან; რისკის მართვაში გამოყენებული მეთოდები და ტექნოლოგიები საჭიროებენ ვალიდურობის პერიოდულ გადამოწმებას. მაშასადამე, შიდა აუდიტში რისკზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება მრავალი საკითხის კომპლექსურ გააზრებას მოითხოვს. ის თანაბრად ეხება, როგორც შიდა აუდიტის საქმიანობის წლიურ და ოპერაციულ დაგეგმვას, ისე ორგანიზაციის რისკის მართვის პროცესებსაც, რაც მთლიანად

ორგანიზაციას გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ორგანიზაციების უმეტესობაში, შეიძლება რისკის მართვის პროცესები საერთოდ არ არსებობდეს, ან არასათნადოდ იყოს ჩამოყალიბებული. აღნიშნულ შემთხვევაში შიდა აუდიტორის მიერ უნდა იქნას საკონსულტაციო უფლების გამოყენება. ამ შემთხვევაში, შიდა აუდიტი უზრუნველყოფს არამარტო ორგანიზაციაში რისკის მართვის პროცესების ინიცირებას, არამედ ამით შიდა აუდიტის გრძლევადიანი და ოპერაციული დაგეგმვა გახდება უფრო მეტად რისკზე ორიენტირებული, კომუნიკაცია ყველა რგოლთან, შიდა აუდიტისათვის უმნიშნელოვანესია, სასურველია მოსაზრებების და რეკომენდაციების წერილობითი სახით წარდგენა. რაც უფრო ,,ახლო" კომუნიკაცია იქნება მართველ რგოლებს შორის, მით მეტ სარგებელს მიიღებს ამისგან ორივე მხარე. მენეჯმენტი გაითავისებს რისკისა და კონტროლის არსს და მნიშვნელობას, ხოლო შიდა აუდიტი კი გამოააშკარავებს შემოწმებებისათვის ღირებულ პროცესებს, თემებსა და პრიორიტეტებს.

დასკვნა

შიდა აუდიტისათვის მთავარი მაინც ალბათ იმის ცოდნაა, რომ რისკზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება წარმოადგენს შიდა აუდიტის შანსს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში უკეთ და დროზე გამოავლინოს ორგანიზაციის წინაშე არსებული საფრთხეები და მათ შესახებ დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს სასარგებლო ინფორმაცია, რადგან სწორედ ამ, არც თუ ისე მარტივი საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, როგორც ორგანიზაცის და ისე შიდა აუდიტის გრძელვადიანი წარმატება.

შიდა კონტროლის სისტემის დანერგვასა და განვითარებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფო მართვის სისტემაშიც. შიდა კონტროლი, რომელიც შიდა აუდიტის ფორმით ვლინდება საჯარო სექტორში, სისტემატიზებული, დისციპლინური მიდგომით აფასებს და აუმჯობესებს რისკის მართვის, კონტროლისა და მმართველობითი პროცესის ეფექტიანობას და მიმართულია დაწესებულების ამოცანების სრულყოფილად შესრულებისაკენ.

მაშინ როდესაც, საჯარო სექტორში სრულყოფილად და სტანდარტების შესაბამისად მოხდება აუდიტის განხორციელება, ორგანიზაციები შეძლებენ რისკების მინიმუმამდე შემცირებას, რაც თავის მხრივ მიზნების მისაღწევად და ორგანიზაციის ღირებული რესურსების სამართავად მოახდენს სისტემების, პროცესებისა და ადამიანებთან დაკავშირებული პროცესების ეფექტურ და რაციონალურ დაგეგმვა განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურ□:

1. აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის სახელმძღვანელო - 2009 წლის გამოშვება;

2. ეთიკის კოდექსის სახელმძღვანელო პროფესიონალი ბუღალტრებისთვის 2016 წლის გამოშვება;

3. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები - ლევან საბაური 2016 წელი;

4. Ерофеева В. А. Пискунов В.А. Битиукова Т.А.– Аудит. М. Юрайт. 2010;

REFERENCES:

1. Handbook of International Standards on Aauditing and Quality Control - 2015 edition;

2. International Ethics Standards Board for Accountants - 2016 edition;

3. The International Standard of Auditing - Levan Sabauri - 2016 edition;

4. Ерофеева В. А. Пискунов В.А. Битиукова Т.А.– Аудит. М. Юрайт. 2010;

THE ROLE OF INTERNAL AUDIT IN RISK ASSESSMENT

Mukhran Kamadadze
Associated Professor of TSU

RESUME

The improvement of risk management related processes falls within the field of interests of highest level of the management system, and the internal audit represents an ideal partner for the implementation thereof. Risk management is the aggregate of systematized recurring processes. It is planned, implemented, controlled and constantly being improved in order to increase the probability of realization of important opportunities faced by the organization, strategy for achieving the objective and business plan.

Considering the fact that the risk management itself is an area of inaccurate, biased activities, which mostly requires a creative approach, application of risk-oriented approaches in the internal audit, requires a comprehensive understanding of many issues. It equally refers to the planning of internal audit activity and risk management processes thus posing some challenges for a whole organization. Application of risk-based approaches represents a chance for internal audit, to get a better and timely understanding of the risks faced by the organization, within the scope of its competence.

Internal audit should reject the only internal control inspections. It should actively consider the connection with objectives and risks defined at the level of each process. There should be considered not only the risk control specific measures, but also the risk responsive actions.

Keywords: Internal Audit, Strategy, Risk Management.

ტურიზმის კლასტერიზაციის პერსპექტივები საქართველოში

ელისაბედ ბალიაშვილი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
თსუ მოწვეული პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში „ტურიზმის კლასტერიზაციის პერსპექტივები საქართველოში“ დასმულია საქართველოს ყველა რეგიონში ტურისტული კლასტერების გახსნის მიზანშეწონილობის საკითხი. ეს დასაბუთებულია იმით, რომ ტურისტების სრულყოფილი მომსახურებისთვის ტუროპერატორებს დამოუკიდებლად სჭირდებათ კავშირების დამყარება – სატრანსპორტო საწარმოებთან, სასტუმროებთან, საზკვების ობიექტებთან და ა. შ. კლასტერში მოხდება ერთი რეგიონის ფარგლებში არსებული ყველა ამ საწარმოების გაერთიანება და ერთიანი მენეჯმენტის გუნდით მათი მართვა.

სტატიაში კლასტერული მართვა ჩათვლილია დარგობრივი მართვის ალტერნატივად.

საკვანძო სიტყვები: კლასტერი, ტურიზმი, კლასტერიზაცია, ტუროპერატორი, კლასტერული ჯაჭვი.

შესავალი

კლასტერი ეკონომიკის ახალი ფენომენია. ეკონომიკის კლასტერიზაციის ინიციატივა ევროპაში გაჩნდა და დასაბუთდა მისით ეკონომიკის დარგობრივი მართვის ჩანაცვლების ეფექტიანობა. გერმანიაში, იტალიაში, ჰოლანდიაში და სხვაგან მასიურად დაიწყო კლასტერების შექმნა. საქართველოში ეს პროცესი ჯერ-ჯერობით მხოლოდ თეორიული კვლევის დონეზეა. საჭიროა ამ სიახლისადმი მეტი ინტერესი და მისი პრაქტიკული დანერგვა. პირველ რიგში ეს უნდა მოხდეს მაღალი კოოპერირებული კავშირების მქონე სფეროებში. ერთ-ერთი ასეთი სფერო კი – ტურიზმია.

1. კლასტერები: არსი, ნიშნები და უპირატესობები

კლასტერი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, მოწყობილობათა და მასალების მომწოდებლების, მაკომპლექტებელი, სპეციალიზებული მომსახურების, ინფრასტრუქტურის, ასევე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების და სხვა ორგანიზაციების გეოგრაფიულად ლოკალიზებულ ურთიერთშემავსებელ ჯგუფს, რომელიც აძლიერებს ცალკეული კომპანიებისა და მთლიანობაში კლასტერის კონკურენტულ უპირატესობებს. მაშასადამე, კლასტერად ჩამოყალიბებისთვის გეორგაფიულად მოსაზღვრე ურთიერთდაკავშირებული კომპანიები და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ განსაზღვრულ სფეროში, აერთიანებდეთ ერთობლივი საქმიანობა და ავსებდნენ ერთმანეთს [1].

ტერმინი „კლასტერი“ ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და ითარგმნება როგორც მტევანი, ჯგუფი, თავმოყრა, დაჯგუფება, კონცენტრაცია. სავარაუდოდ ტერმინი კლასტერი პირველად 1930-იანი წლების მათემატიკაში იქნა შემოღებული, როცა მრავალგანზომილებიანი მონაცემების კლასტერული ანალიზის აპარატი ჩამოყალიბდა.

კლასტერების წარმოშობის სამი მიზეზი არსებობს [2]:

პირველი მიზეზი დაკავშირებულია კომპანიების მიერ ხარჯების ეკონომიასთან, რომელიც მიიღწევა მათ მიერ რესურსების საერთო სარგებლობით.

მეორე მიზეზი უკავშირდება ბიზნესისთვის საჭირო საქონლის თუ მომსახურების გეორგაფიულ სიახლოვეს, რაც უზრუნველყოფს მიწოდების სისწრაფეს და აქედან გამომდინარე სიიაფეს.

მესამე მიზეზი ის არის, რომ ერთ ადგილზე ფირმების კონცენტრაცია ხელს უწყობს ფარული (არააშკარა) ცოდნის, ანუ იმ ცოდნის და გამოცდილების გავრცელებას, რომლის ფორმალიზება და გადაცემა ადვილი არ არის, და რომელიც მათ მატარებელ ადამიანებთან არის მიჯაჭვული.

ყველაზე განვითარებულ კლასტერებს გააჩნიათ ხუთი პრი-

ნციპული მახასიათებელი, რომელთაგან პირველი სამი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კლასტერების შექმნის სასტარტო წანამძღვარი [3, გვ. 80-81]:

1. კონკურენტუნარიანი საწარმოების არსებობა;
2. კლასტერების განვითარებისათვის კონკურენტული უპირატესობების არსებობა რეგიონში;
3. გეოგრაფიული კონცენტრაცია და სიახლოვე;
4. მონაწილეთა ფართო წრე და „კრიტიკული მასის“ არსებობა;
5. კლასტერების მონაწილეებს შორის კავშირებისა და ურთიერთქმედების არსებობა.

კლასტერების ძირითადი უპირატესობები მდგომარეობს შემდეგში:

- საქონლის და მომსახურების მყიდველებისა და მიმწოდებლების კონცენტრაცია და, შესაბამისად, წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება;
- კერძო–სახელმწიფოებრივი პარტნიორობის საფუძველზე ცოდნის გაერთიანების ახალი ფორმების შექმნის სტიმულირება;
- ბიზნესის მსოფლიო ლიდერებისადმი სწორებისაკენ ლტოლვა და, შესაბამისად, წარმოებული საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის ამაღლება მათი ხარისხისა და სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესების გზით;
- რეგიონული კლასტერების ორგანიზაციით ქვეყნის დეპრესიული და პრობლემური ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარება;
- ისეთი ბიზნეს-კლიმატის შექმნა და შენარჩუნება, რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო შედეგების ეფექტიანობას;
- ტერიტორიის განვითარების პოტენციალის კომპლექსურად გამოყენება;
- მოსახლეობის დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლება.

კლასტერის შემადგენელი ნაწილების განხილვა უნდა დაიწყოს მსხვილი საბაზო ფირმის, ანდა მსგავსი ფირმების ერთობიდან (გუნდიდან) და შემდეგ დადგინდეს მათთან ვერტი-

კალურ ჯაჭვში დაკავშირებული ქვედა და ზედა ფირმები და ორგანიზაციები. შემდეგ ჰორიზონტალურ ჭრილში უნდა მოიძებნოს საერთო არხებში გამავალი, ანდა დამხმარე პროდუქტების და მომსახურების მწარმოებელი დარგები. შემდეგ უნდა დადგინდეს კლასტერში შემავალი ის ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ მას – სპეციალისტებით, ინფორმაციით, კაპიტალითა და ინფრასტრუქტურით. კლასტერის სტრუქტურის დადგენა მთავრდება სამთავრობო ან სხვა მარეგულირებელი ორგანიზაციის გამოკვეთით, რომელიც არსებით გავლენას ახდენს კლასტერის წევრებზე.

კლასტერული ინიციატივების ანალიზმა დაამტკიცა იმ ქვეყნების და რეგიონების, კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ზრდა, სადაც ასეთი მიდგომები დაინერგა. ამასთან, ეს ეფექტი მიღწეული იყო შემდეგი უპირატესობებით [4, გვ. 76]:

1. ინვესტიციების ზრდისა და ახალი კომპანიების შექმნის ხარჯზე;
2. საექსპერტო პოტენციალის გაძლიერებით;
3. მოსახლეობის დასაქმების ამაღლებით;
4. ახალი ტექნოლოგიების განვითარებით;
5. კლასტერში შემავალი კორპორაციების მწარმოებლურობისა და კონკურენტიანობის ზრდით;
6. მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო თანამშრომლობით;
7. ინფრასტრუქტურის განვითარებით;
8. კორპორაციის თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებით.

ამდენად, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მესამე ათასწლეულში ეკონომიკის განვითარების ვექტორი დარგებიდან სულ უფრო მეტად ინაცვლებს კლასტერებში, რადგან სწორედ აქ ყალიბდება განსაკუთრებული ურთიერთობები კომპანიებს, მართვის მუნიციპალურ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის.

ამ აზრის არიან პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მეცნიერები – ი. მესხია, ე. ბარათაშვილი, ნ. ფარესაშვილი, ი. გაგნიძე, ე. სეფაშვილი და სხვები. ერთი სტატიის ფარგლებში

ვერ მოხერხდება ყველა მათგანის შეხედულების გადმოცემა კლასტერების პერსპექტივების შესახებ, ამიტომ მოგახსენებთ მხოლოდ ზოგიერთს:

- ი. გაგნიძე – „კლასტერი ხელს უწყობს მწარმოებლურობის ამაღლებას არა მარტო წარმოების ფაქტორების შეძენითა და გადაზიდვით, არამედ, ის უზრუნველყოფს ურთიერთშევსებას კლასტერის მონაწილეთა საქმიანობის სახეებს შორის“ [5, გვ. 61];
- ე. სეფაშვილი – „კლასტერები უფრო კარგად ეწყობიან კონკურენციის ხასიათს და კონკურენტული უპირატესობების მიღწევის წყაროებს“ [6, გვ. 25].

სიახლისაკენ ეს მოძრაობა სრულიად მისაღებია საქართველოს ეკონომიკის ყველა დარგისთვის, მ. შ. ტურიზმისთვის, რადგან მას ყველაზე მეტი კავშირები აქვს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებთან.

2. ტურიზმის კალსტერიზაციის პერსპექტივები საქართველოში

როგორც ეკონომიკის ყველა დარგი, ისე ტურიზმი საქართველოში დარგობრივი მართვის წესით იმართება. მას საერთო ხელმძღვანელობას უწევს - სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკის უმსხვილეს და სწრაფად განვითარებად დარგს. მისი განვითარება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას უკავშირდება. ამასთან, მისი გავლენაც ეკონომიკაზე განუწყვეტლივ ფართოვდება. ექსპერტების მიერ გამოთვლილია, რომ XXI საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელი ტურიზმი იქნება.

მეცნიერების ნაწილს ტურიზმი დარგად მიაჩნია, მეორე ნაწილს კი დარგთაშორის კომპლექსად, „რომლის წამყვანი ელემენტია ტუროპერატორი, რომელიც სხვადასხვა დარგიდან მოწოდებული ცალკეული პროდუქტებიდან ქმნის კომპლექსურ ტურისტულ პროდუქტს“ [7, გვ. 24].

ჩვენი აზრით, ტურიზმის ეს განმარტება ყველაზე ახლოსაა ტურიზმის საქმიანობის შინაარსთან. მართლაც, გადმო-

კვეთავს რა ვიზიტორი მასპინძელი ქვეყნის საზღვარს, უკვე ტურისტად იქცევა, მაგრამ, მას ტურისტული მომსახურების გარდა, სჭირდება – მგზავრობა, კვება, დასვენება, განთავსება და სხვა. ამ სახის საჭიროებებს ტუროპერატორების დაკვეთით მას სხვა დარგის საწარმოები და ორგანიზაციები უსრულებენ. მგზავრობას – სატრანსპორტო საწარმოები, კვებას – საზოგადოებრივი კვების საწარმოები, განთავსებას – სასტუმროთა ფართო ქსელი და ა. შ. ასე რომ, ტუროპერატორი მართლაც კრებს სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მოწოდებულ პროდუქტებს ან მომსახურებებს და შედეგად ქმნის კომპლექსურ ტურისტულ პროდუქტს. ამ მომსახურებაში ბირთვი, ანუ მომსახურების ცენტრალური რგოლი არის ტუროპერატორი (ტუროპერატორები). მის ცოდნაზე, უნარებზე, ოპერატიულობაზე, მობილობაზე, კავშირებზე და ადამიანებთან ურთიერთობებზე არის დამოკიდებული თუ რა ხარისხის იქნება ეს პროდუქტი და რა ვადაში მიეწოდება იგი ტურისტს.

თუ წარმოვიდგენთ ტურისტების იმ რაოდენობას, რომელიც ყოველწლიურად საქართველოში შემოდის (2016 წლის პირველ კვარტალში შემოვიდა – 1134436 საერთაშორისო ტურისტი) და აგრეთვე, მათთვის ევროპული სტანდარტებით ზემოდჩამოთვლილ მომსახურებათა მიწოდების საჭიროებას, ადვილად გასაგები გახდება თუ როგორი შრომატევადი და მძიმე ტვირთია ტუროპერატორებისთვის ეს საქმე. თანაც, ამას ტუროპერატორები აკეთებენ იზოლირებულად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად და ხშირად გასაიდუმლოებულადაც კი, რადგან ისინი ერთმანეთის კონკურენტები არიან. ასეთი ფორმატით მუშაობისას არ ხდება ცოდნის გაცვლა, ინოვაციების ურთიერთგადაცემა და რაც ყველაზე მთავარია, დათითოებული საქმიანი გარიგებები (ხელშეკრულებების გაფორმება და სხვა) იწვევს დიდძალ ხარჯებს. ამასთან, ეს ის საწარმოები და ორგანიზაციებია, რომლებსაც ერთმანეთი სისხლხორცეულად სჭირდებათ, ისინი ერთი ჯაჭვის რგოლები არიან.

● ვინ არიან ძირითადი მგზავრები ტრანსპორტში (განსაკუთრებით საავიაციო ტრანსპორტში) – ტურისტები;

- ვინ არიან სასტუმროების სტუმრები – ტურისტები;
- ვინ არიან კაფე-რესტორნების ძირითადი კლიენტები – ტურისტები;
- არიან მუზეუმების, მონასტრების და სხვა კულტურული ძეგლების დამთვალიერებლები – ტურისტები.

მაშასადამე, ეს არის ერთიანი ჯაჭვი, რომლის რგოლები სხვადასხვა სახის მომსახურებას აწოდებენ ერთი და იგივე მომხმარებელს, კერძოდ კი – ტურისტებს. ჯაჭვის მთლიანობისთვის ყველა რგოლი უნდა ინარჩუნებდეს სიჯანსაღეს, მომსახურების მაღალ ხარისხს და თავისდროულობას. ამას უზრუნველყოფენ და მთლიანობაში კოორდინირებას უკეთებენ ტუროპერატორები.

კლასტერში, რომლის შექმნის დიდი პერსპექტივა აქვს ტურიზმს, ცენტრალური რგოლი, ანუ ბირთვი კვლავაც ტუროპერატორები იქნებიან. ისინი თავის გარშემო შემოიკრებენ მათთვის საჭირო საწარმოებს და ორგანიზაციებს და ეხლანდელისგან განსხვავებით ერთი „ქოლგის“ ქვეშ გააერთიანებენ მათ. ეს ქოლგა იქნება ჰოლდინგის ფორმით შექმნილი კლასტერი.

საქართველოში არცერთ დარგში ჯერჯერობით კლასტერი არ არის შექმნილი. ჩვენი აზრით, ამ სიახლის დანერგვის პრეცენდენტი პირველ რიგში, ტურიზმში უნდა შეიქმნას. ასეთი კლასტერი სასურველია საქართველოს ყველა რეგიონს ჰქონდეს. მისი შექმნის ინიციატორები უნდა იყვნენ მართვის ადგილობრივი ორგანოები და თავდაპირველად სწორედ მათ უნდა დააფინანსონ ტურისტული კლასტერები.

დასკვნა

ტურისტული პოტენციალით საქართველო მეტად მდიდარი ქვეყანაა. საერთაშორისო ტურისტების მიერ საქართველოთი დაინტერესება ყოველწლიურად იზრდება. ასეთ დროს, მათ კომპლექსური მომსახურება, ანუ კომპლექსური ტურ-პროდუქტის შეთავაზება სჭირდებათ, რომლის უზრუნველყოფას ტუროპერატორები დათითოებულად ახორციელებენ, რის გა-

მოც, ტურიზმში ახალი ცოდნის შემოტანა და ინოვაციების დანერგვა ნაკლებად ხდება.

ამის გამოსწორება შეიძლება ტურისტული კლასტერის შექმნით, რომელშიც ერთი მმართველობის ქვეშ თავს მოიყრის ტურისტების მომსახურე ყველა საწარმო და ორგანიზაცია, რომლის მენეჯმენტი შეკრავს მათ ერთ ჯაჭვად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Портер М., Конкуренция, М., Вильямс, 2003;

2. http:/ruwikipedia.org/wiki/klaster(экономика)

3. ბარათაშვილი ე., ფარესაშვილი ნ., აბრალავა თ., ბიზნესის მმართვის კლასტე-რული პოლიტიკა, თბ., 2012;

4. ბარათაშვილი ე., ძიძიკაშვილი და სხვები, კლასტერიზაციის თეორიული საფუძვლები და მათი დანერგვის წინაპირობები საქართველოში, ჟ.: „საქართველოს ეკონომიკა“, #9, 2007;

5. გაგნიძე ი., საქართველოს ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის შესახებ, ჟ.: „საქართველოს ეკონომიკა“, 2007, #12.

6. სეფაშვილი ე., ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კლასტერული განვითარების სტრატეგია, თსუ, შრომების კრებული, ტ. I, ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა, 2008;

7. ნადირაშვილი გ., ჯანგულაშვილი დ., ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2014.

REFERENCES

1. Porter M., Competition, M. Williams, 2003

2. http:/ruwikipedia.org/wiki/klaster(Economic)

3. Baratashvili E. , Paresashvili N., Abralava T., Business Management cluster policy. Tbilisi, 2012

4. Baratashvili E., Dzidzikashvili and others, Clustering theoretical basis and conditions for implementation in Georgia, ,,Economic of Georgia“, #9, 2007

5. Gagnidze I., Georgia’s economic development strategy, ,,Economic of Georgia“,#12, 2007

6. Sepashvili E., The country’s competitiveness and cluster

development strategy, TSU, Collected Works. Part 1. Business and general well-being,2008;

7. Nadirashvili G., Jangulashvili D., Tourism basics, Tbilisi, 2014

THE PROSPECTS OF TOURISM CLUSTERING IN GEORGIA

Elisabed Baliashvili
Doctor of Economics,
Invited Prof. at the Department of Business and Economics,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

RESUME

The article „Prospects of Tourism Clustering in Georgia" deals with the issues of expediency of establishing tourism clusters in all regions of Georgia. This is well-founded by the fact, that for improved quality of tourism service , the tour operators need to be able to contact transport enterprises, hotels, catering companies and etc. independently. In case of clusters all the companies functioning in one region will be united and controlled by a common managerial team.

The article considers cluster management as an alternative for industrial management.

Key words: Cluster; Tourism; Clustering; Tour operator; Clustering Chain.

კონფლიქტის გადაჭრა მესამე მხარის ჩარევის შედეგად

გიორგი ჭურაძე
თსუ დოქტორანტი

რეზიუმე

ადამიანები ფლობენ უნიკალურ ღირებულებებს, სხვადასხვა კულტურულ ფასეულობებს, ჩამოყალიბებული აქვთ მოთხოვნათა განსხვავებული იერარქია და ნორმები, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სოციალურ სისტემაში. ორგანიზაცია არის სისტემა, რომელიც მოითხოვს დინამიურ ურთიერთობებს, თანამშრომლებს შორის. ორგანიზაციას სჭირდება თანამშრომლები, რომლებიც სწრაფად გაიაზრებენ ორგანიზაციის მიზნებს, იქნებიან კომუნიკაბელურები, სწრაფად მოირგებენ კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებებს და გამოიყენებენ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს, რათა ოპერატიულად და ხარისხიანად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობანი. გამომდინარე იქიდან, რომ ორგანიზაციაში ცვლილებები გარდაუვალია და თანამშრომლებს უწევთ რეაგირება ამ ცვლილებებზე, კონფლიქტი ხდება გარდაუვალი.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, მოლაპარაკება, არბიტრაჟი.

შესავალი

საზოგადოება, როგორც ერთიანი წამონაქმნი ხასიათდება ურთიერთობების რთული სისტემით, რომელთა საფუძველია საზოგადოების თითოეული წევრის სურვილები და საჭიროებები.

თუკი, ამ სურვილების, საჭიროებების, ინტერესების რეალიზაციის დროს ჩნდება დაბრკოლებები, ამან შეიძლება განაპირობოს საზოგადოების წევრებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების გამწვავება, დაძაბულობა, კრიზისული სიტუაციები, რომლებიც შეიძლება გადაიზარდოს უფრო მწვავე დაპირისპირებაში.

ორგანიზაციაში წარმოქმნილ კრიზისულ სიტუაციებს შორის

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კონფლიქტები. კონფლიქტი არის პროცესი, რომელშიც ერთი მხარე გრძნობს, რომ თვითონ ან მისი ინტერესები უარყოფილია ან არასწორადაა აღქმული მეორე მხარის მიერ. ორგანიზაციებში, ამოცანის შესრულების პროცესში, მისი წევრების ურთიერთობების კვალდაკვალ ყალიბდება ერთიანი შეხედულებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ასრულებენ რა დაკისრებულ ამოცანებს ერთიან გარემოში, ორგანიზაციის წევრებს უჩნდებათ საერთო იდეები, ინტერესები, მიზნები, პრინციპები. ამავე დროს, შესაძლებელია გაჩნდეს განსხვავებული შეხედულებები, რასაც თან ახლავს კონფლიქტური სიტუაციები.

ძირითადი ტექსტი

მოლაპარაკების პროცესი აქცევს თითოეულ მხარეს ერთიან გარემოში, რომელიც იწოდება სავაჭრო ზონად. ნახ 1-ზე გამოსახულია ერთ-ერთი შესაძლო სიტუაცია, სავაჭრო ზონის შექმნის შემთხვევისა. ეს ხაზოვანი დიაგრამა გამოხატავს მოგება-ნაგების სტილს, როდესაც ერთი მხარის სარგებელი იქნება მიღებული მეორე მხარის დანაკარგის ხარჯზე. თუმცა სავაჭრო ზონამ შესაძლოა მიაღწიოს ისეთ წერტილს, სადაც პოტენციურად, ორივე მხარეს შეუძლია მოგების მიღება, მოლაპარაკებების ხარჯზე.

კონფლიქტის მონაწილე მხარეები სამ მთავარ პუნქტს ფლობენ მოლაპარაკებისას. საწყისი წინადადება (Initial offer) არის საწყისი შეთავაზება, პირველი მხარისა მეორე მხარის მიმართ. ეს შესაძლოა იყოს საუკეთესო მოლოდინი, ან პირიქით. სავაჭრო წერტილი (Target point) მიზნობრივი პუნქტი, არის რეალური მიზანი ან ჯგუფის მოლოდინი საბოლოო შეთანხმებაზე. წინააღმდეგობის წერტილი (Resistance point) — არის პუნქტი, რომელშიც არცერთი მხარე არ წავა არანაირ დათმობებზე მომავალში.

მხარეები იწყებენ მოლაპარაკებებს, აღწერენ რა საწყისი პუნქტიდან დაწყებულ მათ შეთავაზებებს. უმეტეს შემთხვევაში მხარეებმა იციან, რომ საწყისი წინადადება შეიცვლება, როცა დაიწყებენ კონსესუსს. „სარგებელი-დანაკარგი“-ის სტრატეგიაში არც ვაჭრობის და არც წინააღმდეგობის პუნქტები არ არის აშკარა

ნახ 1. ვაჭრობის ზონის მოდელი[7]



არც ერთი მხარისთვის. ამასთან, მხარეები ცდილობენ გამოიცნონ მეორე მხარის წინააღმდეგობის ზონა, რადგან ამის ცოდნა მათ ეხმარება განსაზღვრონ, რა მოგებას მიიღებენ მოლაპარაკებების გარეშე. როდესაც მხარეებს აქვთ წაუგებლობის სტრატეგია, ისინი ცდილობენ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ახლოს იქნება მათ საწყის შეთავაზებასთან. ისინი იმედოვნებენ რომ ეს იქნება გადაწყვეტილება, რომლის შემდეგაც მათი დანაკარგი იქნება მინიმალური და სარგებელი, რომელსაც ისინი მიიღებენ, იქნება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ხარჯები.

რა დათმობაზე უნდა წახვიდეთ და როდის? ეს დამოკიდებულია მეორე მხარის მოლოდინზე და მხარეებს შორის არსებულ ნდობაზე. მაგალითად, ზოგს ეშინია იმ ხალხის, რომლებიც თავიანთ აზრს ცვლიან მოლაპარაკების დასაწყისშივე, ზოგიერთს კომპრომისი მიაჩნია სისუსტედ და არა ნდობად, საერთოდ, საუკეთესო სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ იყო საკმაოდ მტკიცე იმისთვის, რომ წახვიდე ზომიერ კომპრომისზე, და გააკეთო დათმო იმდენი, რამდენიც აჩვენებს გულწრფელობას და სურვილს კონფლიქტის მოგვარებისა. სიმტკიცემ, შესაძლოა ხელი შეუშალოს მხარეებს შორის ურთიერთობას, ამასთან დიდი რაოდენობით დათმობებზე წასვლას, ჩათვლიან სისუსტედ, გაძლიერდება მეორე მხარე და ეძლევა სტიმული გაწიოს წინააღმ-

დეგობა. აშკარაა, რომ სიტუაცია და მოწინააღმდეგე უნდა იყოს მაქსიმალურად შესწავლილი, იმისთვის რომ ქცევა მოლაპარაკებებში იყოს ზუსტად ისეთი, როგორიც მოიტანს წარმატებას.

მოლაპარაკე მხარეთა თვისებები. მოლაპარაკე მხარეთა თვისებები, ცოდნა, გამოცდილება მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონფლიქტის მოგვარების საქმეში. არსებობს ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რომლებიცაა: მიზნის ჩამოყალიბება, ინფორმაციის შეგროვება, ეფექტური კომუნიკაცია და კომპრომისზე წასვლა.

• მომზადება და მიზნის დარეგულირება. როგორც კვლევები გვიჩვენებს, მხარეებს აქვთ უფრო ხელსაყრელი შედეგები მოლაპარაკების დასრულებისას, იმ შემთხვევაში როცა ისინი ემზადებიან სათანადოდ მოლაპარაკებისთვის და აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები. პრაქტიკულად, მხარეებმა დიდი სიფრთხილით და გასაგებად უნდა განსაზღვრონ თავიანთი საინიციატივო შეთავაზება, ვაჭრობის წესები და კომპრომისის პუნქტები, რას დათმობენ და რას ვერა. უნდა გადახედონ ალტერნატივებს, იმ შემთხვევისათვის, თუ მოლაპარაკება ვერ შედგება და არ უჩანს სარფიანი დასასრული. მხარეებმა სათანადოდ უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი ძირითადი წინადადება, მიზნები და ფასეულობები, რათა იყოს გასაგები რა შედეგის მიღწევა სურთ მათ მოლაპარაკების დასასრულს. აგრეთვე უნდა იყოს ცნობილი მეორე მხარის მიზანი, თუ რა სურთ მათ. „თქვენ უნდა იყოთ მზად ყოველმხრივ, იცნობდეთ ხალხს, ძირითად საგანს და უკან დახევის პოზიციას“,

• ინფორმაციის შეგროვება - „ეცადეთ შეიცნოთ მანამ, სანამ თქვენ შეგისწავლიან“ - სტეფან კოვის (Stephen Covey) ეს პოპულარული ფილოსოფია მიეკუთვნება მოლაპარაკების ეფექტიანად წარმოების საფუძვლებს. ეს ნიშნავს, რომ უნდა დავხარჯოთ დიდი დრო მეორე მხარეზე დაკვირვებაში მნიშვნელოვანი დეტალების შესწავლისათვის. მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი გზა არის ისეთი გუნდის ყოლა, რომელიც იქნება დაკავებული ამ „საქმიანობით“, ამავდროულად იქნება აქტიურად ჩართული მოლაპარაკების პროცესში. აზიურ კომპანიებს ჰყავთ მსგავსი გუნდები პრობლემის გადასაჭრელად. თუ ერთ მხარეს

ექნება, მრავლად ინფორმაცია მეორე მხარის ინტერესებსა და საჭიროებებზე, გაუმარტივდება შესაბამისის შეთავაზების გაკეთება ამ უკანასკნელისათვის. ეს იქნება მომგებიანი წინადადება პირველი მხარისთვის, რომელზეც ადვილად დათანხმდება მეორე მხარე, ხოლო პირველს მოუწევს ნაკლებ კომპრომისზე წასვლა, და იქნება უფრო მეტად კმაყოფილი.

• ეფექტური კომუნიკაცია - ამ ტიპის ურთიერთობის დროს მოლაპარაკე მხარეები უფრო მარტივად ნახულობენ საერთო ენას და ადვილად ამყარებენ კომუნიკაციას, მინიმუმადე დადის სოციო-ემოციური კონფლიქტი, რამეთუ ფოკუსირება ხდება პრობლემებზე და არა ადამიანებზე. მეორე, მხარეები თავს არიდებენ, გამაღიზიანებელ, ეგოისტურ გამონათქვამებს, მაგ: „მე ვფიქრობ შენ უნდა დათმო, ჩემი აზრი გენიალურია“. მესამეც, ეფექტური კომუნიკაციის უნარის მქონე ადამიანი, ფლობს დარწმუნების ხელოვნებას. ისე აყალიბებს წიანდადებას, შეთავაზების სტრუქტურას, რომ ეს იყოს არამარტო გასაგები, არამედ მისაღებიც მეორე მხარისთვის.

• კომპრომისზე წასვლა - კომპრომისი მნიშვნელოვანია რადგან იგი, 1. აძლევს მხარეებს საშუალებას გავიდნენ სივრცეში, სადაც პოტენციურად შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა, 2. აძლევს მოტივაციას მხარეებს, რომ აწარმოონ მოლაპარაკება პატიოსნად, 3. მოლაპარაკებაში ჩართულ ხალხს აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მოლაპარაკების პროცესი სხვა მხარისთვის. აქვე უნდა ითქვას, რომ კომპრომისზე წასვლას მხარეები მიჰყავს შეთანხმებამდე, მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში. პირველ რიგში, ყველაფერი უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული - მეორე მხარემ უნდა იცოდეს, რომ პირველის ქმედება არის კომპრომისი, მნიშვნელოვანია და აგრეთვე, მომგებიანია მეორე მხარისთვის. მეორე, კომპრომისზე წამსვლელ მხარეს უნდა ქონდეს მოლოდინი, რომ ოპონენტი მას: „სამაგიეროს გადაუხდის“. როცა ნდობა არასაკმარისია, მაშინ კომპრომისი მიიღწევა იმის ხარჯზე, რომ ერთი მხარის დათმობის საპასუხოდ, მეორეც დათმობს რამეს და ბოლოს, კომპრომისზე წასვლა არ უნდა ხდებოდეს მოულოდნელად, ყველაფერი უნდა იყოს გათვლილი და დაგეგმილი

გარკვეულ დონემდე. ამასთან მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ხალხი განიცდის დადებით ემოციას, მაშინ როცა ისინი თმობენ ნელ-ნელა და არა ფარ-ხმლის ერთიანად დაყრის დროს.

კონფლიქტის გადაჭრა მესამე მხარის მიერ ეს არის მესამე მხარის მცდელობა დაეხმაროს კონფლიქტის გადაჭრაში მოწინააღმდეგეებს. არსებობს 3 ძირითადი ტიპი, სხვადასხვა მხარის მომქმედებისა დავის მოგვარების მიზნით: არბიტრაჟი, კვლევა და შუამავლობა. ეს ქმედებები შესაძლოა დავყოთ, კონტროლის დონს გათვალისწინებით პროცესზე და გადაწყვეტილებაზე.

- არბიტრაჟი - აქვს მაღალი კონტროლი საბოლოო გადწყვეტილებაზე, მაგრამ პროცესზე კონტროლის დონე არის დაბალი. ხელმძღვანელობა მონაწილეობს ამ სტარტეგიაში, უსმენს რა მოლაპარაკე მხარეთა არგუმენტებს, აკვირდება პროცესს და ღებულობს საჭირო გადაწყვეტილება. არბიტრაჟი, ბევრ ქვეყანაში მიღებულია, როგორც კონფლიქტის მოგვარების საბოლოო ეტაპი.
- კველევა - აკონტროლებს კონფლიქტის მიმდინარეობას თავიდან ბოლომდე, ყველა ეტაპზე. არბიტრაჟის მსგავსად, მას აქვს დიდი გავლენა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე და ამავდროულად, კონტროლს ფლობს პროცესზე, რამეთუ ირჩევს რა ინფორმაცია გამოიკვლიოს და როგორ. საერთო ჯამში წყვეტს, როგორი სტრუქტურა უნდა ქონდეს კონფლიქტის მოგვარების პროცესს.

შუამავლებს აქვთ მაღალი გავლენა პროცესებზე, პრონციპში მათი მთავარი მიზანი მოლაპარაკების პროცესის მართვაა მხარეებს შორის. ისინი მაქსიმალურ მონაწილეობას იღებენ კონფლიქტის რეგულირებაში, წყვეტენ თუ როგორ მოგვარდეს ის, მაგრამ ახდენენ უმნიშვნელო გავლენას ან საერთოდ ვერ აკონტროლებენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

მესამე მხარის ჩარევის შედეგად, კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო სტრატეგიის არჩევა. ხელმძღვანელები და რიგითი თანამშრომლები მონაწილეობენ ჯგუფებს შორის არსებულ კონფლიქტში, ზოგჯერ ისენი შუამავლის ან არბიტრის როლში გვხვდებიან. არის შემთხვევები, როცა კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიიები იცვლება კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების

ნახ 2 კონფლიქტის გადაჭრა მესამე მხარის ჩარევით[2]



პროცესში. ამ საკითხზე არსებული კვლევები ცხადყოფს, რომ მენეჯერები ყველაზე ხშირად იყენებენ კვლევის მეთოდს, რისი წყალობითაც ისინი დომინირებენ მოლაპარაკების პროცესში და აგრეთვე, გავლენას ახდენენ გადაწყვეტილებაზე. მენეჯერთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს ამ მეთოდს, რადგან შესაბამისობაშია მათ მოვალეობასთან და როლთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციული საქმიანობის მოწყობის დროს, მესამე მხარის ჩარევის სტილის არჩევის შემთხვევაში, კვლევის მიდგომა არის ნაკლებ ეფექტური. ერთ-ერთი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ლიდერები, რომებიც იღებენ ვალდებულებას გამოიძიონ კონფლიქტის პროცესი, აგროვებენ არასრულ ინფორმაციას პრობლემაზე, ამ გზით მიღებულმა არასწორმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს დავის გადაჭრაზე.

მეორე პრობლემა-თანამშრომლები ხდებიან მსხვერპლნი ხშირი კვლევების და ამან შესაძლოა გამოიწვიოს მათი უკმაყოფილება. კვლევა ხელს უშლის სხვა მეთოდებს, რომელთა დახმარებითაც მიიღება სამართლიანი გადაწყვეტილება.

დასკვნა

რომელი მიდგომაა ყველაზე კარგი ორგანიზაციისთვის? პასუხი ნაწილობრივ დამოკიდებულია არსებულ სიტუაციაზე, მენეჯერისა და თანამშრომლის ურთიერთობაზე, მოვალეობათა გადანაწილებაზე, კულტურულ ფასეულობებზე, ამასთან მნიშვნელოვანია ის, თუ რა ტიპისაა დავა. თანამშრომლებს შორის ყოველდღიური კამათის მოგვარების ყველაზე შესაბამისი მიდგომაა შუამავლობა, ამ გზით სწრაფად და ეფექტიანადაა შესაძლებელი პრობლემის მოგვარება. მიუხედავად იმისა, რომ არბიტრაჟი ნაკლებად ეფექტიანია დანარჩენ მეთოდებთან შედარებით, უზრუნველყოფს თანამშრომელთა კმაყოფილების მაღალ დონეს. მაშინ როცა, შუამავლობით ვერ ხერხდება პრობლემის მოგვარება, არბიტრაჟი ხდება ყველაზე მისაღების მეთოდი, რადგან წინასწარ განსაზღვრული მართვის წესები ქმნიან კარგ საფუძველს, მოვლენების სამართლიანი განვითარებისთვის. გარდა ამისა არბიტრაჟი რეკომენდირებულია ყველაზე მეტად მაშინ, როცა ორგანიზაციის მიზნები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ინდივიდუალური.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვირტია შ., ზალდასტანიშვილი თ., კულტურათაშორისი კომუნიკაციები. 2008
2. Conlon D.E. et al., Third Party Interventions across Cultures: No ‘One Best Choice, in Research in Personnel and Human Resources Management p. 309–349. Greenwich 2007.
3. C.K.W. De Dreu et al. A Theory-Based Measure of Conflict Management Strategies in the Workplace. Journal “Organizational Behavior” №22. p. 645–668. 2001.
4. McRae B. The Seven Strategies of Master Negotiators. p 7–11. Toronto 2002.
5. McShane L. Glinow M. Organizational Behavior. p. 328. 2010
6. Thompson L. Information Exchange in Negotiation. Int Journal “Experimental Social Psychology” № 27 p. 161–179. 1991.
7. Thompson L. The Mind and Heart of the Negotiator. ch 2. Upper Saddle River, NJ: Prentice Hall 1998

8. Емельянов С. Управление конфликтами в организаци. 2006.
9. Невлева И., Трунов А., Поддубный Н. Конфлитология в социальной работе. с. 227. 2005.

RESOLUTION OF THE CONFLICT BY THIRD PARTY INTERVENTION

Giorgi Tchuradze
PHD student of TSU

RESUME

People possess unique values. The cultural values have formulated a hierarchy of different requirements and regulations, how to operate in the social system. The organization is a system that requires the dynamic relationships among employees. Organizations need employees who can quickly understand the organization's objectives, be communicative, to fit the company's strategic directions and use its capacity to the maximum, and to promptly fulfill their obligations. Given the fact that the inevitable changes in the organization and staff have to respond to these changes, the conflict becomes inevitable.

Key words: Conflict, Negotiation, Arbitration.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ელექტრო ენერგეტიკის შიდასახელმწიფოებრივი, რეგიონული და გლობალური გამოწვევები

გიორგი ხიდეშელი
მარი ჯავახიშვილი
გუგა ბერძენიშვილი
გოჩა ლობჟანიძე
ნინო გოზალიშვილი
თსუ სტუდენტები

შესავალი

სამხრეთ კავკასიის რეგიონი გეოგრაფიულად საკმაოდ პატარა, თუმცა დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე არეალია. მასში შემავალი სამი სახელმწიფო სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო მეტ-ნაკლებად იზიარებენ საერთო რეგიონულ ხედვას და ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებთ. კასპიის ზღვაში ენერგო რესურსების აღმოჩენამ სამხრეთ კავკასია, კონკრეტულად კი აზერბაიჯანი კიდევ უფრო მიმზიდველ და საინტერესო ადგილად აქცია რეგიონში, სადაც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ძლიერი პოლიტიკური და ეკონიმიკური მოთამაშეების ინტერესები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. საქართველოსა და აზერბაიჯანს საერთო ინტერესები გააჩნიათ და შესაბამისად ცალკეულ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში და მისი დაშლის შემდეგაც არსებობდა სადავო ტერიტორიების სახით, სწორედ სტრატეგიული თანამშრომლობის პერსპექტივიდან უყურებენ, რასაც ვერ ვიტყვით რეგიონის მესამე სახელმწიფოზე. სომხეთ-აზერბაიჯანს შორის არსებულმა

დაპირისპირებამ და სომხეთის დაძაბულმა ურთიერთობებმა თურქეთთან, თანამშრომლობა თუნდაც ეკონომიკური თუ ენერგეტიკული კუთხით შეუძლებელი გახადა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ნაშრომის მთავარი მიზანია გაარკვიოს, თუ რა პრობლემებს აწყდებიან სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ენერგო თანამშრომლობის კუთხით, რამდენად ძალუძთ შიდა რესურსებით როგორც საკუთარი მოსახლეობისა და წარმოების, ისე იმ ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რომელთა ათვისების შემთხვევაშიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოგებას ნახავდნენ. გარდა ამისა, მიმოვიხილავთ ხსენებული ქვეყნების ენერგო თანამშრომლობის სპეციფიკასა თუ გამოწვევებს რეგიონულ და გლობალურ აქტორებთან. აღსანიშნავია, რომ ენერგო რესურსები თავისთავში ბუნებრივ აირთან და ნავთობთან ერთად, ელექტრო ენერგიასაც მოიცავს. აქედან გამომდინარე, ჩვენი თემის ფოკუსი ამ უკანასკნელზე იქნება.

რეზიუმე

ნაშრომის მთავარი მიზანია იკვლიოს ის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ენერგო თანამშრომლობისა და უსაფრთხოების სფეროში. ამასთანავე განსაზღვროს ის, თუ რამდენად ახერხებენ ისინი როგორც შიდა მოთხოვნის, ისე საექსპორტო პროდუქციის წარმოებას. ნაშრომი ასევე მოიცავს საერთაშორისო აქტორებისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ურთიერთობების სპეციფიკასა და გამოწვევებს. ნაშრომი კონცენტრირებულია ელექტრო ენერგეტიკის სფეროზე. ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვაა: რა სახის პრობლემებს აწყდებიან აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი ელექტრო ენერგიის წარმოება-მოხმარების კუთხით შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე და როგორ აისახება ხსენებული პრობლემები სხვა ქვეყნებთან ამ სფეროში თანამშრომლობაზე.

საკვანძო სიტყვები: ელექტროენერგია, მოთხოვნა, გამომუშავება, თანამშრომლობა

მეთოდოლოგია

ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვაა: რა სახის პრობლემებს აწყდებიან აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი ელექტრო ენერგიის წარმოება-მოხმარების კუთხით შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე და როგორ აისახება ხსენებული პრობლემები სხვა ქვეყნებთან ამ სფეროში თანამშრომლობაზე. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებული ცვლადი, ენერგეტიკის სფეროს პრობლემები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, გავლენას ახდენს დამოკიდებულ ცვლადზე - სხვა ქვეყენებთან ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობაზე.

მსჯელობის დაწყებამდე კი უპრიანი იქნება თუ ჩამოვაყალიბებთ თეორიულ ჩარჩოს, რომელიც დაგვეხმარება გამოვყოთ სხვადასხვა სახის მახასიათებლები შემდგომი მსჯელობის თანმიმდევრულად წასამართად. ასევე გამოვიყენებთ მრავალმხრივი ქეისის შესწავლის მეთოდს, რომლის ფარგლებშიც დეტალურად მიმოვიხილავთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს. ემპირიული მონაცემების მოძიების პროცესში გამოვიყენებთ სხვადასხვა მეცნიერების მოსაზრებებს, კვლევითი ცენტრების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებსა თუ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ გასაჯაროებულ წყაროებს.

თეორიული ჩარჩო

ამ თავში ყურადღებას გავამახვილებთ სოვაკოლის და მუხერჯეს (Sovacool; Mukherjee) მოსაზრებებზე, რომლებიც შემდეგ ხუთ ძირითად მიმართულებას/კრიტერიუმს გამოყოფენ: ენერგო რესურსების ხელმისაწვდომობა; მათი ფინანსური ხელმისაწვდომობა; ტექნოლოგიური განვითარება და ენერგო ეფექტურობა; გარემოს დაცვასთან და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული მდგრადობა; რეგულაციები და მმართველობა. თითოეული მათგანის უკეთ გასაგებად ცალკეული კრიტერიუმის მოკლე აღწერილობას შემოგთავაზებთ:[1]

1 Leila Alieva and Natalia Shapovalova, Energy security in the South Caucasus: view from the region", (2005) http://www.cascade-caucasus.eu/en_US/tag/energy-security

მიმართულება	აღწერილობა
ენერგო რესურსების ხელმისაწვდომობა	✓ საკმარისი ენერგო რესურსების რაოდენობა, რომელიც გულისხმობს ქვეყნის ენერგო დამოუკიდებლობას. ✓ დივერსიფიცირებული ენერგიის საშუალებები და მათი გამოყენებისათვის საჭირო ტექნოლოგიების ქონა. ✓ სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული ენერგო რესურსების მაქსიმალური ათვისება. ✓ რესურსების რეზერვების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა.
ფინანსური ხელმისაწვდომობა	✓ ენერგო მომსახურების მაქსიმალურად დაბალ ფასად შეთავაზება; ✓ ენერგეტიკული საწვავისა და მომსახურების ფასების წინასწარი განსაზღვრა; ✓ ენერგო მომსახურებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის საშუალების უზრუნველყოფა.
ტექნოლოგიური განვითარება და ენერგო ეფექტურობა	✓ უნარი განავითაროს და უპასუხოს შესაძლო გამოწვევებს, მოსალოდნელ ტექნიკურ გაუმართაობას და დარღვევებს. ✓ კვლევის საშუალებით განავითაროს ინოვაციური ენერგო ტექნოლოგიები; ✓ შესაბამისი ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურის მოზიდვა/განვითარება; ✓ მომხმარებლებამდე მაღალი ხარისხის სანდო მომსახურების მიწოდება.
გარემოს დაცვასთან და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული მდგრადობა	✓ გარემოსათვის ზიანის მიყენების მინიმუმამდე დაყვანა; ✓ საკმარისი წყლის რესურსების ქონა; ✓ სათბური გაზების ემისიის შემცირება; ✓ კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირება.

ძირითადი ტექსტი

ენერგეტიკული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები თავიანთი ენერგეტიკული რესურსებითა და შესაძლებლობებით საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში რომელიმე მათგანი მკვეთრად გამოხატული დომინანტი არ არის. ამ თავში შევეცდებით მიმოვიხილოთ სამივე ქვეყნის ენერგეტიკული რესურსები და პოტენციალი. ასევე გავაანალიზებთ თუ რა გავლენა აქვთ ამ უკანასკნელთ ქვეყნების გეოპოლიტიკურ და საგარეო პოლიტიკურ სიტუაციაზე.

საქართველო

საქართველოში არსებული ჰიდრორესურსები, რომელიც დაახლოებით 140 მლრდ კვტ.სთ-ს შეადგენს საკმაოდ კარგ საფუძველს იძლევა ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის განვითარებისთვის. მართალია, ამჟამად საქართველო მისი ენერგეტიკული პოტენციალის მხოლოდ 12-15% პროცენტს იყენებს, თუმცა მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკის თანხმად აღნიშნული ნიშნულის მკვეთრი ზრდაა მოსალოდნელი. დღეს საქართველოში ოცზე მეტი ჰესი ფუნქციონირებს, რომელთა უმეტესობაც 10 მგვტ-ზე მეტი სიმძლავრისაა. გარდა ამისა, ალტერნატიული ელექტროენერგია მიიღება 3 თბოსადგურიდან.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რომელსაც თან ახლდა სამოქალაქო ომი, ეკონომიკური კრიზისი, სეპარატისტული მოძრაობები ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალიც განახევრდა. საბჭოთა კავშირის ენერგო სისტემაზე მორგებულმა სახელმწიფომ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ვერ შეძლო ენერგო სფეროში მოთხოვნის საკუთარი შესაძლებლობებით დაკმაყოფილება. 1998 წლის მონაცემებით ელექტრო ენერგიის მოხმარება 18 მილიარდი კვტ.სთ იყო მაშინ როცა ქვეყნა მხოლოდ 14.5 მილიარდ კვტ.სთ-ს გამოიმუშავებდა. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველომ ვერ შეძლო მისი ენერგეტიკული პოტენციალის სათანადო განვითარება და და-

მოუკიდებელი ცხოვრების მანძილზე მხოლოდ ერთი, 24 მგვტ სიმძლავრის ხადორი ჰესი ააშენა. ხელისუფლების ინიციატივით აქტიურად მიმდინარეობს ქვეყნის ქარისა და მზის ენერგიის ათვისება, თუმცა ამ სფეროზე განსაკუთრებული იმედების დამყარება არარეალისტურია.

ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, შიდა მოთხოვნის 90% არსებული ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტრო ენერგიით ხდება. თუმცა, საქართველოს ხშირად უწევს ისეთი გამოწვევების გადალახვა, რომლებიც ქვეყნის ენერგო უსაფრთხოებას რისკის ქვეშ აგდებს. ზამთრის პერიოდში მდინარეების წლის დონე საგრძნობლად კლებულობს, რასაც შედეგად თბოსადგურების სრული დატვირთვით ამუშავება და საჭირო რაოდენობის ელექტრო ენერგიის იმპორტირება მოჰყვება. თბოსადგურების მუშაობა დამოკიდებულია ისეთ წიაღისეულზე, რომლის ფასიც საკმაოდ დიდი და ცვალებადია. აქედან გამომდინარე, ხშირად ტარიფებიც იზრდება, რაც არამარტო მოსახლეობაზე, არამედ წარმოებაზეც აისახება პროდუქციაზე გაზრდილი ფასების სახით. რაც შეეხება ელექტროენერგიის იმპორტს, ამ კუთხით ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთია. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ხსენებულ ქვეყნებზე დამოკიდებულება იმდენად მცირეა, რომ მათ მიერ საქართველოს წინააღმდეგ გატარებულ შესაძლო პოლიტიკას, ქვეყნის ენერგო უსაფრთხოებაზე დამანგრეველი გავლენა არ ექნება. მაგალითად, 2014 წელს იმპორტის წილი ელექტრო ენერგიის მთლიან მოხმარებაში 5%-იყო.[1] სეზონურობიდან გამომდინარე საქართველო ითავსებს როგორც ექსპორტიორის, ისე იმპორტიორის როლს რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენერგო ბაზარზე. საქართველოს ენერგო უსაფრთხოებაზე ასევე უარყოფითად აისახება მოსახლეობისა და გარემოს დამცველების წინააღმდეგობები სხვადასხვა ტერიტორიებზე ჰიდროელექტრო სად-

1 Forbes Georgia, „საქართველოს ენერგობალანსი და მისი გამოწვევები“ http://forbes.ge/news/426/saqarTvelos-energobalansi-da-misi-gamowvevebi (ბოლო ნახვა, 12 ივნისი, 2016)

გურების პროექტებთან დაკავშირებით. ამის კარგი მაგალითია ხუდონ ჰესი, რომლიც არსებობის შემთხვევაშიც საქართველო შეძლებდა ელექტროენერგიაზე საკუთარი მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებას. მიუხედავად უცხოელი ინვესტორების მზაობისა დააბანდონ ფული ჰიდროელექტრო ენერგიის სფეროში, მთავრობა მაინც ვერ ახერხებს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას[1]. ცალკე გამოწვევას წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ქვეყნის უდიდესი ჰიდროელექტრო სადგურის, ენგურ ჰესის ნაწილი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზეა და მასზე რუსულ-ქართული ერთობლივი მმართველობა ხორციელდება. ამას ემატება აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის ტენდენციები, რაც ენგურჰესიდან მიღებული რესურსების ალტერნატიული წყაროს მოძებნის აუცილებლობას ჰქმნის.

ასევე აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების მიერ წამოწყებული პოლიტიკა - მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდოს ქართულ ენერგეტიკაში - საშუალებას მისცემს ქვეყანას შეძლოს როგორც მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება, ისე წარმოებული ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანა. გარდა ამისა, 2018 წლიდან ირანი, სომხეთი, საქართველო და რუსეთი ელექტროენერგიით ვაჭრობის ახალ სისტემას შექმნიან, რომელიც უზრუნველყოფს 1200 მეგავატი ელექტრო ენერგიის ურთიერთ გაცვლას[2]. რაც შეეხება გრძელ ვადიან გათვლებს, ექსპერტების მოსაზრებით, 2050 წლისთვის საქართველო ექსპორტზე 50 მილიარდ კვ/სთ ელექტრო ენერგიას გაიტანს. გასაღების მნიშვნელოვან ბაზრად კი ევროკავშირი და თურქეთი მოიაზრება, რომლებიც კიოტოს ოქმის[3] ვალდებულებით მაქსიმალურად

1 მანანა ქოჩლაძე, „საქართველოს ჰიდროენერგეტიკის სექტორის გამოწვევები“ CEE Bankwatch Network http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/06/Energo_sektori.pdf (ბოლო ნახვა, 12 ივნისი, 2016)

2 ენერგო დაიჯესტი, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, ანალიტიკური დეპარტამენტი, http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Energodaijesti%202016%201%201265%20geo.pdf (ბოლო ნახვა, 12 ივნისი, 2016)

3 კიოტოს ოქმი - მიღებული იქნა იაპონიის ქალაქ კიოტოში 1997 წლის 11 დეკემბერს, იგი წარმოადგენს კლიმატის ცვლილების კონვენციასთან

ცდილობენ გარემოს დაბინძურებისა და ემისიების შემცირების მიზნით, ჰიდროელექტრო სადგურების მიერ ნაწარმოები *სუფთა ელექტროენერგიის* მოხმარების გაზრდას. თურქეთისა და ევროკავშირის ენერგეტიკული ბაზრების ათვისება არამარტო საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას შეუწყობს ხელს, არამედ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი რეგიონული ენერგომატარებელი ქვეყანა გახდება. ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, მოსალოდნელია ახალი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შეძენა და საერთაშორისო მასშტაბით ენერგო სფეროში სტრატეგიული ქვეყნის სტატუსის შეძენა. [1]

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანის ენერგო უსაფრთხოებაზე საუბრისას, ყურადღებას ძირითადად მისი ნავთობისა და ბუნებრივი აირის წარმოება-ვაჭრობაზე ამახვილებენ, თუმცა ფაქტია, რომ ეს უკანასკნელი ენერგეტიკულ სფეროშიც საკმაოდ ძლიერი და ანგარიშგასაწევი ძალაა რეგიონალური მასშტაბით.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან აზერბაიჯანში მძლავრი ელექტრომომარაგების სისტემა შეიქმნა, რომელიც 1990-იანი წლებისთვის არათუ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნას ელექტროენერგიაზე (21.7 მილიარდი კვ/სთ), არამედ მისი ექსპორტზე გატანის საშუალებაც იქმნებოდა (1.7 მილიარდი კვ/სთ). 2000 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ $54.24 მილიონი დოლარით დაფინანსებულმა იენიკენდის ჰიდროელექტრო სადგურმა განაპირობა აზერბაიჯანის გადაწყვეტილება გაეწყვიტა ყოველგვარი თანამშრომლობა რუსეთთან, ირანთან, საქართველოსთან და თურქეთთან.[2]

დაკავშირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას. კიოტოს ოქმის მთავარი თავისებურება ისაა, რომ ოქმი ადგენს ინდუსტრიალიზებული ქვეყნებისათვის სათბურის გაზების შემცირების სავალდებულო მიზნებს.

1 საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, კლიმატის ცვლილება და საქართველოს განახლებადი ენერგორესურსები, Moe.gov.ge (ბოლო ნახვა 18 ივნისი, 2016).

2 Azerbaijan, „Power engineering," http://www.azerbaijans.com/content_733_en.html (ბოლო ნახვა, 12 ივნისი, 2016)

აღნიშნული გადაწყვეტილება იყო წინ გადადგმული ნაბიჯი ენერგო დამოუკიდებლობის მიღწევის გზაზე. აზერბაიჯანის ელექტრომომარაგება დამოკიდებული გახდა მხოლოდ შიდა წარმოებაზე და სხვა პარტნიორი ქვეყნებიდან ელექტრო ენერგიის შესყიდვის აუცილებლობა გაქრა დღის წესრიგიდან. თუმცა, მიუხედავად ამ პოლიტიკისა, აზერბაიჯანს ელექტროენეგიის უმნიშვნელო ნაწილი მთლიანი მოთხოვნის 10%-ზე ნაკლები ირანიდან და თურქეთიდან შემოაქვს. გარდა ამისა, მას სავაჭრო ურთიერთობები აქვს რუსეთთან და საქართველოსთან, რაც მცირე რაოდენობის ელექტროენერგიის ამ ქვეყნებში ექსპორტირებით დასტურდება.

აზერბაიჯანი დღემდე ცდილობს გააგრძელოს გასულ საუკუნეში წამოწყებული პოლიტიკა. აზერბაიჯანში წარმოებული ელეტროენერგიის 90% თბოელექტროსადგურებზე მოდის, 10% კი - ჰიდროელექტროსადგურებზე. აზერბაიჯანში, ელექტროენერგია გამომუშავდება რვა თბოელექტროსადგურში, ექვს ჰიდროელექტროსადგურსა და შვიდ სხვადასხვა მოდულის ელექტრო სადგურში.[1]

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აზერბაიჯანი ელეტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების თვალსაზრისით სხვა სახელმწიფოებზე არაა დამოკიდებული, იგი შიდასახელმწიფოებრივ დონეზე მაინც აწყდება მთელ რიგ რისკებს, რომლებიც ქვეყნის ენერგო უსაფრთხოებას საფრთხის ქვეშ აყენებენ. მაგალითად, ნომერ პირველი გამოწვევა არსებული და მეტნაკლებად მოძველებული ელექტრო სადგურების განახლება და რეკონსტრუქციაა, რათა თავიდან აიცილონ შესაძლო საფრთხეები. იმ თბო ელექტრო სადგურების, რომლებიც ძირითადად ნავთობსა და გაზზე მუშაობენ, ისეთი ალტერნატიული წყაროებით ჩანაცვლება, რომლებიც შეამცირებენ დამოკიდებულებას ამოწურვად რესურსებზე, მიუხედავად მათი ამჟამინდელი დიდი მარაგებისა. ასეთ ალტერნატიულ წყაროებად კი,

1 Clean Energy Info Portal, „Azerbaijan 2012," http://www.reegle.info/policy-and-regulatory-overviews/AZ (ბოლო ნახვა, 12 ივნისი, 2016)

ჰიდროელექტრო და ატომური სადგურები განიხილება.[1] ასევე აღსანიშნავია, რომ განსხვავებით საქართველოსგან, რომელის ელექტროენეგიის ბაზარზე მრავალი ფირმა ოპერირებს, აზერბაიჯანში ხსენებული სფერო სრულად მონოპოლიზირებულია სახელმწიფოს მიერ. ეს ფაქტი გამორიცხავს ყოველგვარ საგარეო, სახელმწიფოთაშორის დაძაბულობას, თუმცა უარყოფითად აისახება ტარიფებსა და მომხმარებლების ინტერესებზე. გარდა ამისა მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდო ქარისა და მზის ენერგიების ასათვისებლად. მაგალითად, ქარის ენერგიის გამოყენებით შესაძლებელია 2.4 მილიარდი კვ/სთ ელექტროენერგია. 2011 წელს ამოქმედებული ქ. გობუსტანის პოლიგონის საშულებით კი, შესაძლებელია ელექტრო ენერგიაზე ადგილობრივი მოთხოვნის ნაწილის დაკმაყოფილება.[2] ფაქტია, რომ აზერბაიჯანის ენერგოუსაფრთხოებაზე ზრუნვა თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებასა და ამ კუთხით ახალი ინვესტიციების დაბანდებაში გამოიხატება.

სომხეთი

სომხეთსაც, მსგავსად საქართველოსა და აზერბაიჯანისა მოუწია გადაელახა მძიმე ენერგეტიკული კრიზისი საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში, თუმცა 1980-იანი წლებიც არ გამოირჩეოდა განსაკურებული სტაბილურობით. 1989 წელს საბჭოთა სომხეთი, ქვეყანში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის გამო, იძულებული გახდა დაეხურა მეწამორის ატომური ელექტრო სადგური, რათა თავიდან აეცილებინა შესაძლო კატასტროფა. მეწამორის ატომური ელექტროსადგური არათუ ქვეყნის ელექტროენერგიის 1/3 აწარმოებდა, არამედ მის ექსპორტზე გატანის საშუალებასაც იძლეოდა. ხსენებუ-

1 Nurali Yusifbeyli, Valekh Nasibov, and Rena Alizade. "FACTORS AFFECTING THE SCALE AND PATTERN OF GENERATION CAPACITY EXPANSION AND AZERBAIJAN"S ENERGY SECURITY." The Caucasus & Globalization 4, no. 1-2 (2010).

2 Rovshan Jamalov and Tahmasib Alizada, ENERGY SECURITY AND ENERGY UNION PERSPECTIVES FOR AZERBAIJAN, Policy Paper. Baku 2015.

ლი ელექტროსადგურის დახურვამ კი უარყოფითი გავლენა იქონია არა მხოლოდ მოსახლეობაზე, არამედ წარმოებასა და ზოგადად ეკონომიკაზე. ამ მოვლენებს თან დაერთო საბჭოთა კავშირის კოლაფსი და მთიანი ყარაბახის კონფლიქტი, რამაც სომხეთი ენერგო რესურსების თვალსაზრისით ვაკუუმში მოაქცია.

თბოელექტროსადგურების ფუნქციონირებისათვის საჭირო ბუნებრივი აირი და ნავთობი რუსეთიდან, აზერბაიჯანის გავლით შემოდიოდა, ყარაბახის კონფლიქტის გამო დაწყებულმა იზოლაციამ კი სომხეთი აიძულა ელექტროენერგიის მიღების ხსენებულ წყაროზე უარი ეთქვა. ქვეყნის ენერგეტიკა მთლიანად ჰიდროელექტროსადგურებზე გახდა დამოკიდებული, რომლებიც საჭირო ნაწილების არ ქონის გამო სრული დატვირთვით მუშაობასაც კი ვერ ახერხებდნენ. 1995 წელს მეწამორის ატომური ელექტრო სადგურის ნაწილმა ფუნქციონირება განაახლა და სომხეთის დამოკიდებულება სხვა ქვეყნებზე შედარებით შემცირდა.[1]

მეწამორის ატომური ელექტროსადგური ელექტროენერგიაზე სომხეთის მოთხოვნის 42% ფარავს. მიუხედავად იმისა, რომ ჰიდროელექტრო სადგურების სიმძლავრე შესაბამისი სამუშაოების შედეგად საკმაოდ გაიზარდა, მეწამორის ელექტრო სადგური კვლავ მნიშვნელოვან ენერგიის წყაროდ რჩება. იგი ერთგვარ სტრატეგიულ მნიშვნელობასაც კი ატარებს ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის თავალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი სომხეთისგან დაჟინებით მოითხოვს მეწამორის ელექტროსადგური გაუქმებას რადგან იგი საკმაოდ მოძველებულია და ვერც ერთ უსაფრთხოების ნორმას ვერ აკმაყოფილებს. აღნიშნული საკითხი ერთგვარ დილემად იქცა სომხური მხარისთვის, თქვას უარი ენერგოდამოუკიდებლობის ყველაზე დიდ წყაროზე თუ საფრთხის ქვეშ დააყენოს როგორც მისი, ისე მეზობელი ქვეყნების მომავალი, ვინაიდან ნე-

1 The Armenian Weekly, „Electricity Production in Armenia“ http://armenianweekly.com/2013/07/25/electricity-production-in-armenia/ (ბოლო ნახვა, 12 ივნისი, 2016)

ბისმიერი ხარისხის ატომურ კატასტროფას დამანგრეველი შედეგი ექნება მთელი რეგიონისთვის. გამოსავლად სომხეთი ახალი ატომური ელექტროსადგური აშენებას მიიჩნევს, თუმცა ამისთვის 4-5 მილიარდი დოლარია საჭირო და ფინანსურ უზრუნველყოფას რუსული მხარე იღებს საკუთარ თავზე.[1] ისედაც რუსული კომპანიის Inter RAO UES მიერ მართული მეწამორის ატომური ელექტროსადგურის პარალელურად ახლის მშენებლობა, არათუ უზრუნველყოფს სომხეთის ენერგოუსაფრთხოებას არამდე კიდევ უფრო დამოკიდებულს გახდის მას რუსეთზე.

რაც შეეხება თბოელექტროსადგურებს, ეს უკანასკნელნი ჰრაზდანსა და ერევანში არიან განლაგებულნი და საერთაშორისო ტექნიკურ-თავდაცვით სტანდარტებს ნაკლებად აკმაყოფილებენ. 2004 წელს რუსულმა კომპანიამ ArmRusGasprom-მა, რომელიც ჰრაზდანის თბოელექტროსადგურის მფლობელია, ამ უკანასკნელის გამაძლიერებელი სამუშაოები ჩაატარა. 2007 წელს კი იაპონიის ბანკის მიერ გამოყოფილი სესხით ($247 მილიონი) დამატებითი ტურბინები დამონტაჟდა ერევნის ელექტროსადგურზეც, რომლის მწარმოებლურობაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. გარდა ამისა ნაკლები დატვირთვით ფუნქციონირებს სამი შედარებით მცირე ზომის თბოელექტროსადგური. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხუთივე მათგანი სრულად არის დამოკიდებული რუსეთიდან იმპორტირებულ ბუნებრივ აირსა და ნავთობზე. საჭირო ბუნებრივი აირი (მილსადენით) და ნავთობი (ცისტერნებით) სომხეთში რუსეთიდან საქართველოს გავლით შედის, რაც ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით არც თუ ისე სახარბიელო ვარიანტია. პირველი, სომხეთის თბოელექტროსადგურების ფუნქციონირება სრულად რუსეთზეა დამოკიდებული და ეს უკანასკნელი ამ ფაქტორს მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებისთვის საკმაოდ ეფექტურად იყენებს. მეორე საქართველო ერთადერთი ტრანზიტორი ქვეყანაა, რომელსაც რუსეთთან სამხედრო დაპირისპირების პრაქტიკაც

1 Conrad Adenauer Stiftung. The South Caucasus in 2018, Facts, Trends, Future Scenarios. Tbilisi.

კი გააჩნია (2008 წელის აგვისტოს ომი). აქედან გამომდინარე პოლიტიკური დაძაბულობის გამო გამოწვეულმა საზღვრების ჩაკეტვამ ან ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენისადმი დამოკიდებულების შეცვლამ შესაძლოა სომხეთი მნიშვნელოვანი კრიზისის წინაშე დააყენოს. ფაქტია, რუსეთს სომხეთთან სხვა დამაკავშირებელი გზა არ გააჩნია, ალტერნატიული გზებით ტრანსპორტირებულ ბუნებრივ რესურსებზე ფასები კი უდავოდ გაიზრდება. მაგალითად სომხეთის საგარეო ვაჭრობის 70%-ზე მეტი საქართველოს ტერიტორიაზე მოდის და 2008 წლის ომის გამო იგი $680 მილიონის ზარალის წინაშე აღმოჩნდა.[1] გარდა ამისა, სომხეთს მცირე რაოდენობის ბუნებრივი აირი ირანიდანაც შემოაქვს, თუმცა ეს ფაქტი ენერგორესურსებზე დამოკიდებულების რაიმე დივერსიფიცირებაზე საუბრის საშუალებას არ გვაძლევს.

ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგია ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობდა სომხეთის კრიზისულ პერიოდებში. დღეს ქვეყანაში ორი მთავარი ჰიდროელექტროსადგური: სევან-ჰრაზდანი და ვოროტანი ფუნქციონირებს. თუმცა, მათთან ერთად 110 მცირე ელექტროსადგურსაც ვხვდებით, რომელთა უმეტესობაც ბოლო 10 წლის მანძილზე შეიქმნა. ხელისუფლება სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით გეგმავს ჰიდროელექტროსადგურების მწარმოებლურობის 10% გაზრდას. მართალია, ბუნებრივი რესურსების აუცილებლობის თვალსაზრისით ეს სფერო დამოუკიდებელია, თუმცა სრულად რუსული კომპანიის RusHydro-ს მფლობელობაშია. აქედან გამომდინარე, ენერგოუსაფრთხოების კუთხით, ამ სფეროშიც არასახარბიელო სიტუაციაა შექმნილი.

ყურადღების ღირსია სომხეთის მთავრობის ინტერესები აითვისოს ისეთი ალტერნატიული წყაროები როგორებიცაა: ქარის, მზისა და გეოთერმული ენერგიები. გარდა ამისა სომხეთს სავაჭრო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოსთან და ირანთან. ამ უკანასკნელისგან 3 კვ/სთ ელექტოენერგიას იღებს 1$მ^3$ ბუნებრივი აირის სანაცვლოდ, ხოლო საქართველოს

1 ნიკა ჩიტაძე, გეოპოლიტიკა (თბილისი, უნივერსალი, 2011)

საშუალებით სომხური ელექტროენერგია თურქეთის ბაზარზე გადის და ქვეყანა დამატებით ეკონომიკურ შემოსავალს იღებს.

ორიოდე სიტყვით, რომ შევაჯამოთ სომხეთი ენერგოუსაფრთხოების პრობლემები ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარება-ვაჭრობის კუთხით, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე: მეწამორის ატომური ელექტროსადგური, მიუხედავად მისი სტრატეგიული მნიშვნელობისა საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის როგორც სომხეთს ისე სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ქვეყნებს. რუსული ინვესტიციებთან ერთად, რუსული კომპანიების მფლობელობაში მყოფი ელექტროსადგურები კიდევ უფრო ზრდიან სომხეთის რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხს. გარდა ამისა, თბოელექტროსადგურების ფუნქციონირება სრულად დამოკიდებულია რუსულ და ირანულ ბუნებრივ აირსა და ნავთობზე. სომხეთის ჰიდრო რესურსები ვერ ახერხებენ ჰიდროელექტრო სადგურების შესაძლებლობების სრულად დაკმაყოფილებას. ელექტროენერგიის წარმოებისთვისა და გადაცემისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა მოძველებულია და განახლებას საჭიროებს. საბოლოო ჯამში კი შეიძლება ითქვას, რომ მწირი ბუნებრივი რესურსები და მაქსიმალური დამოკიდებულება პარტნიორ ქვეყნებზე წარმოშობს გაუთვალისწინებელი კრიზისების დიდ რისკებს, ვერ ახერხებს მოსახლეობისა და ადგილობრივი წარმოების მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და აფერხებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს.

დასკვნა

ამრიგად, ნაშრომში განხილულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არსებული სიტუაცია ელექტრო ენერგეტიკულ სფეროში. ისტორიულ წინაპირობებსა და არსებულ მდგომარეობასთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია სამომავლო პერსპექტივებზე აღნიშნული სფეროს განვითარებისთვის. როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მრავალფეროვანი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფონის მიუხედავად, აღნიშნული სფეროს ფარგლებში ისინი მთელ რიგ გა-

მოწვევებსა და გარემო პირობებს იზიარებენ. განსხვავებულია მათი გეოპოლიტიკური დანიშნულება რეგიონში, ურთიერთობის ხარისხი როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა საერთაშორისო აქტორებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია დამოკიდებულება რუსეთთან, რომელიც რეგიონში გავლენის გავრცელების მუდმივი სურვილითა და სომხეთთან მჭიდრო ეკონომიკური ჯაჭვით, ენერგოუსაფრთხოებაზე გავლენის მოხდენის პოტენციალს ფლობს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ვლინდება სომხეთის შემთხვევაში, რომლის ენერგეტიკული წარმოების აღსანიშნავი ნაწილი რუსეთიდან იმპორტირებულ რესურსებზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება საერთო გარემო პირობებს, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა საჭიროებს ქმედით და ეფექტურ ნაბიჯებს ხელისუფლების მხრიდან, რომელიც საშუალებას მისცემდა ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალურ ათვისებასა და მისი წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას. რიგ შემთხვევებში, მაგალითისთვის საქართველოში, აღნიშნულ სფეროში ინვესტირებას წინ ეღობება საზოგადოებრივი ნეგატიური აზრი დამატებითი წყაროს შექმნის თაობაზე. ამასთანავე, მაღალი სტანდარტების მოთხოვნის პარალელურად, აღინიშნება აუცილებელი ინვესტირების სიმცირე სფეროს დახვეწისთვის, რაც, თავის მხრივ, ენერგოუსაფრთხოების რისკების თავიდან აცილებას ართულებს რეგიონში. რაც შეეხება ერთმანეთთან ურთიერთობის საკითხს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის, ასეთი ურთიერთობები მხოლოდ პოზიტიურად აისახება რეგიონალურ მდგომარეობაზე და მსგავსი ისტორიული თუ ეკონომიკური სისტემის გამოცდილება, აუცილებელსაც კი ხდის თანამშრომლობის გაღრმავებას, რათა თითოეულ მათგანს საკუთარი შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება და სავაჭრო ინტერესების განხორციელება ამ სფეროში, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და სტაბილურობის ეჭვქვეშ დაყენებად არ დაუჯდეს.

ბიბლიოგრაფია

1. Azerbaijan, „Power engineering," http://www.azerbaijans.com/content_733_en.html

2. Clean Energy Info Portal, „Azerbaijan 2012," http://www.reegle.info/policy-and-regulatory-overviews/AZ

3. Conrad Adenauer Stiftung. The South Caucasus in 2018, Facts, Trends, Future Scenarios. Tbilisi.

4. Forbes Georgia, „ Energy Balance and Challenges of Georgia" http://forbes.ge/news/426/saqarTvelos-energobalansi-da-misi-gamowvevebi

5. Leila Alieva and Natalia Shapovalova*, Energy security in the South Caucasus: view from the region", (2005) http://www.cascade-caucasus.eu/en_US/tag/energy-security*

6. Nurali Yusifbeyli, Valekh Nasibov, and Rena Alizade. „FACTORS AFFECTING THE SCALE AND PATTERN OF GENERATION CAPACITY EXPANSION AND AZERBAIJAN"S ENERGY SECURITY." *The Caucasus & Globalization* 4, no. 1-2 (2010).

7. Rovshan Jamalov and Tahmasib Alizada, *ENERGY SECURITY AND ENERGY UNION PERSPECTIVES FOR AZERBAIJAN,* Policy Paper. Baku 2015

8. The Armenian Weekly, „Electricity Production in Armenia" http://armenianweekly.com/2013/07/25/electricity-production-in-armenia/

9. Energy Digest, Ministry of Economics of Georgia, Analytical Department, http://www.energy.gov.ge/projects/pdf/pages/Energodaijesti%202016%201%201265%20geo.pdf

10. Manana Kochladze, „Challenges of Georgia's Hydro Energetic Sector" CEE Bankwatch Network http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/06/Energo_sektori.pdf

11. Nika Chitadze. Geopolitics. Tbilisi, Universali, 2011.

12. Ministry of Environment Protection and Natural Resources of Georgia, Climate Change and Renewable Resources of Georgia, Moe.gov.ge.

THE INNER-STATE, REGIONAL AND GLOBAL CHALLENGES OF THE SOUTH CAUCASIAN STATES' ELECTRIC ENERGY

Giorgi Khidesheli
Mari Javakhishvili
Guga Berdzenishvili
Gocha Lobjanidze
Nino Gozalishvili
Students of Tbilisi State University

RESUME

The main goal of this research is to find out what major problems are faced by the South Caucasus countries in terms of energy cooperation and to what extent they are able to meet the requirements either of their population and production or the international markets. Besides, we will cover the specifics and challenges of the collaboration between above mentioned countries and the regional or global actors. It needs to be mentioned that our research will mainly focus electric energy capabilities. The research question of the paper can be formulated as following: What major problems face Azerbaijan, Georgia and Armenia in terms of electricity production and consumption on the inner-state level and how it is reflected on cooperation in this field with other countries? We will have the theoretical frame and try to use multiple case study method as for methodology. In the end we will provide the conclusion.

Key Words: Electric Energy, Demand, Production, Cooperation.

საქართველოს საგარეო სავაჭრო და საინვესტიციო კავშირების განვითარების ტენდენციები და პრობლემები

დავით ქათამაძე
ედ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქრონიკულ დეფიციტს განიცდის, რომლის დაფინანსების ერთ-ერთი რეალური წყაროა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და დაბანდება ადგილობრივ კომპანიებში. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ხელს უწყობს მსოფლიო მეურნეობაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ოპტიმალურ ინტეგრირებას, მენეჯმენტისა და მარკეტინგის პროგრესული მეთოდების გადმონერგვას, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის რაციონალიზაციას, იმპორტჩამნაცვლებელი დარგების განვითარებას, ექსპორტის გაფართოებას და შესაბამისად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. საქართველოში ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა იძლევა საგარეო ბაზარზე მათი სავაჭრო მარკითა და გარანტირებული გასაღების ბაზრით სარგებლობის, ჩვენი ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედების, მასობრივი წარმოების ორგანიზებისა და შესაბამისად, მასშტაბზე ეკონომიის ეფექტის კვალობაზე, საწარმოო დანახარჯთა მინიმიზაციის შესაძლებლობას. საქართველოს სავაჭრო დეფიციტის დაფარვისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საჭიროა მშვიდობიანად მოგვარდეს ურთიერთობა რუსეთთან, ქვეყნის შიგნით მიღწეული იქნას პოლიტიკური სტაბილურობა, გამჭვირვალე, გასაგები და სტაბილური უნდა გახდეს საგადასახადო სისტემა, მოზიდული უნდა იქნეს პროგრესული ტექნოლოგია, ხელი უნდა შეეწყოს მონოპოლისტურ დარგებში კონკურენციის განვითარებას, უნდა ამოქმედდეს უცხოური ინვესტიციების სადაზღვევო სისტემა, საჭიროა განვითარდეს ფინანსური ბაზრები.

საკვანძო სიტყვები: ქრონიკული სავაჭრო დეფიციტი, სავაჭრო სალდო, ექსპორტისა და იმპორტის სასაქონლო სტრუქტურა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

შესავალი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ქრონიკული დეფიციტის (იხ. ცხრილი № 1) წარმოქმნის მიზეზები უნდა ვეძიოთ როგორც ჩვენი ქვეყნის უახლეს წარსულში განვითარებულ ობიექტურ მოვლენებში, ისე ამ დეფიციტის აღმოფხვრის ვალდებულების მქონე სახელმწიფო მოხელეთა არაკომპეტენტურობაში. კერძოდ, ჯერ კიდევ, 1990-იან (ანუ დამოუკიდებლობის მიღების პირველივე) წლებში არ იქნა გატარებული სათანადო ზომები ადგილობრივი პროდუქციის წარმოების დაცვის მიზნით, რის გამოც ჩვენი ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტულმა პროდუქციამ მყარად მოიკიდა ფეხი და გასაღების ბაზრის 80% დაიკავა. ამასთან, იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში ჭარბობს არაელასტიური მოთხოვნის პროდუქცია. შედეგად, ლარის დევალვაციის მიუხედავად, ამ სახის იმპორტი არ შემცირებულა. ასევე ვერ იქნა გამოყენებული 1998 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჩვენთვის 5 წლის განმავლობაში ადგილობრივი დარგების ნებისმიერი ფორმით დაცვის შანსი.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტის გაღრმავების უმთავრესი მიზეზია ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში ჩამოყალიბებული ნეგატიური ტენდენციები. კერძოდ, ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში ჭარბობს სხვადასხვა სახის ბუნებრივ-სამრეწველო ნედლეული და აგრარული ნაწარმი, რომელთა ფასებიც ბოლო 100 წლის განმავლობაში გაცილებით უფრო ნელა იზრდებოდა მსოფლიო ბაზარზე, ვიდრე მზა სამრეწველო ნაწარმის, ოქროს ან ნავთობის ფასი. ეს კი ძარცვავს ეკონომიკას რესურსებისაგან და აფერხებს სამუშაო ადგილთა შექმნას. მაღალი საინვესტიციო რისკ-ფაქტორების არსებობის გამო, მიმზიდველი ბიზნეს-გარემო ვერ შეექმნათ იმ ტრანსნა-

ციონალურ კორპორაციებს, რომელთაც ფილიალების გახსნით შეეძლოთ ჩვენს ქვეყანაში საექსპორტო სამრეწველო საწარმოთა ამოქმედება. ამ კომპანიების მიერ დამზადებულ პროდუქციას ექნებოდა მათი „მფარველი" კორპორაციების მიერ შექმნილი გასაღების გარანტირებული საგარეო ბაზარი. შედეგად ექსპორტის ზრდის ტემპი მკვეთრად ჩამორჩა იმპორტის ზრდის ტემპს.

საექსპორტო პროდუქციის დიდი ნაწილი გადის თურქეთში, ჩინეთში, რუსეთში, ბულგარეთსა და სომხეთში. ექსპორტის 25% მოდის ევროკავშირზე, 29% კი - დსთ-ის ქვეყნებზე. ჩვენს ქვეყანას გააქვს სპილენძის მადანი, მსუბუქი ავტომობილები, ღვინო, მინერალური წყლები, თხილი, ფეროშენადნობები, მინერალური სასუქები. უცხოური საქონლის იმპორტის უდიდესი ნაწილი მოდის თურქეთზე, ირლანდიაზე, რუსეთზე, აზერბაიჯანსა და ჩინეთზე. იმპორტის 35% მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე, ხოლო 26% კი – დსთ-ის ქვეყნებზე. იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში ძირითადად ჭარბობს სამკურნალო საშუალებები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობი და ნავთობ-პროდუქტები, კვების პროდუქტები და საფეიქრო ნაწარმი [2].

ცხრილი № 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2007-15 წლებში (მლნ.აშშ.დოლარი)

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	6444	7797	5634	6935	9225	10413	10921	11454	9933
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	1232	1495	1134	1677	2187	2376	2910	2861	2204
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	5212	6302	4500	5257	7038	8037	8012	8593	7729
საგარეო სავაჭრო სალდო	-3980	-4806	-3367	-3580	-4852	-5661	-5102	-5733	-5525

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (www.geostat.ge), საგარეო ვაჭრობა.

როგორც ცხრილი №1-დან ჩანს, საქართველოში მოხმარებული საქონლის 75 % მოდის იმპორტულ პროდუქციაზე. ასეთ პირობებში ეროვნული საბიუჯეტო პოლიტიკის ექსპანსია უფრო მეტად წაადგება იმპორტის გაფართოებას, ვიდრე ეროვნული წარმოების სტიმულირებას. ექსპანსიური საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებას დადებითი შედეგი ექნება მხოლოდ ადგილობრივი პროდუქციისათვის შიდა ბაზრის იმპორტისაგან გამოთავისუფლების შემთხვევაში. იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის რაციონალიზაციისა და მისი ექსპორტთან შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდება ეროვნული ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლება. ფულად-საკრედიტო პოლიტიკით შესაძლებელი გახდება საგადასახადო ბალანსის გაწონასწორება, საბიუჯეტო პოლიტიკის მეშვეობით კი–ერთობლივი მოთხოვნის რეგულირება. რადგან საქართველო იმყოფება სავაჭრო ბალანსის ქრონიკული დეფიციტის და უმუშევრობის პირობებში, საჭიროა მკაცრ საბიუჯეტო პოლიტიკას შეესაბამოს ექსპანსიური საკრედიტო პოლიტიკა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში არსებული ქრონიკული დეფიციტის დაფარვის ერთადერთი რეალური გზაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ადგილობრივ წარმოებაში დაბანდება. 2007-2015 წლებში საქართველოში მოზიდული უცხოური ინვესტიციების შესახებ ინფორმაციას იძლევა ცხრილი №2.. იმის დასადგენად, თუ რომელ დარგებში უნდა ინვესტირდეს მოზიდული უცხოური კაპიტალი, საკმარისია გადავხედოთ იმპორტის სასაქონლო სტრუქტურას. მათ შორის საქართველოს ხელისუფლებამ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა აქციოს იმ პროდუქციის წარმოება, რომელთა უზრუნველყოფაც შესაძლებელი იქნებოდა საკუთარი და მოზიდული საწარმოო ფაქტორებით«(მუშახელით, ტექნოლოგიით, ნედლეულით და ა. შ.) მხოლოდ რეალურ სექტორში შექმნილი სამუშაო ადგილები არის მდგრადი და ხანგრძლივი, სხვა სახის სამუშაო ადგილები დროებითი და ხანმოკლეა, რაც ეკონომიკაში ფრიქციული უმუშევრობის გამომწვევი მიზეზია, ხოლო მოსახლეობაში კი იგი ვერ აღმოფხვრის უმუშევრობის განცდას. საექსპორტო დარგთა შორის

პრიორიტეტულ მიმართულებათა დასადგენად საჭიროა განისაზღვროს თუ რა სახის საქონელზე არის გაზრდილი მოთხოვნა იმ რეგიონებში, სადაც საქართველოს, გეოგრაფიული განლაგების (სატრანსპორტო ხარჯების) გათვალისწინებით, შეეძლება საქონლის მიწოდება მსოფლიო ფასებთან შედარებით ბევრად უფრო იაფად.

ცხრილი №2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2007-2015 წლებში (მლნ.აშშ.დოლარი)

წელი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
პირდ. უცხ. ინვ.	2015	1564	658.4	814.5	1117	911.6	942	1 758	1 351

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, (www.geostat.ge), საგარეო ვაჭრობა.

2015 წელს საქართველოში ინვესტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან (1351 მლნ აშშ. დოლარიდან) 542 მლნ. დოლარი მოდის აზერბაიჯანზე, 198 მლნ დოლარი – გაერთიანებულ სამეფოზე, 111 მლნ აშშ. დოლარი – ნიდერლანდებზე, 87 მლნ აშშ. დოლარი – ლუქსემბურგზე, 77 მლნ აშშ. დოლარი – თურქეთზე, 56 მლნ დოლ. – ჩინეთზე, 49 მლნ. დოლ. – რუსეთზე, 39 მლნ. დოლ. – საერთაშორისო ორგანიზაციებზე, ხოლო 35 მლნ. აშშ. დოლარი კი – აშშ-ზე (იხ. დიაგრამა №1).

უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ერთგვარ „კატალიზატორს". 2008-2015 წლებში ჯერ საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობის, ხოლო შემდეგ ჩვენი ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ვითარების დაძაბვის გამო, გაიზარდა საინვესტიციო რისკი, რაც ხელს უშლის საქართველოს მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქციის წარმოების დასაფინანსებლად საკმარისი მოცულობის ინვესტიციების მოზიდვას. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პოტენციალის სრული ამოქმედება შესაბამის ფინანსურ უზრუნველ-

ლყოფას საჭიროებს. ეკონომიკის დაფინანსების შიდა რესურსი მწირია, მოსახლეობის დაბალი შემოსავლების გამო. შემოსავლების უთანასწოროდ გადანაწილების შედეგად, მატერიალური დოვლათის დიდი ნაწილი მოსახლეობის მცირე ჯგუფში იყრის თავს. ისინი კი ამ შემოსავლებს აბანდებენ უცხოეთში ან ფლანგავენ პირადი მოხმარებისათვის.

დიაგრამა № 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2015 წელს (მლნ.აშშ.დოლარი)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

ეკონომიკის შეკვეცილი კვლავწარმოება და, ლარის კურსის შენარჩუნების მცდელობაში, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება ვერ უზრუნველყოფს შიდა ინვესტირების მყარ ბაზას. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ადგილობრივი წარმოების დაფინანსების ყველაზე რეალური გზაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. მისი ნაკლი ის არის, რომ გრძელვადიან პერიოდში ადრე დაბანდებული კაპიტალიდან, სარგებლის განაკვეთის სახით, მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი გამოაკლდება ეკონომიკური ზრდის ტემპებს და ადრე თუ გვიან გაედინება საზღვარგარეთ, მაგრამ თანამედროვე მსოფლიო ბაზრის გაჯერების, მისი მონოპოლიზაციის პირობებში ინვესტორი კომპანიის გასაღების ქსელით, მათი სავაჭრო მარკით სარგებლობის უფლება და თანმდევი ტექნოლოგიური

ეფექტი იმდენად დიდია, რომ იგი გადაფარავს ამ ზარალს.

მიუხედავად ამისა, უცხოური ინვესტიციების ქაოსურად მოზღვავებაც გაუმართლებელია, რათა უცხოელთა ხელში არ აღმოჩნდეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგები. ამის გათვალისწინება აუცილებელია უცხოელ ინვესტორებთან სტრატეგიული თანამშრომლობის განხორციელებისას კონტრაქტების გაფორმების დროს. ეს იმით არის განპირობებული, რომ ინვესტორთა შემოსვლის შემდეგ რთულდება მათი საქმიანობის კონტროლი, ადგილობრივ ბაზარზე თანდათან ითრგუნება კონკურენცია, არაგანახლებადი სამრეწველო და ბუნებრივი წიაღისეული ექცევა უცხოელთა კონტროლის ქვეშ. შედეგად ეს რესურსები იფლანგება და ნაადრევად ილევა. სუსტი სახელმწიფოებრივი კონტროლის პირობებში (რაც ბუნებრივია განვითარებადი ქვეყნების მენეჯმენტის პირობებში) არ არსებობს მკაცრი ეკოლოგიური კონტროლის გარანტიები უცხოური ინვესტიციების ბაზაზე ამოქმედებულ საწარმოთა საქმიანობაზე. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და დაბანდება შეიძლება მოხდეს კონტრაბანდიდან (იარაღის, ნარკოტიკების რეალიზაციიდან) და აგრეთვე კრიმინალური საქმიანობიდან აღებული „შავი ფულის გათეთრების" მიზნით [1].

საინვესტიციო დეფიციტი განაპირობებს შრომის დაბალ მწარმოებლურობას და ინვესტირების სტიმულის დაქვეითებას. უცხოური ინვესტიციების საქართველოში მოზიდვას ხელს უშლის ჩვენს ქვეყანაში შექმნილი არახელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი: ხშირად ცვალებადი საგადასახადო სისტემა, ბიუროკრატიზმის მაღალი დონე [4], მომავლის განუსაზღვრელობის რისკი, უცხოური ინვესტიციების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ხშირი ცვლილება, საფონდო ბირჟის, ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და ფინანსური შუამავლების ინსტიტუტის განუვითარებლობა, ინვესტიციების დაზღვევის დაბალი დონე, დაძაბული პოლიტიკური ვითარება, მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დაბალი დონე, ოლიგოპოლიის მაღალი დონე, საწარმოთა ტექნოლოგიური ჩამორჩენა, მოუგვარებელი ურთიერთობები რუსეთთან.

განსაკუთრებით ბოლო ფაქტორია საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელი უმთავრესი მიზეზი, რადგან „ბიზნესს არ უყვარს იქ ყოფნა, სადაც ქვემეხები ქუხს". ამიტომ ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მსხვილი კაპიტალის საქართველოში მოზიდვის შესაძლებლობა ერთობ შეზღუდულია. მოლოდინის რეჟიმში მყოფი ხელისუფლება მხოლოდ ეკონომიკური რეფორმების გატარებით არის დაკავებული. ჯერ კიდევ არაა შემუშავებული მიზნობრივი სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა. საჭიროა დარგობრივი მიმართულებით მომგებიანი პროექტების, ხელსაყრელი საინვესტიციო წინადადებების შეთავაზება უცხოელი ინვესტორებისათვის. მკვლევარები საქართველოს საინვესტიციო ბაზრის შესწავლის დროს ერთხმად აღიარებენ, რომ მცირეა სამეწარმეო აქტივობის ზრდის პერსპექტივა. ჯერ კიდევ არაა სრულყოფილი საინვესტიციო პროცესების სახელმწიფოებრივი მართვისა და დაზღვევის (საგირავნო ფონდების ფორმირების) ერთიანი მექანიზმი, სამაგიეროდ არსებობს წარმოების ხარჯების შემცირების შესაძლებლობა, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალის, ენერგეტიკის ინვესტირების პერსპექტივა.

დიაგრამა №2. უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015 წელს (%-ში)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

ბოლო დროს განსაკუთრებით გაიზარდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა ტურიზმის, მშენებლობისა და ენერგეტიკის სექტორში (იხილეთ დიაგრამა №2). უცხოელ ინვესტორებთან თანამშრომლობის დროს აუცილებელია ეროვნული ინტერესების დაცვა. უცხოელი ინვესტორები წარმოადგენენ სტრატეგიული აქტივების მაძიებელთა ჯგუფს, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნის ჩვენს ქვეყანას. ამიტომ ხელი უნდა შეეწყოს ისეთი ინვესტიციების მოზიდვას, რომელიც ორიენტირებული იქნება ახალი ტერიტორიების ათვისებაზე, შრომატევადი დარგებისა და მაღალი უმუშევრობის მქონე რეგიონთა დაფინანსებაზე. შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისას საჭიროა სახელმწიფომ გაატაროს ფრთხილი საინვესტიციო პოლიტიკა. იმავდროულად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს სუვერენიტეტის საკითხებს, რაც გულისხმობს უცხოური ინვესტიციების ჩაყენებას ქვეყნის ინტერესების სამსახურში. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკა მთლიანად არის დამოკიდებული საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებზე. ამ პრობლემის დასაძლევად საჭიროა უცხოურ ფირმებთან ტექნოლოგიური კოოპერაცია, ერთობლივ საწარმოთა ორგანიზება, უცხოელი ინვესტორებისათვის აქციების ნაწილის მიყიდვა, ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობა და უცხოელ ინვესტორთა მიერ ახალ საწარმოთა შექმნა.

ამრიგად, ადგილობრივი კაპიტალის შიდა ბაზარზე „დამაგრებითა" და უცხოურ ინვესტიციებთან მისი ოპტიმალური შერწყმით უნდა მოხდეს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა. უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება და შენგენის ვიზის ფარგლებში უვიზოდ მოგზაურობის უფლების მოპოვება. ევროკავშირის მაღალი გადახდისუნარიანი ბაზრით დაინტერესებული ინვესტორები, სამეწარმეო ხარჯის შემცირების მიზნით, დაინტერესდება ევროკავშირის მიერ ჩვენი ქვეყნისათვის თანამშრომლობის შემოთავაზებული რეჟიმით და შეეცდება სწორედ საქართველოში დაამზადოს ის პროდუქცია, რომლის დამზადება მათ სხვაგანაც შეეძლოთ. უფრო მეტიც, ისინი შეეცდებიან საქართველოში

შემოიტანონ უცხოეთის ნედლეული, სამეწარმეო კაპიტალი, ტექნოლოგიები, საწარმოო დეტალები, ნახევარფაბრიკატები, რათა ჩვენს ქვეყანაში მოახდინონ მათი გადამუშავება-აწყობა და გატანა ევროკავშირში ნულოვანი საბაჟო რეჟიმით. ეს კი მოიზიდავს უცხოურ ინვესტიციებს საქართველოში და, შესაბამისად, გაზრდის სამუშაო ადგილებს [3].

დასკვნა

ამრიგად, როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის დეფიციტის დაფარვისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. საჭიროა მშვიდობიანად მოგვარდეს კონფლიქტური ურთიერთობა რუსეთთან, ქვეყნის შიგნით კი მიღწეული იქნეს პოლიტიკურ სტაბილურობას;

2. გამჭვირვალე, სტაბილური გახდეს საგადასახადო სისტემა, მოზიდული უნდა იქნეს პროგრესული ტექნოლოგია, ხელი შეეწყოს კონკურენციის განვითარებას;

3. უნდა ამოქმედდეს უცხოური ინვესტიციების დაზღვევის სისტემა, უნდა განვითარდეს ფინანსური ბაზრები (საფონდო ბირჟა და ფასიანი ქაღალდის ბაზარი),

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიგიაშვილი ო. ფუტკარაძე რ. თოლორდავა ჟ. ლეკაშვილი ე. სიხარულიძე დ. შაბურიშვილი შ., ქადაგიშვილი ლ., კიკუტაძე ვ., მესხია ი. შენგელია თ. საერთაშორისო ბიზნესი. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2011 წ. გვ. 517;

2. www.geostat.ge. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები;

3. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014.

4. http://transparency.ge/post/corruption-perception-indexcpi/2014-tslis-msoplios-koruptsiis-aghkmis-indeksi-2014.

REFERENCES:

1 Gigiashvili O. Futkaradze R. Tholordava G. Lekashvili E. Sikharulidze D. Saburishvili Sh., Qadagishvili L., Kikutadze V., Meskhia I. Shengelia Th. International business. Publishing house - "Universali", Tbilisi, 2011 year. pg. 517;

2. www.geostat.ge. National statistical service materials of Georgia;

3. http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014.

4. http://transparency.ge/post/corruption-perception-indexcpi/2014-tslismsoplios-koruptsiis -aghkmis-indeksi-2014

THE DEVELOPMENT TENDENCIES AND PROBLEMS OF GEORGIAN FOREIGN TRADE AND INVESTMENT TIES

David Katamadze,
PhD, Associate Professor of BSU

RESUME

Georgian foreign trade of the chronic lack of funding is the only real source of attracting foreign direct investment and investment in the local companies. Foreign investment contributes to an optimal integration into the world economy of our country's economy, management and marketing methods to introduce a progressive, sectoral structure of economic rationalization, export expansion, and thus create new jobs. Georgia, transnational corporations to enter foreign markets and their trading market have guaranteed the sales market, to maximize the potential of our country's export enforcement, mass production organization and therefore the scale of the impact on the economy looms, minimizing the possibility of manufacturing costs. Georgia's trade deficit coverage and attract more foreign investment is needed to be resolved peacefully with Russia, the country has achieved a political stability, a transparent, understandable and stable tax system, also there are attracted the progressive technology, also it should be encouraged the monopolistic class competition, to be introduced in foreign investment insurance system, it is necessary to develop the financial markets.

Keywords: Chronical deficit trade, trade balance, of import and export commodity structure, foreign direct investment.

გლობალიზაცია ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში

თამთა დარსალია,
ქრისტინე ჯინჭველეიშვილი,
ანი კენჭაშვილი,
სალომე ლომსაძე
თსუ ბაკალავრიატის
მე-3 კურსის სტუდენტები.

რეზიუმე

გლობალიზაცია ეს გახლავთ პროცესი, რომელიც მთელს მსოფლიოს ფარავს. განსაკუთრებული გავლენა აღნიშნული პროცესისა გახლავთ ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა. სწორედ ეს უკანასკნელი არის ჩვენი ნაშრომის კვლევის საგანი. ნაშრომში განხილულია ორი დაპირისპირებული მხარის - გლობალისტებისა და ანტიგლობალისტების - პოზიციები, არგუმენტები იმასთან დაკავშირებით თუ როგორი გავლენა აქვს გლობალიზაციას აღნიშნულ ასპექტებზე. გლობალისტები კაპიტალიზმს და საერთაშორისო, ღია ეკონომიკას, განიხილავენ, როგორც ფართო შესაძლებლობების მქონესა და დოვლათის შექმნის ერთ-ერთ წინაპირობას. ისინი აღნიშნავენ გლობალიზაციის დადებით გავლენას, რაც გამოიხატება თავისუფალი ვაჭრობისა და ბაზრების არსში, რაც განვითარების მთავარ ბაზისად მიიჩნევა. საპირისპიროდ, ანტიგლობალისტები ეკონომიკურ ჭრილში გლობალიზაციის უარყოფით გავლენაზე ამახვილებენ ყურადღებას და აცხადებენ, რომ გლობალიზებული სამყარო კიდევ უფრო მეტ სიღატაკესა და უსამართლობას უქადის მსოფლიოს. ისინი მიუთითებენ ეკონომიკური გლობალიზაციის მიერ გამოწვეული საერთაშორისო ვაჭრობის უსარგებლობასა და ბაზრების ძალაუფლებაზე, რაც საბოლოოდ ერთ დიდ თამაშს გავს, რომელშიც გამარჯვებული მხარე ყოველთვის ჩაგრავს დამარცხებულ მხარეებს. ეკონომიკური ჭრილის გარდა, ნაშრომში განხილულია პოლიტიკური გლო-

ბალიზაცია და მის ირგვლივ არსებული დაპირისპირებების არსი. მოყვანილია სუეცის არხთან დაკავშირებით საერთაშორისო მოთამაშეების დაპირისპირების ანალიზი, რამაც აჩვენა, რომ ევროპა ვეღარ უმკლავდებოდა გლობალურ პოლიტიკურ გამოწვევებს და, რომ მას თანდათანობით სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკურ იდეოლოგიით აღჭურვილი სახელმწიფოები ანაცვლებდნენ. ამას გარდა, განხილულია სახელმწიფოების მაგალითები, სადაც მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის გავლენა მნიშვნელოვნად შეინიშნება, მაინც არსებობს შეზღუდვები, არსებობს პრესაზე კონტროლი, პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა, პოლიტიკური თავისუფლების დაბალი დონე, კორუფცია თუ სხვ. თუმცა, მიუხედავად ამისა, პოლიტიკური გლობალიზაციის ფართომასშტაბიან გავლენაზე მიუთითებს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კორპორაციების განვითარება/გაფართოება და სხვ. საბოლოოდ კი, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ნათელი დასტურები გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი გავლენის შესახებ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჭრილში, დებატები/იდეოლოგიური კამათი ამ ყოველივეს გარშემო არა თუ ნელდება, არამედ კიდევ უფრო აქტუალური ხდება და მუდმივ განხილვის საგნად რჩება აკადემიური პერსონალისთვის და არა მარტო მათთვის.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, ეკონომიკა, პოლიტიკა, საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო ბაზრები, მომხმარებელი, წარმოება, საბაზრო/კონკურენტული ფასი, საერთაშორისო აქტორები.

შესავალი

„გლობალიზაცია“ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტერმინია 21-ე საუკუნეში. მას ყოველდღე, ყოველ საათს, იყენებს მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება. იგი გამოიყენება, როგორც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელი ნიშანი. დღევანდელ სამყაროს მოიხსენიებენ გლობალურ სამყაროდ, ახლანდელ ეპოქას - გლობალიზაციის ეპოქად, ხოლო თანამედროვე პერიოდის ძირითად დაპირისპი-

რებას - ,, გლობალისტებისა“ და „ანტიგლობალისტების“ დაპირისპირებად[1].

თავად მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა გლობალიზაციის შესახებ და მათ მიერ გლობალიზაციის ერთიანი განმარტებაც არ არის შემუშავებული. ამას ერთვის ისიც, რომ გლობალიზაციის პროცესი, როგორც არ უნდა განვსაზღვროთ იგი, განუხრელად მიმდინარეობს და ყველა ქვეყანასა და მათ ყველა მოქალაქეს ეხება.

მრავლადაა ისეთი მეცნიერი, რომელიც ამტკიცებს, რომ გლობალიზაციას აქვს მხოლოდ დადებითი მხარეები. ასევე, მეცნიერთა მეორე ნაწილი მხარს უჭერს იმ აზრს, რომ გლობალიზაცია მხოლოდ უარყოფითი შედეგის მომტანია ქვეყნის კეთილდღეობისათვის. მაგრამ ამ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ამ პროცესს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა[2]. მაგალითად, გერმანელი მეცნიერი ულრიხ ბეკი გლობალიზმში გულისხმობს მოვლენას, როცა მსოფლიო ბაზარი ზღუდავს ან საერთოდ ცვლის პოლიტიკურ ქმედებას. ამ გაგებით გლობალიზაციის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები მსოფლიო ბაზარს არის დაქვემდებარებული. გლობალიზმი, ისეთ რთულ ორგანოს, როგორიც სახელმწიფოა, მართავს ისე, როგორც საწარმოს. შესაბამისად იგი გვთავაზობს ასეთ განმარტებას, რომ გლობალიზაცია არის პროცესი, ან პროცესები, როცა ეროვნული სახელმწიფოები და მათი სუვერენიტეტი იფარება ტრანსნაციონალური აქტორებით[3].

გლობალისტები კაპიტალიზმს საყოველთაო სიმდიდრისა და ფართო შესაძლებლობების პერსპექტივაში ჭვრეტენ და მათი აზრით გლობალური კაპიტალიზმი უბრალო ხალხს, მთელი მსოფლიოს გარშემო, ამ შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას მისცემს[4]. მოწინააღმდეგენი კი კაპიტალიზმს ძა-

1 ბეკი, უ. (2001). რა არის გლობალიზაცია? მოსკოვი: გამომცემლობა:,,პროგრესი-ტრადიცია"

2 Ibid,

3 Ibid,

4 ჟვანია, ნ. (2006). საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია. თბილისი: ,,სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი"

ლადობასა და უთანასწორობასთან აკავშირებენ, ისინი გლობალიზებული სამყაროსაგან კიდევ უფრო მეტ სიღატაკესა და უსამართლობას ელიან. ბოლო პერიოდში გლობალური ეკონომიკის შესამჩნევი ზრდის საპასუხოდ, სკეპტიკოსებს „შიდა“ სახელმწიფოებრივი ეკონომიკა მოჰყავთ, სადაც განვითარების ტემპი ისეთივეა, როგორც ადრე. გლობალიზაციის მოწინააღმდეგენი იმასაც აცხადებენ, რომ გლობალური ინტეგრაცია, თავისუფალი ვაჭრობა და მსოფლიო მასშტაბის კონკურენცია უსამართლობას ეფუძნება და მხოლოდ ეკონომიკურად წინწასულ ქვეყნებს შეუძლიათ ამგვარი ინტეგრაციით სარგებლობის ნახვა. ანტიგლობალისტთა აზრით, გლობალიზაცია თამაშია, რომელშიც გამარჯვებული მხარე დამარცხებულს ჩაგრავს[1].

ძირითადი ნაწილი

ყველასათვის ნათელია ის ფაქტი, რომ დღეს ცხოვრებას გვიადვილებს საერთაშორისო ვაჭრობის შესაძლებლობა. ამ გზით ყველას გვეძლევა იმის საშუალება, რომ ხელმისაწვდომი იყოს ჩვენთვის ხარისხიანი საქონლის მოხმარება შედარებით ხელმისაწვდომ ფასებში. როგორც ცნობილი ეკონომისტი გრეგორი მენქიუ ამბობს, ქვეყნის მიერ ბარიერების მოშლით ზოგი მოგებული რჩება და ზოგი ზარალდება, მაგრამ საერთო ჯამში სარგებლობა ზარალს აჭარბებს. საერთაშორისო ვაჭრობის დადებითი მხარეები ის გახლავთ, რომ იგი ზრდის საქონლის მრავალფეროვნებას, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული საქონელი განსხვავდება ერთმანეთისაგან[2]. აქედან გამომდინარე, თავისუფალი ვაჭრობა მომხმარებელს ფართო არჩევანს სთავაზობს. გარდა ამისა, საერთაშორისო ვაჭრობას ახასიათებს მასშტაბის ეკონომია, რაც გულისხმობს საქონლის წარმოებას შემცირებული დანახარჯებით, როცა წარმოების მოცულობა დიდია და გვაქვს უფრო დაბალი ფასები. პატარა ქვეყანაში ფირმები მასშტაბის ეკონომიის უპირატესობას ვერ გამოიყე-

1 Ibid, (4)

2 მენქიუ, გ. (2000). მიკროეკონომიკის პრინციპები. თბილისი: გამომცემლობა ,,დიოგენე"

ნებენ, თუ ისინი მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე იმუშავებენ. თავისუფალი ვაჭრობა გზას უხსნის კონკურენციას, რადგან თუ კომპანია დაცულია უცხოელი კონკურენტებისაგან, შესაძლოა იგი ბაზარზე დომინანტურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, რაც მას საშუალებას მისცემს ფასები კონკურენტულზე უფრო მაღლა ასწიოს, ეს კი ბაზრის კრახს იწვევს. ასევე, ეს გზა საუკეთესო საშუალებაა მოწინავე ტექნოლოგიური მიღწევების გასავრცელებლად. ღარიბ სასოფლო სამეურნეო ქვეყანას კომპიუტერული რევოლუციის გზაზე დასადგომად ურჩევნია, კომპიუტერები მარტივად საზღვარგარეთ შეიძინოს, ვიდრე თავად სცადოს მისი წარმოება.[1]

ამ არგუმენტის მიუხედავად, ანტიგლობალისტებს სულ სხვა დამოკიდებულება აქვთ გლობალიზაციის მიმართ. მათ ჰგონიათ, რომ თავისუფალი ვაჭრობა დიდად აზარალებს მესამე სამყაროს ქვეყნებს, მაგრამ ხშირად ისინი ბოლომდე ინფორმირებულნი არ არიან ამ საკითხთან დაკავშირებით. ანტიგლობალისტები აცხადებენ, რომ როცა ჩვენ მესამე სამყაროს ქვეყანაში წარმოებულ საქონელს ვყიდულობთ, ვიცით, რომ იგი იმ ადამიანების მიერაა წარმოებული, რომლებიც საშინელ პირობებში მუშაობენ და დასავლური სტანდარტებით ძალიან დაბალ ხელფასს იღებენ. ვისაც ეს ამბავი ხანდახან მაინც არ ადარდებს, გული ნამდვილად არ აქვს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დემონსტრანტები სრულიად მართალნი არიან. ვინც ფიქრობს, რომ მსოფლიოში არსებული სიღარიბის დასამარცხებლად მსოფლიო ვაჭრობის წინააღმდეგ გამოსვლაა საჭირო, მას თავი არ აქვს, ან ყოველ შემთხვევაში მას არ იყენებს. ანტიგლობალისტურ მოძრაობას უკვე აქვს თავისი უარყოფითი შედეგები, რომლებიც პირველ რიგში ხალხს აზარალებს[2]. მაგალითად, შეიძლება რამე იყოს კუსტარულ საწარმოებში ბავშვთა შრომაზე უარესი? სამწუხაროდ, შეიძლება. 1993 წელს აღმოჩნდა, რომ უოლმარტი ბანგლადეშში ბავშვთა შრომის შე-

1 Ibid,

2 Kotilainen, M & Kaitila, V. (3/2002)."Economic Globalization in Developing Countries", The journal of Economic in Developing Countries, pp 70

დეგად წარმოებულ ტანსაცმელს ყიდის. ამის საპასუხოდ სენატორმა ტომ ჰარკინმა შეიტანა კანონი, რომელიც კრძალავდა იმპორტს იმ ქვეყნებიდან, სადაც ბავშვთა შრომა გამოიყენებოდა. ამ მოქმედების პირდაპირი შედეგი ის იყო, რომ ბანგლადეშის ქსოვილების ფაბრიკებმა შეწყვიტეს ბავშვების დაქირავება.[1] მაგრამ დაუბრუნდნენ თუ არა ბავშვები სკოლებს? შემდგომი მონაცემებით ცნობილია რომ, ისინი ან უარეს სამუშაოებზე აღმოჩნდნენ, ან ქუჩაში. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი პროსტიტუციაში ჩაება. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მესამე სამყაროს ქვეყნების სიღარიბის მიზეზი ის არის, რომ საექსპორტო საქონლის მწარმოებელი მშრომელები დაბალ ხელფასებს იღებენ. ქვეყნების სიღარიბის გამო ის სამუშაო და ხელფასი, რომელიც ჩვენ შეიძლება შეუძლებლად მოგვეჩვენოს, ადგილობრივთათვის თითქმის ყველა ალტერნატივაზე უკეთესია. მილიონობით მექსიკელი მიდის ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში სწორედ იმისთვის, რომ დაბალხარისხიანი სამუშაო იშოვოს. უფრო მაღალი ხელფასის პირობებში სამუშაო ადგილების ნაწილი არ იარსებებდა. გაუმართავი ინფრასტრუქტურა, საერთო სოციალური არაორგანიზებულობა იმაზე მიუთითებს, რომ ასეთ ქვეყნებს მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გაწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლებათ, თუკი ხელფასები იმაზე დაბალი იქნება, ვიდრე დასავლეთშია[2].

რაც შეეხება პოლიტიკურ გლობალიზაციას, ქვემოთ მოტანილი ქეისის საშუალებით, შეიძლება ნათლად დავინახოთ მისი უარყოფითი გავლენა წამყვანი ქვეყნების ძლიერებაზე. გლობალიზაცია უშუალოდ დაკავშირებული იყო საზოგადოების განვითარების ორ ძირითად ამოცანასთან. ამერიკელები იღწვოდნენ გლობალური დომინირებისათვის, იმისათვის, რომ გაემდიდრებინათ საკუთარი ქვეყანა, შეექმნათ იქ ცხოვრების მაღალი სტანდარტები და დაემყარებინათ სოციალური სტაბილურობა. 1956 წელი გადამწყვეტი აღმოჩნდა გლობალური პოლიტიკური ურთიერთობების სისტემის ჩამოყალიბებაში. ამ წლის ოქტომბერში

1 Ibid,

2 Ibid, (6)

დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთთან საიდუმლო მოლაპარაკებების საფუძველზე, ისრაელი შეიჭრა ეგვიპტის კუთვნილ სინას ნახევარკუნძულზე საკუთარი სამხედრო-სტრატეგიული მიზნების რეალიზაციის მიზნით. ამის შემდეგ დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გადასხეს დესანტი სუეცის არხის მიმდებარე ტერიტორიაზე მეომარი მხარეების დაშორიშორების საბაბით. ამ დროს მათ რეალურ მიზანს წარმოადგენდა კონტროლის აღდგენა სუეცის არხზე, რომლის ნაციონალიზაცია ეგვიპტემ მოახერხა ამ მოვლენებამდე რამდენიმე თვით ადრე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს არხი გადაიქცა ყველაზე მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიად მზარდი დასავლეთ ევროპული ეკონომიკისათვის. მისი გავლით ხდებოდა ნავთობის მიწოდება სპარსეთის ყურის რეგიონის ქვეყნებიდან, ხოლო ნავთობი წარმოადგენდა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ გადამწყვეტ კომპონენტს. შესაბამისად, კონტროლი სუეცის არხზე წარმოადგენდა ევროპაზე გავლენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, მის მფლობელებს დამატებით უპირატესობას აძლევდა უშუალო კონკურენტებთან ურთიერთობებში, საკმაოდ ზრდიდა მათ შანსებს ჰქონოდათ საკუთარი, დამოუკიდებელი ხმის უფლება გლობალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებში. სამხედრო თვალსაზრისით ბრიტანულ-ფრანგული ინტერვენცია საკმაოდ წარმატებული იყო, მაგრამ გამოიღო კატასტროფული პოლიტიკური შედეგი, რომელიც დღემდე ახდენს გავლენას ამ ქვეყნების ადგილზე გლობალურ პოლიტიკურ ურთიერთობებში. ამ კრიზისის დროს, საბჭოთა კავშირი პირველად დაემუქრა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, მათი უდიდესი ქალაქების დაბომბვით ბირთვული იარაღის გამოყენებით, თუ ისინი ინტერვენციას არ შეწყვეტდნენ. ამის შემდეგ მან დაიწყო არაბების მსხვილმასშტაბიანი, ღია მხარდაჭერა ისრაელის წინააღმდეგ ბრძოლაში, რასაც ის იქამდე ძირითადად თავს არიდებდა. აშშ იძულებული იყო ღიად დაპირისპირებოდა თავის უახლოეს მოკავშირეებს და მოეხდინა მათზე ზეწოლა ეგვიპტიდან ჯარების გაყვანის მიზნით ბრიტანეთზე ფინანსური ბერკეტების გამოყენებით. ამ კონფლიქტის შემდეგ აშშ-ც საბჭოთა კავშირის მსგავსად, იძულებული გახდა ინტენსიურად ჩარეულიყო

ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გადაწყვეტაში ისრაელის მხარეს, რასაც ის აგრეთვე იქამდე მაქსიმალურად გაურბოდა. ამ კონფლიქტმა დააბოლოვა ის ეპოქა, როდესაც ევროპას შეეძლო ეთამაშა წამყვანი როლი გლობალურ პოლიტიკურ ურთიერთობებში. დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დაკარგეს გლობალური მოთამაშეების სტატუსი. აშშ გადაიქცა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ერთადერთ ლიდერად, რომელიც დღემდე განაპირობებს ამ ქვეყნების მოქმედებას გლობალურ ასპარეზზე. ამ კრიზისმა ასევე მიაყენა საბოლოო დარტყმა მსოფლიო კოლონიალურ სისტემას და გამოიწვია ბრიტანეთის იმპერიის სწრაფი შემდგომი დაშლა. ამ კონფლიქტის მონაწილე მხარეების დაშორიშორების მცდელობის პროცესში პირველად გაჩნდა გაეროს სამშვიდობო სამხედრო კონტინგენტის შექმნის იდეა და მოხდა მისი პრაქტიკული რეალიზაცია.[12]

გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყანაში პოლიტიკურ თავისუფლებას. ქვეყნის ინტეგრაცია გლობალურ პროცესებში ეხმარება პოლიტიკური უფლებებისა და სამოქალაქო უფლებების თავისუფალ გავრცელებას. რაც გულისხმობს იმას, რომ კორუფციის დონე მით უფრო დაბალია, რაც უფრო გლობალიზებულია ქვეყანა[3]. თუმცა ამის საპირისპიროდ სახეზეა სინგაპურის მაგალითი, რომელიც ყველაზე გლობალიზებული სახელმწიფო გახლავთ, თუმცა , მკაცრი სხელმწიფო კონტროლით პრესაზე და შეზღუდული პიროვნული თავისუფლებებით გამოირჩევა. მეორე მხრივ, სამხრეთ აფრიკა, რომელიც პოლიტიკური თავისუფლების მაღალი დონით გამოირჩევა, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად გლობალიზებულია.[4]

პოლიტიკური გლობალიზაციის დადებით ფაქტორზე მეტყველებს ის, რომ კანტის ,,მუდმივი მშვიდობის თეორიის“ მიხედვით, მსოფლიო შედგება ლიბერალური სახელმწიფოები-

1 მელიქიძე, ვ. (2006). მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. თბილისი: გამომცემლობა "სოციალურ მეცნიერებათ ცენტრი"

2 დავითაშვილი, ზ. (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბილისი: ფონდი ,,ღია საზოგადოება - საქართველო"

3 Ibid,

4 Ibid, (4)

საგან, რომლებიც არასოდეს ომობენ ერთმანეთთან და შესაბამისად მსოფლიო შედარებით მშვიდი იქნება, ამ ქვეყნებს შორის არსებული დემოკრატია ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა ანარქიულ ურთიერთობებს.[1]

დასკვნა

საბოლოო ჯამში, ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ გლობალიზაციას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზეგავლენა სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე, იმის მიუხედავად ეს ქვეყანა განვითარებულია თუ ბევრად ჩამორჩენილი საერთაშორისო ასპარეზზე სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. ამ ფონზე გლობალიზაციის ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები ზოგიერთი ქვეყნის მდგომარეობას აუმჯობესებს, ხოლო ზოგისას კი, პირიქით, აუარესებს. გამომდინარე იქიდან, რომ ყველაფერი შედარებითია, ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პროცესებში ჩაბმა თითოეული ქვეყნისათვის წინგადადგმული ნაბიჯია მათი სამომავლო განვითარებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბეკი, უ. (2001). რა არის გლობალიზაცია? მოსკოვი: გამომცემლობა:,,პროგრესი-ტრდიცია“.

2. დავითაშვილი, ზ. (2003). ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბილისი: ფონდი ,,ღია საზოგადოება - საქართველო“.

3. კანტი, ი. (1991). მუდმივი მშვიდობა. ,,პოლიტიკური ნაწერები“ .

4. მელიქიძე, ვ. (2006). მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. თბილისი: გამომცემლობა „სოციალურ მეცნიერებათ ცენტრი“.

5. მენქიუ, გ. (2000). მიკროეკონომიკის პრინციპები. თბილისი: გამომცემლობა ,,დიოგენე“.

6. ჟვანია, ნ. (2006). საერთაშორისო პოლიტიკური ეკონო-

1 კანტი, ი. (1991). მუდმივი მშვიდობა. ,,პოლიტიკური ნაწერები"

მია. თბილისი: ,,სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“.

7. ჰეივუდი, ე. (2008). პოლიტიკა. თბილისი: გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე“.

8. Don McCubbrey. „Negative and positive effects of globalization for developing country business.” Business Fundamentals. Boundless, 26 May. 2016

9. Kotilainen, M & Kaitila, V. (3/2002).”Economic Globalization in Developing Countries”, The journal of Economic in Developing Countries, pp 70.

10. Thirlwall. A. P. (2003), ,,Growth & Development with special reference to developing economies”, (7th ed). Palgrave Macmillan: New York.

REFERENCES:

1. Becki. U. (2001). What is Globalization? Moscow: Publishing House: „Progress-Tradition”

2. Davitashvili, Z. (2003). Nationalization and Globalization. Tbilisi: Fond „Opens society – Georgia”

3. Kant,I. (1991). Perpetual Peace. „Political Notes”

4. Meliqidze,V. (2006). Globalization of World Politics. Tbilisi. Publishing House: „Social science center”

5. Menkiw, G. (2000). Microeconomic Principles. Tbilisi: Publishing House:”Diogene”

6. Zhvania, N. (2006). International political economy. Tbilisi: „social science center”

7. Havewood, E. (2008). Politic. Tbilisi: Publishing House” Georgian courier”

8. Don McCubbrey. „Negative and positive effects of globalization for developing country business.” Business Fundamentals. Boundless, 26 May. 2016

9. Kotilainen, M & Kaitila, V. (3/2002).”Economic Globalization in Developing Countries”, The journal of Economic in Developing Countries, pp 70.

10. Thirlwall. A. P. (2003), ,,Growth & Development with special reference to developing economies”, (7th ed). Palgrave Macmillan: New York.

GLOBALIZATION IN ECONOMIC AND POLITICAL FRAMEWORK

Tamta Darsalia, Qristine Jinchveleishvili,Ani Kenchashvili, Salome Nemsadze, Students of 3d year, TSU

RESUME

Globalization, this is the process that covers every part of the world. The economic and political influence of this process is considered to be the most important one to discuss. This latter is the main focus of our research too. In this paper two opposing sides – globalists and anti-globalists – and their positions, ideas, arguments about the nature of the impact of Globalization are presented. Particularly, globalists see capitalism and international free economic as a process that has wide possibilities for States to establish a well-being economic. They pay attention to the positive aspects of economic globalization and they argue that the global market and international trade that globalization provide is considered to be the main basis for further development. On the contrary, anti-globalists pay their attention to the negative influence of globalization. Their main argument about it is that globalized world can only provide the whole society with more inequality, poverty and unfairness in both economic and political aspects of life. They claim that economic globalization is responsible for the ineffective functions of global markets and the lack of benefits from international trade. They compare it to the game, in which winners always exploit losers. Accept the economic one a political impact of globalization is also reviewed. Anti-globalists also pay attention to the negative influences such as lack of political freedom, political instability, corruption, pressure of the media and etc. Finally, despite the fact that there are so many clear empirical or theoretical evidences about the impact of globalization on States the discussion about this issue does not have the end. This topic is remaining as a perpetual subject of debates.

Keywords: Globalization, Economic, Politic, International trade, Global Markets, Production, Customer, Market Price, International actors.

რუსეთის ენერგეტიკული სტრატეგია და ევროკავშირის ენერგოდამოკიდებულება მასზე

ნანა ლობჟანიძე,
ქრისტინე ჯინჭველეიშვილი,
ანი კენჭაშვილი,
თამთა დარსალია
თსუ ბაკალავრიატის
მე-3 კურსის სტუდენტები.

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიოში ენერგოპოლიტიკა და ენერგოუსაფრთხოება თითქმის ყველა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საკითხია. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ქვეყნების უმრავლესობას შემუშავებული აქვს თავისი ენერგეტიკული სტრატეგია. ზოგი ცდილობს, რომ გამონახოს სხვა გზები, რათა თავიდან აიცილოს ენერგოდამოკიდებულება მხოლოდ გარე მიმწოდებლებზე და შესაბამისად დაიცვას თავი გარე ძალების მიერ მასზე ენერგიით მანიპულირებისგან და ამის შედეგად ეკონომიკური და პოლიტიკური მიჯაჭვულობისაგან. სწორედ ამ კონცეფციის გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სფეროში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოთამაშეს - რუსეთს თავისი განსაკუთრებული სტრატეგია აქვს შემუშავებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, განისაზღვრება მისი დამოკიდებულება ზოგადად ევროპასთან, ევროკავშირთან და მის ცალკეულ ქვეყნებთან. გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთისგან ბუნებრივი აირი მიეწოდება ძირითადად ევროპასა და ევრაზიას, 2011 წელს ბუნებრივი აირის ექსპორტის ნახევარი მიეწოდებოდა ევროკავშირის ქვეყნებს, 28% დსთ-ს ქვეყნებს, ნაწილი თურქეთსა და ევროკავშირის სხვა არაწევრ ქვეყნებს და აზიას. ასევე, რუსეთი გეგმავს ბუნებრრივი აირის ექსპორტის გაზრდას აზიის ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ჩინეთი, სამხრეთ კორეა და იაპონია. ამავდროულად რუსეთის მიზანია

ორმხრივი გრძელვადიანი შეთანხმებების დადება ევროპის ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა გერმანია, იტალია და ბულგარეთი. გარდა ამისა, ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ რუსეთის დომინანტური როლის გამო ენერგეტიკულ სექტორში, მას შეუძლია ენერგეტიკული სიძლიერე გამოიყენოს ევროკავშირისა და სხვა ევროპული ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური მანიპულირების მიზნით. მაგრამ ექსპერტთა მეორე ნაწილის მტკიცებით, ევროპა რუსეთისათვის შემოსავლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. ეს განაპირობებს იმას, რომ რუსეთი იძულებულია მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს ევროკავშირის მიმართ. შესაბამისად, სადავოა, თუ რომელი მხარეა დამოკიდებულის როლში რუსეთი, თუ ევროკავშირი. ამის გათვალისწინებით, ერთი მხრივ, ფრიად საინტერესო საკვლევია რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთდამოკიდებულება ენერგეტიკულ სფეროში. რა გზებით ცდილობს რუსეთი ურთიერთობების დამყარებას ცალკეულ წევრ ქვეყნებთან. მერო მხრივ, არის თუ არა რამე სტრატეგია შემუშავებული ევროპის მხრიდან, რომ დიდწილად დამოკიდებულება რუსეთზე აიცილოს თავიდან და ხელი შეუშალოს ამ ენერგოგიგანტს საკუთარი ენერგოპოლიტიკის შემუშავებაში.

საკვანძო სიტყვები: რუსეთის ენერგოპოლიტიკა, ევროკავშირის ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე, ევროკავშირის ენერგეტიკული დაუცველობა, ბალტიისპირეთის ქვეყნები, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები, ფინეთი, რუმინეთი, ბულგარეთი.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ბევრ განვითარებულ ქვეყანას შემუშავებული აქვს ეროვნული ენერგეტიკული სტრატეგია, მათ შორის ევროპულ სახელმწიფოებს (დანია,ფინეთი,გერმანია და სხვ.) და ასევე აშშ-ს. ევროკავშირის ენერგეტიკული სტრატეგიის („უსაფრთხო ენერგომომარაგების ევროპული სტრატეგიის გზა“) მეთოდოლოგია ახლოს დგას ამერიკულთან. სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია მიზნები და ამოცანები ბუ-

ნებრივი აირის და ელექტროენერგიის ბაზრის ლიბერალიზაციის სფეროში, საგადასახადო პოლიტიკაში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებაში, გარეეკონომიკურ თანამშრომლობაში და სხვ.[1]

ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რუსეთის ენერგეტიკულ სტრატეგიას საერთაშორისო ვაჭრობაში განსაზღვრავს მისი ბუნებრივი რესურსები. რუსეთი ბუნებრივი აირის მრეწველობით ერთ-ერთი მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლობალური ენერგეტიკის ბაზარზე. 2012 წელს, რუსეთი ფლობდა ბუნებრივი აირის უდიდეს მარაგს(მსოფლიო რეზერვის 18%-ს),შესაბამისად ის იყო ბუნებრივი აირის წამყვანი ექსპორტიორი და დაიკავა მეორე ადგილი წარმოებასა და მოხმარებაში (ჩამორჩებოდა მხოლოდ აშშ-ს). რუსეთი იყო ბუნებრივი აირის ექსპორტიორი-ქვეყნების ფორუმის ერთ-ერთი დამფუძნებელი, და დღესდღეისობით პირველი ადგილი უკავია. [2]

საინტერესოა, როგორი სტრატეგიით მოქმედებს რუსეთი თავისი ბუნებრივი აირის კომპანია გაზპრომის მეშვეობით და შესაბამისად რა დამოკიდებულებაშია იგი ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსული მხარის მტკიცებით, ევროპა უფროა დამოკიდებული ეკონომიკურად მასზე, ვიდრე პირიქით. შესაბამისად, სტატიის ძირითადი მიზანია ევროკავშირისა და რუსეთის ენერგოდამოკიდებულების ანალიზი, უფრო ზუსტად კი რუსეთის ეკონომიკური დამოკიდებულება ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან და მათ ცალკეულ ჯგუფებთან და ასევე, ზოგადად ევროპის მცდელობის კვლევა, რუსულ გაზზე დამოკიდებულების შესამცირებლად.

---

1 Ratner, M., Belkin, P., Nichol, J., & Woehrel, S. (2013, August 20). Europe's Energy Security:Option and Challenges to Natural Gas Supply Diversification. Retrieved January 22, 2016, from Congressional Research Service: file:///C:/Users/TAMTA/Downloads/FAS.pdf

2 Иванов, О. (2012, September 19). Энергетическая безопасность в ЕС. Retrieved January 23, 2016, from World and Politics: https://mir-politika.ru/1318-energeticheskaya-bezopasnost-v-es.html

ძირითადი ნაწილი

როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთი ევროპისთვის ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი მიმწოდებელია, რადგან ის კონტინენტს აწვდის აირის 1/4. თავის მხრივ, ევროპა რუსეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარია. გაზპრომის ბუნებრივი აირის ექსპორტის ძირითადი ნაწილი მიდის ევროპასა და ევრაზიაში. 2011 წელს გაზპრომის ნახევარი მიდიოდა ევროკავშირის ქვეყნებზე, დარჩენილი 28% დსთ-ს ქვეყნებში, ნაწილი მიეწოდება თურქეთს და ასევე სხვა ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოებს, და აზიას. გაზპრომი კონტროლირდება სახლემწიფოს მიერ. შედეგად მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს რუსეთის ლიდერებთან და ელიტის წრესთან, მათ შორის პრემიერ-მინისტრ დ. მედვედევთან და პრეზიდენტ ვ. პუტინთან. რუსეთისთვის ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი მიმწოდებლის როლი, არა მხოლოდ ფინანსური მოგებაა, არამედ ეს შეიძლება განიხილოს, როგორც რუსული ძალაუფლების აღორძინების დემონსტრირება საბჭოთა კავშირის დაშლიდან 20 წლის შემდეგ. გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთი ცდილობს შეამციროს მისი დამოკიდებულება ევროპაზე თავისი მომხმარებელთა ბაზის დივერსიფიკაციით. 2030-სთვის იგეგმება ბუნებრივი აირის ექსპორტის გაზრდა აზიის ქვეყნებში: ჩინეთი, სამხ. კორეა და იაპონია. ამადროულად, რუსეთის ხელისუფლების ძირითადი მიზანია მისი ძალაუფლების გაძლიერება ევროპის ენერგეტიკულ სექტორში, ორმხრივი გრძელვადიანი შეთანხმებების დადებით ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა გერმანია, იტალია და ბულგარეთი, და ასევე ეცდება ევროპული ენერგეტიკული გამანაწილებელი ქსელის წილების ყიდვას.[1]

თუმცა ექსპერტთა ნაწილის აზრით, რუსეთს შეუძლია გამოიყენოს მისი ენერგეტიკული სიძლიერე ევროკავშირის და სხვა ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკის მანიპულირე-

1 Ratner, M., Belkin, P., Nichol, J., & Woehrel, S. (2013, August 20). Europe's Energy Security:Option and Challenges to Natural Gas Supply Diversification. Retrieved January 22, 2016, from Congressional Research Service: file:///C:/Users/TAMTA/Downloads/FAS.pdf

ბის მიზნით. მათი მტკიცებით რუსეთის დომინანტური როლი ენერგეტიკულ სექტორში აძლევს საშუალებას გავლენა იქონიოს ბიზნესმენებზე და პოლიტიკოსებზე. ექსპერტთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროპა რუსეთისთვის რჩება უზარმაზარ ენერგეტიკულ ბაზრად, შესაბამისად, მისი შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროდ. ამიტომაც რუსეთი იძულებულია გამოიჩინოს მეტი სიფრთხილე ევროკავშირის მიმართ. რუსეთის მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნები წარმოადგენენ „პრივილეგირებული ინტერესების სფეროს“. ზოგიერთი აღნიშნავს,რომ რუსეთი ღიად იყენებს ენერგეტიკულ გავლენას ბელარუსიისა და უკრაინის საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკაში.

გასათვალისწინებელია ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის ქვეყნებში ბუნებრივი აირის იმპორტი არ შემცირდება მომავალ 40 წელს. ამის მიუხედავად, რიგი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ რუსეთი უფროა დამოკიდებული 17 მლრდ ევროზე, რომელსაც იღებს აირის ექსპორტით ევროპაში, ვიდრე ევროკავშირი აირის მიწოდებაზე. კრემლს ევროპის ნაცვლად ჯერჯერობით არავითარი სხვა მყიდველი არ ეგულება, რადგან აზიურ და ახლო აღმოსავლურ ბაზარზე მოსახვედრად, პირველ ყოვლისა, ინფრასტრუქტურაა მოსაწყობი. მართლაც, ჩინეთსა და რუსეთს შორის ბუნებრივი აირის მიწოდების თაობაზე დადებული 30 წლიანი შეთანხმება გულისხმობს გაზსადენის - „ციმბირის ძალის“აშენებას.[1]

თავის მხრივ არც ბრიუსელი კარგავს დროს, და ეძებს რუსეთის ნედლეულის შემცვლელს. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც საჭიროა ენერგიის მიმწოდებლის შეცვლა: 2010 წელს ლიბიური ნავთობი შეადგენდა მთელი ევროპული იმპორტის 10%-ს, თუმცა ეს მაჩვნებელი სამოქალაქო ომის შემდეგ

1 Colanton, L. (2014, September 15). Le Opzioni Dell' Europa Conto la Depindenza Energetica Dalla Russia. Retrieved January 20, 2016, from Rivista Italiana Di Geopolitica: http://www.limesonline.com/le-opzioni-delleuropa-contro-la-dipendenza-energetica-dalla-russia/60581

ფაქტობრივად ნულს გაუტოლდა. კატარი ბუნებრივი აირის მარაგის მიხედვით მესამე ადგილზეა მსოფლიოში. მან უზარმაზარი კაპიტალი დააბანდა ინფრასტრუქტურაში, როგორც აირის გათხევადებისა და მისი ექსპორტირების, აგრეთვე საკუთარი ეკონომიკის გამრავალფეროვნების მიზნით, მაგრამ ეს ისე მოახერხა, რომ მისი მეზობელი დუბაის მსგავსად საკუთარი შესაძლებლობებისათვის არ გადაეჭარბებინა. ასევე საუდის არაბეთი, რომელიც ფლობს მთელი მსოფლიოს სანავთობო მარაგის მეხუთედ ნაწილს. ორივე ზემოაღნიშნული სახელმწიფო რუსეთის ყველაზე დიდი და მთავარი კონკურენტები არიან. ევროკავშირს კატართან და საუდის არაბეთთან აკავშირებს ხანგრძლივი და საკამოდ სანდო პოლიტიკური ურთიერთობები. სპარსეთის ყურედან იმპორტის ზრდას შეეძლო გარკვეული გავლენა მოეხდინა რუსეთის სანავთობო კომპანიაზე და გამოეწვია ფასების შემცირება, როგორც მოხდა საბერძნეთში. ევროპისთვის მთავარი რისკი ამ რეგიონში-შესაძლოა ამან გამოიწვიოს შეჯიბრი აზიურ ბაზართან, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ცდილობს შექმნას „ენერგეტიკული ავტოსტრადა“ ჩინეთსა და საუდის არაბეთს შორის.[1]

საერთო ხედვით, ევროპის ენერგეტიკული იმპორტი საკმაოდ რთულ სიტუაციაშია. რუსეთის დამოკიდებულებისგან თავის დაღწევა შესაძლებელია, მაგრამ ეს დაკავშირებულია სხვადსხვა სირთულესთან: სავაჭრო კონკურენცია ჩინეთსა და აზიასთან, საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხები(როგორიცაა,ირანის ბირთვული პროგრამა), ევროპის ეკოლოგიური და კლიმატური პოლიტიკის სამომავლო გზები. შედეგად, ევროპის ენერგეტიკიული პოლიტიკა საჭიროებს გადახედვას და გაძლიერებას, რასაც ევროკავშირის ფანატიზმისგან შორს მყოფი დიდი ბრიტანეთიც კი მოითხოვს.[2]

რაც შეეხება რუსეთსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობას, იურიდიულად ის 1994 წელს 10 წლის ვადით დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებით გა-

1 Ibid,
2 Ibid,

ფორმდა, რომელიც ძალაში მხოლოდ 1997 წელს შევიდა. 2003 წელს კი ევროკავშირმა და რუსეთმა ოთხი „საერთო სივრცე“ შექმნეს, რომელიც მოიცავდა საერთო ეკონომიკურ სივრცეს, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების საერთო სივრცეს, საგარეო უსაფრთხოების საერთო სივრცესა და განათლებისა და კვლევის საერთო სივრცეს. ამ ოთხი სივრცის ფარგლებში თანამშრომლობისათვის გაიწერა სპეციალური სამოქმედო გეგმა.[1]

ევროკავშირმა დღემდე ვერ მოახერხა რუსეთის მიმართ ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება, რაც დიდწილად იმით იყო განპირობებული, რომ წევრ ქვეყნებს სხვადასხვა ინტერესი და მიდგომა გააჩნდათ რუსეთის მიმართ. ერთნი ემხრობიან რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობების გატარებასა და მის ინტეგრირებას ევროპასთან, მეორენი კი უფრო ხისტი პოლიტიკის გატარებას, ვინაიდან რუსეთს როგორც პოტენციურ საფრთხეს განიხილავენ და ეჭვი ეპარებათ მის ევროპულ ღირებულებებისადმი ერთგულებაში. რუსეთმაც კარგად გამოიყენა ეს დაქსაქსულობა და წევრ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების დამყარებას ცდილობს. ამის ნათელი დასტურია ვაჭრობის ყოფილი კომისრის მანდელსონის განცხადება, სადაც ნათქვამია რომ არცერთი ქვეყანა ისე არ წარმოაჩენს ევროკავშირის დაქსაქსულობას, როგორც რუსეთი.[2]

ევროპულ-რუსულ ურთიერთობებში რამდენიმე პრობლემური საკითხია. ევროკავშირი დიდი ხანია მოითხოვს რუსეთისაგან ენერგეტიკულ ქარტიასთან მიერთებას. სხვა პუნქტებთან ერთად ქარტია იმასაც ითვალისწინებს, რომ ენერგიის მომპოვებელი და მიმწოდებელი არ შეიძლება ერთი და იგივე კომპანია იყოს, რაც პირდაპირი დარტყმა იქნებოდა რუსეთის ენერგოგიგანტ „გაზპრომზე“. შესაბამისად, რუსეთი ამ ნაბიჯის გადადგმას ახლო მომავალში არ აპირებს. აღსანიშნავია, რომ რუსეთი ევროკავშირში გაზის ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია

1 Bindi, F., & Angelescu, I. (2012). The Foreign Policy of the EU.

2 Popescu, „. N. (2007). A Power audit on EU-Russia relations". European Cauncil of Foreign Relations.

და იმპორტირებული გაზის 30%-ზე მეტი სწორედ რუსეთიდან მოდის.[1] რუსეთიდან იმპორტირებული გაზის 50%-ზე მეტის ათვისება კი გერმანიის, იტალიისა და საფრანგეთის მიერ ხდება (Noel, 2009). აქედან გამომდინარე გასაგებია გერმანული, იტალიური და ფრანგული ენერგოკონცერნების სურვილი რუსეთთან ბრიუსელის გვერდის ავლით ითანამშრომლონ. თუმცა ხაზგასასმელია რუსეთის დამოკიდებულება ევროკავშირის ბაზარზე, სადაც იგი თავისი ნავთობის ექსპორტის 88%, ხოლო გაზის ექსპორტის 70% მიმართავს.[2] თავის მხრივ, ენერგომატარებლებისგან მიღებული შემოსავლით ფინანსდება რუსეთის ფედერალური ბიუჯეტის თითქმის ნახევარი.[3] მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ევროკავშირზე დამოკიდებულება თვალსაჩინოა, ევროკავშირი ამ დამოკიდებულების თავის სასარგებლოდ გამოყენებას ჯერჯერობით ვერ ახერხებს.

ევროკავშირის ლიდერებს საკმაოდ კარგად ახსოვთ 2009 წლის იანვარი, როცა რუსეთმა კავშირის 16 წევრ ქვეყანას 13 დღით შეუჩერა გაზმომარაგება. [4]

ევროპის ენერგეტიკული კავშირი, რომ შემდგარია, ეს უკვე დადასტურებული ფაქტია. ეს კავშირი სასარგებლო ინსტრუმენტს წარმოადგენს იმისათვის, რომ დაეხმაროს ევროპის ქვეყნებს, ენერგეტიკულ ბაზრებში სიტუაციის დასარეგულირებლად, რაც აუცილებელია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის, რათა ხელი არ შეეშალოს მათ ენერგეტიკულ პოლიტიკას. თუმცა არსებობს სხვადასხვა დაბრკოლება, იქიდან

1 Eurostat. (2012). Retrieved January 24, 2016, from Energy production and imports: http://epp.eurostat.ec.europa.eu/statistics_explained/index.php/Energy_production_and_imports

2 Bindi, F., & Angelescu, I. (2012). The Foreign Policy of the EU.

3 Noel, P. (2008). Beyond Dependence: how to deal with Russian gas. European Council of Foreign Policy.

4 Goldthau, A. (2015, December 11). The German Marshall Fund of the United States. Retrieved January 22, 2016, from Addressing the Russian Energy Challenge: Why Regulation Trumps Geopolitics - See more at: http://www.gmfus.org/publications/addressing-russian-energy-challenge-why-regulation-trumps-geopolitics: http://www.gmfus.org/publications/addressing-russian-energy-challenge-why-regulation-trumps-geopolitics

გამომდინარე, რომ თითქმის ყველა წევრ სახელმწიფოს თავისი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული საკუთარ ეკონომიკაში გაზის როლისათვის. რაც იმას ნიშნავს, ზოგი წევრი სახელმწიფო მეტადაა დამოკიდებული გაზის ძირითად გარე მომწოდებელზე, ამ შემთხვევაში რუსეთზე, ზოგი კი შედარებით ნაკლებად. [1]

რუსულ გაზზე მეტ-ნაკლებად დამოკიდებულების საფუძველზე წარმოიშვა სამი ჯგუფი, რომლებიც თავიანთი ინტერესების დაცვითა და რუსული გაზისგან დივერსიფკაციით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველი ჯგუფი გახლავთ ე.წ. „ნეიტრალური“ ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც უშუალოდ რუსეთისგან არ იღებენ გაზს და შესაბამისად არც პირდაპირ კავშირში არ არიან გაზპრომთან. მეორე, ეს არის შედარებით დაცული წევრი ქვეყნების ჯგუფი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყნები მართალია გაზის იმპორტს აწარმოებენ რუსეთიდან, მაგრამ ისინი მაინც დაცულები არიან მოსალოდნელი დარღვევებისაგან. მაგრამ ეს ხდება არა იმიტომ, რომ ისინი ძალიან ძლიერები არიან, არამედ მათ გააჩნიათ საკმაოდ ხანგრძლივი და დადგენილი კომერციული პოლიტიკური ურთიერთობები რუსეთთან. მაგალითად, ასეთები არიან გერმანია და იტალია. მათ გააჩნიათ საკმარისი ობიექტების დივერსიფიკაცია რუსეთისგან დაშორებით, მაგალითად, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში. მესამე ჯგუფი კი წარმოადგენს „დაუცველ“ წევრ ქვეყნებს. ეს ქვეყნები გარდა იმისა, რომ ძალიან არიან დამოკიდებულნი რუსული გაზის მარაგებზე, იმის გამო რომ მათი ენერგოდამოკიდებულება 80%- ზე მეტს შეადგენს, ასევე, არის იმის პერსპექტივაც, რომ უფრო მეტად დამოკიდებულნი გახდნენ რუსულ გაზზე. ეს შეიძლება ითქვას პოლონეთის მაგალითზე.

გარდა იმისა, რომ წევრი სახელმწიფოები დამოკიდებულნი არიან რუსულ გაზზე, ისინი ასევე, დამოკიდებულებას განიც-

1 Chyong, C.-K., & Tcherneva, V. (2015, March 17). European Council on Foreign Relations. Retrieved January 21, 2016, from Europe's vulnerability on Russian gas: http://www.ecfr.eu/

დიან ქვანახშირის მოხმარების მხრივაც. მაგრამ, ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ევროპის პოლიტიკა ეფექტურად იმუშავებს იმისათვის, რომ შემცირდეს CO2 -ის ემისიები დივერსიფიკაციის საშუალებით ქვანახშირის მოხმარების გარეშე, მაშინ შესაძლებელი იქნება, რომ გაიზარდოს ბუნებრივი აირის მიწოდების უსაფრთხოება. ამ შემთხვევაში ეს პოლიტიკა შეეხება უფრო მეტად ესტონეთს, პოლონეთს, ჩეხეთსა და ბულგარეთს, გამომდინარე იქიდან, რომ მათ ეკონომიკაში ქვანახშირის დომინირების მაჩვენებელი 30 % -ია. ასევე, უნდა ითქვას, რომ პოლონეთი ამ ზემოთჩამოთვლილ ქვეყნებს შორის ყველაზე მეტადაა დამოკიდებული რუსულ გაზზე, როგორც ქვეყანა, რომელიც უფრო მეტად დაუცველია გაზის მარაგის მხრივ. [1]

რაც შეეხება ევროკავშირის წევრ „დაუცველ ქვეყნებს“ , საინტერესოა რა მახასიათებლებით გამოირჩევიან ისინი. ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფო გაზმომარაგებასთან დაკავშირებით ადრე ერთმანეთს და რუსეთს უავშირდებოდა. გარდა ამისა, 2014 წლის დეკემბერში ლიტვას იჯარით ჰქონდა აღებული თხევადი ბუნებრივი აირის ტერმინალი, მაგრამ 2015 წლისათვის ის ბუნებრივ აირს ყიდულობს ნორვეგიის „სტატოილისგან“, რომელიც ასევე უზიარებს გაზს ლატვიასა და ესტონეთს. ამასთანავე, 2011 წელს ლიტვის ინიციატივა იყო, რომ ევროკომისიას რუსეთის საკუთრებაში არსებული გაზის კომპანია „გაზპრომთაან“ დაკავშირებით ჩაეტარებინა გამოკვლევა. ეს მოთხოვნა გამომდინარეობდა იქიდან, რომ ლიტვა წინააღმდეგი იყო, უფრო მეტი გადაეხადა რუსეთისათვის ბუნებრივი აირის სანაცვლოდ, ვიდრე ამას იხდიდნენ ევროკავშირის დანარჩენი წევრი სახელმწიფოები. ამ საჩივრის გათვალისწინებით კი რუსეთი შეიძლება დამდგარიყო 10 მილიარდ ამერიკულ დოლარამდე ჯარიმის დაკისრების წინაშე. [2]

1 Ibid,

2 Berzina, K. (2015, May 20). The German Marshall Fund of the United States. Retrieved January 24, 2016, from Russia Strikes Back against Europe's Energy Union: http://www.gmfus.org/blog/2015/05/20/russia-strikes-back-against-europe%E2%80%99s-energy-union

ბალტიის ქვეყნებსა და ფინეთს ბუნებრივი აირი რუსეთიდან მიეწოდებათ როგორც პირდაპირ, ასევე, ბელორუსიის გავლით. ეს შემთხვევა გამოყოფს მათ დანარჩენი ევროპისაგან. ეს იზოლაცია პრობლემატურია არა მხოლოდ ამ ოთხი ქვეყნისათვის, არამედ საერთოდ ზოგად ევროპის ენერგეტიკული ბაზრისთვისაც. ამ მხრივ გამოიყოფა სამი საფეხური: პირველი ეს არის არსებული ურთიერთაკავშირების განახლება რეგიონის მასშტაბით. მეორე ეს გახლავთ ახალი დამაკავშირებელი მილსადენების მშენებლობა, როგორიც არის შემოთავაზებული ბალტიის ქვეყნების დამაკავშირებელი ფინეთსა და ესტონეთს შორის, ან კიდევ გაზის შიდა მაკავშირებელი პოლონეთსა და ლიტვას შორის. მესამე საფეხური კი მოიცავს გათხევადებული ბუნებრივი აირის გაზრდას. ეს სამი ბალტიისპირეთის ქვეყანა გეგმავდა თხევადი ბუნებრივი აირის ტერმინალების შემოღებას და ლიტვის თხევადი ბუნებრივი აირის ხაზის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 2014 წლის ბოლოსთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები უფრო მეტად დაცულნი იქნებიან, თუკი მოხდება რუსეთის მიერ გაზმომარაგების შეჩერება უკრაინის მილსადენების გავლით. [1]

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები, როგორებიცაა პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი უფრო მეტად დამოკიდებულნი არიან რუსულ გაზზე, ვიდრე ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნები. მიუხედავად ამისა, ისინი უფრო უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე თუნდაც ბალტიისპირეთის ქვეყნები და ბულგარეთი. მაგრამ, მაინც უნდა ითქვას, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დიდი რაოდენობით არიან დამოკიდებულნი რუსულ გაზზე. მაგალითისათვის, უნგრეთის იმპორტი რუსეთიდან დაახლოებით 89 პროცენტს აღწევს ყოველწლიურად. პოლონეთის იმპორტი 53 პროცენტს აღწევს ყოველ წელს 2013 წლის მონაცემების მიხედვით. ასევე, ჩეხეთი დამოკიდებულია 99 პროცენტით და სლოვაკეთი კი 95 პროცენტით. [2]

1 Ibid,
2 Ibid,

ამ ყველაფრის გარდა, რუსეთი სხვა ფორმებითაც ახერხებს პოლიტიკურ ჩარევას ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან მიმართებით. ამ მხრივ რუსეთის პოლიტიკური მანევრირების წინააღმდეგ ასევე დაუცველია საბერძნეთი. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საბერძნეთს ახალი მილსადენი შესთავაზა სახელწოდებოთ „თურქული სტრიმი", რომლის საშუალებითაც მიეწოდება ბუნებრივი აირი საბერძნეთს. აღნიშნული მილსადენი შემოვლითი გზით გაივლის უკრაინას, რაც ერთგვარი პოლიტიკური ინსტრუმენტია კრემლისათვის. პუტინს სურდა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის გულის მოგება და ამისათვის იგი აღწერს კიდევაც აღნიშნული მილსადენის ეკონომიკურ სარგებელს.[1]

რაც შეეხება რუმინეთს, ეს ქვეყანა თითქმის მთლიანად თვითკმარია და მხოლოდ 10 პროცენტით არის დამოკიდებული იმპორტირებულ რუსულ გაზზე. მიაუხედევად იმისა, რომ არც ისე დიდი ხანია, რაც რუმინეთმა გაზმომარაგებასთან დაკავშირებით კავშირები დაამყარა უნგრეთთან, მაგრამ ეს არც თუ ისე ბევრად დაეხმარა მას. რომ განთავისუფლებულიყო რუსულ გაზზე დამოკიდებულებისაგან, რადგან თვითონ უნგრეთიც დამოკიდებულია რუსეთიდან იმპორტირებულ ბუნებრივ აირზე. მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთზე რუსული გაზის ზემოქმედება საკმაოდ მცირეა, მაინც უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თუკი რუსულ გაზზე დამოკიდებულება აღარ იქნება მისი მხრიდან, მაშინ ეს ვითარება გამოიწვევს ქვეყნის გაზმომარაგებაზე უარყოფით შედეგს. ეს იმიტომ, რომ თუ მოხდება არსებულ მილსადენებზე ზეწოლა, რითაც რუსეთის გაზი მიეწოდებოდა რუმინეთს, მაშინ ეს თავისთავად საფრთხეს შუქმნის ქვეყანას, რათა არსებული მარაგი რუმინეთის შიდა ბაზარს მიეწოდოს.[2]

1 Berzina, K. (2015 წლის 20 May). The German Marshall Fund of the United States. Retrieved 2016 წლის 24 January from Russia Strikes Back against Europe's Energy Union: http://www.gmfus.org/blog/2015/05/20/russia-strikes-back-against-europe%E2%80%99s-energy-union

2 Ibid,

ამასთანავე, ბულგარეთი არის ევროკავშირისა და ასევე ნატოს წევრი ერთდროულად მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგი 90 პროცენტით არის დამოკიდებული რუსეთის გაზის იმპორტზე და შესაბამისად 40 პროცენტით მეტს იხდის რუსული ბუნებრივი აირის საფასურში, ვიდრე შინაურ გაზში. [1]

2009 წლის გაზმომარაგების კრიზისის პერიოდში თითქმის ყველაზე გამოუვალი სიტუაცია ჰქონდა ბულგარეთს იმ მხრივ, რომ იგი თითქმის მთლიანადაა დამოკიდებული რუსულ გაზზე, რომელიც უკრაინის გავლით მიეწოდება. ასევე, ევროკავშირის დანარჩენი წევრი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ბულგარეთის იმპორტირებული გაზის დაახლოებით 15 პროცენტი არის შერეული და ამასთანავე იგი ძირითადად გათბობისათვის გამოიყენება. სწორედ ამ მიზეზის გამო იყო ბულგარეთი არა მარტო ეკონომიკურ, ასევე ჰუმანიტარულ კრიზის მომსწრეც. ამ ყველაფრის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ ბულგარეთი დაკავშირებულია რუმინეთთან, და ამასთანავე, მისი დამოკიდებულება საბერძნეთთან შედარებით მცირეა. ეს შიდა კავშირები კი უზრუნველყოფს არა მარტო გაზმომარაგების მხრიდან დაცულობას, არამედ, ასევე, იგი ამცირებს საკუთრივ რუსეთზე მონოპოლიზებულ დამოკიდებულებას.[2]

დასკვნა

საერთო ჯამში, გამომდინარე იქიდან, თუ რა მდგომარეობაა ენერგეტიკული კუთხით დღევანდელი მსოფლიოს ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყნებში, შეიძლება ითქვას, რომ ევროპის ენერგეტიკული იმპორტი საკმაოდ რთულ სიტუაციაშია. ამაზე მეტყველებს ფაქტები, თუ რა დოზით არიან დამოკიდებულნი ევროპის/ევროკავშირის წამყვანი სახელმწიფოები რუსულ გაზმომარაგებაზე.

1 Fishbein, A. (2014, June 23). The German Marshall Fund of the United States. Retrieved January 23, 2016, from European Energy Security – Lessons from Bulgaria: http://www.gmfus.org/blog/2014/06/23/european-energy-security-%E2%80%93-lessons-bulgaria

2 Vatansever, A. (2006). Russian Involvement In Eastern Euroepe's Petroleum Industry the case of Bulgaria. London: GMB Publishing Ltd.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დამოკიდებულებისგან თავის დაღწევა შესაძლებელია, და ამისათვის ევროპის ქვეყნებს აქვთ ასევე საკმაოდ დიდი პოტენციალი, ეს ყველაფერი მაინც არის დაკავშირებული სხვადსხვა სირთულესთან. აქედან გამომდინარე, კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირისა და ზოგადად ევროპის ენერგეტიკული პოლიტიკა საჭიროებს გადახედვასა და გაძლიერებას

BIBLIOGRAPHY

1. Berzina, K. (2015, May 20). *The German Marshall Fund of the United States*. Retrieved January 24, 2016, from Russia Strikes Back against Europe's Energy Union: http://www.gmfus.org/blog/2015/05/20/russia-strikes-back-against-europe%E2%80%99s-energy-union

2. Bindi, F., & Angelescu, I. (2012). *The Foreign Policy of the EU.*

3. Chyong, C.-K., & Tcherneva, V. (2015, March 17). *European Council on Foreign Relations*. Retrieved January 21, 2016, from Europe's vulnerability on Russian gas: http://www.ecfr.eu/

4. Colanton, L. (2014, September 15). *Le Opzioni Dell'Europa Conto la Depindenza Energetica Dalla Russia*. Retrieved January 20, 2016, from Rivista Italiana Di Geopolitica: http://www.limesonline.com/le-opzioni-delleuropa-contro-la-dipendenza-energetica-dalla-russia/60581

5. Eurostat. (2012). Retrieved January 24, 2016, from Energy production and imports: http://epp.eurostat.ec.europa.eu/statistics_explained/index.php/Energy_production_and_imports

6. Fishbein, A. (2014, June 23). *The German Marshall Fund of the United States*. Retrieved January 23, 2016, from European Energy Security – Lessons from Bulgaria: http://www.gmfus.org/blog/2014/06/23/european-energy-security-%E2%80%93-lessons-bulgaria

7. Goldthau, A. (2015, December 11). *The German Marshall Fund of the United States.* Retrieved January 22, 2016, from Addressing the Russian Energy Challenge: Why Regulation Trumps Geopolitics - See more at: http://www.gmfus.org/publications/addressing-russian-energy-challenge-why-regulation-trumps-geopolitics: http://www.gmfus.org/

publications/addressing-russian-energy-challenge-why-regulation-trumps-geopolitics

8. Hedlund, S. (2005). *Russian Path Dependence.* Taylor & Francis e-Library.

9. Noel, P. (2008). *Beyond Dependence: how to deal with Russian gas.* European Council of Foreign Policy.

10. Popescu, ,. N. (2007). *A Power audit on EU-Russia relations".* European Cauncil of Foreign Relations.

11. Ratner, M., Belkin, P., Nichol, J., & Woehrel, S. (2013, August 20). *Europe's Energy Security:Option and Challenges to Natural Gas Supply Diversification.* Retrieved January 22, 2016, from Congressional Research Service: file:///C:/Users/TAMTA/Downloads/FAS.pdf

12. Vatansever, A. (2006). *Russian Involvement In Eastern Euroepe's Petroleum Industry the case of Bulgaria.* London: GMB Publishing Ltd.

13. Иванов, О. (2012, September 19). *Энергетическая безопасность в ЕС*. Retrieved January 23, 2016, from World and Politics: https://mir-politika.ru/1318-energeticheskaya-bezopasnost-v-es.html

RUSSIA'S ENERGY STRATEGY AND EU'S ENERGY DEPENDENCE ON RUSSIA

Nana Lobzhanidze, Kristine Jinchveleishvili,
Ani Kenchashvili, Tamta Darsalia
Bachelor Students of TSU, 3d Course.

RESUME

In the modern world Energy Security issues are the most important for almost every country.For illustrating this, it is clear that almost every country has its energy strategy. Some states try to find other ways to avoid energy dependence from out of their country and defend its state from economic and political manipulations. It is clear also, that Russia has its own strategy in this scope and simultaneously, this country plays a very

important role. It owns a large number of energy resources and this has a big influence on Russia-Europe's relations and their strategy to each other. Russian natural gas goes to Europe and Asia. In 2011 half of the Russian natural gas traversed to the EU countries, 28% to the CIS, other reserves go to Turkey, other non-member states of the European Union and Asia. In addition Russia plans to increase its exports to Asian countries such as China, South Korea and Japan. At the same time, Russia's goal is a long-term bilateral agreements with European countries such as Germany, Italy and Bulgaria. Some scholars argue, because of Russia's dominant role in energy scope, it can make economic and political manipulations on EU and other European countries. In contrast, other scholars say that Europe is the most important source for financing Russia. For this reason Russia has to be very careful towards EU. In this case, it is a contentious issue which side is dependent and which is independent. On the one hand, it is very interesting to research Russia-EU's dependent on each other. What ways are included in Russia's strategy. Which are the main sources in Russia's and European countries' relations. On the other hand, has Europe any kind of strategy to prevent from dependence on the Russian gas fields and interrupt it to implement its own policy rules in this energy game?

Keywords: Russian Energy Policy, EU's Energy Dependence on Russia, EU's Energy Vulnerability, Baltic countries, East and Central European countries, Finland, Romania, Bulgaria.

რეგიონული თანამშრომლობა სამხრეთ-კავკასიაში: ბაქო-თბილისი-ყარსი

გიორგი მინაშვილი,
სალომე გიუნაშვილი,
ანი ალადაშვილი
თსუ ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

კავკასიის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რაც გულისხმობს, რომ ასრულებს ე.წ. ხიდის როლს ევროპასა და აზიაში, ის ხშირად ექცევა ინტერესების სფეროში. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი სწორედ ის ერთ-ერთთაგანია, რომელიც ზემოხსენებული ხიდის ფუნქციას შეასრულებს. გარდა აღნიშნული სარგებლისა, პროექტი მნიშვნელოვანია რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდისა და ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავების მხრივ, ამ შემთხვევაში კი იგულისხმება ტრილატერალური ურთიერთობები აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს შორის.

ბაქო-თბილისი-ყარსის მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური სფეროთი, არამედ გასათვალისწინებელია პოლიტიკური სფეროც და ქვეყნების ინტერესები აღნიშნულთან მიმართებაში.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, თურქეთი, აზერბაიჯანი, რკინიგზა, ინტერესები, სამხრეთი კავკასია, ტრილატერალური ხელშეკრულება, სამომავლო პერსპექტივები.

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები აქტიურად ცდილობენ საერთაშორისო არენაზე საკუთარი ადგილის პოვნას და თავის დამკვიდრებას. ამ მიზნის მისაღწევად რეგიონის სატრანზიტო პოტენციალის და მსხვილ მასშტაბიანი პრო-

ექტების განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება უკვე იქცა სამხრეთ კავკასიის საელმწიფოთა თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად.

ენერგეტიკული პროექტები, რომლებიც აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს უკვე აკავშირებთ, წარმატებულად ფუნქციონირებენ და სატრანსპორტო პროექტების განხორციელების წინაპირობასაც ქმნიან. სწორედ ამ ტრილატერალური ურთიერთობების გაღრმავების და რეგიონისთვის ახალი პოტენციალის შექმნის მცდელობას წარმოადგენს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი, რომელიც ეკონომიკურად და პოლიტიკურად კარდინალურად განსხვავებულ ჩარჩოში მოაქცევს კავკასიის რეგიონს და სამომავლო პერსპექტივაში მისი, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი კვანძის მნიშვნელობის ერთიორად გაზრდას გამოიწვევს.

თუმცა, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტი განხორციელების გზაზე უამრავ სირთულეს და წინაღობას აწყდება, რაც რეგიონში არსებული სხვა ძალების გავლენით და ინტერესებითაა განპირობებული. თუ, ერთის მხრივ ,საქართველო, აზერბაიჯანი და თურქეთი დიდ იმედებს ამყარებენ აღნიშნულ პროექტზე და მისი მეშვეობით ეკონომიკურ სარგებელთან ერთად საკუთარი და რეგიონის პოლიტიკური წონის გაზრდას ვარაუდობენ, რუსეთი მას გრძელვადიან პერსპექტივაში საკუთარი ტრანს-სიბერიული რკინიგზისათვის საფრთხედ აღიქვამს, ხოლო სომხეთი თამაშგარე პოზიციაში დარჩენას არ ეგუება.

ინტერესთა მსგავსი კონფლიქტის ფონზე სახელმწიფოთა ეკონომიკური კუთხით თანამშრომლობა პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს და ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის განორციელების პროცესი ყურადღების ცენტრში ექცევა. ხოლო რკინიგზასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული თითოეული სახელმწიფოს პოზიციიდან გამომდინარე, პროექტის სამომავლო გავლენა რეგიონის და ზოგადად ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის მდებარეობაზე, საკითხს სულ უფრო აქტუალურს ხდის.

ძირითადი ნაწილი

პროექტის აღწერა

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტი არის ახალი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფანი აზებარიჯანის, საქართველოსა და თურქეთისათვის. აღნიშნული პროექტის შემუშავება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. 1993 წელს, როდესაც დაიხურა ყარსი-გიუმრი-თბილისის რკინიგზა, მის ალტერნატივად სწორედ ბაქო-თბილისის-ყარსის პროექტი განიხილებოდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ტრილატერალურ ხელეკრულებას ქვეყნებს შორის ხელი 2005 წლის იანვარში მოეწერა. თავდაპირველი შეთანხმებით, პროექტის მშენებლობა 2007 წელს დაიწყო და 2010 წლისთვის უნდა დასრულებულიყო, თუმცა, ექსპლუატაციის ვადებმა ჯერ 2013 წლამდე, ხოლო შემდეგ, 2017 წლამდე გადაიწია და პროექტის მშენებლობა დღესაც აქტიურად მიმდინარეობს.

ბაქო-თბილისი-ყარსის, იგივე ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს რკინიგზა არის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფანი, რომლის განხორციელების შემდეგაც კასპიიდან პირდაპირ იქნება შესაძლებელი ევროპასთან დაკავშირება. აღნიშნული პროექტი, თავის მხრივ, საბოლოოდ გამორიცხავს საზღვაო გზით გადაზიდვის საჭიროებას მას შემდეგ, რაც სტამბულში, ბოსფორის სრუტეში გამავალი რკინიგზის გვირაბის მშენებლობა დასრულდება.

რკინიგზის მთლიანი სიგრძე იქნება 826 კილომეტრი. აქედან 105 კილომეტრი იქნება მანძილი ყარსიდან ახალქალაქამდე, 76 კილომეტრის სიგრძის ზოლი გაივლის თურქეთში და 29 კილომეტრი იქნება რკინიგზის სიგრძე საქართველოს ტერიტორიაზე. რკინიგზის ამოქმედების შემდეგ, მისი საშუალებით, პირველ ეტაპზე შესაძლებელი იქნება 1 მილიონი მგზავრისა და 6,5 (10) მილიონი ტონა ტვირთის გადაადგილება. შემდგომ ეტაპებზე ნელ-ნელა გაიზრდება მისი პოტენციალი და შესაძლებელი გახდება მგზავრთა რაოდენობის 3 მილიონამდე, ხოლო ტვირთის რაოდენობის 15 (25) მილიონ ტონაზე მეტჯერ გაზრდა.

პროექტის თავდაპირველი ღირებულება შეადგენდა 442 მილიონ დოლარს, რომლიდანაც 202 მილიონი უნდა მოხმარებოდა საქართველოს ნაწილის მშენებლობას, 220 მილიონი კი - თურქული ნაწილის. თუმცა, მოგვიანებით გადაიხედა პროექტის ღირებულების საკითხი და საბოლოოდ, 2008 წელს, სხვადასხვა მონაცემებზე დაყრდნობით, რკინიგზის მშენებლობის ღირებულება აღემატებოდა 600 მილიონ ამერიკულ დოლარს. ხარჯები თანაბრად გაიყვეს აზერბაიჯანმა, საქართველომ და თურქეთმა. აზერბაიჯანის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი დაბალი საპროცენტო განაკვეთის სესხით განისაზღვრა ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე არსებული მშენებლობების დაფინანსება. ასევე, საკუთარი ხარჯებით აზერბაიჯანი ახორციელებს მარნეული-ახალქალაქის მონაკვეთის რეკონსტრუქციას.

ეკონომიკურთან ერთად გასათვალისწინებელია პროექტის პოლიტიკური მნიშვნელობაც. მისი განხორციელება არ არის ხელსაყრელი ირანისათვის. ასევე არამომგებიან სიტუაციაში არის სომხეთიც, რადგან საბოლოოდ ის სატრანსპორტო-იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდება რეგიონში. მაგრამ, პროექტი მნიშვნელოვანი და დიდი სარგებლის მომტანია საქართველოსთვის, აზერბაიჯანისა და თურქეთისათვის, რადგან ისინი გახდებიან აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი სატრანსპორტო კორიდორის ნაწილნი.

სარგებელი რეგიონის ქვეყნებისთვის

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველო, თურქეთი და აზერბაიჯანი უკვე წლებია ცდილობენ მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას და შესაბამისად ერთმანეთთან პარტნიორობით სარგებლის მიღებას. ბაქო-თბილისი-ყარსის იდეაც სწორედ ამ თანამშრომლობისა და საერთო ინტერესების შედეგად წარმოიშვა და ხორციელდება. პროექტი, რომელიც სამომავლო პერსპექტივებზეა გათვლილი, სამივე სახელმწიფოსთვის ეკონომიკურად და პოლიტიკურად მომგებიანი ჩანს, როგორც სახელმწიფო, ასევე რეგიონალურ დონეზე. ამას ემა-

ტება იცის, რომ შესაძლოა ამ რკინიგზამ სამომავლოდ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები მიიღოს, მოიცვას ცენტრალური აზია და თეორიულად ჩინეთიც კი, რაც მის მნიშვნელობას ერთი-ორად ზრდის, პროექტის მონაწილე და მისი სამეზობლოსთვის, რადგან ეს იქნება უმოკლესი გზა ჩინეთიდან ევროპამდე და ნაწილობრივ ჩაანაცვლებს ტრანსციმბირულ მაგისტრალს.

თურქეთის ინტერესები

თურქეთის მთავრობა თავიდანვე დადებითად იყო განწყობილი ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის მიმართ და აქტიურადაც მონაწილეობს მის განხორციელებაში. ეს მისთვის არის როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად მომგებიანი პროექტი, რადგან:

1. ხდება ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერება რეგიონის ქვეყნებს შორის, რასაც მოჰყვება ფინანსური მოგება.

2. შესაძლებელი ხდება ბოსფორის სრუტეში გაყვანილი სარკინიგზო გვირაბის დაკავშირება ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზასთან, რითაც მოხდება პირდაპირი ტრასპორტირება ენერგორესურსებისა კასპიის ზღვიდან ევროპაში. ეს ერთის მხრივ პოლიტიკურ სარგებელს მოუტანს თურქეთს, რადგან გაზრდსი მის როლს ევროპისთვის, როგორც მნიშვნელოვანი პარტნიორისა ენერგიის მისაღებად და რა თქმა უნდა, ეს იქნება საკმაოდ დიდი შემოსავლის წყაროც.

3. თურქეთს სურს იყოს ლიდერი კავკასიის რეგიონში და ნებისმიერი პროექტი, რომელშიც მისი წვლილი იქნება დიდი, განსაკუთრებით კი აღნიშნული სარკინიგზო ხაზი, გამოიწვევს აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაწილობრივ დამოკიდებულებას თურქეთზე. ეს ყველაფერი განპირობებულია იმით, რომ ამ ორი ქვეყნის მისწრაფებას ევროპასთან დაახლოება წარმოადგენს, ევროპის მხრიდან მთავარი ინტერესი კი სწორედ მათი მხრიდან ენერგორესურსების მიწოდებაში გამოიხატება და შესაბამისად, კავკასიის ამ ორი სახელმწიფოსათვის მნიშნელოვანია თურქეთის მხრიდან ხელშეწყობა საკუთარი მიზნების განხორციელებაში.

4. არც თუ ისე უსაფუძვლოა ის მოსაზრება, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი მომავალში შეუერთდეს ცენტრალური აზიისა და ჩინეთის ხაზებსაც კი, რაც იქნება უმოკლესი გზა ჩინეთიდან ევროპამდე, რაც პროექტს დამატებითად მიმზიდველს ხდის თურქეთისათვის."

აზერბაიჯანის ინტერესები

აზერბაიჯანისთვის ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი განსაკუთრებით მნიშნელოვან როლს ატარებს, რადგან მისი ურთიერთობა თურქეთთან მუდმივად ღრმავდება და ისინი ახლა სტრატეგიულ პარტნიორებს წარმოადგენენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში და პირდაპირი სარკინიგზო ხაზი მათ კავშირს კიდევ უფრო გაამარტივებს. ამავე დროს, აღნიშნული პროექტი გაზრდის აზერბაიჯანის სატრანზიტო შესაძლებლობებს მრავალმხრივი მიმართულებით.

ეკონომიკური თვალსაზრისით, სარკინიგზო ხაზი გაზრდის ტვირთბრუნვას ევროპა-აზიის მიმართულებით და საკმაოდ დიდ მოგებას მოუტანს აზერბაიჯანს, რადგან შესაძლებლობა ექნება კიდევ უფრო მეტი ენერგორესურსი გაიტანოს ევროპაში და თან ნაკლები დანახარჯებით და სამომავლოდ გაიზრდება ბაქოს პორტის მნიშვნელობაც. ამასთამ ერთად, აზერბაიჯანის მთავრობა აცნობიერებს იმ შესაძლებლობებს ბიუჯეტის გასაზრდელად და სატრანზიტო ფუნქციების გასაზრდელად, რაც შესაძლოა გამოიწვიოს ცენტრალური აზიისა და ჩინეთის სარკინიგზო ხაზების მიერთებამ ამ პროექტთან.

აზერბაიჯანის ინტერესი იმ ფაქტიდანაც ცხადად ჩანს, რომ სწორედ ის იყო ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის ინიციატორი და ამასთან საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამუშაოებისთვის საჭირო ხარჯების დაფარვის დიდი ნაწილი სწორედ თავის თავზე აიღო, დაბალ პროცენტიანი კრედიტის სახით.

საქართველოს ინტერესები

საქართველო დიდი ხანია ცდილობს თავი დაიმკვიდროს საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც მნიშნელოვანმა სატრა-

ნზიტო ქვეყანამ აზიასა და ევროპას შორის. გეოგრაფიული მდებარეობა ამის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა და აუცილებელია მეზობლებთან კავშირების ქონაც. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი მისთვის ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის წარმატებით განხორციელება, რადგან ამ შემთხვევაში მისი, როგორც სატრანზიტო სახელმწიფოს როლი კიდევ უფრო გაიზრდება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დასავლეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ინტერესი მეტწილად სწორედ ამ ფუნქციით განისაზღვრება. შესაბამისად, ამ მხრივ გაძიერება, კიდევ უფრო გააუმჯობესებს საქართველოს და ევროპისა და ამერიკის ურთიერთობებს. პროექტი მნიშვნელოვანია ეკონომიკური კუთხითაც, რადგან არსებული მდგომარეობითაც და მითუმეტეს, სამომავლო პერსპექტივების გათვალიწინებით, ამ სარკინიგზო ხაზს დიდი მოგების მოტანა შეუძლია ქვეყნის ეკონომიკისათვის. ამასთან ერთად, ეს არის შანსი ინფრასტრუქტურის გასავითარებლად და თუ იმასაც გავითავლისწინებთ რომ ეს აზერბაიჯანის ფულადი დახმარებით ხდება, პროექტი ორმაგად მიმზიდველი ხდება საქართველოსთვის.

კიდევ ერთი ყურადსაღები ფაქტი, რაც ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზას შეიძლება მოჰყვეს, არის სამცხე-ჯავახეთის მხარის ეკონომიკური გააქტიურება და წინსვლა, რაც შესაძლოა აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი ფაქტორი, იქ მცხოვრებ სომხურ უმრავლესობასთან დაძაბულობის მოსახსნელად და სომხეთთან ეკონომიკური კავშირების გასაძლიერებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ნეგატიური აზრიც პროექტის შესახებ, რომლის მიხედვითაც ის კი მოიტანს ეკონომიკურ მოგებას, მაგრად ხელს შეუშლის ფოთისა და ბათუმის პორტების მუშაობას და შეამცირებს მათ მოგებას. ამის საპირისპიროდ აღინიშნა, რომ ეს მცდარი შეხედულებაა, რადგან ახალი სარკინიგზო ხაზი და ზემოაღნიშნული პორტები განსხვავებული სახის პროდუქციის ტრანსპორტირებაზე არიან ორიენტირებულნი და თუ მაინც შეიქმნება რაიმე ტიპის საფრთხე, მთავრობის მხრიდან დაწესდება სატარიფო შეზღუდვები ახალ რკინიგზაზე.

სომხეთის ინტერესები

სომხეთი ამ შემთხვევაში წარმოადგენს მხარეს, რომელიც ძალიან უკმაყოფილოა ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტით. ისინი აღნიშნავენ, რომ მაგისტრალი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სამხედრო შეიარაღების გადასაზიდად თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის. მათ თავად სურდათ ყოფილიყვნენ პროექტის მონაწილენი და სთავაზობდნენ თურქეთს გამოეყენებინათ უკვე არსებული ყარსი-გიუმრის სარკინიგზო მონაკვეთი. ამას ეწინააღმდეგება აზერბაიჯანი, რომლის წარმომადგენლებიც აღნიშნავენ, რომ სტრატეგიულად სომხეთის ჩართვა პროექტში გამართლებული იქნება, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სომხეთი დათმობს ყარაბაღის რეგიონს, რაც დღევანდელი გადმოსახედიდან წარმოუდგენელია. სწორედ ამიტომ ცდილობდა ეს სახელმწიფო ხელი შეეშალა პროექტის განხორციელებისთვის და საკუთარი ინტერესები გაეტარებინა, თუმცა ამას ვერ მიაღწია.

რუსეთის ინტერესები

ბაქო-თბილისი-ყარსის წარმატებით ამუშავება მიუღებელია რუსეთის ფედერაციისათვის, რადგან ერთის მხრივ ამით იგი კიდევ უფრო მეტად დაკარგავს გავლენას მეზობელ ქვეყნებზე, მეორეს მხრივ კი ხელს შეუშლის მისი როგორც ლიდერი სატრანზიტო სახელმწიფოს როლის შენარჩუნებას, აზიისა და ევროპის დაკავშირების საქმეში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კავკასიური მაგისტრალის პროექტი, შესაძლოა დაუკავშირდეს ცენტრალურ აზიასა და ჩინეთს. მართალია, მისი შესაძლებლობა ნაკლები იქნება, ვიდრე ტრანსციმბირული მაგისტრალის, მაგრამ ახალ სარკინიგზო ხაზს შეუძლია მნიშვნელოვანი მოგება დააკარგვინოს რუსეთს და სერიოზული ეკონომიკური ზარალი მიაყენოს.

კიდევ ერთი ფაქტორი, რაც იწვევს რუსეთის ნეგატიურ დამოკიდებულებას, არის თურქეთისა და აზერბაიჯანის კავშირების გაძლიერებით და აქტიურად ლობირებს ყარსი-გიუმრის სარკინიგზო ხაზის გახსნას.

ცენტრალური აზიის ქვეყნები

ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტით განსაკუთრებით დაინტერესებულია უზბეკეთი, რომელთაც სურთ უმოკლესი გზით დაუკავშირდნენ ევროპას. აზერბაიჯანი აქტიურად ცდილობს ყაზახეთის დაინტერესებასაც და თურქმენეთთან ურთიერთობის გამოსწორებას. პროექტი, ამ ქვეყნებისთვისაც ძალიან მომგებიანი იქნება და დიდი თანხების დაზოგვის შესაძლებლობას მისცემს, მაგრამ თურქმენეთთან არსებული წარსული უთანხმოებების გამო, ჯერ-ჯერობით რთულია რაიმეს გადაჭრით ვარაუდი, მაგრამ მისი მხრიდანაც ეკონომიკური ინტერესი აშკარაა. ამას გარდა, პროექტით შესაძლოა ჩინეთიც დაინტერესდეს, რაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს სარკინიგზო ხაზის წარმატებაში.

დასკვნა

ნათელია, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი სამი სახელმწიფოს მიზანმიმართული და გააზრებული თანამშრომლობის შედეგია, რომელიც თითოეული მათგანისათვის კონკრეტული სახის შედეგების მოტანას ისახავს მიზნად. ზოგადი რეგიონული თვალსაზრისით კი, მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა რეგიონის სახელმწიფოების ინტეგრაციას, სტაბილურობის განმტკიცებას და სამხრეთ კავკასიის ისტორიული, სატრანზიტო როლის გაძლიერებას გამოიწვევს.

მოძრაობის ინტენსიურობის გაზრდა, რომელიც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მოყვება გააძლიერებს სოციალურ და ეკონომიკურ კავშირებს ადგილობრივ მოსახლეობას შორის და მათ დასაქმების და თვითრეალიზაციის მხრივ ახალ შესაძლებლობებს შეუქმნის.

გრძელვადიან პერსპექტივაში კი, რკინიგზას ნამდვილად აქვს პოტენციალი აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კვანძად იქცეს და როგორც ტრანს-სიბერიული რკინიგზის ალტერნატივამ, სამხრეთ კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა ევროკავშირისთვის უფრო ნათელი გახადოს. საქართველოს

ეს დასავლეთთან დაახლოებაში შეუწყობს ხელს, აზერბაიჯანს პოლიტიკური წონის გაზრდაში დაეხმარება, ხოლო თურქეთს ევროპასთან პერიფერიული მდებარეობის პოზიციიდან გამოიყვანს და კავკასიის რეგიონში ლიდერის პოზიციებს დაუმკვიდრებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cecire, H. 2013. „The Merchant Hegemon: Georgia's Role in Turkey's Caucasus System". Published in Georgian Foreign Policy: The Quest for Sustainable Security.

2. Civil.ge. 2007. „ყარსი–ახალქალაქი–ბაქოს სარკინიგზო პროექტის დაწყება 2007 წელს იგეგმება". ინტერნეტი. http://www.civil.ge/geo/article.php?id=14602

3. http://www.railway.ge/?web=0&action=page&p_id=289&lang=geo

4. Rukhadze, V. 2016. „Completion of Baku–Tbilisi–Kars Railway Project Postponed Again". http://www.jamestown.org/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=45159&no_cache=1#.V36nv-t97Dc

5. მერაბიშვილი, ა. 2009. „ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა". https://irdb.wordpress.com/2009/07/09/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%99%E1%83%98%E1%83%9C/

REGIONAL COOPERATION IN SOUTH CAUCASUS: BAKU-TBILISI-KARS

Giorgi Minashvili,
Salome Giunashvili, Ani Aladashvili,
TSU Bachelor's Students

RESUME

As Caucasia has the advantageous geographic location, it plays a so-called role of bridge between Europe and Asia and often becomes the sphere of interests. The Baku-Tbilisi-Kars project is exactly one of the railway projects, that will play the role of above mentioned bridge. Expect this profit, the project is important for increasing the economic potential of the region and for deepening the relations among states, in which case, this means a trilateral relationship among Georgia, Azerbaijan and Turkey. The importance of Baku-Tbilisi-Kars project doesn't include only economic relations, but political reasons and interests of states should also be foreseen.

Key words: Georgia, Turkey, Wzerbaijan, Railway, Interests, South Caucasus, Trilateral Agreement, Prospects for the future.

ირან-რუსეთის ურთიერთობები /გეოეკონომიკური კონტექსტი/

გიორგი კვინიკაძე
გეოგრაფიის დოქტორი, თსუ
კონსტანტინე შუბითიძე,
საერთაშორისო ურთიერთობების
დოქტორანტი, თსუ

რეზიუმე

რუსეთ-ირანის გეოეკონომიკურ ინტერესთა დღევანდელი დაახლოება „ცივი ომის“ შემდგომი პერიოდისათვის, უპრეცედენტოა. როგორც რუსეთის, ასევე ირანის სახელისუფლებო ბიუროკრატიას განზრახული აქვს ორმხრივი თანამშრომლობისათვის მყარი ფუნდამენტის შექმნა, რაც დიდწილად განპირობებულია მათი გეოპოლიტიკური ინტერესებით. თუმცა, არსებობს სერიოზული გეოეკონომიკური ინტერესებიც, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ან სულაც შეაჩეროს მათი თანამშრომლობა აღნიშნულ სფეროში.

საკვანძო სიტყვები: გეოეკონომიკა, ინვისტიციები, გეოპოლიტიკა, ეკონომიკური სანქციები, კასპიის რეგიონი.

შესავალი

დიდ გეორაფიული აღმოჩენების მთავარ მოტივს, როგორც ცნობილია ეკონომიკური ინტერესები წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი დომინირებდა კოლონიური სისიტემის ფორმირების საწყის ეტაპზეც. შემდგომ სულ უფრო მეტად შემოდიოდა გეოპოლიტიკური ინტერესები, რომალთა შეჯახებამაც XX საუკუნეში მსოფლიო ომები გამოიწვია. ამ უკანასკნელმა კი ძირეულად შეცვალა საერთაშორისო სისტემა და უდიდესი გავლენა მოახდინა ქვეყნებს შორის ორმხრივი თანამშრომლობაზე. თუმცა, დეკოლონიზაციის შემდგომაც ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების სრული თანხვედრა არ მომხდარა. „ცივი ომის“ დასრულების შემდგომ სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა და მძიმედ მაგრამ მაინც დაიწყო გეოპოლიტიკის

ეკონომიზაციის პროცესი, რომელიც დღეს გეოეკონომიკის სახელითაა ცნობილი. რაც ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ინსტიტუტების აქტიური ჩართულობით, გლობალური ბაზრის სუბიექტებს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების დაახლოების ტენდენციას ეყრება საფუძველი. ამასთან, დაახლოების პროცესში ეკონომიკური ფაქტორი სულ უფრო ხშირად დომინირებს პოლიტიკურზე.

აღნიშნულის კარგი მგალითია რუსეთ-ირანის ურთიერთობები სადაც იყო პერიოდები, როცა ეკონომიკური ინტერესები დომინირებდნენ გეოპოლიტიკურზე და პირიქით. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, როცა საბჭოთა იმპერიის ჯარი დისლოცირებული იყო ირანის ჩრდილოეთით, მაშინ ორმხრივ ურთიერთობებში გეოპოლიტიკური ინტერესები დომინირებდნენ ეკონომიკურზე. შემდგომა პერიოდში კი ეკონომიკური ინტერესები შედარებით გააქტიურდა. ამის მიზეზი კი იყო საბჭოთა იმპერიის ინტერესი მიეღო კონცესია* ირანის ჩრდილოეთში არსებულ ნავთობის საბადოებზე (Мамедова, 2011).

1970-იან წლებში ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში ეკონომიკური ურთიერთობები აშკარად წინ უსწრებდა პოლიტიკურს, რაც გამოიხატა სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლის ზრდასა და, საბჭოთა იმპერიის მონაწილეობაში ირანის მსხვილ ეკონომიკურ პროექტებში. საბჭოთა კავშირის დახმარებით ამ დროს ირანში აშენდა მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის მნიშვნელოვანი ობიექტები, ასევე ელექტროსადგურები, ელევატორები. დაიწყო ირანის გაზის ექსპორტი. ეკონომიკუმა თანამშრომლობამ გამოიღო გეოპოლიტიკური შედეგები. კერძოდ, ირანმა დაიწყო შედარებით დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება აშშ-სთან მიმართებაში, ხოლო საბჭოთა იმპერიამ ირანისაგან მიიღო გარანტიები არ განეთავსებინა საკუთარ ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტები.

მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე საბჭოთა იმპერიის გაქრობის შემდგომ მისმა სამართალმემკვიდრემ რუსეთმა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, ირანმა ორმხრივი ურთიერთობები ააგეს გეოპოლიტიკურ და არა გეოეკონომიკურ ინტერესებზე, რომელზეც მრავალმა ფაქტორმა მოახდინა გავლენა. რომლის

ახსნა მხოლოდ ამ ორი ქვეყნის ეროვნული ინტერესების კონტექსტშია შესაძლებელი. თავის მხრივ, მათი გეოეკონომიკური ინტრესების იმპლემენტაცია გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის მომავალ განვითარებაზე.

ძირითადი ტექსტი

იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას თითოეული ქვეყნის გეოეკონომიკურ პოტენციალზე ,სასარგებლოა იმ მაჩვენებლების ანალიზი (იხ. ცხრ.), რომელიც ახასიათებს მათი გეოეკონომიკური მდგომარეობის პოტენციალს თანამედროვე ეტაპზე.

ინდექსები	ჩართულობა გლობალურ ვაჭრობაში[1]	კორუფციის აღქმა[2]	გლობალური კონკურენტუნარიანობა[3]	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები[4]	ეკონომიკური თავისუფლება[5]	განათლების დონე[6]	ინოვაციები[7]	ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ინდექსი[8]	სახელმწიფო სექტორის წილი ეკონომიკაში[9]
ქვეყანა	რეიტიგი								
ირანი	131	130	74	51	171	132	120	91	33-35%
რუსეთი	105	119	45	3	153	55	49	45	70%

წყარო: 1.The Global Enabling Trade Index (2014), http://www.weforum.org/getr; 2. Corruption Perceptions Index (2015), http://www.transparency.org/cpi; 3. The Global Competitiveness Report (2015–2016), http://www.weforum.org/issues/global-competitiveness; 4. Foreign Direct Investment (2014), http://datacatalog.worldbank.org/; 5. The Index of Economic Freedom (2016), http://www.heritage.org/index/; 6. Education Index (2015), http://hdr.undp.org/; 7. The Global Innovation Index (2014), http://www.globalinnovationindex.org/; 8. ICT Development Index (2015), http://www.itu.int/; 9. Russian Federation (2014), https://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2014/cr14134.pdf; Islamic Republic of Iran (2014), https://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2014/cr1493.pdf.

წარმოდგენილი ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ამ ქვეყნების რეიტინგები არც თუ სახარბიელოდ გამოიყურება, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქვეყნის ჩართულობა გლობალურ ვაჭრობაში, კორუფციის აღქმა, ეკონომიკური თავისუფლება. რაც შეეხება ისეთ მაჩვენებლებს, როგორიცაა განათლების დონე, ინოვაციები და ინფორმაციული ტექნოლოგიები აქ რუსეთის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად აღემატება ირანის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

> მაგალითად, თუ გეოეკონომიკის პოზიციიდან მოკლედ განვიხილავთ ირანის ეკონომიკის დღევანდელ დონეს, მისი ძირითადი პრობლემაა სახელმწიფო სექტორის მაღალი წილი ეკონომიკაში. დიდია კორუფციის დინე და გაუმჭვირვალე ეკონომიკური კანონმდებლობა. გაზრდილია სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი. სანქციების მოხსნის შემდგომ არანის ხელისუფლების ძირითადი ამოცანა აღნიშნულ პრობლემებთან გამკლავება უნდა გახდეს. სხვა შემთხვევაში ირანს გაუჭირდება ეფექტური კონომიკური პოლიტიკის გატარება
>
> რაც შეეხება რუსეთს, მისი ეკონომიკის კატასტროფული მდგომარეობის ძირითადი მიზეზია პირდაპირი უცხოური ინვისტიციების შემცირება და გეოპოლიტიკური დაძაბულობის მიერ პროვოცირებული, ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის გაურკვევლობა, რაც თავის მხრივ, გამოიწვია სანქციების შემოღებამ და რუსეთის არცთუ ადეკვატურმა საპასუხო მოქმედებებმა. მომავალში აღნიშნული შეიძლება მივიჩნიოთ იმ ძირითად ფაქტორად, რომელიც შეზღუდავს რუსეთის ეკონომიკური ზრდის საშუალოვადიან პერსპექტივას (Global Economic Prospects, 2015).

ირანთან ურთიერთობაში, სანქციებში მოყოლილი რუსეთის ეკონომიკური ინტერესები უკავშირდება ირანის რესურსის (სანედლეულო, პოლიტიკური, ეკონომიკური) გამოყენებას, რათა გახდეს დომინანტი ქვეყანა მინიმუმ რეგიონულ დონეზე. მიზანი კი ეკონომიკური და პოლიტიკური იზოლაციისგან თავის დაღწევაა. ამის საფუძველს იძლევა ის მემორანდუმი, რო-

მელიც ხელმოწერილი იქნა რუსეთისა და ირანს შორის 2014 წელს და რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 5 წლით. მემორანდული ითვალისწინებს რუსეთისათვის ნედლი ნავთობის მიწოდებას, რუსეთის მხრიდან ირანის ნავთობისა და გაზის გენერირებადი სიმძლავრეების (ე.წ. „სანავთობო გარგება“) მშენებლობაში მონაწილეობის სანაცვლოდ. ორივე ქვეყნისათვის ეს გარიგება ნიშნავს დასავლეთის წინააღმდეგ გალაშქრებას. მსგავსი მოცემულობა კი სანქციებიდან განთავისუფლებული ირანის ეროვნულ ინტერესებს ხშირად ეწინააღმდეგება. აქედან გამომდინარე, ირანი თავის მხრივ, რუსეთთან ურთიერთობას აგებს უპირატესად გეოპოლიტიკურ პარტნიორობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ექსპორტის სტრუქტურა, (რომელიც რუსეთმა უნდა განახორციელოს ირანიდან ნავთობის მიღების სანაცვლოდ) განსაზღვრული არ არის, ამ მემორანდუმის ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე საუბარი ჯერჯერობით ძნელია. ვფიქრობ, დღევანდელი მოცემულობით ეს შეთანხმება როგორც გეოეკონომიკური, ასევე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ირანისათვის უფრო მომგებიანია ვინაიდან, ირანს გააჩნია ეკონომიკური ზრდის საკმაოდ დიდი პოტენციალი. ეს ქვეყანა მსოფლიოში მეორე ადგილს იკავებს გაზის და მესამეს ნავთობის მარაგით (BP,2013). ამასთან, ირანის მოსახლეობას გააჩნია ისეთი დემოგრაფიული სტრუქტურა, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს მის ეკონომიკურ ზრდას. დასავლეთთან კონფრონტაციამ რუსეთს უბიძგა ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში მოქმედების გააქტიურებისაკენ, რითაც ის ცდილობს მოახდინოს იმ ნეგატიური ეკონომიკური შედეგების ერთგვარი კომპენსაცია, რომელიც გამოიწვია მისმა გართულებულმა ეკონომიკურმა ურთიერთობამ აშშ-თან და ევროკავშირთან (Gulf States News, 2014).

> მაგალითად, ირანის მოსახლეობის 70 % 30 წელზე დაბალი ასაკისაა, მოსახლეობის მხოლოდ 4% -ია 65 წელს გადაცილებული, ხოლო სტუდენტთა 31% ეუფლება ინჟინრის სპეციალობას. (URL: http://www.luckycamper.net/country/иран/все-о-иране/5883-демография-ирана)

ირანთან ექსპორტის განვითარების შემთხვევაში რუსეთის სტრატეგია გათვლილია გეოეკონომიკურ ეფექტზე. ეს შეიძლება აისახოს ენერგომატარებლებზე. კერძოდ, თუ ამ თამაშებში რუსეთი მოახერხებს ვენესუელის ჩართვას (სხვა ნავთობმომპოვებელი სახელმწიფოების გამოყენება ნაკლებ სავარაუდოა, ვინაიდან რუსეთმა მხოლოდ ამ სახელმწიფოში მოახერხა ანტიამერიკული განწყობების შემდგომი გააქტიურება), მაშინ მათ ექნებათ მსოფლიო ნავთობის მარაგის 32,4 და გაზის 38,6% (BP, 2013). ამით, რუსეთი შეეცდება მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფასის ფორმირებას ნავთობზე. რაც ნავთობმომპოვებელი ქვეყნების და დასავლეთის პოტენციალის გათვალისწინებით ნაკლებად შესაძლებლად მიმაჩნია. მეორე მხრივ, ირანის სამხრეთ ნაწილში ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციის შემთხვევაში რუსეთი იმედოვნებს, რომ მოხდება მისი კომპანიების სპარსეთის ყურეში გასვლა, რომლის პორტები წარმოადგენენ რუსეთის არასანედლეულო საქონლის ექსპორტირების ყველაზე ოპტიმალურ წერტილებს აზიის, აფრიკის, შუა და ახლო აღმოსავლეთის* (Near and Middle East) ქვეყნებში.

როგორც ცნობილია, მსოფლიო და რეგიონულ ბაზრებზე ირანის უმნიშვნელოვანესი საექსპორტო საქონელი ენერგომატარებლებია. სრულიად გასაგები მიზეზის გამო, რუსეთი მის მიმართ ნაკლებ დაინტერესებას იჩენს. მეორე მხრივ, რუსული საქონელი და ტექნოლოგიები ძალიან ჩამორჩება დასავლურ ანალოგებს, ამიტომ ირანი ხშირად ამ უკანასკნელის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს. გარდა ამისა, ირანი საკუთარი პროვინციების უმეტესობაში, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, აწარმოებს აგრარულ პროდუქციას, მაშინ როცა, რუსეთი კლიმატური პირობების გამო იძულებულია შეიძინოს აღნიშნული პროდუქცია.

ამჟამად, რუსეთის ბაზარზე ირანის აგრარული პროდუქციის საექსპორტო მოცულობა რამოდენიმე მილიონ დოლარს შეადგენს. თუმცა, ირანს შეუძლია გაზარდოს ეს მაჩვენებელი. მრავალი უპირატესობის მიუხედავად (გეოგრაფიული სი-

ახლოვე, საერთო გეოპოლიტიკური ინტერესები, კულტურული თანამშრომლობა), ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთთან უნდობლობის რეჟიმში იმყოფება. მათ ნაკლები ინფორმაცია აქვთ ერთმანეთის ეკონომიკურ, სამრეწველო, საწარმოო პოტენციალის, ასევე საბაზრო მოთხოვნების შესახებ, რის გამოც მათი სავაჭრო შესაძლებლობების მხოლოდ მინიმუმია გამოყენებული.

აღნიშნულის მიუხედავად, დასავლეთის მხრიდან რუსეთის მიმართ სხვადასხვა სახის სანქციების შემოღების და რუსეთის მხრიდან თურქეთის იმპორტზე ემბარგოს დადების ფონზე, ირანმა და რუსეთმა აამოქმედა რიგი ღონისძიებები, რუსეთის ბაზარზე ევროპული და თურქული პროდუქციის ირანული ანალოგით ჩანაცვლებისათვის (Kozhanov,N.,2015).

> **მაგალითად, რუსეთმა უფლება მისცა ირანს მის ბაზარზე შეეტანა თევზი, ქათამი და რძის ნაწარმი. ამასთან, შეამცირა ტარიფები ირანიდან შემოტანილ პროდუქციაზე. რუსეთის სამხრეთში ირანი წარმოადგენს აღნიშნული პროდუქციის ყველაზე მსხვილ მწარმოებელს, რომელსაც ძალუძს ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილოს რუსეთის მოთხოვნილება ბაზრის ამ სეგმენტში. ირანი თავის მხრივ, იყენებს პოლიტიკურ და დიპლომატიურ შესაძლებლობებს როგორც საკუთარი მეწარმეების, ასევე ორივე ქვეყნის სავაჭრო ფირმების წახალისებისათვის.**

ბოლო ორი წლის განმავლობაში გლობალურ ეკონომიკასა და ირან-რუსეთის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. საერთაშორისო სისტემის მოცემულობა საშუალებას იძლევა მათ შორის კიდევ უფრო განმტკიცდეს ეკონომიკური თანამშრომლობა. კერძოდ, ნავთობზე ფასების ვარდნამ, უკრაინის კრიზისმა, რუსეთის მიმართ დასავლეთის მხრიდან განხორციელებულმა სანქციებმა, შეამცირა რუსეთის საქონელბრუნვა (მათ შორის ჩინეთთანაც) 30 — 40%-ით. ამ დროს კი ირანსა და რუსეთს შორის ანალოგიური მაჩვენებელი არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა 5%-ით.

თუმცა, 2005-2015 წლებში ამ მაჩვენებლის დინამიკა დიდი ცვლილებებით ხასიათდება. მაგალითად, გასულ წელს ადგილი

ქონდა ამ მაჩვენებლის შემცირების ტენდენციას, რომელიც შეიძლება რამოდენიმე ფაქტორით აიხსნას. უპირველეს ყოვლისა, ამის მიზეზია ის, რომ რუსეთის მთავრობამ აიღო ვალდებულება დაეცვა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ 2005 წელს ირანის მიმართ დაწესებული სანქციები. რუსეთის კერძო სექტორს და საბანკო სტრუქტურას მოუხდა ეღიარებინა დასავლეთის მიერ ირანის ეკონომიკის მიმართ შემოღებული ცალმხრივი ემბარგო. შედეგად, აღნიშნულ პერიოდში ორ ქვეყანას შორის გარკვეული პრობლემები შეიქმნა ფულად გადარიცხვებში. ასვე ფინანსურ და საბანკო გარიგებებში. ეს ბარიერი ამჟამად, არ არსებობს (თუმცა, კვლავ შეიძლება შეიქმნას იმ შემთხვევაში, თუ ირანი გააგრძელებს ბალისტიკური საკონტინენტშორისი რაკეტების გამოცდას, რომელსაც დასავლთის მხრიდან კვლავ შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური სანქციები).

2016 წლი იანვარში ირანმა შეასრულა ვალდებულებები, მოეხსნა მრავალმხრივი ეკონომიკური და ფინანსური სანქციები, რომელიც ირანის ბირთვულ პროგრამას უკავშირდებოდა. მეორე მხრივ, რუსეთის მრეწველობის ზოგიერთ კერძო სტრუქტურას (სამთომოპოვებითი, ნავთობქიმიური, ნავთობგამწმენდი და გაზნავთობის საწარმოები), რომელიც ჯერ კიდევ იყენებს საბჭოთა დროინდელ ტექნოლოგიებს, ჩამოერთვათ მათი ირანში საქმიანობის უფლება. ამ სფეროებში ირანს ძალიან გაურთულდება თანამშრომლობა რუსეთთან. ცალკე საკითხია ის, რომ რუსეთის საცალო ვაჭრობის მსხვილი ცენტრები, როგორც წესი წარმოადგენენ ევროპული კონცერნების (მაგალითად, Auchan და Ikea) ფილიალებს და ემორჩილებიან თავისი სათაო ოფისის განკარგულებებს. ეს უკანასკნელნი კი მოქმედებენ საკუთარ სახელმწიფოთა მითითებებით, რომლებსაც ირანთან მიმართებაში საკუთარი გეოეკონომიკური ინტერესები გააჩნიათ. რუსეთისათვის ყველაზე სენსიტიური საკითხია რუსული კომპანიები, რომლებიც საქმიანობენ როგორც ირანში, ასევე აშშ. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერგეტიკული სექტორისათვის, სადაც რუსეთი ცდილობს შეიკავოს თავი ირანთან აქტიური თანამშრომლობისაგან, რათა გზა გა-

უხსნას ამერიკულ კომპანიებთან თანამშრომლობას, რითაც ის ცდილობს შეამციროს ტექნოლოგიური ჩამორჩენა და ამ ბაზაზე განავითაროს საკუთარი შიდა ენერგეტიკული სექტორი (Therme, 2015).

ამის მიუხედავად, რეგიონში იმდენად დიდია რუსეთის გეოეკონომიკური ამბიციები, რომ როგორც რუსული წყაროებიდან ირკვევა, ამ ქვეყნის კომპანიებს განზრახული აქვთ აქტიურად განავითარონ თნამშრომლობა ირანთან, უკვე პოსტსანქციის პერიოდში.

> **მაგალითად, კომპანია „ზარუბეჟნეფტმა“ ხელი მოაწერა მემორანდუმს შანგულის საბადოში შესაძლო სამუშაოების წარმოების შესახებ. ამის გარდა, ეს კომპანია დაინტერესებულია ნაბთობის ამოღების კოეფიციენტის გაზრდით ძველ საბადოებზე (Tass, 2016).**

ირანში კი ჯერჯერობით ჩამოუყალიბებელია ადეკვატური სავაჭრო-ეკონომიკური ინფრასტრუქტურა (ტრანსპორტის სფეროს ჩათვლით), სადაზღვევო სისტემა. სამრეწველო პროდუქცია ნაკლებ კონკურენტუნარიანია გლობალურ ბაზრებზე და ვერ პასუხობს საერთაშორისო ვაჭრობის პრინციპებს. არსებული შეზღუდული პოტენციალი კი არ არის გათვლილი რუსეთის ბაზრის სრულად დაკმაყოფილებაზე.

მანამ, სანამ ირანის აგრარულ სექტორში პროდუქციის წარმოებაში არ მოხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება (პროდუქციის შეფუთვა, შენახვა, ტრანსპორტირება), ნაკლებ სავარაუდოა, რომ მისმა პროდუქციამ სათანადო სეგმენტი მოიპოვოს რუსულ ბაზარზე, ვინაიდან რუსეთის მომხმარებელი უკვე მიეჩვია მაღალი ხარისხის ევროპულ პროდუქციას, რომელთან მიმართებაშიც ირანული პროდუქციის ხარისხი საშუალო ან საშუალოზე დაბალი დონისაა.

აღსანიშნავია ის გარემოება რომ, რუსულ ბაზარზე ირანელი მწარმოებლები საკუთარ პროდუქციას აგზავნიან ისე, რომ მათ ნაკლებად უნარჩუნდებათ სასაქონლო სახე. საქმე ეხება შესაბამისი ტექნოლოგიებს უქონლობას, რომელიც საჭიროა პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის დიდ მანძილზე (იმი-

სათვის, რომ მიაღწიოს რუსულ ბაზრამდე ზოგჯერ 3000 კმ-მდე მანძილის დაფარვაა საჭირო).

გარდა აღნიშნულის, 2014 წელს ირანისა და რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურები დიდ ძალისხმევას ახმარენ ბიუროკრატიული ბარიერების მოხსნას ეკონომიკური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ, დადებით და მეტად ეფექტურ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს, 2014 წელს რუსეთის ცენტრალური ბანკის მზაობა ითანამშრომლოს ირანის საბანკო სისტემასთან. კერძოდ, რუსეთის მხარის მიერ შეთავაზებული სავაჭრო-საინვესტიციო თანამშრომლობის პროგრამა საერთო თანხით 40 მილიარდი ამერიკული დოლარი, რუსეთის მხრიდან 5 მილიარდი დოლარი საკრედიტო ხაზის გახსნა და „ვნეშეკონომბანკის“ 2 მილიარდიანი დოლარის ინვესტიცია ირანის ცენტრალური ბანკის საჭიროებისათვის, ამ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური გაერთიანებების თანამშრომლობის შემდგომი სტიმულირებისათვის პოზიტიური ნაბიჯია.

ეტყობა დადგა დრო, როცა ირანის კერძო, ნახევრადკერძო და სახელმწიფო სტრუქტურებმა, რომლებიც მზა პროდუქციის ექსპორტს ახორციელებენ, უფრო ყურადღებით შეისწავლონ რუსული ბაზარი და ყურადღების კონცენტრირება მოახდინონ მის პრაქტიკულ რეალიზაციაზე. თუმცა, რუსული ბაზარი ირანისათვის ეკონომიკური განვითარების მხოლოდ ერთ-ერთ ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ.

ეკონომიკური თანამშრომლობის განზრახულობას ხშირად აფერხებს რუსეთის გეოპოლიტიკური ამბიციები რეგიონში. რუსეთის განზრახვა, უზრუნველყოს თავისი ბატონობა ყოფილი იმპერიის სამხრეთულ კოლონიებში, ყოველთვის როდი უწყობს ხელს ირან-რუსეთის გეოეკონომიკური ინტერესების რეალიზაციას. ხშირად რუსეთისათვის უფრო მნიშვნელოვანია ყოფილ კოლონიებში საკუთარი ინტერესების გატარება ვიდრე ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება ირანთან.

მაგალითად, 2002 წლის აპრილში 5 ქვეყნის: აზერბაიჯანის, რუსეთის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და ირანის მეთაურები შეხვდნენ აშხაბადში კასპიის ზღვის სა-

მართლებრივი სტატუსის განსაზღვრისადმი მიძღვნილ სამიტზე. სამიტმა არ გაამართლა მოლოდინები და მხარეები ვერ შეთანხმდნენ საერთო პოზიციაზე. აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და რუსეთის ერთობლივ პოზიციას დიდი წინააღმდეგობა გაუწია ირანმა. თურქმენეთი, მიუხედავად იმისა, რომ გაიზიარა ზოგადი იდეა ზღვის ფსკერის ნაციონალურ სექტორებად დაყოფისა, ჯერ კიდევ არ იყო მზად მთლიანად მხარი დაეჭირა მისთვის. ირანის პოზიცია იყო უცვლელი: ან უნდა გაყოფილიყო 5 თანაბარ ნაწილად (20% თითოეულ სახელმწიფოს) ან უნდა ეხელმძღვანელათ 1921 წლის ხელშეკრულების პირობებით (Lee, 2005). აღნიშნული სამიტის შემდგომ რუსეთმა შეძლო გაეუმჯობესებინა ურთიერთობა ასტანასთან და ბაქოსთან, მაგრამ გაიფუჭა თეირანთან.

რუსეთი თვლის, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან კარგი ეკონომიკური ურთიერთობები იქნება იმის გარანტი, რომ ის გადაურჩება საერთაშორისო იზოლაციას და მოახდენს სანქციების შედეგად მიყენებული ზარალის კომპენსაციას. ამ მხრივ, ირანთან მიმართებაში მან უკვე დაამუშავა გეოეკონომიკური სტრატეგიის გეგმა ენერგეტიკულ ბაზართან მიმართებაში, რომლის მიხედვითაც ევროპელებმა არ უნდა გამოიყენონ ირანული ენერგომატარებლები, ანუ ევროპა უნდა დარჩეს რუსეთზე დამოკიდებულების რეჟიმში. თუმცა ირანმა, თავის მხრივ, ბოლო თვეების განმავლობაში, შეიძლება ითქვას, დაასამარა რუსეთის ეს სტრატეგია არა მხოლოდ ევროპულ, არამედ ჩინეთის ენერგომატარებლების ბაზრებზე თავისი გააქტიურებით.

მაგალითად, გასული წლის ივლისის თვეში დადებულმა შეთანხმებამ, რომელიც აისახა გაერთიანებულ კომპლექსურ სამოქმედო გეგმაში (The JCPOA) P5+1 (გაერო-ს უშიშროების საბჭოს 5 მუდმივ წევრს დამატებული გერმანია და ირანს შორის შეათანხმება ბირთვულ პროგრამაზე), გზა გაუხსნა დასავლეთსა და ირანს შორის მომავალი თანამშრომლობისკენ, მოახდინა ირანის საერთაშორისო რეაბილიტაცია და ნელნელა აძლიერებს მის როლს შუა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ბოლო ათი წლის განმავლობაში,

როცა ევროპის საწარმოები გაიტანეს ირანის ტერიტორიიდან რუსულმა კომპანიებმა ვერ შეძლეს ვერანაირი ეკონომიკური სარგებელის მიღება. 2011-2014 წლებში ირანის წილი რუსეთის საგარეო ვაჭრობაში შემცირდა 0,5-დან 0,2%-მდე. ამავე წელს რუსული ინვისტივიები არცთუ შთამბეჭდავი იყო და 50 მილიონ $ ნაკლები შეადგინა (http://www.customs.ru/, accessed on March 24, 2015).

იმის მიუხედავად, რომ ირანთან ურთიერთობაში რუსეთს აქვს გარკვეული პოტენციალი, არსებობს სერიოზული წინააღმდეგობანიც, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალონ ან/და სულაც შეაჩერონ ირან-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობა. საერთოდ, სახელმწიფოთა ურთიერთობების მყარი გეოეკონომიკური ფუნდამენტის შექმნა დიდ დროს მოითხოვს, რომელიც არსებულ ვითარებაში არც ირანს და არც რუსეთს არ აქვს. ამ მოცემულობაში არ არსებობს არავითარი გარანტია იმისა, რომ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობა არ შეიცვლება, რაც თავის მხრივ, გავლენას მოახდენს ირანის გეოეკონომიკურ ინტერესებზე. დასავლეთთან მზარდმა კონფრონტაციამ აიძულა რუსეთი ირანთან გეოპოლიტიკურ თანამშრომლობაზე. მაშინ, როცა ირანსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დათბობის შემდგომ ირანი უკვე ნაკლებად დამოკიდებული ხდება რუსეთზე. ირანი, საკუთარი გეოეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ვითარების ესკალაციის შემთხვევაში, თავისუფლად იტყვის უარს რუსეთთან ერთ მილიარდიან ვაჭრობაზე, ევროკავშირთან ხუთმილიარდიანის სასარგებლოდ. თუმცა, ჯერჯერობით არსებობს გარკვეული დაბრკოლებები ირანული გაზის ევროპაში მოცულობითი ტრანსპორტირების საქმეში, რომელიც დიდი ალბათობით უახლოეს მომავალში ვერ განხორციელდება. ამის მიუხედვად, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ირან-ევროპის თანამშრომლობა შეზღუდულ ეკონომიკურ პროექტშიც კი სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს. ევროპაში ექსპორტი ირანის გაზის მრეწველობისთვის გრძელვადიანი პოლიტიკის ნაწილია, ნომერ პირველ პრიორიტეტად კი გამოცხადებულია გაზის ექსპორტის გაზრდა მეზობელ ქვეყნებში.

მაგალითად, ევროპარლამენტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ირანს შეუძლია 25-დან 30 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზის ექსპორტი ევროპაში ყოველწლიურად. ევროპას შეუძლია მოახდინოს ირანის ბუნებრივი გაზის იმპორტი $-დან 50 კუბურ მეტრამდე დღე ღამეში, თურქეთზე გამავალი მილსადენის საშუალებით. თუმცა, შესაძლებელია ალტერნატიული მარშუტების იქნას გამოყენებული. კერძოდ, ერაყი-სირია-ლივანი ან სომხეთი-საქართველო-შავი ზღვა. (Stevens,2015). მოლაპარაკებები იმ მიზნით, რომ აზერბაიჯანული გაზი ევროპაში ირანის გავლით მოხვდეს, უკვე მიმდინარეობდა, თუმცა, რეალურ შედეგამდე არ მისულა. ამას ხელი შეუშალა ირანის წინააღმდეგ გამოცხადებულმა სანქციებმა. წლების წინ მოვლენათა ასეთი განვითარებით მოგებული საქართველო აღმოჩნდა (რომელზეც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა გაიარა). ახლა კი ამავე მარშრუტზე პარალელური მეგაპროექტის განხორციელება საქართველოსთვის წამგებიანი იქნება.

ირან-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობებს გააჩნიათ თავისი ზღვარი. გარდა შავი ლითონის და ნავთობქიმიური პროდუქტებისა, რუსეთს ირანისათვის შესათავაზებელი საქონლის ასორტიმენტის ძალიან ვიწრო სპექტრი გააჩნია. ეს არ არის გამოწვეული მის მიმართ დაწესებული სანქციებით. აქ მთავარ როლს ერთი მხრივ, რეგიონში ჩინეთის ყოფნა, მეორე მხრივ, კი რუსეთის მოძველებული ტექნოლოგიებია (რომლის ჩამორჩენა დასავლეთის ანალოგებთან სულ უფრო თვალსაჩინოა). მესამე მხრივ, ამ მოცემულობის ჩამოყალიბებაში რუსეთში არსებული ეკონომიკური პრობლემები თამაშობს. ირანს კი თავის მხრივ, აკლია საინჟინრო-ტექნოლოგიური მხარდაჭერა, ასევე მოწყობილობები ნავთობგადამამუშავებელი და თხევადი გაზის ქარხნების მოდერნიზაციისა და მშენებლობისათვის.

მაგალითად, დღეისათვის ყველა დისკუსია რუსული მრავალმილიარდიანი ინვესტიციების შესახებ ირანის ეკონომიკაში (მათ შორის ჰიპოთეტური 70 მილიარდიან კონტრაქტებში), პრაქტიკაში არ განხორციელებულა. ამის გარდა, 2011 წლიდან მოყოლებული ქვეყნებს შორის ვაჭრობის მოცულობა პერმა-

ნენტულად ეცემა 30% ფარგლებში და 2014 წელს დაეცა 1,5 მილიარდ დოლარამდე. რაც ორჯერ უფრო დაბალი, მაჩვენებელია ვიდრე რუსეთ-ეგვიპტის ან რუსეთ-ისრაელის ანალოგიური მაჩვენებელზე (http://www.russianembassy.org.il & http://www.ved.gov.ru, 2015).

როგორც ვხედავთ, ირან-რუსეთის გეოეკონომიკური ურთიერთობები სავსეა როგორც პოზიტიური ასევე ნეგატიური მომენტებით, რომლის მეტნაკლებად მისაღები (სრულყოფილ ანალიზზე პრეტენზია ნამდვილად არ მაქვს) ახსნაც მოცემულია რუსეთის და ირანის გეოეკონომიკური პოტენციალის, ასევე რუსეთ-ირანის გეოეკონომიკური ურთიერთობების პოტენციალის, ქვემომდებარე SWOT ანალიზის საფუძველზე (დანართი 1,2,3).

დასკვნა

ამდენად, რეგიონული და გლობალური ხასიათის პრობლემების არსებობის მიუხედავად, ირანმა და რუსეთმა საბოლოო ჯამში ჯერჯერობით ვერ მოახერხეს შეექმნათ ორმხრივი თანამშრომლობის მყარი გეოეკონომიკური ფუნდამენტი (უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს ეკონომიკა, ტექნოლოგიები, ეფექტური სახელისუფლებო ბიუროკრატია). ამის მიზეზი კი ის არის, რომ მათ ურთიერთობებში გეოპოლიტიკური მიდგომა დომინირებს გეოეკონომიკურზე. მსგავსმა სიტუაციამ კი ბოლო წლებში სახელმწიფოთა თანამშრომლობა განამტკიცა პოლიტიკურ და საერთაშორისო სფეროებში. ანუ ახლო აღმოსავლეთში გააქტიურებულმა პოლიტიკურმა პროცესებამ მოახდინა ორივე ქვეყნის ინტეგრაცია საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში, ხოლო მათი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობებმა წინ ვერ წაიწია.

ნათელია, რომ თეირანისა და კრემლის თანამშრომლობა გაზის სექტორში რუსეთის მიერ განიხილება როგორც მსოფლიოში პოლიტიკური გავლენის გაძლიერების და საერთო მტერზე (აშშ) ზეწოლის ინსტრუმენტი. თუმცა, მეორე მხრივ, ირანისათვის სანქციების მოხსნა აუცილებლად გამოიწვევს, გეოე-

კონომიკური ინტერესების ცვლილებას ამ ორ ქვეყანას შორის.

თუ რუსეთს კვლავ გაუგრძელდება სანქციები, არაა გამორიცხული პოლიტიკურ-სტრატეგიული პარტნიორობის ფონზე, ამ ქვეყნებს შორის გავნითარდეს მწვავე გეოეკონომიკური კოლიზია (ირანი, გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე დაბრუნების შემდგომ, უნდა განვიხილოთ როგორც რუსეთის გეოეკონომიკური მეტოქე), რომლის პროვოცირება შეიძლება გამოიწვიოს ევროპის გაზის ბაზარზე ირანის გააქტიურებამ (ირანის გეოეკონომიკური სტრატეგია ორიენტირებულია იქნება ევროპულ ბაზარზე მაქსიმალურად ხელსაყრელი მარშუტით შესვლაზე) ან/და ირანის ეკონომიკური კავშირების გაძლიერებამ პოსტსაბჭოთა სივრცეში (განსაკუთრებით ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში), რაც წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის როგორც გეოპოლიტიკურ,ასევე გეოეკონომიკურ ინტერესებთან.

დაპირისპირება პრაქტიკულად გადულახავი იქნება თუ რუსეთი შეეცდება (მოვლენების მსგავსი სცენარით განვითარების შემთხვევაში ეს ასეც მოხდება) ირანის გეოეკონომიკურ ჩარჩოებში მოქცევას ანუ შეეჩდება ირანის მიმართ ირიბი გეოეკონომიკური სტრატეგიის გამოყენებას (რუსეთის გეოეკონომიკური ინტერესების რეალიზება ირანის გეოეკონომიკური ინტერესების კარგად შეფუთულ კონტროლზე და მისი დახმარებით ეკონომიკური სარგებელის მიღებაა).

პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ (და არა ერთადერთ) შესაძლებლობად შეიძლება მოვიაზროთ ის, თუ რამდენად სწორად და სკურპულოზურად განსაზღვრავენ ეს ქვეყნები საკუთარ გეოეკონომიკურ სტრატეგიას. ირანის, ასევე რუსეთის მთავრობებმა უნდა გაარკვიონ თუ ეკონომიკის რომელ სფეროებშია რეალურად შესაძლებელი მათი ეკონომიკური თანამშრომლობა და გააცნობიერონ, რომ მათი გეოპოლიტიკური თანამშრომლობა ზემოთ აღნიშნულ საკითხზე, ზუსტი პასუხის არარსებობის შემთხვევაში, მათ შემდგომ დიალოგს ნაკლებად შესაძლებელს გახდის.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. BP, (2013). *Statistical Review of World Energy*, June

2. Blank., (2011), „*A New Rapprochement between Moscow and Tehran*," Eurasia Daily Monitor 8, Issue 212, November 16.

3. Envoy: Tehran, Moscow Agree to Boost Trade Value to $15bln, FARSNEWS, September 20, 2014, http://english.farsnews.com/newstext.aspx?nn=13930629000333, accessed on February 17, 2015; „Iran and Russia Seek Closer Economic Ties," *Gulf States News,* p. 11.

4. Global Economic Prospects, (JUNE 2015). The Global Economy in Transition. https://www.worldbank.org/content/dam/Worldbank/GEP/GEP2015b/Global-Economic-Prospects-June-2015-Global-economy-in-transition.pdf

5. Iran and Russia Seek Closer Economic Ties, *Gulf States News*, Issue 978, October 20, 2014.

6. Iran and Russia Seek Closer Economic Ties, Gulf States News 38, Issue 978, October 2, 2014, 11; Interview with a Russian expert on Iran, Institute of Oriental Studies of the Russian Academy of Science,(2014), Moscow, October 26.

7. Islamic Republic of Iran (2014), https://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2014/cr1493.pdf.

8. Kozhanov, N., (5 May 2015), *Understanding the Revitalization of Russian-Iranian Relations*. Carnegie Moscow Center, http://carnegie.ru/2015/05/05/understandingrevitalization-of-russian-iranian-relations/i86n.

9. Lee Y.,(2005). *Toward a New International Regime for the Caspian Sea.* http://home.ku.edu.tr/qdufurrena/public_html/Hist334/Caspian%20Sea.pdf

10. *Multiple interviews with Russian diplomats and Iranian and Israeli experts on the Middle East conducted in Moscow* (September 2014), London (May 2014), and Tel Aviv (June 2014).

11. Russia Considers Nuclear Cooperation with Iran," Gulf States News, Issue 980, October 30, 2014; „Iran and Russia Seek

Closer Economic Ties,“ *Gulf States News*, Issue 978, October 20, 2014.

12. Russian Federation (2014), https://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2014/cr14134.pdf;

13. Stevens., P. (2015) *Middle East and North Africa Programme & Environment.* The Royal Institute of International Affairs. London: Chatham House.

14. Therme, C.(2015), *The Iran-Russia Entente: Marriage of Convenience or Strategic Partnership*?, Iran After the Deal: the Road Ahead.(Edited by Paolo Magri and Annalisa Perteghella). http://www.ispionline.it/it/EBook/Iran_after_the_Deal.pdfedition.pdf.

15. ЕвсеевВ.,(2010).*Российско-иранское«настороженное партнерство* - 1 © - Вестник Кавказа. 5 Июл.

16. Мамедова Н.,(2011) *Экономический потенциал Ирана накануне и в период Второй мировой войны* // Иран и Вторая мировая война. М.,С. 68–69, 76.

17. URL: http://www.luckycamper.net/country/иран/все-о-иране/5883-демография-ирана, ბოლო ნახვა 03.24. 2015.

18. http://www.customs.ru/, ბოლო ნახვა 03.24. 2015.

19. http://www.weforum.org/getr. ბოლო ნახვა 15. 03. 2016

20. http://www.transparency.org/cpi. ბოლო ნახვა 16. 03. 2016

21. http://www.weforum.org/issues/global-competitiveness. ბოლო ნახვა 15. 03. 2016

22. http://datacatalog.worldbank.org/.ბოლო ნახვა 16. 03. 2016

23. http://www.heritage.org/index/.ბოლო ნახვა 15. 03. 2016

24. http://hdr.undp.org/.ბოლო ნახვა 16. 03. 2016

25. http://www.globalinnovationindex.org/.ბოლო ნახვა 15. 03. 2016

26. http://www.itu.int/.ბოლო ნახვა 15. 03. 2016

27. http://tass.ru/info/2545970 ბოლო ნახვა 16. 03. 2016

REFERENCES AND INTERNET RESOURCES:

1. BP, (2013). *Statistical Review of World Energy*, June

2. Blank., (2011), „*A New Rapprochement between Moscow and Tehran*," Eurasia Daily Monitor 8, Issue 212, November 16.

3. Envoy: Tehran, Moscow Agree to Boost Trade Value to $15bln, FARSNEWS, September 20, 2014, http://english.farsnews.com/newstext.aspx?nn=13930629000333, accessed on February 17, 2015; „Iran and Russia Seek Closer Economic Ties," *Gulf States News,* p. 11.

4. Global Economic Prospects, (JUNE 2015). The Global Economy in Transition. https://www.worldbank.org/content/dam/Worldbank/GEP/GEP2015b/Global-Economic-Prospects-June-2015-Global-economy-in-transition.pdf

5. Iran and Russia Seek Closer Economic Ties, *Gulf States News*, Issue 978, October 20, 2014.

6. Iran and Russia Seek Closer Economic Ties, Gulf States News 38, Issue 978, October 2, 2014, 11; Interview with a Russian expert on Iran, Institute of Oriental Studies of the Russian Academy of Science,(2014), Moscow, October 26.

7. Islamic Republic of Iran (2014), https://www.imf.org/external/pubs/ft/scr/2014/cr1493.pdf.

8. Kozhanov, N., (5 May 2015), *Understanding the Revitalization of Russian-Iranian Relations*. Carnegie Moscow Center, http://carnegie.ru/2015/05/05/understandingrevitalization-of-russian-iranian-relations/i86n.

9. Lee Y.,(2005). *Toward a New International Regime for the Caspian Sea.* http://home.ku.edu.tr/qdufurrena/public_html/Hist334/Caspian%20Sea.pdf

10. *Multiple interviews with Russian diplomats and Iranian and Israeli experts on the Middle East conducted in Moscow* (September 2014), London (May 2014), and Tel Aviv (June 2014).

11. Russia Considers Nuclear Cooperation with Iran," Gulf States News, Issue 980, October 30, 2014; „Iran and Russia Seek Closer Economic Ties," *Gulf States News*, Issue 978, October 20, 2014.

12. Russian Federation (2014), https://www.imf.org/external/pubs/

ft/scr/2014/cr14134.pdf;

13. Stevens., P. (2015) *Middle East and North Africa Programme & Environment.* The Royal Institute of International Affairs. London: Chatham House.

14. Therme, C.(2015), *The Iran-Russia Entente: Marriage of Convenience or Strategic Partnership*?, Iran After the Deal: the Road Ahead.(Edited by Paolo Magri and Annalisa Perteghella). http://www.ispionline.it/it/EBook/Iran_after_the_Deal.pdfedition.pdf.

15. Yevseyev V., (2010). *Russian-Iranian „cautious partnership* - 1 © - Vestnik Kavkaza. July 5.

16. Mamedova H., (2011) *The economic potential of Iran before and during the Second World War // Iran and World War II*. M., pp. 68-69, 76.

17. URL:http://www.luckycamper.net/country/ Iran / all-about-Iran / 5883-demography-Iran. Last Seen 03.24. 2015.

18. http://www.customs.ru/, last website 03.24. 2015.

19. http://www.weforum.org/getr. Last Seen 15. 03. 2016

20. http://www.transparency.org/cpi. Last Seen 16. 03. 2016

21. http://www.weforum.org/issues/global-competitiveness. Last Seen 15. 03. 2016

22. http://datacatalog.worldbank.org/. Last Seen 16. 03. 2016

23. http://www.heritage.org/index/. Last Seen 15. 03. 2016

24. http://hdr.undp.org/. Last Seen 16. 03. 2016

25. http://www.globalinnovationindex.org/. Last Seen 15. 03. 2016

26. http://www.itu.int/. Last Seen 15. 03. 2016

27. http://tass.ru/info/2545970 Last Seen 16. 03. 2016

IRAN-RUSSIAN RELATIONS / GEO-ECONOMIC CONTEXT/

Giorgi Kvinikadze
PhD in Geography ,TSU
Konstantine Shubitidze,
PhD Candidate in International Relations, TSU

RESUME

The subsequent to the Cold War period, the current reapportionment of Russian and Iranian geo-economic interests is unprecedented. The plans of the Iranian and Russian governmental bureaucracies are to create a solid foundation for further bilateral cooperation, which is mostly stipulated by their geopolitical interests. However, there are some significant geo-economic interests that might interfere or halt/suspend the cooperation in the above mentioned field.

Keywords: Geo-economics, Investments, Geopolitics, Economic sanctions, Caspian region.

შენიშვნები:

კონცესია - უცხოური კაპიტალის დაბანდების (ინვესტიციის) მიზნით სახელმწიფოს მიერ გაფორმებული გრძელვადიანი საიჯარო ხელშეკრულება განახლებადი და განუახლებადი ბუნებრივი რესურსების ექსპლუ ატაციასა და მასთან დაკავშირებულ სხვა სამეურნეო საქმიანობაზე.

შუა აღმოსავლეთი - დასავლეთი აზიის პირობითი სახელწოდება, რომელიც მდებარეობს ევროპასა და პაკისტანს შორის. ანგლოსაქსურ ლიტერატურაში ცვლის ტერმინს „ახლო აღმოსავლეთი“, მაგრამ ხშირად მოიაზრება როგორც ახლო აღმოსავლეთის ირანის, პაკისტანის და ავღანეთის ერთობლიობა. ამიტომ ის გამოიყენება გაერთიანებულ ტერმინში „ახლო და შუა აღმოსავლეთი“. შედეგად ტერმინ „შუა აღმოსავლეთში“

მოიაზრება ირანი, პაკისტანი და ავღანეთი. დანარჩენებთან მიმართებაში იხმარება ტერმინი „ახლო აღმოსავლეთი“.

ახლო აღმოსავლეთი - დასავლეთი აზიის და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი (აზერბაიჯანი [1], სომხეთი[1], ბაჰრეინი, საქართველო[1], ეგვიპტე, ისრაელი, ერაყი, იემენი, ირანი[2], იემენი, იორდანია, ყატარი, კვიპროსი[3], ქუვეითი, ლიბანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი, პალესტინის, მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირი, საუდის არაბეთი, თურქეთი[4])

1. გაერო იყენებს რეგიონულ სისტემას, რომელიც ეფუძვნება კულტურულ - გეოგრაფიულ პრინციპს, რომლის თანახმადაც დასავლეთ აზიის რეგიონი თავის თავში აერთიანებს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებსაც (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო). მსგავს კლასიფიკაციას გვთავაზობს ბრიტანიკის ენციკლოპედია. თუმცა, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს ალტერნატიული წყაროები მსგავს კლასიფიკაციას არ იზიარებენ.

2. ზოგიერთი წყაროს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შეჰყავს ირანის მხილოდ დასავლეთი ნაწილი

3. კვიპროსის რესპუბლიკას, რომელიც 2004 წლიდან (ბერძნული ზონა) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოა, ზოგიერთი წყარო ახლო აღმოსავლეთის რეგიონს არ აკუთვნებს.

4. ახლო აღმოსავლეთის რეგიონს აკუთვნებენ თურქეთის მხოლოდ აზიურ ნაწილს (თურქეთის ტერიტორიის 9/10)

დანართი 1

ირანის გეოეკონომიკური პოტენციალის SWOT ანალიზი (2016)

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები	შესაძლებლობები	საფრთხეები
ხელსაყრელი გეოსტრეტეგიული მდებარეობა რეგიონში დემოგრაფიული პოტენციალი ნავთობის დიდი მარაგები განვითარებული აგრარული სექტორი	ჩართულობის დაბალი ხარისხი გლობალურ ვაჭრობაში ეკონომიკური თავისუფლების დაბალი დონე განათლების დაბალი დონე ინოვაციების გლობალური ინდექსის დაბალი მაჩვენებელი კორუფციის მაღალი დონე კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების არასაკმარისი დონე სახელმწიფო სექტორის მაღალი წილი ეკონომიკაში მოძველებული ტექნოლოგიები გაუმართავი არასრულყოფილად ფუნქციონირებადი სადაზღვეო სისტემა	უძრავი ქონების სფეროში ივისტიციების მოზიდვა და საივისტიციო პოლიტიკის გადაწყობა ბირთვულ პროგრამაზე, P5+1 შეთანხმების (აშშ, ჩინეთი,საფრანგეთი, რუსეთი, გაერთიანებული სამეფო და გერმანია) ზედმიწევნით დაცვა დაბრუნება გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე ეკონომიკის მართვის გეოეკონომიკური მოდელზე გადასვლა კერძო სექტორის წილის გაზრდა ეკონომიკის სექტორში სახელისუფლებო ბიუროკრატიის შემცირება	პოლიტიკური არასტაბულურობა რეგიონში გარედან მომდინარე ეკონომიკური შოკების რისკები ნავთობზე ფასების ვარდნა ბალისტიკური საკონტინენტშორისი რაკეტების გამოცდა ნავთობის შიდა მომხმარების სწრაფი ზრდა ადმინისტრაციის შენახვის მაღალი სახელფასო დანახარჯების შემდგომი ზრდა

დანართი 2

რუსეთის გეოეკონომიკური პოტენციალის SWOT ანალიზი (2016)

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები	შესაძლებლობები	საფრთხეები
ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობა მაკროეკონომიკური გარემო ბაზრის ზომა მდიდარი ბუნებრივი რესურსები კვალიფიციური კადრები	სახელმწიფო მოწყობის ავტარქიული მოდელი ჩართულობის დაბალი ხარისხი გლობალურ ვაჭრობაში საფინანსო სისტემა ინოვაციური პოტენციალი კორუფციის დონე საკუთარი საინვისტიციო რესურსების უკმარისობა ინვესტორთა დაცვა საგადასახდო სისტემა ბიზნესის კეთების სირთულე ინფრასტრუქტურა ჩრდილოვანი ეკონომიკა ნაკლებეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემა არასაბაზრო სეგმენტის მაღალი წილი ეკონომიკაში	საინვისტიციო მიმზდველობის რეიტინგის ტოპ 20 ყოფნა ქვეყნის და მისი ცალკეული რეგიონების საინვისტიციო მიმზიდველობის აქტიური პროპაგანდა და ინვისტიციების მოზიდვა სახელმწიფო მართვის ეფექტურობის გაზრდა მართვის გეოეკონომიკური მოდელზე გადასვლის გზით ეკონომიკის საბაზრო სეგმენტის წილის გაზრდა	ფინანსური სექტორის დამოკიდებულება ენერგეტიკულ ბაზარზე საინვისტიციო პოლიტიკის არასწორად შერჩეული პრიორიტეტები უცხოელ ივესტორთა მიერ კაპიტალდაბანდებების უდიდესი ნაწილის სანედლეულო დარგებში აკუმულირება ქვეყნის საინვისტიციო პოტენციალის შემცირება სამეცნიერო პოტენციალის დაკარგვა შრომითი რესურების დეფიციტი ენერგომატარებლებზე დაბალი ფასები ტექნოლოგიების განვითარების დაბალი დონე

დანართი 3

რუსეთ- ირანის გეოეკონომიკური თანამშრომლობის SWOT ანალიზი (2016)

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები	შესაძლებლობები	საფრთხეები
თანამშრომლობა ატომური ენერგეტიკის სფეროში რუსული ინვისტიციები ირანის გაზის საბადოებზე რუსული კომპანიების მონაწილეობა თბოელექტროსადგურების მშენებლობაში ორი ქვეყნის თანამშრომლობა კულტურის სფეროში კოსმოსის სფეროში თანამშრომლობა ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები ხელს უწყობს ირან-რუსეთის თანამშრობის განმტკიცებას	ორმხრივ ურთიერთობებში პოლიტიკის დომინირება გეოეკონომიკურზე საბანკო ურთიერთობების მოუწესრიგებლობა რის შედეგადაც ბევრი მნიშვნელოვანი შეთანხმება ვერ რეალიზდება იმ ინფორმაციის მწირე ან/და ნაკლებ საიმედობა, რომლებსაც მეწარმეები იღებენ ერთმანეთისაგან სპეციალისტების ნაკლებობა, რომლებმაც იციან რუსულიც და ირანული ენები ორივე ქვეყანაში არსებობს სახელისუფლებო ბიუროკრატების ნაწილი, რომლებსაც ეჭვით უყურებენ ენ/და არ სურთ თანამშრომლობის გაღრმავება ისტორიული მეხსიერება (გეოპოლიტიკური მეტოქეობა რეგიონში) არცთუ დიდი სავაჭრო გაცვლების მოცულობა რუსეთ-ირანის ურთიერთობები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იმაზე, თურა პოზიციას დაიჭერენ ისინი აშშ-ის მიმართ უთანხმოება კასპიის ზღვის შელფის გადანაწილებაში რუსეთი ირანს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად არ განიხილავს	სტუდენტების გაცვლა ენობრივი ბარიერის გადალახვის მიზნით ორივე ქვეყანის ეკონომიკებისათვის შანსია აშშ-თან და ევროკავშირთან ეკონომიკური კავშირების გააქტიურება ქვეყნებს შორის სავიზო რეზიმის გამარტივება ერთობლივი, რუსეთ-ირანის ბანკის შექმნა ორივე ქვეყნის ვალუტის გამოყენებით (ორმხრივი ვაჭრობის გამარტივების მიზნით) ტვირთების გადასაზიდად ირანის კასპიის პორტების გამოყენება (ვოლგა-დონის არხის გავლით), ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო კორიდორის გაჭრა რუსეთის მიმართ განხორციელებული სანქციები და მეორე მხრივ, რუსეთ- თურქეთის ურთიერთობების დაძაბვა, ირანისათვის არის შანსი გაზარდოს თავისი წილი რუსეთის სოფლის მეურნეობის პროდექციის ბაზარზე	თუ დასავლეთის ზენოლით რუსეთი განყვეტს ირანთან თანამშრომლობის ბირთვული ენერგიის სფეროში მოსალოდნელია მათი თავანშრომლობის ძალიან გართულება და შენყვეტაც კი თუ ირანი მოახერხებს აშშ-თან სიტუაციის დათმობას, მაშინ რუსეთის ბაზარი ნაკლებად აქტუალური ხდება რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობას ნეგატიური რეაქცია მოყვება როგორც სამხრეთ (საქართველო, აზერბაიჯანი) ასევე ჩრდილოეთ კავკასიაშია, რაც მის როლს ძალიან დაასუსტებს რეგიონში რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობა ნეგატიურად აისახება ირან-დასავლეთის ურთიერთობებზე (განსაკუთრებით რუსეთის მიმართ განხორციელებული სანქციების პირობებში) ერთმანეთთან მოსალოდნელი კონკურენციის უკიდურესი გამწვავება, ვინაიდან მათ კონკურენცია მოუწივთ ენერგომატარებლების ერთსა და იმავე ბაზარზე დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობის შემთხვევაში ირანს შეძლება გაუჩნდეს რუსეთის ჩანაცვლების ამბიცია ევროპის გაზით მომარაგების საქმეში, რაც საბოლოოდ გააუფუჭებს ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებს

ოპტიმისტი ადამიანის დაუოკებელი სწრაფვა თვითმყოფობისკენ

აზრები გიორგი მალაშხიას ლექსების კრებულის ,,სულის ამბოხი“ წაკითხვის შემდეგ

ვახუშტი ფარცვანია,
ფილოსოფიისა და ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი.

ადამიანის გადაგვარება-გაუცხოებას მრავალი ტომი მიეძღვნა, მაგრამ იბადება სავსებით მართლზომიერი კითხვა: როდის მოასწრო ადამიანმა გადაგვარება-გაუცხოება მაშინ, როდესაც მას ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებია ადამიანური საზოგადოება?!

ამ კითხვაზე პასუხი შეუძლებელია კლასიკური თეორიული საფუძვლების ცოდნის გარეშე, რის დეფიციტმაც მიგვიყვანა სწორედ დღევანდელ ობივატელურ და სულიერად გაღარიბებულ საზოგადოებამდე, რომელსაც ვერანაირად ვუწოდებთ ადამიანურ საზოგადოებას, ვინაიდან მას არ გააჩნია არც ნათელი იდეოლოგია და არც მიზანი-ვექტორი, რომელიც ადამიანური მწვერვალების დაპყრობისკენაა მიმართული. ადამიანი-მიზნის ადგილი ფულმა-საშუალებამ დაიკავა მთელი სისრულით და ადამიანი-მიზეზი მან წმინდა წყლის საშუალებად გადააქცია. ეს პროცესი დაიწყო სწორედ მაშინ, როდესაც პროდუქტი-საშუალება საქონელ-მიზნად გადაიქცა, ანუ შრომის იარაღების გამოგონება-გაუმჯობესების შედეგად ადამიანმა თავისი მოძმე დაიმორჩილა, გახადა სამუშაო ძალად და ზედმეტი პროდუქტის წარმოება დაიწყო, რომელიც, შესაბამისად, საქონლად გადაიქცა. და ყოველივე სოციალური უკეთურობა

სწორედ ამ ისტორიული მომენტიდან იღებს სათავეს, რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, ან პრიმიტიული ცნობიერებით არ ეთანხმება ამ ისტორიულ სინამდვილეს.

ეს მცირედი შესავალი თითქოსდა რა მოსატანია პოეტური შემოქმედების შეფასებისას, მაგრამ ცნობილია, რომ თითოეულ მოვლენას თავისი მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერება უდევს საფუძვლად და აქ მიზანშეწონილი იქნება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ბატონი გიორგი მალაშხია გახლავთ ერთ-ერთი ის გამონაკლისი თეორეტიკოს-ეკონომისტი საქართველოში, რომელიც არ არის სათანადოდ შეფასებული და რომლის მეცნიერული იდეები კი სათანადოდ გამოყენებული. აი, სწორედ ესაა ჩვენი თანამედროვე საზოგადოების უბედურების ერთ–ერთი გამოვლინება.

ბატონმა გიორგიმ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია მეცნიერებას. ტიტანური შრომით ათეული წლები ერკინებოდა ეკონომიკური კანონზომიერებებისა თუ კანონების შემეცნებას, რაც ნათელს მოჰფენს სოციალურ სიდუხჭირეს და შვებას აგრძნობინებს საზოგადოებას, მაგრამ ამაოდ. ნამდვილად შესაშური და გადამდებიცაა ბატონი გიორგის ოპტიმისტური, მამულიშვილურ-პასუხისმგებლური შემართება, რომელიც მიმართულია ადამიანური ცხოვრების შესახებ ჭეშმარიტების საზოგადოების გასაგონად გამოხატვისკენ, რისთვისაც ის ძალ-ღონეს არ იშურებს და ყველა საჭირო ხერხს მიმართავს. ამისი დასტურია მისი ერთ-ერთი ლექსის „ფიქრები ლექსად“ სტროფი:

,,მსურს სიტყვა იყოს, როგორც ელვა,
მკვეთრი და სხარტი,
მზის სხივებივით იღვრებოდეს
ვრცელ სამყაროში,
რომ ჰქონდეს ძალა მიმზიდველი
მას ანდამატის
და არა ჰგავდეს მოცახცახეს,
ყინვით გათოშილს!

მიშველის ლექსი, როცა ძალა
ცნებებს არ ყოფნის,
როცა ლოგიკა თვით რკინისა
ხდება უძლური,
რითმა იფეთქებს ცხადზე ცხადი
ისე, ვით თოფი,
შემეცნების ჟინს დააოკებს,
ვით ღვინო წყურვილს!“

თუ არა ბატონი გიორგი, აბა, ვინ ხედავს იმას, რომ ტერმინი, ცნება, კატეგორია, კანონი, კანონზომიერება აღრეულია ერთმანეთში და მათი მოცულობითი შინაარსი ხშირად სიტყვის პრიმიტიულ არსამდეა დაყვანილი, მაგრამ უბედურება ისაა, რომ სიტყვამაც კი დაკარგა დღეს თითქოსდა ძალა და თავისი ისტორიულ-ლოგიკური დანიშნულება...

საზოგადოების დიდი ნაწილი კვდება ისე, რომ მის ცალკეულ წევრებს არასოდეს ებადებათ კლასიკური კითხვა: რა აზრი აქვს ადამიანის სიცოცხლეს, რა არის ადამიანის დანიშნულება, რას ნიშნავს იყო ადამიანი, რა არის ადამიანის არსი და ა. შ. მაგრამ საზოგადოების ნამდვილად ინტელექტუალური ნაწილისთვის ყოველთვის მტკივნეული და თავსატეხია ეს და სხვა, მსგავსი შინაარსის, კითხვები. ისინი დაუღალავად შრომობენ ბუნების კანონზომიერებების ამოცნობა-შესწავლაზე და სოციალური კანონების სამართლიანობაზე, სრულყოფაზე თუ მათ გამოყენებაზე. სწორედაც ამ კატეგორიის სუბიექტები ცნობიერად უახლოვდებიან გარდაცვალებას და არა უბრალოდ ბიოლოგიურ სხვად ყოფნას - კვდომას.

ინდოელი მოაზროვნე, ვივეკანანდა წერდა: - „ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, სიცოცხლის საფუძვლად უდევს ერთადერთი თემა, ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემო ჰარმონიის ყველა დანარჩენი ბგერა იკარგება... თუკი ერი მას უკუაგდებს, თუკი იგი უკუაგდებს საუკუნეების მიერ გადმოცემულ გეზს, - საკუთარი ცხოველმყოფელობის პრინციპს, ეს ერი კვდება“.

მსოფლიოში აშკარად გამოკვეთილი კი არის ერების გადა-

გვარება, რაც მათი კვდომის საფრთხეს წარმოადგენს. კერძოდ, საქართველოში უამრავი სიწმინდე შელახულია, ადამიანური ტრადიციები ან ნიველირებულია ან არამოდურადაა შერაცხული, ან კიდევ დასაცინ ტონალობას იძენს. და ამ ჟამს ყველაზე მეტად განიცდის, იტანჯება ცნობიერად ამაღლებული ადამიანი. მას ყველაზე მეტად უჭირს. მისთვის მატერიალურ ფასეულობას არანაირი მიმზიდველობა არ გააჩნია, რადგან მოაზროვნე და ამაღლებული გონისთვის ნებისმიერი მატერიალური ფასეულობა მხოლოდ საშუალებაა საკუთარ სულიერ სარბიელზე.

დიახ, დღეს უჭირს მოაზროვნე ადამიანს, უჭირს, რადგან, შექსპირის გენიისა არ იყოს:

„მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა...“.

უჭირს ადამიანს, რადგან ფულის ძლიერება ითვლება მხოლოდ ძალად, უჭირს, რადგან უვიცები გონიერ ადამიანს დასცინიან და ხმამაღლადაც.

სწორედ ამ ტკივილებმა დაბადა ბატონი გიორგი მალაშხიას ეს წიგნი, სადაც ცნობიერი სიცოცხლის განმავლობაში განცდილი სოციალური ქარტეხილებით აღვლენილი განცდები, აზრები, ტკივილები პოეზიის სპექტრში მოექცია, რადგან აქ გადმოცემულ სოციალურ ნიუანსებს სრული დატვირთვით თავის მეცნიერულ ტომებში ვერ მოაქცევდა.

ცნობილია, რომ ყველა მოაზროვნე ადამიანი ხშირად განიცდის სულიერ სიმარტოვეს, სულიერ ტრაგიზმს და ამ მომენტებს თითქმის ყველა მოაზროვნესთან ერთნაირი საფუძველი აქვს - პირადი და სოციალური.

ფულის საზოგადოებაში ღირსეულ ადამიანთა უდიდესი ნაწილი უსუსურია, სოციალური ინსტიტუტების მარწუხებისგან დაუცველია. როგორც ბატონი გიორგი ამბობს თავის ლექსში:

,,...ჰა, იყიდება ადლი მზე...
ჰა, იყიდება ქვეყანა!...

გასაყიდად დევს ნამუსი,
მოედნები და კორტები,
აზრები ნოსტრადამუსის,
სული, სხეული, ნოტები...“

ვინც მოკლებულია ფულის საშუალებას - მოკლებულია ადამიანის ელემენტარულ უფლებებს, ხშირად კი არარაობადაცაა ქცეული. ეს ხომ კერძო სამართლის ახირებებია?! ამ „სიუხვის“ სამყაროში ღირსეული ადამიანი რატომ უნდა იყოს ფულ-საშუალებას მოკლებული?

ჩვენდა სამწუხაროდ, დღევანდელი მსოფლიო ცივილიზაცია რეგრესით მიმდინარეობს ადამიანთან, როგორც მთავარ ფასეულობასთან მიმართებაში. მხოლოდ ტექნიკისა და ახალი ტექნოლოგიების სფეროში ინტენსიური პროგრესი როდი მიგვანიშნებს ჰუმანიზმისა და ადამიანის ბედნიერების დამკვიდრებაზე, ანუ ნამდვილ ცივილიზაციაზე. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ყველასთვის დიდ უბედურებას წარმოადგენს ფულის კანონზომიერება, რომელიც ვერ ჰგუობს ადამიანს, სულიერ ამაღლებულობას, ადამიანთა სიყვარულს, საზოგადოებრივ ადამიანს. შედეგად ის აყოვნებს ადამიანის ქმნადობის, მისი გარდაუვალი კულტურიზაციის პროცესს.

და სწორედ ეს საშინელი სოციალური წინააღმდეგობა ყოველდღიურად ასამარებს და ეწინააღმდეგება ჯერ კიდევ შემორჩენილ მოაზროვნე გონთა უკვდავებისკენ მიმსწრაფ დიდისულოვნებას. დაგვიდგა ისეთი დრო, როდესაც თავისუფალი, დიადი და ადამიანთა მოდგმის დამამკვიდრებელი თუ მასაზროებელი ძლევამოსილება უპრეცენდენტოდ ისჯება, მაგრამ სიმართლის ურყევ ძლიერებასა და მის უბერებელ, დაუმარცხებელ თვითმყოფადობას არასოდეს დაუხევია უკან.

კაცობრიობის გენიათა ისტორია ცხადჰყოფს, რომ ღირსეულ, იდეებს შეწირულ ადამიანებს არასოდეს დაუხევიათ უკან. არ დაუხევია და არც დაიხევს უკან სიმართლის სივრცისკენ მიმსწრაფი სოციალური ვექტორი. ამისი ნათელი მაგალითია თუნდაც ბატონი გიორგი მალაშხიას მთლიანი მეცნიერული შემოქმედება და ნათელი დასტურია მისი შევერცხლილი წლების

ნაჟური პოეზიაც, რომელიც გამსჭვალულია სიმართლისა და სამართლიანობის ძიებით, შეუნელებელი ოპტიმიზმით, ადამიანური სიყვარულის მაგალითებით, თვითდამკვიდრების დაუოკებელი ჟინით...

ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ ვიცნობ გამორჩეულ მეცნიერს საქართველოში, სიმართლისთვის მებრძოლ ქართველს ოცდამეერთე საუკუნეში, ლირიკული გრძნობებით აღსავსე გიორგი მალაშხიას და მე ვამაყობ ამით...

გამოხმაურება გიორგი მალაშხიას ლექსების კრებულზე „სულის ამბოხი. ფიქრები ლექსებად. ცხოვრების ფილოსოფია"

რევაზ შენგელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, ჟურნალ „ ეკონომიკის" მთ. რედაქტორი

საყოველთაოდ აღიარებულმა ქართველმა მეცნიერ-ეკონომისტმა, პროფესორმა, ჟურნალ „ეკონომიკის" სარედაქციო კოლეგიის საპატიო წევრმა გიორგი მალაშხიამ მრავალი სიახლე შესძინა მსოფლიო მეცნიერებას. მისი ყოველი ნააზრევი გამსჭვალულია ჰუმანიზმით. იგი ყოველთვის კეთილმოსურნეა, თავმდაბალი და მიმტევებელი, სიკეთისთვის მებრძოლი პიროვნებაა.ფასდაუდებელია მისი ფუნდამენტური ნაშრომი „მეტაეკონომიკა-ეკონომიკის ფილოსოფია", რომლის მსგავსი შედეგრი ეკონომიკურ მეცნიერებაში ჯერ არ შექმნილა. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი წიგნი **„სულის ამბოხი",** რომელშიც მხატვრული ფორმით შესძლო გადმოეცა თავისი მეცნიერული აღმოჩენები და სულ სხვა რაკურსით წარმოჩენილიყო საზოგადოებაში როგორც პიროვნება. არ შეიძლება განსაკუთრებით არ დაგამახსოვრდეს წაკითხვის შემდეგ ლექსი **„ეკონომიკის აპოლოგია",** რომლის მთავარი დედააზრია „ვუშენოთ მყარად მომავალს არა მეფური, არა კლანური, არამედ მხოლოდ ეკონომიკა ადამიანური". ბატონი გიორგი მალაშხიას ცალკეულ ლექსებს ზოგიერთი მკითხველი ჟურნალ „ეკონომიკის" გვერდებიდან ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-ნი წლებიდან იცნობდა, მაგრამ ამ დიდმა ორიგინალური ლექსების კრებულის მოულოდნელმა გამოჩენამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მკითხველებზე თითქოსდა მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდაო. დარწმუნებული ვარ ბატონი გიორგი მომავალში კიდევ ბევრ ასეთ მოულოდნელობებს შემოგვთავაზებს.

რეცენზია

გეოგრაფიის დოქტორის გიორგი კვინიკაძის მონოგრაფია- „გეოეკონომიკური ნარკვევები: ფრიდრიხ ლისტიდან ედვარდ ლუტვაკამდე"

ზურაბ დავითაშვილი
თსუ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი

თეიმურაზ ბერიძე
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სარეცენზიო ნაშრომი წარმოადგენს ახალი, ძალზე საინტერესო და პერსპექტიული ცოდნის დარგის - გეოეკონომიკის თეორიული საკითხების ისტორიულ ანალიზს. თანამედროვე ეპოქა, რომლის მთავარი შინაარსი გლობალიზაციაა, ხშირად მოიხსენიება ეპოქად, როცა გეოპოლიტიკის ადგილს გეოეკონომიკა იკავებს და საერთაშორისო სისტემაც, უპირველეს ყოვლისა , გეოეკონომიკური დაპირისპირებისა და ბრძოლის არეალად იქცა. ცხადია, აღნიშნული ვითარება ძალზე აქტუალურს ხდის გეოეკონომიკის მეცნიერულ შესწავლას, მისი თეორიული საკითხების კვლევას და ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერების მემკვიდრეობის ანალიზს.

გიორგი კვინიკაძე საქართველოში გეოეკონომიკის ერთ-ერთი პიონერი მკვლევარია. მისმა სამეცნიერო სტატიებმა და მონოგრაფიებმა ფაქტობრივად საფუძველი დაუდო გეოეკონომიკის მეცნიერულ კვლევას საქართველოში და დიდი დახ-

მარება გაუწია ამ დარგით დაინტერესებულ მეცნიერებს და სტუდენტებს. მაგრამ აუცილებელი იყო მკითხველს ჰქონოდა ნაშრომი, რომელიც თავს მოუყრიდა გეოეკონომიკური აზრის ისტორიას და დაანახვებდა გეოეკონომიკური თეორიების განვითარების ძირითად ეტაპებს პირველი ჩანასახებიდან დღემდე. სწორედ ასეთი წიგნია **„გეოეკონომიკური ნარკვევები: ფრიდრიხ ლისტიდან ედვარდ ლუტვაკამდე“,** რომელიც სულ ახალახანს გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ და ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის პროფესორ ალექსანდრე რონდელის ხსოვნას.

წიგნი შედგება ხუთი ნარკვევის, შესავლისა და დასკვნისაგან. დანართის სახით ერთვის ე. ლუტვაკის გახმაურებული სტატიის თარგმანი. თოთოეული ნარკვევი (გეოეკონომიკური აზრის ევოლუცია, ბიპოლარული გეოეკონომიკა, პოსტბიპოლარული გეოკონომიკა, ტურბოკაპიტალიზმი, გეოეკონომიკური ომები) გეოეკონომიკის საკვანძო საკითხების ღრმა და საფუძვლიანი ანალიზია, რაც შესაძლებლობას აძლევს მკითხველს, მიიღოს სრული წარმოდგენა ამ უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვან ცოდნის დარგზე.

წიგნი დაწერილია გამართული ქართულით. დარწმუნებულნი ვართ ის სამაგიდო წიგნად იქცევა გეოეკონომიკით დაინტერესებული საზოგადოებისათვის და ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ჩვენს მეცნიერებს და ყველა საფეხურის სტუდენტებს (განსაკუთრებით საზოგადოებრივი გეოგრაფიის, საერთაშორისო ურთიერთობების და ეკონომიკის სპეციალობებზე).

სამეცნიერო სტატიის
წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnusx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი
გადაეცა ასაწყობად 15.06.2016წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.06.2016 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18